


ჩვენი მწერალი

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

15 მაისი 2015

№ 10 (244)



ლიტვური გაზაფხული
ჯარჯი ფხოველის ლირიკა
ზვიად გამსახურდიას ასი დღე
მანანა კვატაია ელგუჯა თავბერიძეზე
ინტერვიუ თეიმურაზ გვანცელაძესთან
გურამ ქართველიშვილის მინიატურები
რუსუდან ნიშნიანიძე აკაკი ბელიაშვილზე
„შეშლილის წერილები“ ქართულ სცენაზე
მო იენი მწერლის ინდივიდუალიზმზე
გურა კვარაცხელიას ლექსები
გიზო ზარნაძის ჩანაწერები
ქეთრინ ჩოპინის ნოველა

შინაარსი

გაფი კახისა	2	რუსუდან ნიშნიანიძე მწერლის სამუშაო მაგიდიდან — მკითხველის მაგიდამდე (აკაკი ბელიაშვილი)
უბის წიგნაქიდან	5	ეთერ ბერიაშვილი ფიქრები ზურაბ ლეჟავას ნახატთან
მსსპრან-ინტერვიუ	6	თეიმურაზ გვანცელაძე „აპოთეი ის საქმე, რაც კარგად იცი!“ (მომზადდა თამარ ყალიჩავამ)
ერი და გადისწერა	8	როსტომ ჩხეიძე ძველი სიბუჯას სანიღუმლობა (ზვიად გამსახურდიას ასი დღე)
პოეზია	25	გურჯა კვარაცხელია სოფლის სურათები და სხვა ლექსები
	28	ჯარჯი ფხოველი ბებრისციხე და სხვა ლექსები
პროზა	30	გურამ ქართველიშვილი ორი მინიატურა
უსხოთის სხოვრებიდან	31	მო იენი მწერლის ინდივიდუალური ხმა (წინასიტყვაობა კრებულისათვის „ჩემი სათაყვანებელი ათი ლიტერატურული ნაწარმოები)
გამოხმარება	34	ეკა ბუჯიაშვილი ის საბუღალსო ზღვარი (ნათია როსტიაშვილის ახალი ნოველები)
თეატრალური სხოვრები	36	მანანა ტურიაშვილი სიყვარული მეორე სიცოცხლე (ნიკოლაი გოგოლის „შეშლილის წერილები“ ქართულ სცენაზე)
რეპორაჟი	41	ნინო დეკანოიძე „მეცნიერულად ზუსტი, პოეტურად იდუმალი...“ (განხილვა მარინე ტურავას წიგნისა „გარღვეული ლაბირინთი“)
კრიტიკა	46	ელიზბარ ჯაველიძე რეზო აბაშუქელის ლექსის სიმფონია
ახალი წიგნები	56	მანანა კვატაია „შვეიცხლო მკურნალის“ პორტრეტისათვის (ელგუჯა თავბერიძის კიდევ ერთი ბიოგრაფიული რომანი)
ფიქრი და განსჯა	59	გიზო ზარნაძე მოსმენილიც, ნანახიც, ნაფიქრიც...
ენის წიადვი	62	მიხეილ ანთაძე სიტყვის არქეოლოგია
პოეზიის მერიდიანები	64	ლიტვური გაზაფხული (მინდაუგას ვალიუკასი, ლიუტაურას დეგესისი, ვიოლეტა შობლინსკაიტე, გიტის ნორვილასი, ანტანას იონინასი)
უსხოური ნოველა	68	ქეთრინ ჩოპინი ღირსეული ქალი
ღიბარაბურული სხოვრები	70	გვანცა დევიძე სინდისი — ჩვილის ცრემლივით სუფთა და წმინდა (ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო)
ამ მთისა და იმ ბარისა	71	მსოფლოდ ქართველებს ქალუქდათო...



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
 რეკლამა: (995 93) 65 93 68
 გავრცელება: (995 92) 25 94 94
 ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
 გამოვა 2015 წლის 29 მაისს

დაარსებულია
 ომეგა ჯგუფის მიერ
 2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
 ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თეჯი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
 თბილისი საქართველო
 ტელ: 00 995 32 53 12 77
 ფაქსი: 00 995 32 53 08 33
 ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
 www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: მარინე ტურავა, დუშეთი

თამარ ყალიჩავას ფოტოგრაფიები

რუსუდან ნიშნინიძე

მწერლის სამუშაო მაგიდიდან — მკითხველის მაგიდაზე

აკაკი ბელიაშვილი — ცნობილი ქართველი მწერალი. ახლა უკვე ლიტერატურის ისტორიის კუთვნილება გახდა მისი იმხანად პოპულარული პროზაული ტექსტები; ჟანრობრივი თუ თემატიკის თვალთახედვით განსხვავებული და მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა: ნოველები, მოთხრობები, ისტორიულ და თანამედროვე საქართველოს თემებზე დაწერილი რომანები, მათ შორის სათავგადასავლო ჟანრისაც; დოკუმენტური პროზის ნიმუშები, კინოსცენარები, არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური ნერილი... გამოდიოდა პროზაიკოსის ცალკეული კრებულები, ტომეულები („თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“, „ოქროს ჩარდახი“, „უღელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“, „შვიდკაცა“) და მრავალი სხვა... თავადაც აქტიურად ჩართული მწერალთა კავშირის საქმიანობაში, იყო არაერთი რესპუბლიკური თუ საკავშირო ყრილობის, პლენუმის თუ დიქსიონარის გამორჩეული მონაწილე. როგორც ამა თუ იმ დელეგაციის წევრს მოგზაურობაც ხშირად უხდებოდა.

ნიჭიერი და საინტერესო მწერლის ბევრ ტექსტს უხეშად შეხებია „საბჭოთა ცენზორის“ კალამი იმ შემთხვევაშიც, როცა ისტორიულ ფაქტებს არაერთი გამონაგონით თავადვე ცვლიდა და მაშინაც, როცა საკუთარი თვალთა ნანახს აღწერდა. რასაკვირველია, არც უამისობაა, არცთუ იშვიათად ეპოქასაც თავის „ხარკს“ უხდოდა. თუმცა მაინც იქნებოდა მაღალმხატვრული ნაწარმოებები. ზოგი იბეჭდებოდა, ზოგის რთულ მხოლოდ აკაკი ბელიაშვილის არქივს შემორჩა. ამჟვერად მხოლოდ ერთ მათგანზე ვისაუბროთ.

60-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ტენდენციები შეიცვალა. შესაძლებელი ხდებოდა უცხოეთთან გარკვეული კავშირების დამყარება, აღდგენაც. ეს ძირეულად განსხვავდებოდა 30-40-იანი წლების სახელმწიფო იდეოლოგიური სტრატეგიისაგან. დრომ, ახალმა ვითარებამ სხვა შესაძლებლობები მოიტანა. ოფიციალური დელეგაციების გაგზავნა, საოჯახო კავშირების აღდგენა, საზღვარგარეთ მყოფი ნათესავების მოძებნა თანდათან დაშვებული ხდებოდა...

სწორედ 60-იან წლებში მოგზაურობის თაობაზე განსხვავებული მოგონებები არსებობს: სხვადასხვა შთაბეჭდილებებით, ინტერესებით, შეხვედრებით და „გაბედულებებით“ საცხე, ღიმილითაც. იმ დროს, თანაც „პირველი საბჭოთა დელეგაციის“ პირობებში ეს საკმაოდ რთული იქნებოდა, თამამიც... აქვე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: არა მარტო მხატვრული ტექსტების შემთხვევაში, არამედ დოკუმენტური პროზის — მოგონებების, ჩანაწერების, შთაბეჭდილებების გაანალიზებისას ძალიან ანგარიშგასაწვეი ფაქტორია, თუ რა წერია ხელნაწერებში და შემდგომ რა გამოქვეყნდა. პარტიული ცენზორისათვის რამდენად დასაშვები იქნებოდა სხვა, თანაც „კაპიტალისტური“ ქვეყნის აღტაცება, ამის გაზიარება მსმენელისთვის; და თან ისე წერა, რომ ავტორი მართალი დარჩენილიყო საკუთარ თავთან, მკითხველთანაც... რთულია! საბჭოთა სივრცეშია რთული...

როგორც ვთქვი, დოკუმენტურ პროზას არაერთი საყუარადღებო ტექსტი შეემატა.

შეერთებული შტატებიდან საქართველოში დაბრუნებული თავის მოგონებებში შეეცადა, დიალოგები ზუსტად აღედგინა; ეს არა მხოლოდ სიზუსტისთვის სჭირდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ქართველი მკითხველისათვის თავს გადახდენილი დეტალურად მოეთხრო. უსათუოდ ისიც უნდა ითქვას,

რომ ამ მოგონებების სრული ვერსია მხოლოდ ხელნაწერის სახით დევს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, აკაკი ბელიაშვილის არქივში (სსსმ — 027244-28 889), სათაურით: „ამერიკაში პარიზზე გავლით.“ დაბეჭდვით — 1964 წელს დაიბეჭდა მისი თხზულებების II ტომში, ძალიან შემოკლებული და თან სათაურით: „მოგზაურობა ამერიკაში“. პარიზი მთლიანად გამოტოვებულია, თხრობა პირდაპირ გადადის ამერიკაზე. როგორც ჩანს, გამოცემისას „გავლა“ აღარ „მოხერხდა“.

პარიზი — უჩვეულო, ულამაზესი ქალაქი. მასზე წერა ადვილიცაა და ძნელიც. ადვილი — გასაგებია, რატომაც: მთელ შენს შთაბეჭდილებებს ლაღად რომ მისცემ გაშლის სამუალებს; ძნელი — ცენზორმა მთელი გვერდი რომ არ „ამოგოდოს“ ნაწერიდან. მართალია, ეს უკანასკნელი როგორც ვთქვი, მოგვიანებით მთელ საფრანგეთს ამოგადებს თხრობიდან, მაგრამ ეს მწერალმა ბელიაშვილმა ჯერ არ იცის; ამიტომაც ასე მოიქცევა: ერთ მობრდილ აბზაცში ორივეს გასაგონად: ცენზორისაც და მკითხველის წასაკითხადაც იმგვარად დაწერს, რომ ორგზის გამოყენებული სიტყვა „მაგრამ“ იქნება ის გამყოფი ხაზი კონტრასტს კი არა, მწერლის რეალურ დამოკიდებულებას რომ ცხადყოფს:

„გაკვირდებით სახლებს, გამვლელებს, მალაზიებს. სახლები აქ საკმაოდ ძველია და ჩამოქეცილი. ჩვენს წარმოდგენაში პარიზი და პარიზელები ეს რაღაც წარმოდგენილი ბრწყინვალეების და პენენიკობის სინონიმადაა ქვეული, სინამდვილეში კი, აქ უმეტეს შემთხვევაში, ქუჩაში გამვლელებიც ისეთივე ჩამოქეცილები და მოთელილ-დაჭმუჭვნილები არიან, როგორც ეს ძველი შენობები. მაგრამ პარიზის ამ სიძველეში არის თავისებური სიმტკიცე, სიდიადე და მიმზიდველი მშვენიერება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ არსებობს მსოფლიოში ასეთი მომზიდველი და მომჯადოებელი ქალაქი, როგორც პარიზია. მაიაკოვსკიმ ტყუილუბრალოდ კი არ წამოიძახა, რომ „მე ვისურვებდი მეცხოვრა და მოვმკვდარიყავ პარიზში, რომ ქვეყნად მოსკოვი არ ყოფილიყო.“ მეც ასევე, ცხადია, ჩემს თბილისს ვარჩევდი პარიზს, ეს ჩვეულებრივი პატრიოტული გრძობის კარნახის შედეგია, მაგრამ... პარიზის მშვენიერა გულ სხვაგვარია. ასე მგონია, აქ მხოლოდ პოეტები, მხატვრები, არტისტები, მომღერლები და მუსიკოსები უნდა ცხოვრობდნენო. პარიზის ქუჩები, კაფეები, ქუჩებში გამოტანილი მაგიდები, ნაბლის ხეებით დაჩრდილული ტროტუარები, რენესანსის, ბაროკოს და როკოკოს სტილით ნაშენი თლილი ქვის შენობების ფასადები, აივნები, მოაჯირები, ყველაფერი ეს ისეთი სიმყუდროვის განწყობილებას ქმნის, ისე გიზიდავს და გაჯადოვებს, რომ მათი ცქერით ვერ ძღები.“

ქართული ინტელექტუალური ემიგრაციის შემოკლებული ისტორიები... იმ ადამიანების თავგადასავალთა ხსენება, დასავლენილებად რომ ვერ გაუმეტებია; არც შეიძლებოდა. საფრანგეთმა უამრავი ქართველი მიიღო: პოლიტიკოსები, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები, ჩვეულებრივი მოქალაქეები... მათი თუნდაც „ხსენება“ აქ დარჩენილ რამდენ ადამიანს გაუჩენდა იმედს, რომ მათი ახლობლები ცოცხლები არიან. იმათ ამბავს ხომ ვილაც უყვება; უამბობს ერთი შეხედვით, გარკვეულ კონტექსტშიც კი, მაგრამ გვარ-სახელით, კონკრეტულად მოიხსენიებს: მიხეილ ჩუბინიძე, ვანო მშვენიერაძე, გოგი ნოზაძე, ნასყიდაშვილი... ზოგადადაც, ჭიათურლები...

ერთ პიროვნებასთან დაკავშირებით მაინც გამორჩეული დამოკიდებულება გააჩნია. არცაა გასაკვირი. ის ხომ მისი ღვიძლი ძმაა, აგერ ამდენი წელიწადი თვალთ რომ არ უნახავს. რასაკვირველია, უნდა ნახოს, აქ, პარიზში უნდა მოძებნოს, თანაც უეჭველად მალულად. საბჭოთა დელეგაციის ჯგუფის წევრებმა არ უნდა გაიგონ, რომ ქართველ საბჭოთა მწერალს — აკაკი ბელიაშვილს ძმა ემიგრაციაში ჰყავს, თანაც 20-იან წლებში გამოქვეყნული... მაგრამ ახლა თავის საწერ მაგიდასთან თავდახრილი მის სახეს რომ აღიდგენს და იმ უჩვეულო შეხვედრასაც აღწერს, მანამდე იმ „გაპარვასაც“ და ჯგუფთან ჩამოცილებასაც რომ არ დამალავს, ძნელი სათქმელია, რომ დაბეჭდვებზე ფიქრობდეს. არაა ასეთი გულუბრყვილო კაცი. აკაკი ბელიაშვილი მწერალია და „არ დაწერა“, იმ დღეების ემოციის ქალაქის ფურცლებზე გადმოტანა შეუძლებელია! გამორიცხულია შიშის, ორჭოფობის, ან ხელისუფლებისადმი რიდის გამო ყოყმანი დაიწყოს... დაგეგმილი დღის განრიგის მიხედვით, ჯგუფმა გემით მდინარე სენაზე უნდა იმოგზაუროს, და რასაკვირველია, ყველა ალტაცებით ხვდება ამ წინადადებას, მაგრამ „მარტო მე უნდა ავცდე საერთო ქარავანს. პარიზში ცხოვრობს ჩემი ერთადერთი ღვიძლი ძმა, რომელიც ოცდაათობითი წელიწადია არ მინახავს.“ პარიზის ნახვებზე მეტად ძმის ნახვა რომ ეჩქარება, ცხადია. დელეგაციის წევრს, თავის მეგობარს, კინორეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილს სთხოვა გაყოლა და... ტაქსიმოც ჩასხდნენ. აკაკი „საკუთარ ფრანგულს“ არ ენდო და მძღოლს ქალაქში დაწერილი მისამართი გაუწვავდა.

ლადო ცხრამეტი წლისაც არ იყო, სახლიდან რომ წავიდა. მშენებლობაზე მუშაობდა, ოჯახსაც მეტ-ნაკლებად ეხმარებოდა კიდევ... ენატრებოდა... წლებმა მაინც თავისი გაიტანეს, როდესაც ძმები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, მკითხველიც ისეთივე სუნთქვაშეკრული აღმოჩნდება ნაწერთან, როგორც იმ წუთს აკაკი ბელიაშვილი:

„კარი გაიღო და გხედავ, ჩვენს წინ დგას ვიღაც უცნობი მოხუცი კაცი, ტანზე ზოლიანი ხავერდის საშინაო ბლუზა და შარვალი აცვია. გვიცქერის, გვიცქერის და ბოლოს, ქართულად გვეკითხება:

- თქვენ, ბატონებო, მგონი, საქართველოდან უნდა იყოთ.
- დიახ, საქართველოდან, — უპასუხებს ჩემი თანამგზავრი, რადგან ხედავს, რომ მე ადგილიდან არ ვიძვრი და ძმას გაოცებული შევცქერი. მე მას ველარა ვცნობ.
- თქვენ ლადო ბელიაშვილი ბრძანდებით?
- დიახ, მე გახლავართ.
- ამ კაცს ვერ იცნობთ? — ეკითხება პიპინაშვილი და ჩემზე უთითებს. ლადო მიცქერის, მაკვირდება და თავს უარის ნიშნად იქნევს.
- ვერა, ვერ ვიცანი.
- აბა, ერთი კარგად დააკვირდით, იქნება, იცნოთ, — არ ეშვება ნიკოლოზი.

ძმა კვლავ მაკვირდება, მაკვირდება, თითქო რაღაც მოაგონდა, მაგრამ ისევ უარის ნიშნად იქნევს თავს და გადაჭრით ამბობს:

- ვერა, ვერა ვცნობ!
- თქვენ ძმას ვერა სცნობთ?
- ჩემს ძმას? — გაოცებით აღმოხდა მას და ახლა გაოგნებულმა შემაველო თვალი.

— შენ, შენ აკაკი ხარ? გადამეხვია.”

მასპინძელი სტუმრებს ფუსფუსით ჩაუძღვება სარდაფში, რომელსაც, როგორც ჩანს, სახლის პატრონები სამზარეულოდ იყენებდნენ: დიდი ძველებური ღუმელი, თაროებზე გაკრიალებული თითბრის ქვაბები დევს და ოთახის შუაში გრძელი მაგიდა დგას და შემცბარი აკაკი ბელიაშვილი დაწერს: „გული მეტკინა. ასე, სოფლიდან ჩამოსულ ნათესავებს ლეზულობენ ხოლმე ბატონის სახლში მზარეულები, ან მოახლენი.”

ლადო ბელიაშვილიც დაბნეულია: ამ მოულოდნელი დღით, ამდენი წლის შემდეგ ძმასთან შეხვედრით, სალაპარაკოსაც ველარ უყრის თავს და იქვე განაბულ „შაშვის თუ რომელიღაც ფრინველის ბარტყს“ აიყვანს ხელში, იმ ორი მტრედის ამბავსაც მოყვება, მის მეტი პატრონი რომ არ ჰყავთ და უცებ ასეთ უჩვეულო რამეს იტყვის:

„ამას ვაჭმევდი ახლა, ერთი, ვაჭმევ ბარემ და მერე თქვენ მოგემსახურებთ”.

მერეღა მოეგება გონს, „ბახალა კუთხეში დასვა და ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა.



აკაკი ბელიაშვილი

— რა დროს ეს არის, ამას მერეც მივხედავ. მითხარით ახლა, რა ამბავია ჩვენში.”

რაც არ უნდა გადასწიოს ლადომ მწარე სათქმელის მოსმენის დრო, მაინც მოუწევს. მანამდე, სანამ მასთან მივლენ, აკაკი ბელიაშვილი მკითხველს მოუყვება:

„...სახლიდან გაიპარა და საფრანგეთში ამოპყო თავი. იქ იგი მშენებელ მუშად იქცა და ყველაზე მძიმე პროფესიას — დიდ სიმაღლეზე მუშაობას, ანუ რუსული ტერმინით რომ ვთქვათ, „ვერხოლაზობას“ მოჰკიდა ხელი.”

ახლა უმცროს ძმას ასეთ მდგომარეობაში რომ ხედავს, აღშფოთება ერთიანად იფეთქებს. ალბათ, გამორჩეულად კარგ პირობებში მცხოვრებს არც წარმოიდგენდა, მაგრამ ეს მეტისმეტი გამოდგა. ამდენი წლის უთქმელი ერთად უნდა უთხრას აქ, ამ წუთს, ასეთმა გამეხებულმა:

„რატომ არ გვიპასუხე უკანასკნელ წერილზე?“... „რად არ დაბრუნდი სამშობლოში?“...

„... თავის დროზე რომ მცოდნოდა რომ მიიპარებოდი, როგორადაც გამიძვრებოდი, იმასაც ვნახავდი. ვიგონებ ამ ოცდაათობითი წლის წინანდელ ამბავს თითქო ჩემს წინ კვლავ ცხრამეტი წლის ჭაბუკი იდგეს და მე კიდევ ოცდასამი წლის უფროსი ძმა, ოჯახის მეთაურის როლში ვადგე თავზე. ჩემი სახლიცა კი იწურება, ვითომც ეს ამბავი გუშინ მომხდარიყო...”

მოგონებებიდან ვიგებთ, რომ ლადო ბელიაშვილისათვის სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მიუციათ, მაგრამ ახლა მას თავად არ უნდა ამ თემაზე საუბარი. ის კი, რასაც იტყვის, სულაც არ ჰგავს თავისმართლებას, ეს ის ტყვილია, ლამის ყველა ემიგრანტს რომ მოზღვენია ყელში და რომლის მოსმენამაც „საბჭოთა მკითხველის“ ყურამდე ვერ უნდა მიაღწიოს.

„...ვეღარ ვწერ. რამდენი ავიღებ კალამს, ამიტყდება ტირილი და თვალეში მიბნელებდა.”

აკაკი ბელიაშვილი საჭიროდ ჩათვლის, ის სახლიც აღწეროს, სადაც ახლა მისი უმცროსი ძმა ცხოვრობს; შენობა, რომელიც თავის დროზე ალექსანდრე დიუმას თავისი შვილისათვის აუშენებია. მართალია, მას ახლა სრულიად სხვა მეპატრონე ჰყავს, მაგრამ ამისადა მიუხედავად, „აქ მუზეუმივითაა დაცული ყველაფერი.“ სხვა ოთახებიდან მწერალი მაინც იმ „უბრწყინვალეს ბიბლიოთეკას“ გამოჰყოფს, რომელიც ერთ განსაკუთრებულ დარბაზშია განთავსებული.

არქივში უამრავი ფოტოა: ოჯახში შემონახული (ახლა უკვე ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში დაცული) სწორედაც რომ უჩვეულო ფოტოები. რამდენიმე მათგანს გამოვარჩევ:

1. ლადო პარიზში ლამის „ჩასვლისთანავე“ 1922 წლის 20 სექტემბერს დედას და ძმას რომ გამოუგზავნის.

2. ფოტო მინანქრით: „ეტლში“ გაბმული ლადო ასეირნებს უცნობ მამაკაცს“. ლადო ბელიაშვილი პირში პაპიროსითაა, ფეხზე ჩექმები აცვია, ორივე ხელი დაკავებული აქვს და სამუშაო ფორმამი გამოწყობილი თითქოს ეტლს მიაბრუნებინებს. ის უცნობი ჰალსტუხიანი, ვეროპულ კოსტუმში გამოწყობილი მამაკაცი ჯოხით ხელშია. იმ დღეს სახალისოდ გადაღებული ფოტო, ზოგადად, ეგებ სიმბოლურია?

აქვე აღვნიშნავდი, რომ ლადო ბელიაშვილი მშენებლობაზე მოულოდნელად, ტრავიკულად გარდაიცვალა. პარიზში გამოშვებული ჟურნალი „ჩვენი დროა“ №36 (X. 1961) მკითხველს აცნობებდა: „უცაბედი შემთხვევის გამო, პარიზში 1 აპრილს ტრავიკულად გარდაიცვალა ჩვენი პარტიის წევრი ლადო ბელიაშვილი.“ და იქვე: „ლადო ბეჯითად დაენაფა სწავლა-განათლებას, მაგრამ ხელისუფლებამ აკრძალა მისთვის სახსარის გადმოგზავნა, ლადო იძულებული გახდა მძიმე შრომისთვის ხელი მოეკიდა. ისწავლა მღებრობა და მით ირჩენდა თავს.“

ბუნებრივია, ფიქრობდა ოჯახზე, სამშობლოზე, ახლობლებზე, საკუთარი საზოგადოებრივი აქტივობების გააჩნდა. ისე იმ განცხადებიდან: „განსაკუთრებული შრომისმოყვარე, დინჯი, წყნარი და სამეგობრო, ლადომ ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თავისუფალ დროს ანდომებდა ლიტერატურულ მუშაობას და შესძლო კიდევ საკუთარი სამვალეებით გამოეცა შრომა „ვეფხისტყაოსანზე.“

ლადო ბელიაშვილს ერთი სიუჟეტიანი ლექსი აქვს სათაურით: „მერცხლის სიკვდილი“. ეს თეორიული ლექსია; ვერ ვიტყვით, რომ საუკეთესო ნიმუში, მაგრამ თავისთავად საინტერესო, როგორც ფაქტი. მერცხალთა გუნდი ჩვეულებრივად ცხელი ქვეყნებისკენ გაემართა. „ქარავანს“ ერთი მათგანი ჩამორჩა, რომელიც დაუბრუნდა ძველ საბუდარს და იქ გამოიზამთრა. ტყე ფოთლებისგან გაიძარცვა, ცივი ქარი ზუზუნებდა და თოვლს აქეთ-იქით ჰფანტავდა... დღეები უსაშველოდ გაგრძელდა, მაგრამ აი, გაზაფხულდა. მერცხლები დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს, მაგრამ აქ დარჩენილისთვის მოფრენილთაგან ყველა უცხო გამოდგა. მეორე გუნდთან ერთად დაბრუნებულებს შორის გამოეყო ერთი მათგანი და ახლა სხვენზე შემომსხდრები დიდხანს ჭიკჭიკებდნენ. „ვინ იცის რა სიქვა, / რა უამბო ახალ-მოსულმა?“ დასვამს კითხვას ლექსის პერსონაჟი.

**ახლად-მოსული კვლავ გაფრინდა თავისი გზისკენ,
ბუმბლ-აბურძგნული დარჩა მარტო ჩვენი მერცხალი.
შავათ მიუჩანს ბრწყინვალე მზე ცის დასავალზე,
არც გაზაფხულის არ ახარებს ცის სილაჟვარდე,
არც მწვანე მთები, მწვანე ველი და მერცხალთა გუნდი.
კვლავ მარტო დარჩა, საცოდავი ჩიტი ეული
და დიდხანს იჯდა შავ ფიქრებში გარინდებულნი...**

მოულოდნელი სიუჟეტი და უჩვეულო დასასრული: კატა, რომელიც ჩიტის მდგომარეობით ისარგებლებს და ჭანგით

ყელს გამოლადრავს. ლექსის პერსონაჟი ვეღარ მიუსწრებს ცოცხალს. მართალია, სხეული ჯერ კიდევ თბილი აქვს, მაგრამ მკვდარია. პერსონაჟიც მიწას მიაბარებს მის სხეულს.

ლექსი 50-იან წლებში გამოქვეყნდა ნიუ-იორკში.

ძმასთან ერთად ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაზე ნასული როგორც ვთქვი, არაერთ ადამიანს მოიხსენიებს... და ისე გაიხსენებს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. ეგებ, აქაც და სხვაგანაც, პოლიტიკორექტული წინადადებებიც დაწეროს, მაგრამ ისინი მკითხველის შთაბეჭდილებებს ვერ გაანელებენ.

ამერიკიდან დაბრუნებული საბჭოთა დევეგაციის ჯგუფი ისე იმ მარშრუტით უნდა დაბრუნდეს უკან — საფრანგეთში გამოიარონ. აკაკი ბელიაშვილი ისე შეხვედბა ძმას. შეხვედბა ამჯერად უკანასკნელად, მაგრამ ეს არცერთმა არ იცის. აკაკი ამუნათებს მას, დაბრუნდეს სამშობლოში, როდემდე უნდა გაატაროს ცხოვრება უცხოეთში და თანაც მარტომ, შეეხუმრება კიდევ, იქ „დადაცოლვებიტო“ და ყველაზე მიმზიდველ წინადადებას ეტყვის: „ჩვენი სიცოცხლის ეს დარჩენილი წლები ერთად გავატაროთ. რას იტყვი?“

ძნელად მოისმენს ლადო თქმულს, და ძმასთან ერთად მკითხველიც. მალულად ცრემლსაც მოიწმინდეს, მაგრამ არ გაამჟღავნებს. მერე, როცა უკვე თვითმფრინავისკენ მიმავალი აკაკი უკან მოიხედავს, დაინახავს, ლადო „ცოტა მოშორებით გასულა. დამინახა, ადგილი გადმოინაცვლა. ორთავენი ხელს ვუქნევთ ერთმანეთს. ვინ იცის, კიდევ ვნახავთ თუ არა ერთიმეორეს. აქედან ვერ ვხედავ, მაგრამ მგონია, რომ მას ახლა თავისუფლად ჩამოდის ცრემლები, მაგრამ არც კი ცდილობს, მოიწმინდოს.“

და კიდევ ერთი ფოტო; ეს ჯერ კიდევ 1957 წელს გადაღებული. აკაკი ბელიაშვილი თავის სამუშაო მაგიდასთან ზის; მოხერხებულად. ორივე ხელით ჩანახატებიანი (და ალბათ, წარწერებიანი) ფურცელი უკავია. მაგიდაზე მარცხენა მხარეს ტელეფონი დგას, წინ წიგნების თაროა; კედელზე სურათი ჰკიდია, მაგრამ ამ ფოტოზე არ „იკითხება“. თავად მწერალი სათვალთ დაკვირვებით ჩაჰყურებს ფურცელს და ახლა ძნელი გასარკვევია — რა აწერია სახეზე: დისტანცირება, ირონია თუ კიდევ ერთხელ ყურადღებით დახედვის სურვილი...

მოგონებების ფურცლებიდან მკითხველი არაერთ ქალაქს მოივლის აკაკი ბელიაშვილთან ერთად, პოლიციის მსახიობებსაც გაიცნობს და დისნეილენდსაც ბავშვური ალტაცებით დათვალიერებს, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმსაც ეწვევა... ქართველებსაც ნახავს: გიორგი გამყრელიძეს, კოლია ქვარიასა და გიორგი პაპაშვილსაც შეხვედბა...

ახლა ძნელია იმის თქმა, წიგნად გამოცემისას თავად მწერალი თუ შეცვლიდა რაიმეს — რას დატოვებდა, ან კიდევ, რომელ ეპიზოდს გაიხსენებდა და დაამატებდა. ჩვენ ვეჭვავთ ტექსტს ზუსტად იმ სახით, რომელიც ხელთ გვაქვს; არ ჩავგისწორებია არცერთი ფრაზა, საკუთარი სახელი თუ წინადადება. თვით გრამატიკული და მართლწერის ფორმებიც პირვანდელი სახით დავტოვებთ და ასე წარმოვადგინებთ. ამდენად, ამ გამოცემას ასეც შეგიძლია დავარქვათ: უცნობი ხელნაწერიდან — გამოცემულ წიგნამდე, ან: მწერლის სამუშაო მაგიდიდან — მკითხველის მაგიდამდე.

დასასრულ, ერთი ფაქტი, რომელსაც ამ მოგონებებთან პირდაპირი კავშირი არც კი აქვს, მაგრამ ქართველ მწერალ აკაკი ბელიაშვილს (და არა მხოლოდ მას) ეხება. მას „ცის-ფერყანწელთა“ უკანასკნელი მოპიკანი, ზ-ნი სერგო კლდიაშვილი გაიხსენებს და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (№62 3.IV 2010) დასტამბავს. ქართველი კლასიკოსი მწერლის — დავით კლდიაშვილის ვაჟი, თავადაც მწერალი — სერგო კლდიაშვილი ერთი შემზარავი ამბის შესახებ მოუყვება მკითხველს. ნაამბობი იმ ბედუკულმართი 1937 წლის ერთ დღეს შეხება.

მწერალთა კავშირში განსასჯელთა სკამზე ამჯერად, აკაკი ბელიაშვილია. დანაშაული აქვს ჩადენილი: სტალინი უხსენებია აუგად და ახლა პასუხი უნდა აგოს.

ადვილად მისახვედრია, როგორი შეძრწუნებული იქნებოდა ბრალდებული. ხმაგაკმენდილი დარბაზი ჩუმად მოელოდა პასუხს. არადა, კრების თავმჯდომარე (დემეტრადე), იმავდროულად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეც რომ იყო, დაჟინებით ითხოვდა, ელიარებინა ბელიაშვილს დანაშაული. ამ სამარისებურ სიჩუმეში თურმე მხოლოდ აკაკი ბელიაშვილის ხმა ისმოდა: სასონარკვეთილი, უიმედო, თავზარდაცემული და რაც მთავარია, განწირული. გაინირა...

— ალიარე! საჯაროდ!

„— რა ვალიარო... არაფერი მითქვამს და რა ვქნა, რა ბრალდება ავიღო ჩემს თავზე.“

საბჭოთა საქართველოში წერო, იკითხო, მომლოდინემ... გაუძლო, რთულია! დაჭიმულია ნერვები, მოთმინების უკანასკნელი ძაფები ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით წყდება: განრისხების, ჯავრის, ბოღმის, გაცეცხლების, უღონობის... სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და პაოლო იაშვილი ერთ რიგში, გვერდი-გვერდ მსხდარან; მესამე თუ მეოთხე რიგში. მოულოდნელად პაოლოს ქუთათელისთვის სიგარეტი უთხოვია, მოუკიდებია და ნელი ნაბიჯით გასულა დარბაზიდან...

მერე რაც მოხდა, მთელმა საქართველომ იცის: გასროლა! ამაყი გასროლა, დაუმორჩილებელთა გასროლა, ღირსეულთა გასროლა, „უძლური ჭირისუფლის“ გასროლა — ასე ვხედავ ათეული წლების შემდეგ...

იმ დღეს კი გადარჩა ბელიაშვილი. თურმე ქუჩაში გასასვლელი კარი გვიანობამდე ჩაიკეტა. ის მხოლოდ დემეტრადისთვის გაიღო: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ბერიასთან მიდიოდა... მერე მწერლები მწერალთა კავშირში მეორე დღისთვის დაიბარეს... გამოცხადდნენ. ყველა მოსულიყო...

ამის შემდეგ დიდი დრო გაივლის...

ბევრი წყალი ჩაივლის...

უამრავი რამ მოხდება...

ერთ დღეს თბილისი შეძრა მოულოდნელმა, ტრაგიკულმა ახალმა ამბავმა: მცხეთიდან თბილისში მომავალი აკაკი ბელიაშვილი და მისი მეუღლე — თინათინ გამყრელიძე-ბელიაშვილი ავტოავარიამი დაიღუპნენ... მწერალთა კავშირის სასახლეში ორივეს ცხედარი ერთად დაესვენებინათ...

გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“ №52 (1274) 22.XII.1961 მკითხველებს აუწყებდა:

„19 დეკემბერი. დილიდანვე დაიძრა ხალხი მწერალთა კავშირის სასახლისაკენ, სადაც დასვენებული იყო კუბოები გამოჩენილი ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილისა და მისი მეუღლის თინა გამყრელიძე-ბელიაშვილის ცხედრებით...“

საფლავებზე ცოცხალი ყვავილების გორაკი აღიმართა.“

დიდუბის პანთეონში განისვენებენ...

იმ დღეებში ჩუმად, ძალიან ხმადაბლა, ბევრი რამ ითქვა... უცხოეთში მით უფრო. ალექსანდრე (სანდრო) ფანჩულიძე საფრანგეთში მცხოვრები ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ემიგრანტია, გრიგოლ რობაქიძის შორეული ნათესავი. საინტერესოა მათი ეპისტოლური მემკვიდრეობა, არაერთი წერილი... მისადმი გაგზავნილ გრიგოლ რობაქიძის ერთ ბარათს გამოვარჩევდი. დაინერა 1961 წლის 21 დეკემბერს. აკაკი ბელიაშვილის გარდაცვალების დღეებში ერთი არასასიამოვნო „ვარაუდიც“ გაჩენილა, ამის გამომძახილა ემიგრაციაში დაწერილი ეს წერილიც...

„ძვირფასო სანდრო!

აკაკი ბელიაშვილისა და მისი ცოლის დაღუპვის ამბავმა ძალიან შემაწუხა — ძალიან. ცოლი იყო დაჰ გიორგი გამყრელიძისა. არ გადმოსცეს, რა იყო მიზეზი მათი დაღუპვისა? მწერ: „აუცილებლად წინასწარ ჩანყობილი იქნება.“

არ მჯერა!

შენი გრიგოლ.“

გრიგოლ რობაქიძე დაფიქრებული გაიმეორებს ფანჩულიძის ვარაუდს — გარდაცვალების მიზეზს: „წინასწარ ჩანყობილი იქნება“-ო. ეგებ, თავისთვის იმეორებს, ხელახლა რომ გაიაზროს, ხელმეორედ დაფიქრდეს; იქნებ სანდრო მართალია; ან კიდევ თვითონ სჭირდება, თავი გადაარწმუნოს, რადგანაც სხვაგვარად ფიქრობს, ვერ უშვებს, აკი დაწერს: „არ მჯერა!“

ამას ისტორია გაარკვევს...

მანამდე კი, თუკი ისევ წარსულს მივუბრუნდებით —

ცხოვრება ერთი შეხედვით ზიგზაგებით, მაგრამ მაინც გაგრძელდება...

აკაკი ბელიაშვილი ავბედით 1937-საც გადაურჩება, ხელისუფლების რისხვასაც და ბევრ ყოფით პრობლემასაც ნელ-ნელა გაუმკლავდება, წარმატებებსაც იხეიმებს და ახალ წიგნებსაც... ოკეანის გაღმაც იმოგზაურებს და იმ კაცსაც გაიცნობს, მთელ მსოფლიოს და მასაც მშვიდად რომ ეტყვის: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს...“

და მართლაც, დაბეჭდიდან პირველად, 51 წლის შემდეგ ტექსტი ისე გამოიცემა — როგორც დაინერა...

ფიქრები ზურაბ ლეჟავას ნახატთან

ლამაზი სახელია მაგდა!

სახელი გიხდებოდა, შენც უხდებოდი სახელს. მზესავით ანათებდი ლალი, ტანკენარი. შენს თვალეში ღამეული ცის ვარსკვლავები სხივმომფინარობდნენ. შენს დანახვაზე შუბლი ეხსნებოდათ სვანურ კოშკებს, ანცი ნიავი გელამუნებოდა უნაზეს მხრებზე... როგორ წაიღო დრომ ყველაფერი... რამდენი გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ჩამომარცვლა კრიალოსანივით ჟამთასვლამ...

ჩანავლულ ბუხართან მიმჯდარხარ ახლა... მბჟუტავი ცეცხლისთვის არა, შორეული წერტილისთვის გაგიშტერებია მზერა... ხმელი ნიფელივით ფიქრში წასულსა და მდუმარეს, მარცხენა ხელზე ჩამოყრდნობილს, უღონოდ ჩამოგიშვია ნაჯაფარი მარჯვენა.

გულისმომწყველელად მშვიდი და მარტივია შენი საცხოვრისის ინტერიერი — ყოველდღიურ ფუს-ფუსსა და გარჯაში ჩაბმული, მზესავით ბევრისმნახველი ნივთებით ამოვსებული, უეცრად თავმინებულელები თითქოს წყრომით რომ შემოგყურებენ მათთვის მიუხვდომელ ფიქრებში დანთქმულს...

შენი მზერა კი ვეღარაფერს არჩევს ირგვლივ შორეთში დარჩენილი მოზეიმე წარსულის გარდა...

...ეს სვანური კოშკები ილიმებთან შენს დანახვაზე...

...ეს ცელქი ნიავი გიფრიალებს აბრეშუმის მერდინს უნაზეს მხრებზე...

მაგდა! მაგდა სამარგულიანო!

თეიმურაზ ბერიაშვილი



თეიმურაზ გვანცელაძე

„აკეთე ის საქმა, რაც კარგად იცი!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ჩემი აზრით, უკიდურესად გაჭირვებული სულიერად მარტოხელა ადამიანია, სხვა გაჭირვებას კაცი უეჭველად დაძლევეს. „საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,/ ძნელაა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი“. ბარათაშვილზე ზუსტად, მგონი, სხვას ნაკლებად გამოუხატავს სულიერი ობლობის სიმწარე.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— მხოლოდ საქართველოში, სხვაგან არსად! ამ 20-ოდე წლის წინ იყო დრო, როცა ჩვენი ქვეყნისთვის, პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის უკიდურესად მძიმე დრო იდგა, რამდენიმეჯერ დამაპატიმრეს კიდევ, მაგრამ სხვაგან გადახვეწა ფიქრადაც კი არ გამივლია.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როცა შენი ესმით შენთვის ძვირფას ადამიანებს და შენ გესმის მათი, როცა სინდისი სუფთა გაქვს...

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ბევრი საყვარელი პერსონაჟი მყავს, მათი გამორჩევა მიჭირს.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ისინიც ბევრნი არიან. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: ფარნავაზი, დავით აღმაშენებელი, ილია, იაკობი, გენერალი მაზნიაშვილი და ზვიადი. ჩემი აზრით, ისინი უდიდესი და სამაგალითო ქართველები იყვნენ.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— დავით კაკაბაძე და ელენე ახვლედიანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ქართველებიდან — რეზო ლალიძე და გოგი ცაბაძე, უცხოელებიდან — ბეთჰოვენი და ენიო მორიკონე.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— მამაკაცური თვისებებიდან უმთავრესი სულიერი სიძლიერე და, როგორც ვაჟა იტყოდა, „უძმოს ძმობა“ მგონია.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ყველა ქალს აქვს უამრავი კარგი თვისება. მათგან გამოვყოფდი ღირსების გრძნობის ქონას, კდემამოსილებასა და დედობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— თვით სიტყვა „სათნოება“ მრავალ საუკეთესო თვისებას გულისხმობს ერთობლიობაში. მათი გამიჯვნა გამიჭირდება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ფიქრი, კითხვა და წერა. სხვა საქმე არც ვიცი და აღარც მსურს, თორემ ბავშვობასა და სიჭაბუკეში ბევრ რამეზე მიოცნებია.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— სხვად ყოფნა არ მიზიდავს. როგორც რამდენიმე წლის წინ პოპულარულ სარეკლამო რგოლში ამბობდნენ, „მე მინდა ვიყო მე!“

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— შრომის დაუღეველი წყურვილი. ტყუილად ვერ ვჩერდები, ან უნდა ვკითხულობდე, ან უნდა ვფიქრობდე და ვწერდე.



— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— მეგობრები ბევრი არ შემომრჩა მიზეზთა გამო. ვინც მყავს, მათთან ურთიერთობა მავსებს და ეს ყველაზე დიდ განძად მიმაჩნია.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ალბათ დიპლომატიის უნარის ნაკლებობა. ეს იმერელი კაცი ხშირად კახელივით ვიქცევი ხოლმე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— კაცის ბედნიერება მისი სამშობლოს ბედნიერების გარეშე არ არსებობს. ვერც საყვარელი ადამიანების უბედურების ფონზე იქნები ბედნიერი. ფული, თანამდებობა, ქეიფი ბედნიერება არ არის...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ქართველი რომ არ ვყოფილიყავი, სხვა მშობლები და მასწავლებელ-დამრიგებლები რომ მყოლოდა, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე რომ ხელის მოწერა არ მღირსებოდა...

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ადრე ბევრს ვოცნებობდი ამ საკითხზე, ახლა კი სულაც არ მსურს სხვანაირი ვიყო. ასეთად უფალმა გამაჩინა და ამით ბედნიერი ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მოლისფერი და ზღვისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— იაზე ლამაზი ყვავილი არ მეგულება.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ვერ გამოვარჩევ რომელიმე ფრინველს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ბევრი პროზაიკოსი მიყვარს, მათგან ყველაზე მეტად კი სულხან-საბა ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, კონსტანტინე გამსახურდია, რეზო ინანიშვილი, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი და სხვანი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ამ კითხვამ სტუდენტობის პერიოდის ერთი კურიოზული ამბავი გამახსენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, მესამე კურსზე უახლესი ქართული ლიტერატურის ლექტორად გამორჩეული მწერალი და საოცარი კაცი, ბატონი თეიმურაზ მალაფერიძე დაგვინიშნეს. პირველივე ლექციაზე მან ყველა სტუდენტს ერთი და იგივე შეკითხვა დაუსვა, რომელი პოეტი გიყვართო. რატომღაც გამაღიზიანა ამ შეკითხვამ. როცა ჩემი ჯერი დადგა, ვუპასუხე, საყვარელი პოეტი არ მყავს, რადგან პოეზიას ვერ ვე-

აფხაზოლოგი, პროფესორი, გიორგი შერვაშიძის პრემიის ლაურეატი

გუები მეთქი. ბატონი თეიმურაზი ამგვარ პასუხს არ ელოდა. მან სრულიად სერიოზულად მითხრა, რომ პოეზიის გრძობა მეექვსე გრძობაა და გაუგებარია, როცა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს პოეზია არ უყვარს. შემდეგ შემეკითხა, კი, მაგრამ მისაღები გამოცდები როგორ ჩააბარე, ნუთუ ქართულის გამოცდაზე პოეზიიდან არაფერი შეგხვედრიაო. მე ვუპასუხე, იბღლად არ შემხვედრია მეთქი. მომდევნო მეცადინეობაზე მან თავისი მეგობარი, ცნობილი კრიტიკოსი ოტია პაჭკორია მოიყვანა, თვალთ ჩემზე ანიშნა და ლექცია დაიწყო. ბატონი ოტია ბოლო მერხზე იჯდა და თვალს არ მაცილებდა. როცა ლექტორმა რალაც კითხვა დაგვისვა სტუდენტებს, მე საკმაოდ კარგად ვუპასუხე და ზოგი ლექსიდან ციტატებიც დავასახელე. ბატონი თეიმური გაცეცხლდა, ბატონ ოტიას კი სიცილი აუტყდა. გაბრაზებულმა ლექტორმა გარეთ გამომაგდო. მე არსად წავსულვარ, იქვე, კართან დაველოდე ლექციის დასრულებას. როცა ზარი დაირეკა და კარი გაიღო, ბატონი თეიმური უკვე დამშვიდებული იყო, მოვიდა და მითხრა, ეტყობა, მეც შემეშალა და შენც, მოდი, დავმეგობრდეთო. სიხარულით დავთანხმდი, რადგან მას პატივს ვცემდი მისი ნაწერების გამო. იმ დღიდან მართლაც დავმეგობრდით და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ახლა თქვენს კითხვასაც მოკლედ ვუპასუხებ: ბევრი საყვარელი პოეტი მყავს, მაგრამ მათგან ყველაზე საყვარელი პოეტი შოთაა. „ვეფხისტყაოსანს“ წელიწადში ერთხელ მაინც ვკითხულობ და საოცრად ბედნიერი ვარ, როცა ყოველი წაკითხვისას ახალ-ახალ სიბრძნეს აღმოვაჩენ, ან ახალ მხატვრულ ხერხს, თუ პასაჟს წავაწყდები, რომელიც ადრე არ შემინიშნავს, თუ დავინწყებული მქონდა. ასევე ძალიან მიყვარს ვაჟა, გალაკტიონი და ბევრი სხვაც.

- **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**
- თინათინი ჩემთვის საოცრად ქალური პერსონაჟია.
- **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**
- 80-იანი წლების მიწურულს მქონდა ბედნიერება პირადად გამეცნო ზვიად გამსახურდია, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრობისას — მეთანამშრომლა მასთან აფხაზური საკითხის გადაწყვეტისა და ჩრდილოეთკავკასიელ ხალხთა ეროვნულ ძალებთან პოლიტიკური მუშაობის მიმართულებით. მან ყველაფერი გააკეთა ჩვენი ქვეყნის რეალური თავისუფლებისათვის უმტკიცესი იურიდიული საფუძვლების მოსამზადებლად. მისი ინიციატივით საბჭოთა ჯარს ოკუპანტის სტატუსი მიენიჭა, შემუშავდა ეკონომიკური კანონების პაკეტი, 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, იმავე წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, დაიწყო მოლაპარაკებები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოსაგვარებლად და ა.შ. ზვიადმა საკუთარი მონამებრივი სიკვდილით დაამტკიცა, რომ მისი სიცოცხლის უმთავრესი მიზანი საქართველოზე ფიქრი და ზრუნვა იყო. მეამაყება, რომ 1991 წლის თებერვალში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებთან — ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანთან და ანზორ კუდბასთან ერთად ერთმანეთს გავაცანით ზვიადი და კავკასიის მეორე ლეგენდარული გმირი, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლი, გენერალი ჯოხარ დუდაევი. ეს ორი დიდი კავკასიელი ჩვენი დროის ტარიელისა და ავთანდილის სადარ მეგობრებად იქცა.

- **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**
- სამწუხაროდ, ჩვენმა ისტორიამ ცოტა გმირი ქალის სახელი იცის. მათგან ვერავის გამოვარჩევ განსაკუთრებით. ზოგადად კი ვიტყვი, ჩვენი სამშობლო, ერი, ენა და კულტურა 9 ძმა ხერხეულიძის დედისა და მათივე დის მსგავსმა ქალბატონებმა გადაარჩინეს.
- **საყვარელი სახელები?**
- ჩემი შვილის სახელი გვანცა ყველაზე მეტად მიყვარს.
- **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**
- ყველაზე მეტად ფარისევლობა და უპასუხისმგებლობა მაღიზიანებს.
- **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**
- ასეთად ედუარდ შევარდნაძე და მისი თანამოსაქმეები მიმაჩნია. მათ მინიმუმ ნახევარი საუკუნით უკან დახიეს ჩვენი ქვეყანა.
- **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**
- დიდგორის ომის მოგება დავითის მიერ უებრო გამარჯვება იყო.
- **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმალლეს შეფასებას აძლევთ?**
- ზემოთ უკვე დავასახელე ზვიად გამსახურდიას ღვანლის ძირითადი მომენტები. ეს ის რეფორმები იყო, რომელთა შემდგომი განვითარება ქვეყანას სწორ გზაზე აყენებდა. რუსული ფულითა და იარაღით განხორციელებული სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ გატარებულ სასიკეთო რეფორმებს ვერ ვიხსენებ.
- **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?**
- ახლა იმ ასაკში ვარ, როცა ისლა მაქვს სანატრელი, სრულად გამოვიყენო ის უნარი, რაც უფალს ჩემთვის გაუმიტეხია.
- **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**
- მინდა გარდავიცვალო ისეთი, როგორიც ვარ. „მე იგივე ვარ მარად და მარად!“
- **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— ველავ, რადგან ვხედავ, რომ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებენ, ყოველნაირად ცდილობენ ახალი თაობების გარყვანა-გათახსირებას, ანადგურებენ ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას და ყალბ „ჭეშმარიტებებს“ გვაჩეჩებენ...
— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**
— შევიწყნარებ მხოლოდ ღმრთივსათნო ქმედებებს, თუკი ამის გარეგნულად შეცდომა არ მომივა.
— **თქვენი დევიზი?**
— „იყავი პატიოსანი და აკეთე ის საქმე, რაც კარგად იცი!“
— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**
— არ ვიცი, მელირსება თუ არა ეგ პატივი და თუ მელირსა, ვისურვებდი, რომ უფალს ეთქვა: „შენ აღასრულე შენი ვალი!“



როსტომ ჩხეიძე

ქველი ხიზულას საიდუმლოება

VII

უმძაფრესი ტკივილები უმძაფრეს ტკივილებად, სასონარკვეთა სასონარკვეთად, ისედაც რომ შეიძლება გონება დაუბინდოს ადამიანს და ღრმადმორწმუნე პიროვნებასაც კი გაამეტებინოს თავი... წამია, წამიერი აფეთქებაა, მაგრამ საცხებიტით კმარა საბედისწერო გადაწყვეტილებისათვის... მითუმეტეს, თუ თვითმკვლელობის იარაღი საძებნელი არცა გაქვს, აგერ, ქამარში გაგიყრია „სტეჩკინი“ და ისიც მოგეხსენება, როგორ უნდა გაისროლო ამ — ჩვენს სინამდვილეში ახალი — იარაღიდან, თორემ სროლა შენთვის უცხო ისედაც არ არის...

და თუ სულიერ განცდებს ფიზიკური ტკივილებიც დაერთვის? ორივე ერთად გაუსაძლისი მოჩინს, არა?

ამ ფიზიკური ტკივილების ხსენებას არაერთხელ ნაანყდებით მონმეთა ჩვენებებსა თუ გამოკითხვებში.

აგერ: მეგზურები ირწმუნებოდნენ, პრეზიდენტი ძლიერ ავად იყო, მუცელი ანუხებდა და არ შეეძლო სიარული, დამოუკიდებლად ორას მეტრსაც ვერ გაივლიდაო.

აგერ: თვითონ პრეზიდენტი შესწიოდა თავისი დაცვის წევრს, მონამლული ვარ, არსებობს ისეთი მომწამვლელი ნივთიერებანი, რომელნიც გარკვეული დროის შემდეგ იწყებენ მოქმედებასო.

აგერ: მისი მასპინძლები ჯალრასა და ძველ ხიზულაში ერთხმად ამტკიცებდნენ, პრეზიდენტმა საკვების მიღებაზე უარი განაცხადაო. ჯალრაში მხოლოდ რძის ნაწარმს იკმარებდა.

გროვებოდა ამგვარი არგუმენტ-მტკიცებულებანი, მაგრამ... იმავე მასალებში საპირისპირო მოსაზრებაც რომ გამოიკვეთებოდა, პრეზიდენტის ავადმყოფობის დაბეჭითული უარყოფა?!

აგერ: ჩვეულებრივად იკვებებოდა ხორცის ნაწარმითაც და მთაში, სუსხიან ზამთარში არც ტკივილებს უჩიოდა.

აგერ: ორჯერ გადალახავდა მდინარე ენგურს.

აგერ: სუფრასაც უთამადადებდა და ერთ ლიტრამდე არაყსაც დალევდა, თუმც რაკილა კოლიტი ანუხებდა, ერჩივნა რძის ნაწარმის მიღება.

აგერ: ჯიხაშკარში მასპინძელს არ შეუმჩნევია მისთვის რაიმე სახის ტკივილი, ფეხითაც ნორმალურად დადიოდა. სახლიდანაც ყველას დაუხმარებლად, საკუთარი ფეხით გავიდოდა, ჩაივილიდა დაღმართს და ჩაჯდებოდა მანქანაში.

საპარლამენტო კომისია საგანგებოდ მოინახულებდა ამ ციცაბო დაღმართს ჯონსონ კვარაცხელიას სახლთან და ყველას ერთი შეკითხვა დაეზადებოდა, კომისიის თავმჯდომარე ფურცელზეც რომ გადაიტანდა:

— როგორ შესძლო ზოგიერთი მოწმის თქმით, ავადმყოფმა და სრულიად დაუძღურებულმა ადამიანმა დამოუკიდებლად აღნიშნული გზის ჩავლა?

ეს კიდევ არაფერი.

მანამდე სოფელ ჯალრაში ჩაივილიდა ანზორ მეზონიას სახლთან მდებარე ურთულეს დაღმართს, სადაც მინის გრუნტი დამუშავებული გახლდათ სასოფლო სავარგულისათვის. ეგ კი არის, დაყრდნობით დაეყრდნობოდა მასპინძლის ძმისშვილს — გოდერძის.

პრეზიდენტის მძიმე სნეულებისა და დაუძღურების საწინააღმდეგოს ირწმუნებოდა ჯონსონ კვარაცხელიას სიტყვები, თორემ აგერ:

როდესაც საუბარი ჩამოვარდებოდა მისი ადგილსამყოფელის შეცვლაზე, ზვიად გამსახურდია მაშინვე ამას იკითხავდა: — შევძლებ ეზოში თავისუფლად გადაადგილებას?

რის პასუხადაც მიუგებდნენ:

— შესაძლებელი უნდა იყოს, რადგანაც გარშემო არავინ ცხოვრობს.

ამ პირობით დაადგებოდა... საბედისწერო გზას ძველი ხიზულასაკენ.

ეს ანალიტიკური განსჯა ერთ-ერთ ქვეთავად ჩაერთვოდა მონმეთა ჩვენებებსა თუ გამოკითხვებში გამოვლენილი ფაქტების შეუსაბამობათა და ურთიერთწინააღმდეგობათა ნაკრებს.

ამ წიგნის — „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე“ — ბირთვის რაც შეადგენს.

უპირველესად რისთვისაც იღვწოდა ეს საპარლამენტო კომისია.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსმა რაც ჩამოაყალიბა ფორმულის დაწურულობით, მკაფიოობითა და სიმკვეთრით.

დაე ხელშესახებდა წარმორჩენილიყო ზოგადი სურათი — შემდგომი ვარაუდებისა თუ დასკვნებისათვის.

რაც მთავარია — ზედმეტი აუიოტაჟის შექმნის გარეშე.

ასე გამხდარიყო მკითხველისათვის მოპოვებული რეალიები სანდო საყრდენი უფრო შორსმიმავალი შეჯამება-შეფასებისათვის.

ბევრი გროვებოდა ჩვენება-გამოკითხვებზე დაკვირვებისას შეუსაბამობა და ურთიერთწინააღმდეგობა?

თავისთავად ეს ცოტას არ ნიშნავს დეტექტიური ჩაძიებისათვის, მაგრამ იმდენსაც არა, რაც ზერეულ თვალთახედვისათვის გაიოლებულად გამოიყურება.

და ეს იმიტომ, რომ სულაც არ არის აუცილებელი შეუსაბამობა-წინააღმდეგობა ჩვენებებსა თუ გამოკითხვებში გაბნეულ სიცრუესა თუ სიყალბეს წარმოაჩენდეს.

განა დაბეჭითებით რა გვიდასტურებს, რომ მონმე განზრახ ტყუის, ხელს აფარებს ან ცდილობს სხვა მიმართულებით უზიდავს გამოძიებას?

სავსებით შესაძლებელია მკაფიოდ არ ახსოვდეს ან ერთმანეთში ურევეს სხვადასხვა ეპიზოდს; ან იმ წუთსვე აღექვას ცოტა ბუნდოვნად თუ მცდარად ესა თუ ის გარემოება და ახლა ასევე ჰყვებოდეს; ანდა ზედმეტად შთაბეჭდილებიანი ადამიანები უნებურად ნააშველებენ ხოლმე რეალურ ამბავს საკუთარ წარმოსახვას...

ამიტომაც არ უნდა გეგონოს, რომ მონმესთან კი არა, დამნაშავესთან გაქვს საქმე. და თუნდ წინააღმდეგობა-შეუსაბამობათა მიკვლევისას ადვილად არ უნდა გამოუტანო მსჯავრი.


ქურდმა ერთი ცოდვა ჰქნა და დამბრალებულმა ათასიო, — ირწმუნება ქართული ანდაზის სიბრძნე და საპარლამენტო კომისია და მისი თავმჯდომარე ამ შეგონებას მიჰყვებოდა — რაიმეს კატეგორიულ მტკიცებაზე იმთავითვე უარს იტყოდა და ანალიტიკური მსჯელობისას მკითხველს გაიხდიდა თანამონაწილედ და თანადამკვირვებლად.

როგორ არ შეეპირისპირებინა ერთმანეთისათვის თუნდ ეს ორი ცნობა:

ბადრი ზარანდიას დღიურის მიხედვით, პრეზიდენტის დაცვის ორ წევრს ვაჟა ჭინჭარაულსა და ირაკლი გოგაძეს გააცილებდა წალენჯიხის სოფელ ჯვალში მცხოვრები გვარდიელი, ვისი ვინაობაც ცნობილი გახლდათ ბუთხუზ ხარჩილაკასათვის და ვინც, შეთანხმების კვალობაზე, ბანაკში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ... დაცვის წევრებთან ერთად გაქრებოდა თვალსაწიერიდან.

არსენ მესხიას ნათქვამის მიხედვით კი, ეს ორნი მუჟავის ბანაკიდან მოსვლის დღესვე თვითონ პრეზიდენტს გაეგზავნა სადღაც და მას შემდეგ აღარ გამოჩენილიყვნენ. ისინი ბადრი ზარანდიას ბანაკში ერთი დღეც არ დარჩენილიყვნენ, ასე რომ, პრეზიდენტის დაცვის დანარჩენი წევრები იგონებდნენ

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №7, 8, 9



მხატვარი ვაჟა ორბელიძე

რალაცას, როდესაც ამ ორის იქ დარჩენას ირწმუნებოდნენ... თუმცა აკი ბადრი ზარანდიას დღიურიც ამასვე გვამცნობს?!

როდესაც კარლო ლურნაკაის კარმიდამოს მიაღგებოდნენ და იხილავდნენ ორსართულიან სახლს, კიდეც განუცხადებდნენ მეგზურებს: აქ ადგილი საკმარისზე მეტი ყოფილა და დაცვის ორი წევრი წინა მასპინძელთან რატომ დაგვატოვებინეთ ჯიხაშკარში? და თუმცა ძმები ჩუხუები ახლა მაინც დაპირდებოდნენ მათ გადმოყვანას, ხან რას მოიმიზეზებდნენ და ხანაც რას... ასე ჩაივლიდა მეორე დღე... მესამე... მეერე კი ანატოლი ჩუხუა საერთოდ აღარ გამოჩნდებოდა, და ეს მაშინ, როდესაც დაცვის დარჩენილი ორი წევრის გადაყვანას არაერთგზის, დაჟინებით მოითხოვდა პრეზიდენტი.

დღიური იტყობინებოდა, რომ რობინზონ მარგველანს პრეზიდენტისათვის შეეთავაზებინა „სვანეთის დასახლებაში“ გადასვლა, სოფელ ჯვარის მახლობლად რომ მდებარეობს ნალენჯიხის რაიონში და ზედა ენერი ჰქვია. თუმცა იმხანად ეს ტერიტორია უკვე დაეკავებინა „მხედრონის“ შენაერთებს.

ვახტანგ ზარანდიას გამოკითხვის მიხედვით, როდესაც იგი შეხვდებოდა პრეზიდენტის დროებით ჩამოცილებულ დაცვის უფროსს, რობინზონ მარგველანი მას მოსთხოვდა მანქანაში მოთავსებულ რადიოგადამცემს, რომელსაც თვითონ დაიტოვებდა. ამით შესაძლებელი გახლდათ ბადრი ზარანდიას ბანაკში დამონტაჟებულ რადიოგადამცემთან დაკავშირება. არადა, ამ ხელსაწყოს არც რობინზონი და არც ზაზა ბურჯანაძე ერთი სიტყვიტაც არ ახსენებდნენ არც პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებებში და არც საპარლამენტო კომისიის გამოკითხვებში.

ამასთან, მის არსებობას ადასტურებდა კახა მოლაშხიაც: პრეზიდენტის აღსასრულის შემდგომ, როდესაც მისი თანმხლები პირები იმყოფებოდნენ სოფელ ნაკიფუში, მისი ერთ-ერთი ნათესავე მისსავე სახლთან ამოაჩენდა, თუ როგორ ესაუბრებოდნენ უცნობ პირს რადიოგადამცემით რობინზონ მარგველანი და ბესარიონ გუგუშვილი.

ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში პრეზიდენტის გადაყვანის მიზეზს ჯერ ისედაც მიენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ერთ ყველაზე საკვანძო ეპიზოდს, როგორც საიდუმლოებით მოცული პროცესის დასაწყისს, როგორც ავი ბედისწერის გამოსვლას ავანსცენაზე... და მითუმეტეს, ერთბაშად იმდენი საეჭოე გარემოება იყრიდა თავს...

პრეზიდენტი ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში რომ აპირებდა გამოზამთრებას, მეტი დასტური რაღაა საჭირო, როდესაც მასპინძელს შესთავაზებდა თანხას საკლავისა და საკვები პროდუქტების შესაძენად. ეს გარემოება კი 2010 წლის 27 მაისის გამოკითხვას უნდა გამოეყვინა.

გულიკო ტიბუა პროკურატურისათვის მიცემულ ჩვენებაშივე (1999 წლის 15 თებერვალი) გაიხსენებდა, რომ იმ ტრაგიკული დეკემბრის მინურულს იგი გუჯუჯი ებრალიძის თხოვნით მიაკითხავდა ჭაქვინჯში ძმებ ჩუხუებს და სთხოვდა შედარებით უსაფრთხო ადგილის მოძებნას პრეზიდენტის თავშესაფარად.

როდესაც ზაურ ჩუხუა დაელაპარაკებოდა პრეზიდენტს, იგი ადგილსამყოფელის შეცვლას არ იყაბულებდა ამ მოტივით: — ავად ვარ და ჭიშკართან მისვლასაც ვერ შევძლებ!..

მერეა, ამ სიტყვებს რომ დაიხვედნენ ხელზე და ზვიად გამსახურდიას ავადობას გააზვიადებდნენ და გაბუქავდნენ, არადა, ეს ნამდვილი მიზეზი კი არა, მომიზეზება უფრო უნდა იყოს, ის სახლი არაფრისდღებობით რომ არ ეთმობა... წინათგრძნობა არ ასვენებს და ამიტომაცაა, ბოლო სიტყვა საყვედურისა რომ უნდა დააგდოს:

— რა იყო, ბიჭო, სახლიდან მაგდებ? თორემ ვისაც ჭიშკრამდე მისვლაც არ შეუძლია, დაღმართს როგორღა ჩაივლის სხვების დაუხმარებლად?

ჯონსონ კვარაცხელია თავის ეზოშიც რომ არ შეუშვებდა ძმებ ჩუხუებს: ჩემთან სტუმრად არავინ იმყოფებაო, — ისინი აკი დაბეჯითებით განუცხადებდნენ: ვიცით სახლში ვინც გყავს და თუ რამე დასჭირდეს, უთხარი, რომ ჩვენ აქ ვართო!..

და 28 დეკემბერს ისევ რომ მიაკითხავდნენ, ამჯერად გუჯუჯი ებრალიძის სახელით: იმან გამოგვგზავნა და დაგვაბარა, რომ ეს ადგილი გაცემულია და პრეზიდენტი ჯონსონის სახლს უნდა მოშორდესო. ისეთი ადგილი შევარჩიეთ, კაციშვილი ახლოს არ ცხოვრობს და თავისუფლად შეძლებთ იმ სახლის ეზოში გამოსვლასო.

ან ის რაღა იყო, ვიდრე პრეზიდენტი ესტუმრებოდა ჯონსონს, ეს ამბავი წინასწარვე რომ გახლდათ გახმაურებული, ყოველ შემთხვევაში გუჯუჯი ებრალიძის ერთ ნათესავს მოეხსენებოდა.

კომისიის თავმჯდომარეს მკითხველის ყურადღება როგორ არ მიექცია ერთი გარემოებისთვისაც:

თუკი ეს სახლი გაცემული გახლდათ, კარლო ლურნაკაის ოჯახში პრეზიდენტის თავშეფარების შემდეგ ჯონსონთან რატომ დატოვეს ზვიად გამსახურდიას დაცვის ორი წევრი? თუ მათი თან წაყვანა შეუძლებელი გახლდათ (არადა, სულაც არა ყოფილა შეუძლებელი!), სხვა ოჯახში მაინც ეძებნათ მათთვის ღამის გასათევი.

ან კიდევ — პრეზიდენტის დაღუპვის შემდგომ ჯონსონ კვარაცხელიას „გაცემულ“ სახლში ხუთი დღით რატომ დარჩნენ დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი და წევრი გორა კეკენაძე?

ან ის რაღას უნდა ნიშნავდეს, რომ ანზორ მებონიას მოეხსენებოდა ზვიად გამსახურდიას ადგილსამყოფელი, მაშინ, როდესაც ეს პირადმა დაცვამაც არ უწყოდა, თუ რომელ სოფელში და ვის ოჯახში მიუძღვოდა ვახტანგ ზარანდია პრეზიდენტს?

თორემ აგერ მამრიკო ზარანდიას გამოკითხვის ოქმი — 19 ნოემბრისა!..

ძმები ჩუხუები პრეზიდენტის აქედან გაცლის მიზეზად დაასახლებდნენ ვახტანგ ზარანდიას დატუსაღებასა თუ საკუთარი ნებით ჩაბარებას ზუგდიდის პოლიციაში. ხოლო გუჯუჯი ებრალიძეს უშიშროების სამსახური დააკავებდა მხოლოდ სამი საათით და პირადი თავდებით გაათავისუფლებდა

აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელი გია მხეიძე, რომელიც დღედაღამ მასთან იმყოფებოდა, რადგანაც მფარველობდა გუჯუჯის. თორემ აგერ ჯონსონ კვარაცხელიას 2010 წლის 27 მაისის გამოკითხვის ჩანაწერი.

მისთვის რობინზონ მარგველანს რომ ესაყვედურა: რატომ გაუშვი ზაურ და ანატოლი ჩუხუები, ისინი სანდო ხალხი არიანო, — ამას თვითონ დაცვის უფროსი გაიხსენებდა იმავე წლის 16 სექტემბრის გამოკითხვისას.

ხოლო მის ოჯახში პრეზიდენტის ცხედარს მასპინძლის დაუკითხავად რომ მისავენებდნენ და ეზოში დაკრძალავდნენ, რამდენიმე დღეში გუჯუჯი ებრალიძესა და მის თანმხლებთ უნდა დაეუჩინებინათ: ნეშტი სხვაგან უნდა გადავასვენოთ, რადგან მისი მოტაცების საფრთხე არსებობსო.

ჯონსონ კვარაცხელიას კი... გია მხეიძე დაიბარებდა და დახმარებას შესთავაზებდა.

გია მხეიძის დაინტერესებას პრეზიდენტის საფლავის ადგილმდებარეობით გორა კეკელიძეც ადასტურებდა (1997, 22 თებერვალი).

პრეზიდენტის წასვლისთანავე ძველ ხიბულაში, ზაზა ბურჯანაძესა და გორა კეკელიძეს ზვიადის წინა მასპინძელი ანზორ მეზონია რომ მიაკითხავდათ, ეტყობათ: პრეზიდენტმა მიგატოვათო, — და იარაღის ჩაბარებასა და სენაკამდე გაცილებასაც შესთავაზებდათ — და ეს 30 დეკემბერს ხდება, ღამით ზვიად გამსახურდია რომ უნდა აღესრულოს.

ან ის რატომ მომხდარიყო, რომ ამ საქმეზე პროკურატურას გუჯუჯი ებრალიძე არ დაეკითხა? არადა, ეს შესაძლოა განხორციელებულიყო 1997 წლიდან 2001 წლამდე — ანუ ებრალების გარდაცვალებამდე. და ნურც ის გარემოება მიყრდნობდა, რომ ზვიად გამსახურდიას აღსრულების შემდეგ გუჯუჯი ებრალიძე დაინიშნებოდა ჯიხაშკარის გამგებლად და ამ თანამდებობაზე დარჩებოდა, ვიდრე სიკვდილი მასაც მიაკითხავდა.

რალაც საეჭვოდ უკავშირდებოდა და ებმოდა ერთმანეთს ეს ყოველივე... შემთხვევით ვითომ? თუ... ფარული ხელი წარმართავდა მოვლენათა ამგვარ მსვლელობას?!

მისვლით მაინც როდის მისულიყო პრეზიდენტი კარლო ლურსკაიას სახლში?

ჩვენებებსა და გამოკითხვებში ან საერთოდ არ აღინიშნებოდა არავითარი დრო, ან სახელდებოდა: შუალამის გადაცილებული, შებინდებული, საღამოს 22 საათი, 19-20 საათის შემდეგ...

საპარლამენტო კომისიას ძალდაუტანებლად გაუჩნდებოდა ეჭვი, რომ პროკურატურის გამოძიებლები შეგნებულად არ სვამდნენ შეკითხვებს და არ ცდილობდნენ გამოეკვეთათ ზვიად გამსახურდიას გადაყვანის თარიღი და დრო ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში, რასაც გამოენვია ჩვენებებსა და გამოკითხვებში დამატებითი შეუსაბამობანი და ურთიერთწინააღმდეგობანი.

რა, აკლდა ბუნდოვანება ჩვენებებს, გამოძიებლებს თავის მხრივაც რომ არ მიემატებინათ?!

არაპროფესიონალიზმით მოსვლოდათ თუ... სავსებით მიზანდასახულად ანუ წინასწარ მიცემულ დავალებას ასრულებდნენ, თუმც უნიჭოდ?!

მონმეთაგან ვერაფერ იხსენებდა, ვის გვერდით იჯდა პრეზიდენტი მანქანაში.

და საერთოდაც — ვინ სად იჯდა.

ან იმ დეტალის ამოტივტივება რაღას ნიშნავდა, რომ: როდესაც ავტომანქანაში ვერ მოინახა ადგილი პრეზიდენტის დაცვის ორი წევრისათვის, როგორ გამოძებნეს... გულიკო ტიბუასთვის?!

დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე მოიხმობდა ზაურ ჩუხუას კადრებს ფილმიდან „დინების სანინააღმდეგოდ“, როდესაც იგი ასხენებდა რალაც წინალობას ძველი ხიბულასაკენ მიმავალ გზაზე:

— სოფელიც მოტყუებული იყო, ზოგჯერ ხალხის პიკეტები იყო, ვითომ ხალხი ხეს ჭრიდა და „მხედრონს“ უკეტავდა გზას. ეს ძალიან ჩაფიქრებული იყო ბინძური სამსახურებიდან, იმიტომ, რომ ჩვენ არ გვემოძრავა მანქანით. ხალხმა არ იცოდა და ახლა ხალხს რაა, მაგრამ რომ მივადექით ერთ პიკეტს, ვინ ხართო, ნუ ახლა, მანქანა იცნეს — ჩვენ ვართ-მეთქი, სხვა არავინ არ არის. ჰო, კარგი, კარგი, მიბრძანდით, მიბრძანდითო. მეორე ადგილასაც ასე, შეიძლება ძალიან უნდოდათ, მაგრამ ვერ მოვიდოდნენ ალბათ.

2010 წლის 10 ოქტომბრის გამოკითხვისას იგი იმავეს გაიმეორებდა, თუმც მეორე პიკეტთან გაჩერებაზე არაფერს იტყობდა. ამასთან, დასძენდა, რომ მანქანა დაახლოებით ოცი-ოცდაათი წუთით შეჩერდებოდა იმის გამო, რომ... „გლუშიტელი“ ჩამოვარდებოდა.

რობინზონ მარგველანი პიკეტად ვერ აღიქვამდა თავმოყრილ ადამიანებს, სოფლის „ბირჟად“ უფრო მოეჩვენებოდა. და თუმც მანქანა სვლას ოდნავ შეანელებდა, გაჩერებით არ გაჩერდებოდა, და არც ეს შეფიქრიანდებოდა, რადგანაც ზაურ ჩუხუა ამცნობდათ: ჩემი თანასოფლელები არიანო.

კი მაგრამ... ასეთ მძაფრ, საშოშ ვითარებაში ოცი-ოცდაათი წუთი თუ დგახარ, შესაძლოა ეს მეხსიერებიდან ამოგეშალოს?

თანაც, მიტინგის გასამართავად ხომ არ მიდიოდნენ, რაც შეიძლება ფარულად უნდა მიეღწიათ შეგულებულ სახლამდე და მეგზურებს ან უკეთესი გზა არ უნდა შეერჩიათ, სადაც ხალხი არ იქნებოდა თავშეყრილი, ანდა ისეთი დრო — სოფლელები წასულ-წამოსულები ყოფილიყვნენ თავთავიანთ სახლებში?

ისე თუ პიკეტი მორიგეობდა და გზას ვერ აუქცევდი, რალა უზიფათო შეიძლება ყოფილიყო ის ადგილი, სადაც მიდიოდნენ? უკეთესი გარემო თუ ვერ შეერჩიათ სამოდროდ, სადღა მიაქანებდნენ პრეზიდენტს?

საპარლამენტო კომისია იმასაც გამოარკვევდა, რომ: იმხანად „მხედრონი“ და მსგავსი გასამხედროებული შენაერთები გაყვანილი იყო ჯიხაშკარიდანაც და ძველი ხიბულადაც.

და კომისიისა და მისი თავმჯდომარისათვის როგორ არ დარჩენილიყო გაუგებარი, თუ რა საჭირო გახლდათ ამ შემთხვევაში პიკეტირება მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ, ან რა მიზანს ემსახურებოდა პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების მანქანის დროებით შეჩერება, მითუმეტეს, თუკი მოსახლეობისათვის ეს მანქანა ნაცნობი იყო?

ეს მაინც განსაკუთრებით დამაფიქრელი გახლდათ, ნანა ზულიაშვილი რასაც მოყვებოდა 2010 წლის 29 დეკემბრის გამოკითხვისას და დაეყრდნობოდა ბესარიონ გუგუშვილის ნათქვამს არჩილ საჯაიასადმი:

პრეზიდენტი და მისი თანმხლებნი ძველ ხიბულაში რომ ცდილობდნენ გადასვლას ყველაზე საიმედო ადგილსამყოფელისაკენ, ავტომანქანას გააჩერებდა შავნილიანთა შეიარაღებული რაზმი, რის შემდეგაც თვალეზახვეულს წაიყვანდნენ და ორი დღე მისთვის უცნობ სახლში ამყოფებდნენ. და როდესაც მიიყვანდნენ იმ სახლში, სადაც პრეზიდენტი იმყოფებოდა თავისი დაცვის ორ წევრთან ერთად, ბესარიონ გუგუშვილს ზვიად გამსახურდია იმდენად შეცვლილი ეჩვენებოდა, ამოცნობა გაუჭირდებოდა. იგი მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში გახლდათ, ვერც გადაადგილდებოდა და ვერც შეტყუვლებდა. პრემიერ-მინისტრის იქ მისვლიდან მეორე საღამოს პრეზიდენტი თვითმკვლელობით დაასრულებდა სიცოცხლეს. თარიღსა და სოფლის სახელწოდებას აღარ აზუსტებდა.

თვითმკვლელობით თუ... „თვითმკვლელობით“?..

დროებითი კომისია არ ჩაერეოდა და თავის შეფასებას არ მისცემდა ამ ნაამბობს — მხედველობაში მიიღებდა, როგორც ცნობას. ეგაა, რომ:

— ის მისი გადამონმების საშუალებას მოკლებულია. კი მაგრამ... რატომ უნდა ყოფილიყო მოკლებული?

განა რა უნდა ჩვენს დროში ემიგრაციაში მყოფ ადამიან-თან დაკავშირებასა და თუნდაც ხანგრძლივ საუბარს, თანაც ისე, პირისპირ უმზერდეთ ერთმანეთს და ისეთი განწყობილება იქმნებოდეს, თითქოს სულაც ერთად იხსდეთ და ასე არკვევდეთ თუ აზუსტებდეთ სხვადასხვა ეპიზოდს, მითუმეტეს, ასერიგად მნიშვნელოვანს, რჩეული პიროვნების აღსასრულის სანდო და მიუკერძოებელი სურათის აღდგენას რომ გულისხმობს?

თუ ვინმე, უპირველესად თვითონ ბესარიონ გუგუშვილი არ უნდა იყოს დაინტერესებული ყველაფრისათვის სინათლის მოფენით და რაც მასზე დამოკიდებული, უკიდურეს წვრილმანებადმდეც არ უნდა აღიდგინოს ხსოვნაში?..

და თუ ვინმეს უნდა გადაუშალოს გული, აგერ საუკეთესო საშუალება მისცემია — კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი ხომ ის პიროვნებაა, ვინც არც არაფერს შეგიცვლის თუ, მითუმეტეს, არ გაგიყალბებს, და სრულ ასპარეზს მოგცემს რეალური სურათის გადმოსაშლელად.

ამ ნიშნით ჰყავს შერჩეული წევრებიც კომისიაში. ისინი ხომ სენსაციებზე მონადირე ჟურნალისტები არ არიან ანდა პარტიული პროპაგანდისტები, არამედ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ოფიციალური გუნდი, ჯერ ისედაც რომ ვერ გადააჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებას, და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ხომ ოდნავადაც არ ეცდებიან.

და გულის გადმოშლა და ყოველივესათვის სინათლის მოფენა თუ ვინმეს, სწორედ ბესარიონ გუგუშვილს სჭირდება იმიტომაც, ჩამორეცხოს ის ეჭვი, მეტიც, ბრალი, ძალდაუტანებლად რომ გაუჩნდებათ ადამიანებს მის მიმართ.

ჯერ დაცვის იმ ორი წევრის მიმართაც — ღია კარის მიღმა, მეორე ოთახში რომ იმყოფებიან, და მითუმეტეს — პრემიერ-მინისტრისადმი, ვინც პრეზიდენტის სანოლის გვერდითა სანოლზე ათევის იმ საბედისწერო ღამეს.

თვითმკვლელობა თუ... „თვითმკვლელობა“? და თუკი „თვითმკვლელობა“, ეს სამნი უშუალო აღმსრულებელი თუ არა, შეთქმულების მონაწილეები მაინც არიან, თუნდა იძულებით ჩათრეულნი, მაგრამ მაინც მონაწილეები, წინასწარ გამზადებულ სცენარში თავთავისი როლი რომ უნდა შეასრულონ... ანუ — სიმართლე დაფარონ და ცრუვერსია დაადასტურონ.

როგორ, ნიღბიანთა რაზმმა ბესარიონ გუგუშვილი თვალგახვეული წაიყვანა და... ზვიად გამსახურდია უენებლად გაუშვა?

და პრეზიდენტის უკანასკნელ ადგილსამყოფელში რომ მიუძღვნენ ბატონ ბესარიონს, სცოდნიათ და ჩინებულადაც სცოდნიათ მის შემპყრობთ ეს ადგილი, რომელიც ასერიგად „სანდო“ გახლდათ ჯონსონ კვარაცხელიას „გაცემულ“ სახლთან შედარებით.

სახვევს მოხსნიან და სახლში შეუშვებენ. ამას კი... ზვიად გამსახურდია უკვე ვეღარც უცვნიან. ორ დღეში განა რას შეიძლება შეეცვალა ასე, რომ ვეღარც გადაადგილდებოდა და... ვეღარც მეტყველებდა?

აქ მომხდარა ის, რასაც ცალკეული მოწმეები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, თითქოს მანამდეც უკვე ამ მძიმე დღეში გახლდათ ფიზიკურად, სიარულიც რომ აღარ შეეძლო.

არადა, დროებითი კომისიის წევრები გულდასმით რომ დაათვალიერებდნენ ორი სახლის მისადგომებს — ანზორ მეზონიასა და ჯონსონ კვარაცხელიას — ისეთი დაღმართები აღმოჩნდებოდა მათ თვალწინ, ჯანმრთელი ადამიანისთვისაც რომ არ იქნებოდა მთლად იოლი ჩასავლელი, ხოლო ვინც განძრევასაც ვერ ახერხებს, ეს დაღმართები ჩაეველო კი არა, მოკირწყლულ გზაზეც საკაცით ან ზურგზე აკიდებულს თუ ჩაატარებდნენ.

ან ის კიდევ, ჯონსონ კვარაცხელიას სახლს კარლო ლურნკაიას საბინადროს იმიტომ რომ ამჯობინებდნენ მეგზურები,

იქ გარშემო არავინ ცხოვრობს და პრეზიდენტი თავისუფლად ივლის ეზოში, თუკი განძრევაც უძნელდებოდა, ეზოში სერიზობის სურვილი და თავი ექნებოდა?.. აღარაფერი რომ არ ითქვას იმაზე, სასტიკი დევნის ქვეშ მოყოლილ კაცს ეზოში სერიზობის პერსპექტივით რომ ახარებ?...

თუ შეიარაღებულ ადამიანებს ბესარიონ გუგუშვილი ავტომანქანიდან ძალით არ გადაეყვანათ, რისთვის დასჭირდებოდა ამ სათავგადასავლო-კრიმინალური ეპიზოდის შეთხზვა, პოლიციური რომანის დასაწერად ხომ არ აგროვებდა მასალებს, არამედ ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულამდე მანქანით მგზავრობის უწყინარ ამბავს იხსენებდა, ავტო ცოტა ხნით რომ შეჩერებულიყო გაუმართაობის გამო, და მგონი... ისიც არა!..

მანქანაში მსხდომთ ასეთი არაფერი აგონდებოდათ დაკითხვისა თუ გამოკითხვისას.

რა — უჩინარი ადამიანები დაესხნენ თავს, მათ შეიარაღებას კი მხოლოდ ბესარიონ გუგუშვილი ხედავდა?

და თუ მაინცდამაინც ვირწმუნებთ, რომ სწორედაც უჩინარი იყვნენ და თანაც გაქანებული მანქანიდანაც გაიტაცეს პრემიერ-მინისტრი, იქ მყოფებმა ვერა და ვერ აღმოაჩინეს, რომ ბესარიონ გუგუშვილი უეცრად სადღაც გამქრალიყო?

თვითონ ვინ სად იჯდა, ვერაფრისდიდებით რომ ველარ გაეხსენებინათ, პრემიერ-მინისტრი იქ ბოლომდე თუ იმყოფებოდა, ესეც ველარ გაარკვიეს?

და კარლო ლურნკაიას სახლში შესვლისა და ოთახის შერჩევისას ზვიად გამსახურდიასა და ბესარიონ გუგუშვილს ერთად რომ მიუჩინეს ადგილი, მერეც ვერ მიხვდნენ, რომ პრემიერ-მინისტრი სადღაც გაუჩინარებულიყო?

და ორი დღის შემდეგ რომ მოველინებოდათ, ისე მიიღებდნენ როგორც თავიდანვე იქ მყოფს და სხვათაშორისაც არა ჰკითხავდნენ, აქამდე სად იყავი ანდა როგორ მოგვაგენიო?

რამდენი ეჭვი შეიძლება გააჩინოს იმ უჩვეულო ნაამბობმა, სხვა მოწმეთა ჩვენებებს თავდაყირა რომ აყენებს?

და უპირველესად ბესარიონ გუგუშვილი გახვიოს უმძიმესი ბრალდების ხლართში.

და მამ რალა უდგას წინ საპარლამენტო კომისიასთან თანამშრომლობას... თუნდა კომისიასთანაც არა, პირადად კონსტანტინე გამსახურდია უმცროსთან... ამასაც თავი დავანებოთ — უბრალოდ გულის გადმოშლის სურვილს...

თუ ალაღმართალი ხარ, რალა გაფრთხობს და რალას გაურბი?

და თუ იძულებით გაგხვიეს დანაშაულებრივ ქსელში და ხაფანგის დაგების მონაწილედ გაქციეს, აღსარების წადილი მაინც არ გიჩნდება, რომ შენი მხრივაც გახსნა კრიმინალური ხლართი და ცალკეული გარემოებანი და დეტალები, თორემ რა ყოფილა დაფარული, მაინცდამაინც ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ ჭეშმარიტი არსი დარჩეს დაფარული?..

ბესარიონ გუგუშვილი არაფრისდიდებით არ მისცემდა საპარლამენტო კომისიას საშუალებას, მასთან პირადი გასაუბრებით შემომმებულიყო და დაზუსტებულიყო მისი ნაამბობი. ნეტა რატომ?..

ხოლო საპარლამენტო კომისია ყველა გარემოებასა და ნიუანსს რომ უკირკიტებდა საგამოძიებო და თავის მიერვე მოპოვებულ მასალებში, აფიქრებდათ, რომ დაბეჯითებით არ ირკვეოდა:

გარდაცვლილი პრეზიდენტის ჩაცმულობა და მდგომარეობა სანოლში;

პრეზიდენტის თავის ქალაზე შემავალი და გამომავალი ნატყვიარის აღწერილობა და დაზიანება სანოლის დაფაზე;

მკვლელობის იარაღი და გარდაცვლილის სხეულზე აღბეჭდილი ტყვიის დიამეტრი;

ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრთა დაკავება სამშობლოში პრეზიდენტის დაბრუნებამდე;

პრეზიდენტის თანმხლებ პირთა ყოფა მისი აღსრულების შემდგომ;

პრეზიდენტის სამარხისა და გვამის მდგომარეობა.
მაგრამ განსაკუთრებით საეჭვო გახლდათ საბედისწერო შემთხვევის ადგილიდან ექსპერტებისათვის საჭირო ყველა მტკიცებულების განადგურება.

რა — თავისით გამქრალიყო?
თუ ვილაცას ან სულაც ვილაცებს საგანგებოდ ეზრუნათ ნივთმტკიცებათა მოსასპობად?
იარაღი ხომ აღარსად ჩანდა.

და დანაშაულის ყველა კვალიც წაშლილიყო.
კომისიის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევდა საგანთა ის მონაკვეთები, სადაც ძნელია სისხლის კვალთა განადგურება.

- კერძოდ:
- იატაკის ღარები;
- პლინთუსების ქვეშ;
- ტანსაცმლის ნაკერები;
- ღილები;
- ჯიბის სარჩული.

სისხლის გუბის მკვეთრი საზღვრები მიუთითებდა ნეშტის პირვანდელი მდგომარეობის შეუცვლელობას. მონემები კი ერთმანეთისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღწერდნენ მიცვალებულს, რაც ვერანაირად ვერ იქნებოდა დამაჯერებელი.

თვითმხილველნი პრეზიდენტის გვამს აღწერდნენ სხვადასხვაგვარად — მისი მდგომარეობით დაწყებული და ჩაცმულობით დამთავრებული.

რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე მიუთითებდნენ: იარაღიანი ხელი მუცელზე ჰქონდა დადებულიო, კარლო ლურნკაია კი აღნიშნავდა, მარჯვენა ხელი გამლილი ჰქონდა სანოლიდან გადმოვარდნილიო.

შემთხვევის ადგილას სისხლის არარსებობა სხეულის დაზიანებისას, რომელიც სისხლდენას იწვევს, რას შეიძლება ნიშნავდეს?

მხოლოდ ერთს:
გვამი გადატანილია დანაშაულის ადგილიდან.
შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ნუკრი ლურნკაიას მტკიცება: პრეზიდენტის სხეულზე სისხლის კვალი ჩემთვის შეუძინველი დარჩაო.

გვამის ტანსაცმელზე ახალი და გამშრალი სისხლის ნალვენთები წარმოიქმნება გვამის გადატრიალებისას. სხეულის თრევისას კი ტანსაცმელზე ზოლად წარმოიქმნება ლაქა ნაცხების სახით.

არადა, რომეო კუჭუხიძე, პრეზიდენტს გარდაცვალებისას რომელი სამოსიც ეცვა, გარეცხილს ნახავდა ბათუმში, ბაჩუკი გვანცელაძესთან.

კი მაგრამ, ამით ხომ ნადგურდებოდა სისხლის კვალი?
სხეულის დაზიანებისას მოკლულის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნას წარმოაჩენდა ტანსაცმელზე ვერტიკალური ნალვენთები და ფეხსაცმელზე წვეთისებური ლაქების არსებობა.

და პრეზიდენტს რომ ფეხსაცმელი არ ეცვა?
ეგებ... ვერ ჩააცვს?..

სისხლის გუბის არსებობა სხვას რას შეიძლება მიანიშნებდეს, თუ არა დიდ სისხლდენას? მას ხომ წარმოშობს ან მსხვილ სისხლძარღვთა დაზიანება და ან შედარებით წვრილი სისხლძარღვებიდან ხანგრძლივი სისხლდენა. სისხლის გუბის ფორმა და ზომა კი დამოკიდებულია არამარტო დაღვრილი სისხლის რაოდენობაზე, არამედ იმ საგნის თვისებაზეც, რაზედაც ის მოხვდა.

აგერ ზაზა ბურჯანაძე, შემთხვევის ადგილას რამდენიმე საათის შემდეგ მისული, აკი განმარტავდა: პრეზიდენტის სანოლთან იდგა ტაშტი, რომელზეც წვეთავდა პრეზიდენტის თავის არედან მომდინარე სისხლიო.

ეს ის წვეთაა, მის ყურთასმენას რომ აღარც არასოდეს მოეშვებოდა.

და ჩვენც ყურში გვიდგას, ვითარცა ახალი.

გარდაცვლილი პრეზიდენტის ორივე ლეიბი — ნეშტის გადასვენების შემდეგ ჯიხაშკარში — დიზელის დასხმით დაინვებოდა და განადგურდებოდა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში. მასპინძელიც ამას ირწმუნებოდა და რობინზონ მარგველანიც.

მაგრამ სად გამქრალიყო პრეზიდენტის საბანი?
ვერცერთი მონემის ჩვენებაში ვერ მიაგნებდით ამ მხრივ ხელმოსაჭიდს.

აი, ბალიში კი ვითომდა რელიკვიის სახით ინახებოდა ლურნკაიების ოჯახში.

ოჯახის დიასახლისის ჩვენებით: იგი დაშლიდა ბალიშს, გარეცხავდა და შეუცვლიდა პირს. ამ განახლებულ ბალიშს ამოიღებდა მთავარი პროკურატურა 2004 წელს და საქმეს დაურთავდა ნივთმტკიცებად.

რაც შეეხება პრეზიდენტის ტანსაცმელს, დაცვის წევრი ბადრი გოგელაშვილი განაცხადებდა, რომ მას პირადი საუბრისას აცნობებდა რობინზონ მარგველანი: პრეზიდენტის ტანსაცმელი ბათუმში ჩავუტანე ლამარა კერვალიშვილსო. იყო თუ არა სამოსზე სისხლის ლაქები, ამის თაობაზე მას არაფრის თქმა არ შეეძლო. შემდეგ კვლავ რობინზონისაგან შეიტყობდა, რომ იმას ეს ტანსაცმელი ახლა უკვე თბილისში ჩავუტანა პრეზიდენტის ოჯახისათვის გადასაცემად. ყოფილი დაცვის უფროსი სთხოვდა ბადრის, დაერეკა პრეზიდენტის ვაჟთან, ცოტნე გამსახურდიასთან, და მოეხსენებინა, რომ რობინზონ მარგველანს სურდა მისთვის სამოსის გადაცემა. ცოტნე, ცხადია, თანხმობას განაცხადებდა, მაგრამ მოულოდნელად რუსეთში მოუწევდა გამგზავრება და ტანსაცმლის გადაცემა ვეღარ მოხერხდებოდა.

რა ბედი ეწია ამ სამოსს?
არც ბადრი გოგელაშვილს და აღარც არავის უკვე აღარ შეეძლო რაიმეს თქმა.

ლამარა კერვალიშვილი საპარლამენტო კომისიის წინაშე გამოკითხვისას (2011 წლის 17 იანვარი) გაიხსენებდა, რომ პრეზიდენტის ტანსაცმლიდან მისი ყურადღება მიექცია მოყავისფერი ზოლებიან ნაქსოვ ჯემპრს, რომელზედაც აღინიშნებოდა დიდი ზომის სისხლის ლაქა კისრის არემი და მცირე ზომის სისხლის ლაქა მარცხენა სახელოზე. ასევე ნაცრისფერ შარვალზე, უკან, სათავესთან აღბეჭდილიყო მცირე ზომის სისხლის ლაქა. ჯემპრს აკი რობინზონ მარგველანიც ახსენებდა საპარლამენტო გამოკითხვისას: დაღუპვისას ეცვაო.

და დროებითი კომისიის თავმჯდომარის შეკითხვას იწვევდა ის გარემოება:
— გაუგებარია, ორი სისხლმდენი, ჭრილობაში შემავალი და ჭრილობიდან გამომავალი, როგორ შეიძლება მეტი მოცულობის სისხლის კვალს არ ტოვებდეს პრეზიდენტის სამოსზე, ვიდრე... გამოკითხვაშია მითითებული?

ლამარა კერვალიშვილს რომ ეკითხა რობინზონისათვის: სად წავიდა ის ტანსაცმელი, რომელშიც პრეზიდენტმა თავი მოიკლაო, — ის მიუგებდა: სასვენებელში ჩავატანეთო.
ამ ჯემპრსა და შარვალზე კი მაშინ არა უთქვამს რა.

ჩვენებებიდან თუ გამოკითხვათაგან ერთი გარემოება რომ შეიქნებოდა თვალშისაცემი, დროებითი კომისიის თავმჯდომარე საგანგებოდ ამოკრებდა და ცალკე ქვეთავის ქარგამი მოაქცევდა იმ ჯაჭვს მოვლენებისა, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრებს რომ დააკავებდნენ სამშობლოში პრეზიდენტის დაბრუნებამდე. თანაც, შეუძლებელია რაღაც ეჭვები არ გაგჩენოდა ზოგადი სურათის აღდგენისას.

1992 წლის მარტში დამაკავეს თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, კომენდანტის საათის დარღვევის გამოო, — გაიხსენებდა გორჩა კეკელიძე. მთანმინდის მილიციის განყოფილებაში ამყოფებდნენ სამ დღეს და იქიდან გადაიყვანდნენ მთავარ სამმართველოში, სადაც 18 დღეს აყურყუტებდნენ.

— ორჯერ მომინახულა სამმართველოს უფროსმა გია გულუამ, რომელიც ადრე ჩვენთან მსახურობდა დაცვის ასეულ-

ში და კარგად მიცნობდა. შემდგომ როგორც გავიგე, ჩემი უფრო ადრე გათავისუფლება გადაწყვეტილია, მაგრამ გია გულუას უთქვამს, იჯდეს, რა ეჩქარება, დალპეს მანდო.

ბაჩუკი გვანცელაძისათვის 1992 წლის იანვარში, დილის შვიდ საათზე მიუკითხავთ ომონელებს ქუთაისში, მის ბინაში. ბრალად წაუყენებდნენ კომედანტის საათის დარღვევას, ამის შემდეგ ვერტმფრენით გადაიყვანდნენ თბილისში, მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში და 20-25 დღის მერე გაათავისუფლებდნენ.

ზაზა ბურჯანაძე თუმცა დაკავებული არა ყოფილა, მაგრამ თბილისში დარჩებოდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი მთავრობის სასახლეს დატოვებდა.

1992 წლის 6 იანვარს ჩემი ავტომანქანა „გაზ-24“ ვერ დავქოქე და იძულებული გავხდი ჩემი განყოფილების ბიჭებთან ერთად ფეხით გავყოლოდი კოლონას. ლესელიძის ქუჩაზე ჩავვედით, სადაც უკვე სროლები მიმდინარეობდაო, — ასე აღიდგენდა იმ წუთებს, გარშემო დაჭრილებს რომ დაინახავდა და პრეზიდენტის ესკორტს კი მეტეხის ხიდზე გადასულს.

ისიც და სხვა მასთან ერთად დარჩენილი დაცვის ბიჭებიც ღამეს გაათევდნენ ერთ-ერთი თანამშრომლის ოჯახში, დილით კი ქუჩაში ცალ-ცალკე გამოვიდოდნენ და სახლებში წავიდნენ-მოვიდოდნენ. დაახლოებით ხუთ დღეს ქუჩაში ცხვირის გამოყოფასაც მოერიდებოდა, მერე კი ზესტაფონისაკენ გასწევდა.

რობინზონ მარგველანს 1992 წლის 9 მარტს გალში, პიკეტირებისას გააჩერებდნენ და დააპატიმრებდნენ. მიზეზად დაუსახელებდნენ მასთან ერთ-ერთი გვარდიელის ყოფნას, რომელიც ვითომდა ინფორმაციის მოსაწოდებლად იყო შემოსული. გადაიყვანდნენ ემერაში, გვარდიის შტაბში და, აფხაზეთის შსს მინისტრის გივი ლომინაძის ბრძანებით, მოათავსებდნენ სოხუმის იზოლატორში. გივი ლომინაძე მის დაკავებაში შეხვედროდა რობინზონს გალში. მებრძოლები ანძას გათიშავდნენ, საიდანაც მთელი აფხაზეთი ღებულობდა ტელემარშულებს. შეთანხმდებოდნენ, რომ ანძის ჩართვის სანაცვლოდ ჩვენს მებრძოლებს აფხაზეთის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების სრული უფლება უნდა ჰქონოდათ. ახლა კი იზოლატორში ტუსაღს შეხვდებოდა გივი ლომინაძის მოადგილე არშაბა, რომელიც განუცხადებდა:

— მოემზადე თბილისში გადასაცვანად, რადგან თქვენი თავი ბატონმა ედუარდმა მოითხოვა.

ამის შემდეგ თვითონ მინისტრიც შევიდოდა მასთან, გაათავისუფლებდა, ავტომანქანასაც დაუბრუნებდა და სამეგრელოშიც გამოაცილებდა.

ესეც ის ზოგადი სურათი.

კომედანტის საათის დარღვევა ყველაზე მარჯვე საშუალება აღმოჩნდებოდა პრეზიდენტის დაცვის ნევრთა დასატუსაღებად.

პირადად გენერალ გია გულუას მოსვლა მაინც რას ნიშნავდა იზოლატორში და პატიმრებთან საუბარი, შემდგომ შინაგან საქმეთა იმ ჯგუფის კოორდინატორობა რომ დაევალებოდა, ზვიად გამსახურდიას კვალში რომ ჩაუდგებოდა?

ანდა უშუალოდ აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გივი ლომინაძის შეხვედრა ტუსაღთან?

ღიად ტოვებდა ამ კითხვებს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე და არც ღიად, ისეთი გამჭვირვალე ქვეტექსტი ამოკერებოდა თხორობას, მითუმეტეს, რომ მეტი სიმკვეთრისათვის ამასაც დასძენდა:

— წინასწარ რა ინტერესები და გეგმები ჰქონდა გენერალიტეტს, ეს ცალკე საკითხია, რომელიც სხვა დონეზე გამოძიებას მოითხოვს.

ამათ ვინ ანებებდა ამ სხვა დონის გამოძიებას, თორემ!..

პრეზიდენტის თანმხლებ პირებს რა ბედი ეწიათ მისი დალუპვის შემდგომ?

ეს დეტალებიც ამოკრიბებოდა ჩვენება-გამოკითხვათაგან, და ამჯერადაც დამოუკიდებელი სურათი წარმოჩნდებოდა.

ბაჩუკი გვანცელაძესა და ზაზა ბურჯანაძეს ანზორ მებონია გააცილებდათ ცენტრალურ გზაზე. სატვირთო მანქანით ჩავიდოდნენ სამტრედიამდე, მერე ბათუმში, იქიდან თვითმფრინავით მინვოდში, შემდეგ კი ტაქსით უკვე გროზნოში ჩააღწევდნენ.

ამას ბაჩუკი გვანცელაძე იუნცებოდა 2004 წლის 26 აპრილს.

ხოლო იმავე წლის 3 მაისს ზაზა ბურჯანაძე გაიხსენებდა, რომ მათ მეგზურობას... გენო ზარანდია ითავებდა. ჯერ ჩავიდოდნენ ჩხორონწყუში, იქიდან სენაკში, მერე „ელექტრიკით“ სამტრედიამდე, შემდეგ ბათუმში, თვითმფრინავით მინვოდში რომ გადაფრინდებოდნენ და ტაქსით უკვე გროზნოში ჩავიდოდნენ.

გორა კეკელიძის ჩვენებით (2004 წლის 13 მარტი), მას და რობინზონ მარგველანს საგანგებოდ ჩაისვამდა მანქანაში ვალიკო ზარანდიას მეზობელი (მეუღლესაც რომ მოისვამდა გვერდით) და ჩაიყვანდა ბათუმში, იქიდან თვითმფრინავით მინვოდში და ტაქსით — გროზნოში, სადაც მეორე დღესვე ჩაფრინდებოდა ბესარიონ გუგუშვილი, რომელსაც ბათუმში ჩაიყვანდა ისევე ის ოტელო, ვინც მეგზურობდა კეკელიძე-მარგველანის ტანდემსაც.

2010 წლის 4 მარტს ბაჩუკი გვანცელაძე ცოტა სხვაგვარად აღიდგენდა ხსოვნაში გზას გროზნომდე — ზაზა ბურჯანაძესთან ერთად ჯერ ფეხით ივლიდა, სენაკიდან ქუთაისში „კამაზით“ ჩავიდოდნენ, იმ ღამეს იქ გაათენებდნენ, რათა მეორე დღეს ბათუმში ჩასულიყვნენ და იქიდან გადაფრინილიყვნენ გროზნოში.

და დროებითი კომისია კიდევ ერთხელ ჩაუკვირებოდა ზაზა ბურჯანაძის მონათხრობს, მას რომ დაევალებოდა გროზნოში გამგზავრება ამბის ჩასატანად, ეს კი მიუგებდათ: მე რატომ უნდა წავიდე, წავიდე ის, ვინც უშუალოდ დაესწრო იმ უბედურების ღამესო.

ამის შემდეგ სთხოვდათ ბესარიონ გუგუშვილი მას და ბაჩუკი გვანცელაძეს ერთად გამგზავრებას.

მერეა, მეგზურთან ერთად ფეხით რომ დაადგებოდნენ გზას ჩხორონწყუსაკენ, იქიდან — სენაკში, შემდეგ „ელექტრიკით“ სამტრედიამდე, იქიდან ბათუმში, იქ გია თავზარაშვილი თვითმფრინავის ბილეთს რომ აუღებდათ და მინვოდში გადაფრინდებოდნენ, ტაქსს გროზნოში რომ უნდა ჩაეყვანათ.

უტრიალებდა, უკირკიტებდა ჩვენებათა ამ პასაჟებს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე და ვერ აეხსნა, როგორ უნდა წასულიყო ორი კაცი გროზნოში — თან ერთად და... თან სხვადასხვა ტრანსპორტითა და მარშრუტით.

ეს კიდევ არაფერი, უფრო გაუგებარი და ბუნდოვანი სხვა რამ რჩებოდა:

როგორ მოახერხეს იმ პირებმა, რომელნიც ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეში მხოლოდ ღამ-ღამობითა და მალულად გადაადგილებდნენ, პრეზიდენტის აღსასრულის შემდეგ დღისით, მზისით, თავისუფლად რომ ჩავიდნენ სხვადასხვა ადგილას და ასევე თავისუფლად გაემგზავრნენ გროზნოში?!

პრეზიდენტის სამარხისა და გვამის მდგომარეობას რომ დაუკვირებოდნენ, ჯერ ის დაეჭვებდათ, რომ შემთხვევის დათვალეობის ოქმში არ გაეთვალისწინებინათ აღნიშვნა იმ გარემოებისა, მინა ჩანეული ამ ჩავარდნილი ხომ არ ყოფილა. ეს კი მეტყველებდა ან გამოძიების არაპროფესიონალიზმზე, ანდა წინასწარგანზრახულ ქმედებაზე, რაღაც-რაღაცები საგულდაგულოდ დაფარულიყო.

ან რას ნიშნავდა გროზნოს პროპექტურაში სოსო თორიას, პრეზიდენტის დაცვის ნევრის, მიერ შემჩნეული ორი ნატყვიარი ზვიად გამსახურდიას საფეთქლისა და ყელის არეში?

ანდა ავთანდილ რცხილაძის, უზუნაესი საბჭოს დეპუტატის, მიერ იქვე შემჩნეული დალურჯებანი ნეკნების არეში?

ამ ფონზე ჩაერთვოდა ექიმ დავით ჯალალონიას ჩვენების ის პასაჟი: მიცვალებულთან 36 საათის შემდეგ მიმიყვანეს

ბალზამირებისათვის და ასეთი დიდი დროის გასვლის შემდეგ ძნელი იყო ცხედრისათვის ბალზამის გაკეთებაო.

ხოლო თვალსაჩინო პათანატომი თამარ დეკანოსიძე რომ ირწმუნებოდა: მართალია ცხედართან მეტრ-ნახევარზე ახლოს არავინ მიგვიშვებს, მაგრამ ამ გარეგნული დათვალიერებითაც, რაც მე ვნახე, ძალიან მეეჭვება, რომ თვითმკვლელობა ყოფილიყო, — ამ დაკვირვების მნიშვნელობა, მოგეხსენებათ, როდენ გასათვალისწინებელი უნდა იყოს იმის დაბეჯითებით გამოსარკვევად, ძველი ხბულა მკვლელობის საიდუმლოს ფარავდა თუ თვითმკვლელობის მონმე გამხდარიყო?..

მართალია როსტოვში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზა შემოიზღუდებოდა თავშეკავებული დასკვნებით, მაგრამ სულაც არ გახლდათ აუცილებელი, იმათ ემტკიცებინათ თვითმკვლელობის ვერსიის მოჩვენებითობა და შინაგანი სიყალბე, რადგანაც მათი დაკვირვებანი თვითვე მიგიძღვოდა მართებული სურათის აღდგენისაკენ.

რაო, რას ირწმუნებოდა მათი დასკვნა?

— ტყვიის მოძრაობის მიმართულებაა მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, რაზედაც მიუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები.

თუკი ასეა, მხოლოდ ის შეიძლება გვეფიქრა, კომისია რა შეხედულებასაც შემოუშავებდა:

— ავტომატური პისტოლეტის „სტეჩკინის“ (მისი ნონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია) ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით 100-200 მმ მანძილზე და ისე, რომ ტყვიის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან — ფიზიკურად შეუძლებელია.

არა, მაინც შესაძლებელი რომ ყოფილიყო თვითმკვლელობის მიზნით პისტოლეტ „სტეჩკინით“ განხორციელებულიყო სროლა იმ მიმართულებით, როგორც აღწერილია როსტოვული ექსპერტიზის დასკვნაში?

დროებითი კომისია თვით ამ გარემოებასაც ითვალისწინებდა:

— მსროლელი (ამ შემთხვევაში თვითმკვლეელი) იძულებული იქნებოდა მიეტანა იარაღის ლულა თავის ქალაზე, რაც უმეტეს შემთხვევაში გამოიწვევდა საფეთქლისა და სოლისებრი ძვლის განგრევას ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან გამოტყორცნილი აირების მეშვეობით, რომლის წნევა ლულაში არის 1200-2000 კგ/სმ² და ლულის გარეთ ეცემა გავრცელების მანძილის შესაბამისად.

და ეს ხომ გამოიწვევდა დიდძალი სისხლისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილაკთა გამოდინება-გამოფრქვევას შემავალი და გამომავალი ხვრელებიდან?

უსათუოდ.

არადა, ასეთი რამ არც საგამოძიებო ჩვენებებსა და არც საპარლამენტო კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებში არსად ფიგურირებდა.

ამასთან, რაკილა „სტეჩკინის“ მოდელის პისტოლეტს არ გააჩნია მოძრავი ლულა და უკუცემის ენერგია სრულად გადაეცემა ცეცხლსასროლი იარაღის საკეტს, ინერციის ძალით ის აუცილებლად უნდა გავარდნოდა ხელიდან მსროლელს.

არადა... თვითმხილველთა ჩვენებით, „სტეჩკინი“... ჯერაც ხელში შერჩენოდა ცხედარს.

საწოლის საზურგეზე არსებული დაზიანება გაურკვეველი წარმომავლობისად რომ რჩებოდა, ეს იმიტომ, არ ჩატარებულ იყო მეტალიზაციაზე შემოწმება.

რაო, რას ამტკიცებდა ზოგიერთი თვითმხილველი?

დაზიანება საწოლის დაფაზე გამოეწვია გასროლის შემდეგ თავის ქალიდან გამომავალ ტყვიას.

თუკი ასეა, როგორ არ დაეჭვებულებიყავი, გვამის მდებარეობა და ტყვიის მიმართულება როგორღა უკავშირდება ერთმანეთსო?

— ამ შემთხვევაში ადამიანი უნდა წოლილიყო საწოლის ნაპირზე მოუხერხებელ მდგომარეობაში, როცა გასროლა მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, თვითმკვლელობის შემთხვევაში შეუძლებელია.

ვთქვათ, მონმეები, რომელნიც ახსენებდნენ საწოლის დაფაზე დარჩენილ დაზიანებას, სიმართლეს ამბობდნენ.

და პროკურატურაც, რომელსაც მტკიცებულების სახით ამოელო ეს დაფა, ასევე ვარაუდობდა ნატყვიარის კვალს.

როგორ არ გაგჩენოდა ლოგიკური კითხვა:

— თუ ზვიად გამსახურდიამ თვითმკვლელობა განახორციელა მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ, მაშინ რატო ეტკორით ნავიდა ტყვია, რომ საწოლის დაფა დაზიანებულია მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ დაზიანება საპირისპირო მიმართულებითაა გადახრილი?..

დროებითი საპარლამენტო კომისია საგანგებოდ ჩაატარებდა საგამოძიებო ექსპერტიზებს.

გახსოვთ, მონმეები რას ირწმუნებოდნენ პრეზიდენტის აღსასრულის ღამეს?

შემოგვესმა ტაშტისა თუ შიფონერის დავარდნის მსგავსი ხმაო.

ლურწკაიების სახლიდან დაახლოებით ოცდაათ მეტრში მდებარე მეზობლის ხის სახლში არც იარაღის გასროლის ხმა გაუგონიათ და არც გასროლის მსგავსი რაიმე მოქმედებით გამონვეული ხმაური.

და აი, კარლო ლურწკაიას სახლის მეორე სართულზე დაალაგებდნენ იმავე ავეჯს, 17 წლის წინათ რომ ენყო — კარადა, ორი საწოლი დაშლილ მდგომარეობაში და ორი პატარა მაგიდა. სახლს ჰქონდა ჰერმეტიკულად დახურული კარი და ფანჯარა. იატაკი — ნორმალურ მდგომარეობაში.

გასროლისას უსაფრთხოება რომ დაცული ყოფილიყო, კარადას გადაადგილებდნენ შესასვლელი კარიდან მარჯვენა მხარეს, მის ადგილას კი დამონტაჟდებოდა ტყვიის დამჭერი. გასროლით გაისროდნენ „ნორინკოს“ მოდელის პისტოლეტიდან, უძრავი ლულა რომ აქვს და დაახლოებით „სტეჩკინის“ მსგავსი ტექნიკურ-ტაქტიკური პარამეტრები.

უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის შესაბამისად გაისროდნენ ჰორიზონტალური ხაზიდან ოცდაათი გრადუსით ზემოთ, ტყვიის დამჭერის მიმართულებით. ხმის აღსაბეჭდად გამოიყენებდნენ იაპონური სისტემის პროფესიულ ვიდეოკამერას, მაღალხარისხოვანს, ხმის შემდგომი დამუშავების პარამეტრებით.

განხორციელდებოდა სამი ექსპერტიზული გასროლა.

პირველი გასროლა — დახურულ ოთახში, სადაც ან მართლა და ან თითქოსდა აღესრულა პრეზიდენტი. ამავე ოთახში მოთავსდებოდა ვიდეოკამერა და გასროლის შემდეგ შეინახებოდა ცეცხლსასროლი იარაღის შესაბამისი ხმოვანება.

მეორე შემთხვევაში — ვიდეოკამერა მოთავსდებოდა პირველ სართულზე. ამჯერადაც შესაბამისი ხმოვანება აღიბეჭდებოდა.

მესამე შემთხვევაში — ვიდეოკამერას გადაიტანდნენ ლურწკაიების მეზობლის ხის სახლში. ამჯერად ხის სახლის ნაცვლად კაპიტალურ შენობაში. და კვლავ შესაბამისი ხმოვანება შემოინახებოდა.

დაე გამოიყენებინა გამოძიებას ეს მონაცემებიც, თუკი საპარლამენტო დროებითი კომისიის საქმიანობას მართლაც ენიჭებოდა მნიშვნელობა და მართოდენ მოჩვენებითად არ შეექმნათ, ვითომდა ძიება გრძელდებოდა და ჭეშმარიტების გამოსარკვევად ყველაფერს იღონებდნენ, არადა...

გამოჩნდებოდა, უსათუოდ გამოჩნდებოდა მიზანი, როდესაც კომისია მუშაობას დაასრულებდა.

ჯერ კი სამხედრო ექსპერტი მოეწვიათ, ზურაბ ხუციშვილი, და მასთან აზუსტებდნენ იდუმალებით მოცული ნუთების იქით მიფარებულ რეალობას.

არა მგონია, ბესარიონ გუგუშვილი სამხედრო განხრით ნავარჯიშევი ყოფილიყო, — მიუგებდათ ექსპერტი, — ამას კი ემატება, რომ ადამიანს სძინავს. იგი შოკში ჩავარდებოდა და სუსტი გულის მქონე ადამიანს შესაძლოა ინფარქტიც დამართნოდა, სულ ცოტა, დაყრუვებოდა და პირველ წამებში ვერაფერს გაიგებდა, თუ რა ხდებოდა.

და ამ განმარტებას რიტორიკულ შეკითხვას მოადვენება: — რაშია საქმე? რატომ მაგაზე არ ამახვილებს ყურადღებას გუგუშვილი?

რაო, რას უმტკიცებდნენ — ტაშტის ვარდნის ხმას უდრის „სტეჩკინის“ გასროლის ხმაო? იმავე „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის ხმაო?

გაოცებული აიჩეჩავდა მხრებს სამხედრო ექსპერტი: — უძლიერესი პისტოლეტია.

მთავარ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით საპარლამენტო კომისია ასე ალადაგენდა ფსიქოლოგიურ ვითარებას: გაისმის რალაც ხმა.

ბესარიონ გუგუშვილი დაუყოვნებლივ დგება საწოლიდან, რომელიც პრეზიდენტის საწოლის გვერდითაა, და მიემართება გვერდით ოთახში პრეზიდენტის პირადი დაცვის ორივე წევრის მოსახმობად. ოთახების გამყოფი კედელი ხისაა, უკარო, და ჩამოფარებულია ფარდა, ნახევრად ღია მდგომარეობაში. იმ ოთახიდან აქეთ მოემართებიან ნახევრად მძინარე დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი და დაცვის წევრი ბაჩუკი გვანცელაძე.

— ისე, რომ მათზე როგორც ნორმალურ ადამიანებზე არ ვრცელდება ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული შესაბამისი ხმოვანების ადეკვატური მდგომარეობა.

ეს ფრაზა მომყავს იმავე სახით, როგორც საპარლამენტო კომისიის კომენტარშია. კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი კარგი სტილისტია, მაგრამ რაკილა ამ წიგნში იძულებულია გაითვალისწინოს იურიდიული ტერმინოლოგია და მსჯელობის მანერა (თავისთავად საკმაოდ დაუხვეწავი), ამიტომაც ზოგიერთი პასაჟი არამცთუ ყურს ჭრის, სულაც ძნელდება მათი შენაცვლება ნამდვილი მეტყველებით. ასე თუ ისე ვხვდებით, რაც აქ იგულისხმება, დამაფიქრელი ისაა, რომ ეს ვითარება მიიჩნევა სათავედ მთავარ მოწმეთა მხრიდან არაადეკვატურ და ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებათა და გამოკითხვებისა.

ოლონდ ეს მაშინ, თუკი დაბეჯითებით ვირწმუნებთ მათ მონათხრობს და ეჭვი არ შეგვეპარება ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობაში.

და თუ წიგნის არაერთი პასაჟი საწინააღმდეგოს მეტყველებს, ეს ფსიქოლოგიური ვითარება ის გამჭვირვალე ფარდაა, რომელიც გარკვეული ოსტატობით კი იქსოვება, მაგრამ ისე მარჯვედაც ვერა, მის უტყუარობაში დაგვაჯეროს და აღარ მოვიწოდოთ ამ ფარდის იქით გადახედვა.

მანაც გამჭვირვალეა და მანაც!..

ცალკე გამოიყოფოდა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობისას ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა ჩვენებანი.

— ზვიად გამსახურდია არ არის თვითმკვლეელი. იგი მოკლულია ედუარდ შევარდნაძის სპეციალური დავალებით, რომელიც განახორციელეს შს მინისტრმა შოთა კვირიამ, გენერალმა გია გულუამ, ყოფილმა უშიშროების მინისტრის მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა. ამ საქმეში აგრეთვე გარეუღლია მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ავთანდილ მარგვიანი, — ამას თენგიზ კიტოვანი განაცხადებდა სრული დაბეჯითებით 2010 წლის 25 იანვარს, თავდაცვის ყოფილი სარდალი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი, — ზვიად გამსახურდიას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შევარდნაძეს გაუჩნდა პირდაპირი მტერი და მას ემუქრებოდა ჩამოგდება.

მთავარ ორგანიზატორს რომ დაასახელებდა, ცალკეულ რეალებსა თუ დეტალებსაც გადმოშლიდა, თუ როგორ ჩავი-

დოდნენ მარგვიანი და დევედარიანი ადმირალ ბალტინთან მოლაპარაკების მიზნით. თანხის რაოდენობა არ შეეძლო დაეზუსტებინა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბალტინი აქ უფულოდ არ ჩამოვიდოდა. მას თავისი უფროსებისაგან რომ არა ჰქონოდა ნებართვა, ფოტოში ვერ შემოვიდოდა.

— ეს იყო სწორედ ის დამანგრეველი ძალა, რომლის შემდეგაც დაიშალნენ ზვიად გამსახურდიას მომხრეები.

ავთანდილ მარგვიანს თითქოს თავისი ახლობლისათვის ეთქვა: მე გადავიხადე 50 000 ამერიკული დოლარი ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში.

— ამის შემდეგ მე ვამტკიცებ, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია. მე ვიძახი, რომ ზვიად გამსახურდია არის ორი ტყვიით მოკლული. არ შეიძლება „სტეჩკინის“ სისტემის იარაღით, ზემოდან ქვემოთ ნასროლით თავი მოეკლა ზვიად გამსახურდიას, ეს არის ნასროლი.

მის წარმოსახვაში, პირველ ტყვიას რბილობში გაეგლო, მეორე კი ზემოდან დაეხალათ. ერთი ტყვია საწოლში მოხვედროდა, ეს ყოველივე კი რამდენიმე წამში აღსრულებულიყო.

ავთანდილ იოსელიანის დაჯგუფებამ ყველაფერი იცოდა პრეზიდენტის გადაადგილების შესახებ.

შოთა კვირიაა კი ერთხელ რომ ენახა მთვრალი, იმას ისეთი რამ წამოსცდენოდა უნებურად, რომ თენგიზ კიტოვანს შთაბეჭდილება დარჩებოდა: ეს უთუოდ მისი გაკეთებული უნდა იყოსო.

გაკვირვებას გამოთქვამდა: თვითმკვლეელი კაცი როდის იყო მუცელზე იდებდა ასეთი სიმძიმის იარაღსო?

ხოლო ფინანსური სისტემა ავთანდილ მარგვიანს რომ ებარა, მას გამოეტანა ედუარდ შევარდნაძის დაგვალებით ის 50 000 დოლარი და გადაეხადა პრეზიდენტის მკვლელობაში.

ეს საიდან იცოდა?

იმ წრიდან, სადაც მარგვიანს გაემხილა ეს ინფორმაცია.

უფრო დეტალურადაც შეეძლო მოეთხრო ამის თაობაზე? რატომაც არა, მაგრამ ჯერჯერობით საჭიროდ არ მიიჩნევდა.

და იმ გარემოებასაც საგანგებოდ დასძენდა, რომ: ლოთი ქობალიასა და ედუარდ შევარდნაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

იმავე წლის 27 იანვარს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე პრეზიდენტის მკვლელობას ახსენებდა და არა თვითმკვლელობას და შემსრულებლებად ხელს დაადებდა შოთა კვირიაასა და გია გულუას.

— ამას ჩვენ ვერ გავეჭვებთ.

როდესაც თვითონ მოეხსენებინა სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძისათვის:

— ზვიად გამსახურდია ალყაში მყავს.

იგი მიუგებდა:

— მე ცოცხალი არ მჭირდება.

ამ საქმის შესრულებაში თანხაც რომ გადახდილიყო, გაკვირვებას გამოთქვამს: სხვათა შორის, ეს დიდი თანხა არ არისო.

და დარწმუნებით განაცხადებდა: შემსრულებლები, ვინც იცინა ამ ამბის შესახებ, მზად არიან გამოძიებასთან სათანამშრომლოდ.

— პროკურატურაში არ არის მასალები, რომლებიც დაადასტურებენ მის მკვლელობას და ასევე არ მოიპოვება მასალები, რომლებიც დაადასტურებენ მის თვითმკვლელობას.

გაამჟღავნებდა, რომ:

წინასწარ უწყოდა უშიშროებამ ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლაც და ის პირებიც, ვინც აეროპორტში უნდა დახვედროდა.

მოეპოვებოდათ ის ჩანაწერები, პრეზიდენტი ღია რადიოკავშირით რომ ესაუბრებოდა ლოთი ქობალიას.

საუბრისას ლოთი (ვახტანგ) ქობალია ყველანაირად ცდილობდა დაეჯერებინა პრეზიდენტი, რომ მისი ჩამოსვლა აუცილებელი და, რაც მთავარია, შედეგიანი იქნებოდა.

ზვიად გამსახურდიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძვროდა მის ჩამოსვლამდე ოთხი დღით ადრე — 1993 წლის 20 სექტემბერს.

გია გულუას პრაქტიკულად მოეხსენებოდა პრეზიდენტის გადაადგილება.

ზვიად გამსახურდიასათვის კუბოში ჩასაცემელს ეძებდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი ცოცხალი გახლდათ — „თვითმკვლელობამდე“ ორი დღით ადრე ერთი კაცი (ვინაობას აღარ გაამხელდა უშიშროების ყოფილი მინისტრი) იყიდა პრეზიდენტის პიჯაკს მის გასაპატიოსნებლად.

მისი ანალიზი ვინმეს აინტერესებს?

მაშინ დაე მოისმინონ იგორ გიორგაძის შეხედულება, რომ: შემთხვევის ადგილზე უცხო პირი ვერ მივიდოდა.

— ოთხმოცდაცხრამეტი მთელი ცხრა მეთაული პროცენტით მე გამოვრიცხავ, რომ იქ ვინმე შეიპარა, ასევე გამოვრიცხავ თვითმკვლელობას.

მაშ რა შთაბეჭდილება შეიძლება დაგვრჩენოდა?

— ეს დავალება შეასრულა იმ ხალხმა, ვინც მასთან უშუალოდ კონტაქტში იყვნენ, ანუ — პირველი წრე, მასთან ვინც იმყოფებოდა, უცხო იქ ვერ შევიდოდა.

იმავე წლის 25 თებერვლის დაკითხვისას ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა უპირველესად გაიხსენებდა ზვიად გამსახურდიას ჩამოყვანას გროზნოდან სენაკის აეროპორტში, ახალი ხელისუფლების მოლაპარაკებას შავი ზღვის ფლოტის ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, ადმირალ ბალტინთან, ვის მოსასყიდადაც გაიღებდნენ საკმაოდ დიდ თანხას, მისი ჩართვით სამხედრო ოპერაციებში კი დამარცხდებოდა ლოთი ქობალას რაზმი და კიდევ დაიწყებოდა ზვიად გამსახურდიას დევნა ორი უწყების — შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს — სპეცრაზმების მიერ.

თენგიზ სიგუა დაუჭევებლად გაიზიარებდა იგორ გიორგაძის მტკიცებას, რომ როდესაც მისი რაზმი კვალდაკვალ მისდევდა ზვიად გამსახურდიას, პრეზიდენტის გარემოცვიდან ჰქონდა ზუსტი ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

და რომ მის შთავაზუნებას: შემიძლია დავაპატიმრო ზვიად გამსახურდიას, — სახელმწიფოს მეთაური ასე უპასუხებდა: ცოცხალი ზვიად გამსახურდია მე არ მჭირდება.

და რომ იგორ გიორგაძე ამ დავალებას არ შეასრულებდა, მაგრამ მისი გვერდის ავლით მსგავს დავალებას მიიღებდა მისი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი.

შედეგად კი...

— ოფიციალური ვერსია, რომ პრეზიდენტმა „სტერკინის“ სისტემის პისტოლეტით მოიკლა თავი, სინამდვილეს არ შეესაბამება.

უმთავრესად რა არგუმენტს მოიშველიებდა ამ მტკიცებების ნათელსაყოფად?

რაკილა „სტერკინი“ იწონის კილოგრამზე მეტს, მაშ გასროლის მერე იარაღი იატაკზე უნდა ეგდოს, რისი დადასტურებაც ნებისმიერ ექსპერტს შეუძლია.

ინსცენირება კი როგორ სურათს წარმოგვიდგენდა?

გასროლის მერე პრეზიდენტს იარაღი ხელში უკავია და მუცელზე უდევს.

ან ის რაღა იყო, დაცვის უფროსი ამ იარაღს რომ გააპრიალებდა?

ამ უფლებით აღჭურვილი ადამიანი იმდენად განსწავლული უნდა იყოს, თვითმკვლელობის იარაღი არ გააპრიალოს და ანაბეჭდების კვალი არ ნაშალოს.

— ზვიად გამსახურდიას იარაღი ბოლომდე გაპრიალებული, პრეზიდენტი გაპატიოსნებულია, მისი სამოსი გარეცხილი და გაპრიალებულია, ყველაფერი გაკეთებულია კვალის დაფარვის მიზნით.

სავსებით გაიზიარებდა თამარ დეკანოსიძის დაკვირვებას: გარეგნული დათვალიერებით რაც მე ვნახე, მეეჭვება, თვითმკვლელობა იყოსო.

და გაიხსენებდა იმ ეპიზოდს, შეიარაღებული ოპოზიცია თბილისის ზღვაზე რომ დაბანაკდებოდა, იქ კი თენგიზ კიტოვანთან მოსკოვიდან ჩამოვიდოდა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, თბილისის მეტროპოლიტენის ყოფილი ხელმძღვანელი ნოდარ ბერიძე და განუცხადებდა: უშუალოდ ედუარდ შევარდნაძის დავალებით ვარ მოსულიო.

დავალება რას გულისხმობდა?

დაქირავებულიყო ქილერი ზვიად გამსახურდიას ფიზიკური მოსპობისათვის.

პასუხად ეს პიროვნება თენგიზ კიტოვანისაგან მიიღებდა... სასტიკ უარს.

50 000 დოლარს რომ უხსენებდნენ, ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად იყო გამოყოფილიო, თენგიზ სიგუა ძალიან იცოტავებდა ამ თანხას: ჩემს მოსაკლავად 250 000 დოლარზე იყო საუბარი და პრეზიდენტის მოკვლა ნახევარი მილიონი მაინც ეღირებოდაო.

დღესაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს იყო მკვლელობაო, — ფეხს არ მოიცვლიდა ამ მოსაზრებიდან.

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი ბოლომდე რომ შეინარჩუნებდა შინაგან აღუშფოთველობასა და პირუთვნელობას, განსაკუთრებით თენგიზების — კიტოვანისა და სიგუას — ჩვენებების მოხმობისას ცნაურდება.

ყოველგვარი შენიშვნის გარეშე რომ დატოვებდა მათ მტკიცებებს, თუმც მათი სიტყვები არაერთხელ იწვევს მწვავე და სულაც სარკასტული გამოდავების სურვილს.

ესენი ხომ ის ადამიანები არიან, რომელთა უშუალო თაოსნობითაც აღსრულდა ის დანაშაულებრივი მოვლენა საქართველოს ისტორიაში — დამხობა კანონიერი ხელისუფლებისა, შერყევა ეროვნული სახელმწიფოს საფუძვლებისა და ქვეყნის გადატყორცნა, სულ ცოტა, ათწლეულებით უკან და სრული ქაოსის შექმნა, საიდან თავდაღწევაც დიდი სისხლისა და ცრემლის ფასად მოხერხდა.

რომელთა კისერზეცაა აფხაზეთის მხარის ჩამოთლა საქართველოსათვის.

„ესენგემი“ საქართველოს შეთრევა.

ედუარდ შევარდნაძეც ვერ აირიდებს თავის წილ პასუხისმგებლობას ამ მოვლენებში, მას რომ ეჭირა სამხედრო გადატრიალების სადავები, მაგრამ ხომ უშუალოდ თენგიზების ბრალია, რუსეთის მიერ მოწყობილი პუტჩი დასავლეთის თვალში სამოქალაქო ომად რომ გასაღდა, „გამსახურდიას დიქტატურისაგან“, მისი „უღლისაგან“ გამოხსნის დემოკრატიულ გზად, რევოლუციურ, მაგრამ დემოკრატიული სულით აღვსილ რევოლუციურ აქტად.

ამიტომაც სავსებით გამართლებოდა და ლეგიტიმურადაც შეირაცხებოდა პუტჩის ტალღაზე მოსული ახალი ხელისუფლება, ედუარდ შევარდნაძე მალევე რომ დაიკავებდა თავის კუთვნილ ადგილს და ტრიუმფირატს სათავეში ჩაუდგებოდა ოფიციალურადაც, თორემ ფარულად აკი იმთავითვე მათთან გადაჯაჭვულიყო და თავის ორგანიზატორულ და რეჟისორულ უნარს ამჯერადაც წარმატებით გამოიყენებდა.

მოჩვენებითობას მოაპირკეთებდნენ და მოახარატებდნენ სწორედაც თენგიზები და ყუმბარებსა და ტყვიებს რომ უშენდნენ მთავრობის სასახლეს... ცხადია... არ იგულისხმებოდა, რომ ამით... ზვიად გამსახურდიას რაიმე ზიანს აყენებდნენ.

ეგაა, მინის კანონის მიღება რომ ცოტა შეუგვიანდა, ამ მოქმედებით მოენდომებინათ მისი აჩქარება.

და ნ იანვრის დილას ვითომდა დერეფანს რომ დაუგდებდნენ თბილისიდან გასაღწევად, მეტეხის ხიდთან კი ჩაუსაფრდებოდნენ და ტყვიებს დაუშენდნენ, რასაკვირველია, არც ეს ყოფილა განზრახული ზვიად გამსახურდიას საზიანოდ — ეტყობა, ის დაღუპვა... დაღუპვად არ ჩაითვლებოდა!..

სულ სხვაა, როდესაც ქილერი მოგიღებს ბოლოს და სულ სხვა, როდესაც შენს მიერ აღზევებული ადამიანების უშუალო დავალებით დაგახლიან დემოკრატიულ ტყვიას.

ასეთ დროს ხომ შევებად მიითვლი ვნებასაც!..

სასტიკი უარი განუცხადაო...

მეტეხის ხიდის შემოგარენში კი მისი... სასტიკი ბრძანებით უნდა მოთავებულყო ის, რაც ბედისნერის განრიგებით ცოცხა ხნის შემდეგ უნდა აღსრულებულიყო.

ნაცვლად 1992 წლის 6 იანვრისა — 1993 წლის 31 დეკემბერს.

ნაცვლად თბილისისა — ძველ ხიბულაში.

თენგიზების ხელით ხომ უკვე ჰქონდა გამოტანილი ეს განაჩენიც, გარდა კანონიერი უფლებების ნართმევისა და დევნილად გადაქცევისა.

არ შერჩებოდა არც ერთს, არც მეორეს — ისტორიაში შავი ასოებით რომ აღიბეჭდებოდა მათი „მოღვაწეობა“, ეს კიდევ ცალკე, განა ვინ წასვლია ისტორიის განაჩენს, ესენი რომ გაქცეოდნენ, მაგრამ მალევეც მოენოდათ ბედი მდევარი.

ზვიად გამსახურდია თუ ვერ მიუზღავდათ მისაზღველს, მის ნაცვლად... ედუარდ შევარდნაძე ამოუჭერდათ აპეურებს. თენგიზ კიტოვანს სულაც ციხის კედლებს ახეხინებდა.

თენგიზ სიგუა დაუსხლტებოდა მართლმსაჯულებას, გაერიდებოდა კიტოვანურ ლაშქრობას სოხუმისაკენ და ამ სიმარჯვის წყალობით არ აღმოჩნდებოდა იმავე თუ გვერდითა საკანში, მაგრამ სიმარჯვე იმდენს ველარ გაუჭრიდა, თანამდებობა შეენარჩუნებინა, რომლის გულისთვისაც მიეღო მონაწილეობა პუტჩის გარეგნულ მომზადებაში. პრემიერ-მინისტრობიდან გამოსტუმრებული ველარც რუსთაველის საზოგადოებას დაისაკუთრებდა და პოლიტიკურ ლეშად გადაქცეული ხან სად გაიძახოდა და ხანაც სად: მინის კანონი რომ არ დაეგვიანებინა ზვიად გამსახურდიას, არაფერიც არ მოხდებოდა, სიამტკბილობით გავავარძელებდით მოღვაწეობას გვერდიგვერდ და აღარც ედუარდ შევარდნაძის დიქტატურა დამყარდებოდა, დალუპვისაკენ რომ მიაქანებს ქვეყანასო...

თავისი დრო იცოდა ედუარდ შევარდნაძემ — ყოველთვისაც და ახლაც.

ნებავედა — პენსიონერს დაირქმევდა.

ნებავედა — მხსნელის დროშას ააფრიალებდა.

და პუტჩის მონაპოვარი დაუფლებული თითქოსდა მორჩილად რომ ინანილებდა თავის ლუკმას, „იმ“ წამის დადგომისთანავე ერთმანეთს შეახლიდა ძალაუფლებით დამთვრალ თანამოდასეებს და... კიდევ დააჭმევინებდა ურთიერთს, მუშნი ზარანდიასა და თორიების კასრისა არ იყოს, კაციჭამია ვირთავების გამოყვანა-გამონვრთნა სადაც ხდებოდა.

იმ კასრად გადაქცეულიყო საქართველო და მხოლოდღა მიზანმიმართული გეგმა და სცენარი იყო საჭირო განზრახვის აღსასრულებლად.

და გამოცდილი რეჟისორის ხელი, მასობრივ სცენებში განსაკუთრებით განაფულის!..

კაციჭამია ვირთავის გამოყვანის პროცესი იგორ გიორგაძესაც მოენოდა, მთავარ ორგანიზატორს მეორე ტერორისტული თავდასხმისა ედუარდ შევარდნაძეზე, სრული ფიასკოთი დამთავრებულის, რუსეთი მაინც რომ არ განირავდა და უვნებლად შეიფარებდა თავის კალთაში, რათა მუდმივ საშიშროებად თუ საფრთხობელად ჰყოლოდათ, თან რომ ხელს უწყობდნენ ედუარდ შევარდნაძეს და თან გაფრთხილებასაც და მუქარასაც არ მოაკლავდნენ, თუკი ამერიკის შერთებული შტატებისაკენ მზერასაც არ მოემგებოდა.

ასე შეიკვროდა ახალი ტრიუმფირატი ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიების მასალებში, სამაგიეროს გადახდის საუკეთესო საშუალება რომ მისცემოდათ და მთელი ძალ-ღონითაც შეეცდებოდნენ მისთვის ბრალის წაყენებას.

ცხადია, თვითონ სუფთად, პენენიკად უნდა დარჩენილიყვნენ, არავითარი ცოდვა რომ არ მიუძღოდათ არც საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და არც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის წინაშე.

ეს გავეშება იღვრება მათი ჩვენებებიდან.

და მაშ... დასაჯერებელია რაიმე, რასაც ასეთი გულმოდგინებით გვიმტკიცებენ?

მათ ხომ ჭეშმარიტების გარკვევა კი არა, ედუარდ შევარდნაძისათვის სახელის გატეხა ამოქმედებთ, ყველაფერს რომ ეჭიდებიან საამისოდ.

და როგორ გინდა ირწმუნო შურისძიებით აღვსილი ადამიანების ნათქვამი, სურათებსა და მოვლენებს ცალმხრივად რომ ალაგებენ, მხოლოდ მათთვის სასარგებლო მიმართულებით?!

ცხადია, მრისხანებით აღვსილი კაცი მიუკერძოებლად და სანდოდ ვერ განსჯის პიროვნებებსა თუ ამბებს, მაგრამ... გამოორიციხული არც ის არის და ხშირადაც მომხდარა, რომ თუნდ სიბრახისაგან გონდაკარგულ, ზნეობრივად დეგრატირებულ ადამიანებსაც ეთქვათ სიმართლე — სხვა დროს რასაც მოერიდებოდნენ და დაფარვას ამჯობინებდნენ, ამჯერად პირზე აღარ ადგებათ და ნებით თუ უნებლიეთ სწორ ცნობებს კი აწვდიან მსმენელსა თუ მკითხველს.

ასე რომ:

ჯერ ისედაც დამაფიქრებელი იქნებოდა მათ ჩვენებებში ზოგიერთი გარემოება და ახლა მითუმეტეს, სხვათა ჩვენება-გამოკითხვების ფონზე, როდესაც ასე ემთხვევა ერთმანეთს საეჭვო გარემოებანი — მაღალჩინოსანთა მტკიცებიდან თუ სხვა მოწმეთა მონათხრობიდან მომდინარე.

რა, იგორ გიორგაძე რომ არ გვიმტკიცებდეს: წინასწარვე ვიცოდით ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლაც და იმ პირთა ვინაობაც, სენაკის აეროპორტში ვინც უნდა დახვედროდნენო, — განა ისედაც არ შეიძლებოდა დაბეჯითებული ვარაუდი სხვადასხვა ჩვენების შეჯერებით, რომ პრეზიდენტი უკვე გაცემული გახლდათ და გროზნიდან გადმოფრენით მზადდებოდა მისი გოლგოთა, რომლისგანაც თავს ველარ დააღწევდა?

ანდა რომ არ გვარწმუნებდეს, იმ საბედისწერო დღემდე წინდანინვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ... თითქოს უკვე თავი მოუკლავს, ჩვენ კი არ მოგვეხსენება ამ წინასწარვე დაყრილი ხმების არსებობა?

თენგიზ კიტოვანი რომ არ ამახვილებდეს ყურადღებას „სტეჩკინის“ ტყვიის შესაძლო ტრაექტორიაზე, თუკი პრეზიდენტს კი არ მოკლავდნენ, არამედ თავს მოიკლავდა, განა ცხედრისა და მისი მდგომარეობის აღწერილობა თავისთავად საჭოჭმანოს არ ხდიდა ოფიციალური ვერსიის სანდოობას?

ან თენგიზ სიგუა რაკილა ამტკიცებს, არ შეიძლება თვითმკვლელობის იარაღის გაპრიალება და არც სხვა ნივთმტკიცებათა განადგურებაო, აღარ უნდა ვაღიაროთ ეს უდავო ჭეშმარიტება და აღარ ვიფიქროთ, რომ კვალის დაფარვის მიზნითაა ეს ყოველივე ჩადენილიო?

ისე კი: ავთანდილ მარგინაძე გაამხილა ეს ინფორმაცია, თანხა რომ არის გადახდილი პრეზიდენტის მოკვლაში, მაგრამ ამას დეტალურად შემდგომ ვიტყვიო, — თენგიზ კიტოვანი რომ განაცხადებდა, „შემდგომ“ განა როდისღა, ბარემ ეთქვა და მოეთავებინა, უფრო ხელსაყრელ დროს რაღას ელოდებოდა?!

თუმც ისიც და მეორე თენგიზიც, იგორ გიორგაძისა არ იყოს, გამოძენილი გახლდათ ამისთანებში, ეჭვს რომ გააღვივებდნენ და შეეცდებოდნენ საზოგადოებრივი ცნობიერების ზომბირებას, რათა მათ მიერ შეთავაზებული ცრუ ვერსიაც მერე და მერე უტყუარ ჭეშმარიტებად გასაღებელიყო.

„იანავის ოქმისა“ არ იყოს.

აკი თენგიზ სიგუას წამოუნია ამ ოქმის არსებობა პუტჩის მზადების დღებში, ოპოზიციის მიტინგი მიტინგზე რომ იმართებოდა და ეს თენგიზი ყველგან რაღაც ფურცლებს აფრიალებდა: აი, აქა მაქვს პრეზიდენტის მაკომპრომეტირებული მასალა, მისი არასახარბილო როლი მოსკოვის პუტჩისას, ჩაშლით რომ ჩაიშალა, მაგრამ რა მოწმენდს ამ ბრალს ზვიად გამსახურდიას, გამოვაქვეყნებ და ნახავს თავის სეირსო...

ყურებს გამოუჭედავდა ყველას იანავის ოქმის ხსენებით, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომაც ერთხანს

კვლავ რომ არ მოეშვებოდა იმ რალაც ფურცლების ფრიალს... თუმცე გამოქვეყნებით არსად გამოქვეყნდებოდა და თანდა-თან მიყრუვდებოდა და ჩაიკარგებოდა მისი ხსენება.

უკვე სასაცილოც რომ შეიქნებოდა, თუკი ვინმეს ნამოა-გონდებოდა.

თუმცე შენ გეცინა რამდენიც გენება, ამ ფანდს თავისი ნა-ყოფი კი გამოელო, შესაფერისად გამოეყენებინათ „იდუური ბრძოლისას“ და პუტჩის მზადების ისტორიაში თავისი რო-ლიც მიეკუთვნებოდა.

ამისთანა ოქმები ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ირ-ვლივაც ექნებოდათ, აგერ ჩვენებებში ეჭვშეუვალი კილოთი რომ ამტიციტდნენ ამ ტრაგიკული აქტის მთავარი ორგანი-ზატორისა და შემსრულებელთა ვინაობასაც...

მაგრამ არ არის, არა, მთლად გადასაყრელი მათი ჩვენება-ნი, თუნდ ანდაზის ბრძნული შეგონების გათვალისწინებით: ქურდს რომ ყური უგდო, დღეში ასჯერ გამოტყდებო.

გამოტყეხილიყვენ ესენიც.

ყურს დავუგდებდით თუ არა, აღმოჩნდებოდა, რომ რა-ღაც-რალაცებს გაამხედდნენ თუ დაადასტურებდნენ.

ნეტა ედუარდ შევარდნაძე რალას იტყოდა?

საპარლამენტო კომისიასთან... არც არაფერს, ახლოსაც კი არ გაიკარებდა, თითქოსდა იმ მოტივით: მე რა შუაში ვარო!..

მაგრამ შეხვედრა-საუბარს, ბოლოსდაბოლოს, არაოფი-ციალურს, წინ რა უნდა ედგას, არა?

მაგრამ ის ანდაზა: ქურდს რომ ყური უგდო... — ჩვენ თუ მოგვეხსენება, ჩვენზე არანაკლებ იმანაც იცოდა, და თუმცე თავშეკავებით გამოირჩეოდა და ყოველი სიტყვის ანონ-და-წონით, ვაითუ უნებლიეთ მაინც დასცდენოდა რალაც, კომი-სია რომ მოეჭიდებოდა და საგამოძიებო მასალების ფონზე ის რეალია თუ დეტალი სულ სხვაგვარად ამეტყველდებოდა.

რატომ გამოტყეხილიყო, თუ ასჯერ არა, ერთხელაც კი!.. ვინ ავალდებულებდა?!

რის თქმასაც საჭიროდ მიიჩნევდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის შესახებ, მემუარების წიგნში გამოხატავდა, გა-მომზურებამდე გულდასმით რომ ჩაუკვირდებოდა თვითე-ულ ფრაზასაც და ქვეტექსტებსაც.

აკი არაფერი დასცდებოდა მისი სიცოცხლის მიმწუხრზე, გარდა ოფიციალური ვერსიისა:

— წინააღმდეგობრივ მოვლენათა წინაშე დამარცხებულ-მა თავი მოიკლა.

და დაე იქ ამოგვეკითხა ის ზოგადი შეფასებაც, ლიტერა-ტურული ფორმულის სიმკვეთრითა და ტევადობით რომ ჩაი-წურებოდა ორიოდ სტრიქონში:

— ზვიად გამსახურდია, უპირველესად, ტრაგიკული ფი-გურა იყო, რომლის პირადი ტრაგედიაც მსოფლიო სიდიდის ტრაგედიებს შეიძლება შევადაროთ.

VIII.

ოთარ ჩხეიძე პოლემიკური გამომხაურების დაწერას რომ ჩაიფიქრებდა 1995 წლის 27 მაისს, სათაური თუ შინაარსი ეს რომ უნდა ყოფილიყო: დისტანციის თეორია და ნაკლები ღი-რებულების პრაქტიკა, — რეზო ჭეიშვილის იმ მოსაზრებას უნდა დამოკამათებოდა, ის თავის მხრივ ჭაბუა ამირეჯიბს რომ გაიმონებდა მწერალთა ყრილობაზე წარმოთქმულ მოხ-სენებაში.

დრო უნდა გავიდე, უახლოეს მოვლენებზე ისე არაფერი დაინერება.

ესეც მისი მწერლური პოზიციაც და რჩევაც — უფრო მა-ინც ახალგაზრდა თანამოკალმეებისადმი.

და აგერ რეზო ჭეიშვილის მოხსენებაში ფარზეც აიზიდე-ბოდა, როგორც ყველაზე უკეთესი — მთლად ერთადერთი თუ არა — მხატვრული მეთოდი.

— მე ამას ვგულისხმობდი, „არტისტული გადატრიალების“ ბოლოს რო ვწერდი: ვიეთი ამბობენმეთქი, ამბობენ და ისინი დაელოდონმეთქი, — მიადევნებდა ავტობიოგრაფიულ რომან-ში „დროდადრო“ ოთარ ჩხეიძე, — მე ამას ვგულისხმობდი და ბატონი ჭეიშვილიც მე მიპირისპირდება. ისიც დაელოდოს.

ხოლო თავის მხრივ იმ ნაგულისხმევ სტატიაში აპირებდა მაინც აეხსნა, თუ რასა ნიშნავს „დისტანციის თეორია“:

— ავუხსნი, იცოდნენ: ზოგისთვის უმწეობასა ნიშნავს, ზოგისთვის შიშსა, ზოგისთვის ხერხსა (ჯავახიშვილი, რობა-ქიძე, გამსახურდია...) ავუხსნი, იცოდნენ. ჯერ დაიბეჭდოს. ნაკლები ღირებულების პრაქტიკასაც ავუხსნი...

იმ სამ წერტილში, მწერლების ჩამოთვლისას, ერთი-ორ-საც კიდევ იგულისხმებდა, იძულებულნი რომ იყვნენ ამ თეო-რიის მომარჯვებით გარიდებოდნენ ხელისუფლების დაკვე-თებს, ისედაც გილოტინაზე ედოთ თავი და ხელოვნურად რალად გამოეწვიათ ალესილი ნაჯახის ჩამოქანება.

ამიტომაც:

დრო თუ არ გაუვა და შორიდან არ გამოვხედავთ მოვლე-ნებს, ისე, აბა, როგორ უნდა დაინეროსო.

ფანდი ფანდია, მაგრამ უხერხული სხვა რამ გახლდათ, უმ-წეობის ან პირადი გამორჩენის სურვილს როდესაც მოაფა-რებდი ამ თეორიას, თორემ დისტანციური მწერლობა რალა მწერლობაა, მთავრობის მოთხოვნებსა და შეხედულებებს ადევენებული, მათ მიერ გადაგდებული ლუკმის მომლოდინე.

დისტანციამ და: XX საუკუნის 70-იან წლებში ამხელდი... მეფის რუსეთის დროინდელ სოციალურ მანკიერებებს.

დისტანციამ და: XX საუკუნის 90-იან წლებში ამხელდი... სტალინის ეპოქის რეპრესიებს.

თანაც ნორმად სახავდი შენს ამგვარ მხატვრულ და მოქა-ლაქეობრივ კრედოსა და შესაფერის მოქმედებას.

ამ თეორიისათვის ყური რომ გეგდო, „არტისტული გა-დატრიალება“ ალბათ XXI საუკუნის 30-იან ან სულაც 50-იან წლებში უნდა შექმნილიყო.

თუმცე... ვისთვის როგორ!..

ჭაბუა ამირეჯიბი კიდევ რამდენჯერმე გამოჩნდებოდა თუ გაივლევებდა ოთარ ჩხეიძის ამ ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე.

აგერ თუნდ 1996 წლის 1 აპრილის ჩანაწერში, მანქანაში გი-ვი გეგჭკორსა და ჭაბუასთან ერთად რომ მოხვდებოდა და ის განაცხადებდა: ორჯერ ვიჯექი სიკვდილმისჯილთა საკანშიო.

— როგორია სიკვდილმისჯილთა საკანი? — ჩაეკითხებო-და გივი.

ის დააყოვნებდა, სიგარეტს მოუკიდებდა. და პაუზა რომ გაიჭიმებოდა, ოთარ ჩხეიძე დაინყებდა ახსნას. მერე გაიცი-ნებდა:

— ჭაბუა აქა ზის და მე ალგინერ სიკვდილმისჯილთა სა-კანს!..

გივისაც გაეცინებოდა და კვლავ ჭაბუას მიუბრუნდებოდა: — როგორია?

— ეგრეთი, ეგრეთი, — ამოიხრინინებდა ის, რაკილა ყე-ლის სიმსივნე ხმას სულ უფრო და უფრო დაუკარგავდა, — ოთარი როგორც გეუბნება.

აგერ თუნდ იმავე წლის 20 მაისის ჩანაწერი: ჩვენს უზად-რუკ მწერალთა კავშირში რა ჯურის მწერლებს აღარ შევხ-ვედრივარო, — ირონიულად რომ აღნიშნავდა, იუმორისტუ-ლი ყაიდის ნუსხას შეადგენდა, თუმცე სათავეში ჩაუყენებდა იმ შემოქმედთ, წერაც რომ იცოდნენ და კითხვაც. იუმორსა და ირონიას მერე უნდა ეჩინა თავი, როდესაც გამოაცალკეებდა მწერლებს, წერა რომ იცოდნენ და კითხვა არა, სხვა ჯგუფს — კითხვა რომ იცოდნენ და წერა არა, კიდევ სხვა ჯგუფს — არც წერა რომ არ იცოდნენ, არც კითხვა და არც ლაპარაკი ეხერ-ხებოდათ.

და ჭაბუა ამირეჯიბს ცალკე კატეგორიად გამოჰყოფდა: არც კითხულობს და არცა წერს — ჰყვება, ციხეებში მიეჩვივა, დიქტოფონს იშველიებსო.

— მერე დასხდებიან იმის ხელშემწყობნი, — ესეც ხელობაა, — არჩევენ, არკვევენ, აწყობენ, იგებენ და რომანი გამოდის. კოლექტიური ნაშრომი რალათქმუნდა. სცენარებიც კოლექტიური ნაშრომი ხშირ შემთხვევაში, ბოლოს ერთ კაცს მიენერება ყველაფერი — რეჟისორსა. აქაც ალბათ ასევე თუა: რეჟისორივით გამოდის და კიდევაც მიეუთვნება ავტორობა ერთ კაცსა, თუმცა კოლექტიური ნაშრომი.

ნოდარ თარხნიშვილი რომ ბევრსა შეელოდა, ჭაბუას ნამბობის დალაგებაშიც, თვითონ მას მოეყოლა ოთარ ჩხეიძისათვის და მისგან იცოდა: ხან რუსულადა ჰყვება, ხან ქართულადაო. დიქტოფონიდანაც ხან რუსული ამოდის და ხან ქართულიო.

ესეც ნოდარ თარხნიშვილისაგან იცოდა:

— „დათა“ მე ვთარგმნი რუსულად, მერე თვითონ მიიწერა.

„პერეველ ავტორა“ დიდის ამბითა მიწერილი „დათა თუთაშხიას“ რუსულ ვერსიაზე, მიუხედავად იმისა, რომ არამც-თუ თარგმნა, რუსულ ტექსტში ოდნავადაც არ ჩარეულიყო ჭაბუა ამირეჯიბი. მიითვლიდა ფურცლებს დაპირებულ ვადებში და თავის მხრივ ალუთქვამდა: შენთვის სახელი რა არის, შეეღვი, მთარგმნელად თუ არ წაგანერ, სამაგიეროდ, ჰონორარს უმაღლესი განაკვეთით აგინაზღაურებ... მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამაო!..

ეს უკვე აღარ წერია ოთარ ჩხეიძის დღიურებში. ბატონი ნოდარი ჩვენთან რომ სტუმრობდა ხოლმე და ხშირად იმეორებდა ამ ამბავს, ერთი-ორჯერ მეც შევესწრებოდი მისი გულისტკივილის გამჟღავნებას. მართალია ენანებოდა, ორმოც-თაბახიანი — და რუსეთშიც უკვე პოპულარობამოხვეჭილი — რომანის თარგმანს მისი გვარ-სახელი რომ არ ამშვენებდა, ყრუდაც კი არ აღნიშნულიყო, თუნდ ასე: კონსულტაციებისათვის რამდენჯერმე მიემართე ნოდარ თარხნიშვილსო... დიას, მართალია ენანებოდა, მაგრამ ძალიანაც არ საყვედურობდა ჭაბუას: წინასწარვე შემითანხმდა და მეც ვიყაბულე, ორმხრივი თანხმობით მოხდაო...

მაგრამ, აი, ჰონორარის მიცემაზე რომ განუცხადებდა უარს მას შემდეგ, ორმოც თაბახს უკლებლივ რომ მიითვლიდა, ეს უკვე აღაშფოთებდა, მაგრამ... ესა და ეს... თავისთვის წუხდა, თავისთვის განიცდიდა, ხანდახან ასე ვინმეს შესჩივლებდა და გულს მოიხებდა.

— კი მაგრამ... ჰონორარზე უარი რანაირადლა გითხრა!.. — ვერ იჯერებდა ოთარ ჩხეიძე.

— ასე ამისხნა: შენაო ისედაც გალოთებული ხარო, ამ ფულს მთლიანად ღვინოში დახარჯავ და დაილუპებო. ამიტომ რაც ნაკლები ფული გექნება, მით უკეთესი შენთვისო. რომ იცოდე, მე შენ ძალიან კარგ საქმეს გიკეთებ და უნდა დააფასოო. მერე სხვებთანაც გაემეორებინა, ამბავი მომივიდა: გალოთდა და სულ წახდა და ამიტომაც არ გაეგება, რამხელა სიკეთე გავუწიე. ნაწყენი რომ არის ჩემზე, სულ ტყუილურალოდ, თუმც რამდენს არ დაუფასებია ჩემი ამავი და უმადურობით გადაუხდია და მაგისგან რალა გამოიკვირდესო. კიდევ მე გამომიყვანა დამნაშავედ, არადა, რა დავაშავე — ამხელა რომანი ვუთარგმნი და შეპირებული ჰონორარის იმედი რომ არცა მქონდა, მხოლოდ ნაწილი ვთხოვე მორიდებით და თავაზიანად... ისიც არ გაემეტა და სულაც აქეთ მომდგა. ესეც ვთქვა თუ არა?

— თუ გულზე განევს, თქვი და მოგეშვება.

— გვიან მომიხდა მაშინ მასთან მისვლა და კიდევ უფრო შევეგვიანდი. ტრანსპორტი აღარ მუშაობდა და ვთხოვე, ეგებ ტაქსის ფული მაინც მოგეცა-მეთქი. შორს დაიჭირა. ასე რომ მომადგე დროდარო და ტაქსის ფული მთხოვო ხოლმე, რალა გამოვაო. ამ ერთხელ, თორემ შენთან რალა მომიყვანს-მეთქი. ტაქსს მიზეზობ, თორემ ამ ფულით არაყს იყიდი. შენ თუ თავს

ილუპავ, მე რატომ შეგიწყო ხელი თავის დალუპვაში. სინანული არ მომასვენებსო.

რეჟისორივით გამოდისო...

ავტორობის ჩანაცვლება ამგვარი რეჟისორობით უჩვეულოდ არ ეჩვენებოდა ნოდარ თარხნიშვილს, დასავლეთში ბევრია ასეთი საამქროებიო.

— ჩვენში ეს არის იწყება, — გაეცინებოდა ოთარ ჩხეიძეს, — ესეც დასაწყისი!..

და მოაგონდებოდა ნოდარ დუმბაძის ხუმრობა: მე ვერა ვწერ დიდ რომანებს, მაგათ „ნეგრები“ ჰყავთო.

აგერ თუნდ იმავე წლის 22 ივნისის ჩანაწერი, რევაზ თვარაძე უდიდეს მწერლად რომ გამოაცხადებდა ჭაბუა ამირეჯიბს, ჭაბუა ამირეჯიბი კი ჩვენი ეპოქის უდიდეს მოაზროვნეს უწოდებდა რევაზ თვარაძეს.

— ამითი ერთმანეთს მიუზღავენ სამაგიეროსა, მაგრამ ლიტერატურულ აზროვნებას ანაგვიანებენ. განსაკუთრებით ანაგვიანებენ იმათ გონებასა, ვინც ლიტერატურა არ იცის და მაინც ეტმბანებიან ლიტერატურასა.

და კიდევ თუნდ ჩანაწერი კვლავ იმავე წლის 11 სექტემბრისა, გურამ გეგეშიძე, ოდნავ შემთვრალი, რომ მიმართავდა ოთარ ჩხეიძესა და ჭაბუა ამირეჯიბს: თქვენ ნაკითხული არ გექნებათ ჩემი რომანი.

— რას ამბობ, — გაიკვირვებდა და იუკადრისებდა ჭაბუა, — ყველაფერსა ვკითხულობ!..

მე ჩემი წესი მაქვს რომანის ნაკითხვისაო, ამასაც დასძენდა და ამ წესსაც განუმარტავდათ:

— პირველ გვერდს გადავიკითხავ, მერე გადავშლი 36-ე გვერდს, ერთ გვერდს კიდევ წავიკითხავ და უკვე ვიცი ყველაფერი... რას ჰქვიან, არ წამიკითხავს!.. შენ რო მწერალი ხარ, ისეთი სხვა არ არის!..

არ ვიცი, კმაყოფილდება თუ არა გურამიო, — დღიურში ჩაინიშნავდა ოთარ ჩხეიძე, — ხოლო მე ველარ გამიგია, გავიცინო თუ არაო.

— ჭაბუა არა ხუმრობს. ჭაბუა ამტკიცებს, ისე თითქოს მეც მიჩვევდეს, ასე უნდა ნაკითხო რომანებიო. ეგება მართალიც იყოს, ზოგი რომანი მართლაც ასე უნდა ნაკითხოს ადამიანმა. ეგება. ეგების. მაგრამ ჭაბუა მაინც საოცარი რამ არის: არც არაფერსა კითხულობს, არცა წერს, არა, არა, არა წერს, თავისი ხელით სტრიქონიც არ დაუნერია, არა, არა, ამასაც თვითონ აღიარებს: მე ვყვებიო, — ჰო არცა კითხულობს, არცა წერს და მაინც პოპულარულ მწერლად არის გამოცხადებული, — რა საკვირველია და საოცარი!.. არა?!

და თუნდ კიდევ ჩანაწერი იმავე წლის 12 სექტემბრისა, ჭაბუამ რომ უნდა განაცხადოს უეცრად:

— ნობელის პრემიაზე ვიყავი წარდგენილი!..

— ვინ წარგადგინა?.. — დაინტერესდებოდა ბესიკ ხარაზაული.

— მე მაქვს მონერილობა, — პირდაპირ პასუხს აირიდებდა ჭაბუა, — ორმოცდაათის ნომინაციაში გავედი... 50 რომანია და „დათა თუთაშხიაც“ არის...

— ვინ წარგადგინა?.. — არ მოეშვებოდა ბესიკი.

— თუ გინდათ, გაჩვენებთ, — თავისას არ მოეშვებოდა ჭაბუაც.

მაგრამ ბესიკიც რომ გაჯიქდებოდა?!

— ვინ წარგადგინა?..

ენა დაებმოდა ჭაბუას, მაინც მოიკრებდა აზრს:

— პენკლუბმა!..

და ეს დიალოგი ოთარ ჩხეიძის დღიურის ფურცლებზე რომ გადაინაცვლებდა, ეს შენიშვნა მიედევნებოდა:

— ეს „პენკლუბი“, ვითომ „პენკლუბი“ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გამოაცხადეს: დიქტატორია, წერას გვიშლისო: თავში აბაშიძეები ეწერნენ. ნეტავი როდის ვინ რას უშლიდა ამ ლიტერატურაში ყოვლად ნებიერ აბაშიძეებსა, ანთუ ამასა, ჭაბუასა თუ სხვათა, ვითომ „პენკლუბი“ ვართო რო და-

ირქვეს?!. აქ მაინც გამოადგა: უშველა ჭაბუხას: „პენკლუმბა“ წარმადგინაო. ვითომ ასე წყდებოდეს ნობელის პრემიები... ჭაბუხა თხზავს. ბესიკს არა სჯერა.

და კიდევ თუნდ ჩანანერი 2000 წლის 3 იანვრისა...

თუმც ეს, მოდი, მერე იყოს, ამჯერად ეს რკალი მოთავდეს, ოთარ ჩხეიძე გაკვირვებული და გაოცებული რომ არის ჭაბუხა ამირეჯიბის ფენომენით და ახსნას ეძიებს ამ მოვლენისა, დასავლური ლიტერატურული საამქროების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვად რომ ვარაუდობს.

ჭაბუხა ამირეჯიბს კი ის აოცებდა, რატომ უნდა ყოფილიყო მასზე ნაწყენი ნოდარ თარხნიშვილი:

— უმადურობის მეტი რა მინახავს, მაგრამ ამ ნესიერ და პატიოსან ადამიანს რალა დემართა, რას მსაყვედურობს, ვისთან რა შემშლია, მაინცდამაინც მასთან რომ შემშლოდა. თვითონ თუ დასალუპავად ემეტება თავი, მე ვერ გავიმეტე, რა ვქნა, ვერ დავაჩქარებ მის აღსასრულს და... მადლობის მაგიერ რა?!. ეჰ, სიკეთე სიკეთით ვის გადაუხდია, „დათა თუთაშხიაც“ სხვა რა არის, თუ არა ამ ძველთაძველი სიბრძნის დადასტურება.

„რას ერჩი, ნაკითხვით კი ნაკითხული ჰქონია“, გაიფიქრებდა ზვიად გამსახურდია, შემთხვევით ეს ტირადა რომ მოესმინა.

„დათა თუთაშხიაც“ გამოქვეყნებას იმთავითვე აჰყვებოდა ხმაური — ჯერ მოწონებისა, დაიწყებოდა თუ არა მისი ბეჭდვა „ცისკრის“ ფურცლებზე. ეჭვი მერე უნდა მოჰყოლოდა და არანაკლებ გამოკვეთილიყო, ვიდრე ალტაცების ნაკადი, მაგრამ ესეც მხოლოდ ნაადგებოდა მის პოპულარობას, კინოსერიად გადაღება მთლად საყოველთაო ინტერესს რომ გააღვივებდა მთავარი გმირისადმი.

აგერ რუსეთშიც გაიკვლევდა გზას.

აგერ საზღვარგარეთაც გააღწევდა.

აგერ ნობელის პრემიაზე წარდგენის პატივიც ერგებოდა.

ჭაბუხა ამირეჯიბს მაინც არ აკმაყოფილებდა რომანის ირგვლივ შექმნილი უჩვეულობის შარავანდი და რედაქციაში მისი წარდგენისა და გამოქვეყნების პროცესსაც ლეგენდურ ხიბლში გახვევდა. და ათრთოლებული ჰყვებოდა, როგორ მიუტანა 1972 წლის მაისში მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი ჯანსუღ ჩარკვიანს, „ცისკრის“ რედაქტორს, მაგიდაზე დაუდო და უთხრა:

— ჯანსუღ, ძმაო, არა მგონია, ჩვენს დროში ამის დაბეჭდვა გაბედოთ. ამის გამოქვეყნება, ვფიქრობ, თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ მოხერხდება, მაგრამ გთხოვ, ნაკითხო და აზრი მითხრა. ველავ, ერთ კვირაში მოვალ...

და შეთანხმებისამებრ რომ ესტუმრებოდა: ნაკითხვით თუ არაო?! — ის მიუგებდა: ყველად ნავიკითხვით და მეექვსე ნომრიდან ბეჭდვასაც ვინცებოთ.

ჯანსუღი დღესაც თავზეხელაღებამდე გამბედავი კაცია, იმ დროს ხომ რა იქნებოდაო, — ჩაურთავდა მონათხრობს, — მაგრამ მე მოულოდნელობისაგან ყბა ჩამომივარდაო...

გამოვიდოდა მეექვსე ნომერი და... მეშვიდეს... მთავლიტი გადაელოებოდა... ვიზას არ მისცემდა რედაქციას. ოტია პაჭკორიასთან ერთად რომ მიაკითხავდა თერთმეტსართულიან სახლს, თანამშრომელი, ვისაც „დათა თუთაშხიაც“ საქმე ებარა, შვებულებაში აღმოჩნდებოდა...

რა თქმა უნდა განზრახო, — დასძინდა მთხრობელი, — საქმის იქამდე გაჭიანურების მიზნით, ვიდრე უშიშროების სამინისტრო თავის აზრს იტყოდო.

და აი, ამ ურთულეს წუთებში მხსნელად უნდა მოვლინებოდა თავისი ორი მეგობარი — ოთარ ქინკლაძე და თენგიზ ბუაჩიძე, რომელნიც ამცნობდნენ: პირველ მდივანს დასასვენებლად აფხაზეთში მიყვებით, გაგვატანე „დათა“, ნავაკითხვით და იქნებ დავიყოლიოთ გამოქვეყნებაზეო.

გატანდა და... კიდევ დატრიალდებოდა საქმე სხვაგვარად. ედუარდ შევარდნაძე ჭაბუხა ამირეჯიბის ძმაკაცების სიტყვას დაჰყვებოდა და, ნაკითხული არ ექნებოდა, რომ შემვიდე ნომრიდან ბეჭდვა გაგრძელდებოდა.

უკვე ნაკითხვისა და თბლისში დაბრუნების შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოიწვევდა „ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის მუშაობის შესახებ“ საკითხის განსახილველად.

შეფასება დადებითი იქნებოდა.

და მაინც, კულტურის განყოფილების გამგეს, ნიკა ჩერქეზიშვილს, დაავალებდა, რომანი გაემრავლებინა და აზრის გამოსათქმელად 25 მწერლისა და კრიტიკოსისათვის დაეგზავნა. 23 დადებითი პასუხი მიუვიდოდა.

იმ ორი უარმყოფლის ვინაობასაც შეიტყობდა ჭაბუხა ამირეჯიბი (ნეტა საიდან და როგორ?), მაგრამ დასახელებისაგან თავს იკავებს ლათინური ანდაზის მოშველიებით: მიცვალებულის გამო ან კარგი უნდა ითქვას, ან არაფერიო...

თხრობას კი ამ აღმტაცო აკორდით დააბოლოებდა:

ბატონ ედუარდს მანამდე ცენზურის მიერ ტაბუდადებული თეატრალური სპექტაკლებისათვის მწვანე გზა უკვე მიცემული ჰქონდა და ამას წიგნიც დამატაო.

ამ მონათხრობს ედუარდ შევარდნაძე ვრცელი ამონარიდის სახით შეიტანდა თავისი მემუარების წიგნში, თითქოსდა: მე რომ ტრახბახი არ გამომივიდეს, აგერ თვითონ მწერალი როგორ ჰყვება, მთავლიტის ჩარევა რომ აღვკვეთე და უშიშროების სამინისტრომდე არ გავახიხებინე რომანის ბეჭდვაო.

ისეთი დამაჯერებლობითაა გამოცემული „დათა თუთაშხიაც“ დაბეჭდვის ისტორია, როგორც ჩანს, ამასობაში თვითონ ბატონმა ჭაბუხამაც ირწმუნა ეს ლეგენდა, მის თვალში აუცილებელ შენამატად ნაგულისხმევი ამ რომანის ბიოგრაფიისათვის, თითქოსდა იდუმალემა და დეტექტიური ელფერი აკლდეს მისი შექმნის გარემოებებს.

მაგრამ ამან უნდა გადაფაროს დარხეული ხმები — მთავლიტთან ბრძოლის ამბებმა, რედაქტორის გაბედულებას ქვეყნის პირველი პირის თავგამოდებაც რომ უნდა მიმატებოდა და ასე ერთობლივი ძალით გაეტყხათ ცენზურის წინააღმდეგობა, მის მიღმა უშიშროების სამსახურიც რომ ილანდებოდა.

არა მგონია, ჩვენს დროში ამის დაბეჭდვა გაბედოთო...

გასაბედი განა რა უნდა ყოფილიყო?

ალბათ თანამედროვე ცხოვრებას წარმოსახავდა, კომუნისტური ჯოჯოხეთის ლაბირინთებს ამოზიდავდა და ამ რეჟიმსა და იდეოლოგიას უპირისპირდებოდა მხატვრული სამყაროთი, რომლის გამჭვირვალეობაც ძალდაუტანებლად გადაგიშლიდა თვალწინ ტრაგიკული რეალობის არსს... და მის გამომზეურებას, რა გასაკვირია, გადალობებოდა ცენზურაც და უშიშროების კომიტეტიც.

მაგრამ... „დათა თუთაშხიაც“ სამოქმედო დრო და სივრცე... მეფის რუსეთის დროინდელი სინამდვილეა — იმპერატორის წინააღმდეგ შემართული ყაჩაღი, მაშინდელ სოციალურ უკულმართობას რომ გაუგდია ტყეში, მაგრამ პიროვნული ღირსება და ზნეობა შეუნარჩუნებია და ხალხში სიყვარული მოუპოვებია, ადამიანები თავიანთ ოცნებას უკეთეს მერმისზე სულაც მის სახეში რომ ასიმბოლოებენ.

კი მაგრამ?! მის წინამორბედ ლიტერატურულ გმირებს კი არამცთუ კვალში არ ჩადგომოდა ცენზურა თუ უშიშროების სამსახური, კიდევ თავის სასარგებლოდაც იყენებდა — ზოგად იდეოლოგიურ მოთხოვნებს შეურევდა იმ აზრსაც, ყაჩაღი კეთილშობილი პიროვნება რომ შეიძლება იყოს და მერე რევოლუციონერებსა და რევოლუციასაც რომ შეიძლება დაუკავშირდეს.

ცხადია, ასეთი ყაჩაღი, ასეთი კანონგარეშედ გამოცხადებული პიროვნება არ შეიძლება არსებულებოდა საბჭოთა რეალობაში.

მეფის რუსეთის ხანაში?

იქ დაე გაგეშალა ფრთები და რაც შეიძლება იდეალური შტრიხებით შეგემკო მისი პორტრეტი.

არა მგონია, ჩვენს დროში ამის დაბეჭდვა გაბედოთო...

რა, რაიმე უშლიდა ხელს „არსენას ლექსის“ ახალ-ახალ გამოცემებს?

თუ ილია ჭავჭავაძის პოემას „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“?

თუ მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელს“?

თუ პარმენ ლორიას გადაუქეტავდნენ გზას „მეკლუდის“ გამოსაქვეყნებლად?

აბა, აქ რაღა იყო გასაბედი?!

თუმც მონათხრობში დამაფიქვრელი სხვა რამ უფროა — ედუარდ შევარდნაძე იმთავითვე რომ არის ჩარეული ამ რომანისათვის სახელის მოპოვებაში, საგანგებოდ რომ გასცემს დავალებას, შეავროვონ „დათა თუთაშხიას“ საქებარი სტრიქონები. საქებარი, თორემ აბა, რომ გაიგებდნენ, თვით პირველია დაინტერესებულნი, სულაც ერთმანეთს ნააჭარბებდნენ აღმატებული ეპითეტთა გამოძებნაში.

ესეც ლეგენდა ამ რომანის გამოქვეყნების პერიპეტეიებისა და კიდევ — ედუარდ შევარდნაძის დაპირისპირებისა ცენზურასთან, მარჯვედ რომ გააცურებდა და უშიშროების კომიტეტამდე აღარც მიიყვანდა საქმეს!..

ერთი ქართული ენის კონსტიტუციური უფლების გადასარჩენად მოეტყუებინა კრემლიც და უშიშროების სამსახურიც, და მეორე — „დათა თუთაშხიასათვის“ გზის გასაკაფად — ცენზურაც და იგივე უშიშროების კომიტეტიც...

— ლა-ამის სამი საათია და ყველაფერი გენიიალურააა-დაააა! — იყვირებდა კამორელი ლამის დარაჯი, ნამიერად რომ გადმოსულიყო გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ ჩარჩოდან და თავისდამოულოდნელად ჭაბუა ამირეჯიბის თხრობის შემსწრე გამხდარიყო.

წერა არ უყვარდა მაინცდამაინც, თორემ მოყოლა — იცოცხლე, მოუწყინრად და გატაცებით, მგზნებარედ და დაგემოვნებით!..

ქართული პროზის კლასიკოსიო, — ასე მოიხსენებდა ჭაბუა ამირეჯიბს ედუარდ შევარდნაძე თავის მემუარებში.

ცოცხალი კლასიკოსიო, — ჭაბუა ამირეჯიბის ხსენებისას ასეთივე შეფასება წაემძღვარებოდა სარედაქციო მინანქრში „რაო-რაოს“ კორესპონდენტის დავით ხუროშვილის ინტერვიუს საბჭოთა უშიშროების ყოფილ პოლკოვნიკთან, მწერალსა და ჟურნალისტთან ილია ბარამიძესთან, უმთავრესად იმ მწერლის გარშემო რომ ჩამოუგდებდნენ სიტყვას, ვისზეც იმდენი ტყუილ-მართალი დაწერილიყო, რაც თითქმის არავისზე (ძნელად იპოვითო) ქართულ ლიტერატურაში.

და აი, ახლა საბჭოთა უშიშროების ყოფილ პოლკოვნიკს უნდა დაეღაგებინა ყველაფერი თავის ადგილას, საბოლოოდ აღეკვეთა სიცრუე და გზა გაეხსნა ჭეშმარიტებისათვის, რაც მისი დასტურის შემდგომ დაუეჭვებელი უნდა შექმნილიყო ყველასათვის.

სათაურიც შესაფერისი შერჩეულიყო ინტერვიუსათვის, ერთობ დამაინტრიგებელი, როგორც ჩვენს ჟურნალისტებს უყვართ თქმა: „იყო თუ არა ჭაბუა ამირეჯიბი უშიშროების აგენტები?!“

ილია ბარამიძე როგორც ირწმუნება, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბი წყნარად და წესიერად ცხოვრობდა, თანაც მწერლობას მოჰკიდებოდა, ასე რომ უშიშროების კომიტეტს მასზე თვალთვალის საქმე არ უნდა გაეხსნა, მაგრამ ამჯერად დადგენილ წესს შეცვლიდნენ.

რა შეიძლება ყოფილიყო მასზე თვალთვალის საქმის გახსნის მიზეზი?

— ყოფილ კატორღელთა ყოველწლიური შეხვედრები, რომელთაც ის ხელმძღვანელობდა, თუმცა ამ შეხვედრებზე

ანტისაბჭოური მსჯელობები არ იმართებოდა. მოკლედ, ბატონ ჭაბუას ისე უთვალთვალდებდნენ, როგორც ვულკანებს — ფუძიამასა და ეტნას, ვინ იცის, როდის გაიღვიძებო.

— იყო თუ არა თვალთვალის საქმეში რაიმე ცნობა მისი აგენტობის შესახებ? — ცნობისწადილს გამოიჩინდა ჟურნალისტი.

— წარმოიდგინეთ, საქმეში იდო ხელწერილი, რომლითაც ის ჩეკას საიდუმლო თანამშრომლობას, ანუ აგენტობას კისრულობდა, — ამას კი მიუგებდა ყოფილი პოლკოვნიკი, მაგრამ იმიტომაც, რომ კონტრასტის ხერხის მოშველიებით კიდევ უფრო მოულოდნელი და ეფექტური გაეხადა მომდევნო სიტყვები:

— ღმერთმა ყველა ქართველი გვატაროს ცხოვრების გზაზე ისეთი სუფთა სინდისით, როგორითაც ბატონ ჭაბუას უვლია.

კი მაგრამ, ეს ორი საპირისპირო პოლუსი როგორ შეიძლება შეთანხმდეს ერთმანეთთან უნიკალურად სუფთა სინდისის განზომილებიდან?

თურმე სულ ადვილად:

— 1943 წელს ჩეკას ბატონი ჭაბუა კი არა, იატაკქვეშა ნაციონალისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი მუსტაფა შელია აინტერესებდა, რომელმაც ჭაბუა თავის ორგანიზაციაში გაანერვიანა, იარაღის შესაძენად აბეჭდვინებდა პურის ყალბ ტალონებს, რომელთაც მერე ყიდდნენ. ეს ჩეკასათვის ცნობილი გახდა. შელია ვერაფრით ვერ მოიხელთეს, ამ ტალონების საბაბით კი ჭაბუა დაიჭირეს და ციხიდან გაშვების ფასად საიდუმლო თანამშრომლობა და მუსტაფას დაჭერაში დახმარება შესთავაზეს. ჭაბუა მიხვდა, რომ დახვრეტა თუ არა, ხანგრძლივი პატიმრობა გარანტირებული ჰქონდა, თანაც მისი პატიმრობა მუსტაფასა და მის თანამებრძოლებსაც ვერ იხსნიდა განსაცდელისაგან და იმ სიტუაციაში ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო — თანამშრომლობაზე დათანხმდა და ხელწერილიც მისცა. ამის შემდეგ ჭაბუა გამოუშვეს, მან კი შელია გააფრთხილა, იატაკქვეშეთში გადავიდა და „გააბრაგდა“ ისევე, როგორც მისი გმირი დათა თუთაშხია. ასე რომ, დათა თუთაშხიას „გადაბირების“ ფორმა და მოტივები ძალიან ნააგავს ბატონი ჭაბუას „გადაბირებას“.

როდესაც ილია ბარამიძეს 1980 წელს ფოთიდან თბილისში გადმოიყვანდნენ იმ ქვეგანყოფილების უფროსად, რომელიც ინტელიგენციას „ემსახურებოდა“ (თურმე არსებობდა ასეთი ტერმინიც!), წარმოებაში ჭაბუა ამირეჯიბის თვალთვალის რამდენიმეტომიანი საქმე დახვდებოდა და მისი გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ მოუხდებოდა ეყვირა:

— ბრავო, ჭაბუა!..

თუმც ხმამაღლა თუ ვერ განაცხადებდა, გუნებაში ხომ იყვირებდა მთელი გზებით.

ამ სურვილს კი გამოინვევდა თუნდ ამ მონაკვეთის ნაკითხვა, თუ რაოდენ მარჯვედ გაეცურებინა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჭაბუას ჩეკელები... მათთან თანამშრომლობას რომ დაყაბულებულიყო და თანხმობა ხელწერილითაც დაედასტურებინა!..

ზურგს აქცევდა ილია ბარამიძე უშიშროების სამსახურს, როგორც კი ეროვნული მოძრაობა იატაკქვეშეთიდან სამზეოზე ამოვიდოდა და საერთო-სახალხო პროტესტად აღზევდებოდა... ლექსების წერას მიჰყოფდა ხელს და რედაქციების ხშირი სტუმარიც შეიქნებოდა.

— ყოფილი ჩეკისტი არ არსებობს! — ხან ვინ და ხანაც ვინ გააგონებდა, და ეს ეთანხმებოდათ: საერთოდ ასეაო, — მაგრამ საკუთარ თავს გამონაკლისად მიიჩნევდა: მე ნამდვილად ყოფილი ვარ, რაც იქიდან ნამოვედი, აღარც გავკარებოვარ იქაურობას და აღარც გავეკარებო... ხელი აქვთ ჩემზე ჩაქნეული და აღარც აღარაფერს მოხოვენო...

მოენანიებინა თავისი წარსული.

გაიძახოდა: მზად ვარ წარვსდგე ჩემი ხალხის წინაშე...

ანუ: მზად გახლდათ, ყოველ წუთსაც დაეყარა თავზე ნაცარი.

ეს კი გულისხმობდა, რომ გულახდილად უნდა გადმოეზა-
ნარსული ცოდვები ჟურნალისტების წინაშე.

და მაშინაც:

ერთ-ერთი საუბრისას ჩამოჰყვებოდა უშიშროების სამსა-
ხურში საქმიანობისას ცალკეულ ეპიზოდებს, ან სანაწურად
გადაქცეულს, და ერთ-ერთ ცოდვად აღნიშნავდა, რომ: უშუა-
ლოდ მონაწილეობდა მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება-
ში ქართული ლიტერატურის მუზეუმში — მისი დირექტორის
იზა ორჯონიკიძის კაბინეტში.

— ნუთუ სუკი ასე იყო დაინტერესებული იზას საუბრე-
ბით? იქ ასეთი ცხელი კერა ეგულებოდა თუ რა? — გავიკვირ-
ვებდით, ვინც ყოფილი პოლკოვნიკის იმ აღსარებას წავი-
კითხავდით და... ერთბაშად ამალღებოდა იზა ორჯონიკიძე
ჩვენს თვალში, — ეტყობა, მართლაც მნიშვნელოვან ფიგურ-
ად, სახიფათო მეტოქედ მიიჩნევდნენ, რაკილა მოსასმენ აპა-
რატს დაუდგამდნენ, ფარულად რომ მიეყურადებინათ მისი
ყოველი სიტყვისათვისო.

ვილაც იმასაც იტყოდა:

— ზვიად გამსახურდია იზას რომ სწამებდა სუკის აგენ-
ტობას, აგერ, ხომ გამოჩნდა, რომ მათი აგენტი კი არა, დისი-
დენტი ყოფილა და თანაც საკმაოდ გავლენიანი და საშიში
იმათთვის, თორემ დისიდენტები სხვანიც ვიცით, მაინცდამა-
ინც რომ არ გარჯილა უშიშროება მათ მისაყურადებლად, ყო-
ველ შემთხვევაში, განა რამდენ პიროვნებას ჩამოეთვლით,
მოსასმენ აპარატს რომ უმაგრებდნენ სამუშაო ოთახში?!

რა გინდოდა გეტქვა!..

და ყველა თავს დაუქნევდით.

და აი, იმავე დღეებში ბორენა ჯაჭვლიანი შემთხვევით
შეხვებოდა ქუჩაში ილია ბარამიძეს, ვინც გაპოეტების შემდ-
გომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციასაც სტუმ-
რობდა და პირველ ყოვლისა ბორენას წარუდგენდა ხოლმე
ლექსების ახალ რკალს, როგორც პოეზიის განყოფილების
გამგეს, და დიდადაც ემადლიერებოდა, ასეთი გულისხმიერი
ადამიანი იშვიათად შემხვედრია, შენიშვნებიც ყოველთვის
დამაფიქრებელი და გასათვალისწინებელი რომ აქვს და ლექ-
სების ამორჩევაშიც ძალიან მეხმარებაო.

იმ შეხვედრისას კი:

— ეს რა ჩაგიდენია, იზასთვის მოსასმენი აპარატი რომ
დაგიმონტაჟებია!.. ყოჩაღ, იზა, ასე რომ შეგაფუცხუნათ...
— თქვენთან რა მაქვს დასამალი, ქალბატონო ბორენა, —
ცოტა არ იყოს აიწურებოდა თანამოსაუბრე, — ისეთ პატივს
გცემთ, ისე გაფასებთ... ერთი სიტყვით, არავითარი მოსასმენ-
ი აპარატურა იზას კაბინეტში არ დაგიმონტაჟებია — არც
მე და არც არავის.

— კი მაგრამ... — ამას ენა დაებოდა.

— რა არის, იცით, თვითონ მთხოვა ქალბატონმა იზამ,
სადმე დაწერე, თითქოს ჩემს კაბინეტში მოსასმენი აპარატურ-
ა გაქვს დამონტაჟებულიო... ისეთი კარგი ქალია, ისე გუ-
ლით მეხმარება წიგნის გამოცემაში, უარი როგორ მეთქვა...
თქვენც თუ დაგჭირდეთ რამეში, ქალბატონო ბორენა, რომ
უშიშროება გითვალთვალებდათ ან მოსასმენი აპარატი ჩად-
გეს თქვენს ბინაში თუ სამსახურში, აუცილებლად ვიტყვი
სადმე... რას ამბობთ, თქვენი ვალიდან ვერ ამოვალ... ოღონ-
დაც დაგჭირდეთ...

— კი მაგრამ... — ამას ენა დაებოდა.

ბორენა ისეთი ავარვარებული გამოეცლებოდა, თითქოს
თვითონ ჩაედინოს რაიმე დანაშაულ... ძალიან განიცდიდა, უნე-
ბურად ეს ფარული გარიგება რომ გამოარკვია და რამდენჯერმე
დასცდებოდა მეგობართა წრეში: ნეტა სულ არ გამეგო!..
ვეხუმრებოდით:

— ეს რამხელა დამსახურება მოგენიჭა ილია ბარამიძის
თვალში, რომ მოინდომო, შესაძლოა მისი დახმარებით ისეთი
ბიოგრაფია შეიქმნა, დისიდენტებს შეხარბებოდათო.

— ბრავო! — ყვიროდა ილია ბარამიძე გუნებაში, ჭაბუა
ამირეჯიბის საქმეს რომ ფურცლავდა, და იხილებოდა მისი

მარჯვე მოქმედებით, თანამშრომლობას რომ დათანხმდებო-
და ჩეკასთან და... ხერხიანად გააცურებდა კი გამობრძმე-
დილ-გამოდენკილ ოფიცრებს.

...არ არსებობს უშიშროების ყოფილი თანამშრომელიო, —
გვიმტკიცებენ.

მაგრამ ხომ შეიძლება არსებობდეს გამოწვევისი?!

მეტი მონანიება და აღსარება რაღა გინდა, როდესაც კაცს
არავინ პირზე არ ადგება, მაგრამ იგი მაინც მხურვალედ ირწ-
მუნება: მოსასმენი აპარატურა მაქვს დამონტაჟებული აქა და
აქ, ამა და ამ პიროვნების საუბრების გასაშიფრადო...

2000 წლის 3 იანვარს ნისლში ინვა თბილისი, თუმც ოთარ
ჩხეიძეს მეორე დღეს მზის გამოჩახახებისა ეიმედებოდა.

წინა დღით სპორტულ მიღწევებს ზეიმობდნენ და ტელე-
ვიზიით მოუსმენდა.

ჭაბუა ამირეჯიბი გამოვაო, — გამოაცხადებდნენ.

და აი, მისი დღიურის („დროდღრო“) ფურცლებსაც უნდა
შემოენახა ეს გამოსვლა, გაცილებით უფრო სანდოდაც და
კანთიელადაც, ვიდრე ფირი აღბეჭდავდა:

— ხმა არა აქვს, ვერა ლაპარაკობს. მერე რაო — გამოვა.
ფურცელს აწვდის გამომცხადებელსა. პატარა ფურცელია,
ორი სტრიქონი... მერე რაო. ცხრაჯერ თავს დაუკრავს პრეზი-
დენტსა. სადაც პრეზიდენტია, ისიც იქ უნდა იყოს. იქაც არის,
მაგრამ ჰო უნდა დაენახოს კიდევაცა... და ენახება: ცხრაჯერ
თავს უკრავს. ტაშს უკრავენ. ტაში უნდა. არტისტია. ტაში უნ-
და. რა ვუყოთ თუ ხმა წართმევია. ტანი ჰო არა, თავი ჰო არა,
— თავს უკრავს დარბაზსა, უფრო პრეზიდენტს უკრავს თავ-
სა... ბოლოს პრეზიდენტიც რო გამოდის, სპორტსმენებზე ლა-
პარაკობს რაღა თქმა უნდა. ეს აღარც ახსოვს. ამას უნდა რო
ახსენოს, აქაც ახსენოს, ყველგან ახსენოს, სულ ეს ახსოვდეს,
უნდა, უნდა, უნდა, მეტი აღარც აღარაფერი არ უნდა რაღა
თქმა უნდა. რა ჟინია ასეთი?!. არის და!.. თუ მოგერია, ვაი შე-
ნი ბრალი. ვაი შენ ამაოებავ ამოათა!..

ნისლი აწვა თბილისს. მობურულიყო, მობურულიყო.

პორტრეტი კი ისეთია ჩახატული, ორიოდ შტრიხით ისე შთამ-
ბეჭდავდა წარმოსახული, აღარაფრის მიმატება აღარ სჭირდება.
გამზადებული ხასიათია, და რაც მთავარია, განზოგადებულიც,
გასიმბოლოებულიც, თვითონ ჭაბუა ამირეჯიბი სულ სხვა სიმ-
ბოლოს შარავანდექემ რომ წარმოიდგენდა ხოლმე თავს.

არ ეკუთვნოდა თუ?!

ლელო გაეტანა ნუთისოფელთან ჭიდილში, მხრებზე მო-
ეგდო ეს ცხოვრება და ახლა სიკვდილსაც ინვევდა ორთაბრ-
ძოლაში, რვა ათეულსაც რომ ამოათავებდა, გამოუშრებოდა,
გამოეფიტებოდა სხეული, მაგრამ არ ეთმობოდა და არა სა-
ნუთო და... კი გასდიოდა თავისი.

ბერადაც რომ შედგებოდა?!

ეს ხომ მურმან ლებანიძემაც იწინასწარმეტყველაო, — ვი-
ლაც აუცილებლად შემახსენებს მის ლექსს „წარწერა წიგნზე
„დათა თუთაშია“:

— მეკობრე, ბერად შემდგარო...

სულ სხვას გულისხმობდა პოეტი, ამ დითირამბულ პოე-
ტურ ნიმუშში ამ სტრიქონსაც რომ გამოურევდა, სურდა ერთ
მოქნეულ ფრაზაში ჩაენურა ჭაბუა ამირეჯიბის არაორდინა-
რული ბიოგრაფია, გზა პატიმრობიდან მწერლობამდე... და
მწერლის გაიგივებას სასულიერო პირთან ამ სტრიქონიცაც
განამტკიცებდა: მიყვარხარ — ეხლა დაღლილი, სენაკში —
სანთლით მჯდომარეო...

თუმც... ქვემეცნეულად ეგებ მართლაც ეგრძნო მურმან
ლებანიძეს თანამოკალმის ეს ხვედრი?!

ყოველ შემთხვევაში მასზეც თუ ოდესმე შეიქმნება ბიოგ-
რაფიული რომანი, ავტორს სათაურის ძებნა არც დასჭირდებ-
ა, თავისთავად ჩაუვარდება ხელში ეს ელვარე სტრიქონი:
„ბერად შემდგარი მეკობრე“.

„ბერად შემდგარი მელი“ — ეს სულხანსაბასეული სათაუ-
რი ზუსტად მოერგება ედუარდ შევარდნაძის ცხოვრების
ქრონიკას, ოღონდ იქ — პირნმინდად სიმბოლურ-მეტაფორუ-
ლად.

„ბერად შემდგარ მეკობრეში“ კი ორივე პლანი მოხდენი-
ლად ენაცვლება ერთმანეთს: სიმბოლურ-მეტაფორული და
რეალისტურ-ნატურალისტური. და რომელი რომელს აჭარ-
ბებს, დაბეჯითებით ვერც გამოარჩევ.

დანერს თუ ვერ დანერს რაიმე მსგავსს თავისი სახელგან-
თქმული რომანისას, სულერთია, „დათა თუთაშხია“ საცხებით
საიმედო გარანტია მისი ავტორის, მეტი რომ არ ვთქვათ, მრავ-
ალსაუკუნოვანი სიცოცხლისათვის, — რომ დანერდა მურ-
მან ლებანიძე ამჯერად პროზის ფორმით გამართულ დიდი-
რამში, ამ ფიქრსაც გაამხელდა: ღმერთო, შეგცოდე და, რაღა
აქვს დასაწერი, რაღა უნდა დანეროს, სულაც რომ ხელები ჯი-
ბებში ჩაიწყოს, ეგების სჯობდესო.

15 წლის შემდგომ კი მოუბოდიშებდა ჭაბუა ამირეჯიბს:
უკან მიმაქვს ჩემი სიტყვიერო.

„გორა მბორგალის“ შვიდი დამოუკიდებელი ეპიზოდი გა-
ემზადებინა სასტამბოდ და მადლობას უძღვნიდა ავტორს,
რომ მის პატარა გამომცემლობას „ჩანგი“ საშუალება ეძლეო-
და გამოეცა ჭაშნიკი დიდი ნიგნისა, რეკლამა გაენია ჭეშმარი-
ტი ლიტერატურისა და ნამდვილი მხატვრული ღირებულები-
სათვის.

ბერად შემდგარი მეკობრეო...
მღვლელები ირწმუნებოდნენ: ვასწავლეთ „მამაო ჩვენო“ და
ჩვენს წინაშე უშეცდომოდ წარმოთქვაო!..

ცოტა კი დაგვიანებოდა ლოცვის სწავლა, მაგრამ, მოგეხ-
სენებათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

სენაკის მაგივრობას... მისი ოთახი გასწევდა.

მწერლის ოთახი მეტაფორულად თუ სიმბოლურად რომ
გაუიგივებიათ ხოლმე სენაკისათვის, მურმან ლებანიძის
თუნდ იმ სტრიქონისა არ იყოს, აქ პირდაპირი აზრითაც შემს-
ჭვალვოდა ერთმანეთს... თუმცა შინაური ბერობა სადაური რა
ბერად აღკვეცა გამოდროდა?!

მაგრამ ეგეც არის:

ისე დაქსელილა ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება პარადოქ-
სებით, რაღაც ამგვარიც რომ არ მომხდარიყო მისი სიცოცხ-
ლის მიმწუნებზე, გულს დაგვაკლდებოდა და ძალიანაც დაგ-
ვაკლდებოდა.

სამუდამო განსასვენებელს იმზადებდა, და რაკილა დიდად
არ ეიმედებოდა, რომ გააღწევდა ნაციონალური მოძრაობის
მმართველობის ხანას, მათგან სიკეთეს არ ელოდა და ვარაუ-
დობდა: ესენი დიდუბის პანთეონსაც არ მალისებენ, ან დი-
დუბეც რა ბედენაო!..

რაღაც განსაკუთრებული რომ წყუროდა და... დანანებით
გაჰყურებდა მთანმინდას, ბერის სამოსელში გახვევა მაშინ
მოაფიქრებოდა — ჭაბუას ჩანაცვლება დავითით იმ წყალო-
ბას პირდებოდა, რომ... სამების ტაძრის გალავანში ჰპოვებდა
ძვალშესალაგს.

ეს გარემო არ გახლდათ მთანმინდა, მაგრამ გამორჩეულო-
ბის შარავანდს მაინც დაადგამდა — ბოლოს და ბოლოს მართ-
ლა სასულიერო პირი ხომ არა ყოფილა, საერო კაცი ბრძანდებ-
ოდა და მოსალოდნელი დაკრძალვა საქართველოში ყველაზე
დიდი ტაძრის ეზოში უშომინებდა განსაკუთრებულობის
წყურვლს, მახვილგონივრული მიგნების წყალობით მოპოვე-
ბული სამუდამო სამყოფელი უცხოობა შინაგან ფორიაქს
და... სიამაყითაც აღავსებდა: ხომ მაინც ჩემი გამაქვსო!..

ხელისუფლება ვერ გადაელობებოდა წინ სამების ტაძარში
მოსალოდნელ სამგლოვიარო პროცესიას.

მაგრამ თურმე ფარული ოცნების ახდენასაც უმზადებდა
ბედი, მის აღსასრულს მანამდე რომ გადაავადებდა, ვიდრე
ქვეყნის მმართველობის სადავეებს „ქართული ოცნება“ არ
გადაიბარებდა... და კიდევ ციმციმ აასვენებდნენ მის ნემსს

მთანმინდაზე, ის კანონი აკი წლების წინათ გადახეულიყო, აქ
სამუდამო სავანის მოსაპოვებლად გარკვეული დროის გასვ-
ლას რომ ითვალისწინებდა... და მხოლოდ მაშინ... და მხოლოდ
შემდეგ...

ამჯერადაც ვილა გაიხსენებდა, როდესაც ახალი ხელისუფ-
ლების თანამდგომი მწერლის სამარე უნდა შერჩეულიყო... მამ
არადა, ჯერ სადმე სხვაგან დაკრძალავდნენ და მხოლოდ
თხუთმეტი წლის შემდგომ გადმოასვენებდნენ მთანმინდაზე...
ყისმათი ბოლომდე გაუჭრიდა.

თუმცა ყისმათი იმაზე კიდევ უფრო ითქმის, ედუარდ შე-
ვარდნაძეს რომ ერგებოდა სიბერე — მშვიდი, ტკბილი,
აუღელვებელი... ნაცვლად გასამართლებისა და უამრავი
ცოდვის დახვავებისა, მორალურად რომ მაინც მიუსჯიდნენ
შესაფერის სასჯელს, თუ 80-ს გადაცილებულ ბერიკაცს მაინ-
ცდამაინც ციხეში არ გაისტუმრებდნენ. ისე უდრტვივლად
ალამ-ათენებდა დღეებს, თითქოს ჭია რა არის, ჭიხსთვისაც
არ დაედგას ფეხი და სიკეთის ფრქვევის მეტი არაფერი ეკე-
თებინოს.

ყისმათს თვითონაც მარჯვედ შეეშველებოდა, ერთ გრან-
დიოზულ სპექტაკლს რომ დაგვიდგამდა 2003 წლის ნოემბრის
დღეებში.

დავამხეთ, დავასრულეთ შევარდნაძის რეჟიმო, — გაიძა-
ხოდა ნაციონალური მოძრაობა, ზარზეიმით რომ გადაიფორ-
მებდნენ ხელისუფლებას.

„ვინ ვინ დაამხო!..“ — გუნებაში ელიმებოდა კრწანისის
რეზიდენციისაკენ მიმავალ, ან უკვე გადამდგარ პრეზი-
დენტს, უფნებლად რომ გამორიდებოდა მოსალოდნელ ხი-
ფათს და სრული გარანტიაც მიეღო ხელშეუხებლობისა ახა-
ლი მმართველისა და მის პატრონთაგან.

დამწუნებულები კაცის ნილაბი მოერგო, თითქოსდა ხელი-
დან გამოეცლიათ ძალაუფლება და... ლანგრით კი არ მიერთ-
მია თავის შვილობილთათვის!..

— ლამაზად წააგოო, — თავს იმშვიდებდნენ თუ გულს
იკეთებდნენ მისი მომხრენი.

წააგო კი არა!..

რაც განეზრახა და როგორც განეზრახა, ისეც მოება თავი,
ყველა ძაფი ხელთ რომ ეპყრა ნოემბრული ეპოპეისა და შესა-
ბამისადაც ამოძრავებდა და ათამაშებდა.

და, აბა, წაგებად როგორ უნდა თქმულიყო ის, რაც მისი
რეჟისორული ხელოვნების დადასტურება და ტრიუმფი გახ-
ლდათ!..

მისი მასშტაბებისა და გაქანების კაცი სპექტაკლს, აბა,
პარლამენტის სასახლიდან ორიოდ ნაბიჯზე ხომ არ დადგამ-
და, რუსთაველის თეატრის შენობაში, იქ ხომ არ შეიყუყუებოდა
და სულს შეიხუთავდა, ამხელა სცენა ტყუილურაოდ ხომ
არ მოუპოვებინა, თავისი „წასვლა“ დიდებულ სანახაობად
რომ არ ექცია, გრანდიოზულ გაცილებად, იქ თავშეყრილ
უამრავ ადამიანზე მალევე რომ იძიებდა შურს... ახალი ხელი-
სუფალის ხელით.

„თქვენს თავს დააბრალეთ!..“ — თვალბეში ეწერა, როდე-
საც ამბობდა იმ ერთადერთ სიტყვას:

— სახლში!..

თვითონ კი ეშოვნა საიმედო თავშესაფარი, იმათ ეკითხათ,
აგიტაცით გაბრუებულნი რომ ივედრებოდნენ: ოღონდაც
შევარდნაძე ნულა იქნება და ვინც გინდა მოვიდესო!..

და აჰა, ესეც „ვინც გინდა“...

დამწუნებულები კაცის ნილაბიო...

ერთხანს შეინარჩუნებდა ამ ნილაბს, გაყუჩებას ამჯობი-
ნებდა... მაგრამ როდესაც შეატყობდა, მგონი დროა სიმართ-
ლე გავამუღავნო და ჩემი რეჟისორული ხელოვნებით ახლა
მაინც მოვიწონო თავიო, კიდევ განაცხადებდა საქვეყნოდ, და
სწორედ იმ მეტაფორით, რაც ისედაც მოგვეხსენებოდა ყვე-
ლას, ვინც დემაგოგიითა თუ აგიტაცია-პროპაგანდით არ გავ-
ბრუებულიყავით:

— ლანგრით მივართვი ხელისუფლებას!..

და სიაბტკილობით გადაკეცილ წლებს თავისი კრანისუფლი ეპილოგისა თანადროული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდინარების შეფასება-განსჯაში გაატარებდა — ყოველკვირულ საგაზეთო გამოსვლებში „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე, არმაზ სანებლიძესთან გამართული დიალოგების ციკლში.

პოლიტიკურ პროგნოზებსაც ხშირად გამოთქვამდა.

შევარდნაძის რეჟიმი და შევარდნაძის რეჟიმიო, — ხომ არ აკლდა მწვავე გადაკვრები მის გაზრდილთაგანაც, მაგრამ ისინიც მას უგდებდნენ ყურს, მის რჩევებსა და პროგნოზებს ითვალისწინებდნენ და ამ გზას მიჰყვებოდნენ.

სანატრელი სიბერე დასდგომოდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ჩაეხვია სამაგიეროს გადახდის ჟინი მისი შემცველის მიმართ და მარტოდ შთენილი მჯილსაც ჩაიკრავდა გულში: ისე როგორ ნავიდე ამ ქვეყნიდან, ვერ მოვესწრო მის დამხოვას, სამუდამოდ რომ ჰგონია დასაკუთრებული პირველი პირის სავარძელი, როგორ გამოეცლება ქვემოდან და ხახამშროლი დარჩება, ის როგორ არ უნდა ვნახო და ნიშნაც არ მოუფუგოო!..

გულდასმით მიყურადებოდა პოლიტიკურ დინებებსა და ხვეულებს, ზედაპირულ თუ შემალულ ნაკადებს და... ხელსაც შეუწყობდა ახალი პოლიტიკური ძალის გამოსვლას ასპარეზზე, თავის მხრივ საქვეყნოდ რომ გაამხნევებდა და ბეჭედსაც დასცემდა იმ გარდუვალობას: როგორც უნდა ეცადოს მიხეილ სააკაშვილი, როგორც უნდა გადაეღობოს, ვერ შეაჩერებს ბიძინა ივანიშვილსო...

იქ წყდებოდა გადასანყვეტი.

ეს ფრაზა ისევე მოასწავებდა გარდუვალ შედეგს, როგორც ის სიტყვები „ვრემიას“ პროგრამაში გამოსვლისას: ზვიად გამსახურდიამ საქართველოში ნაციონალ-ფაშისტური ტიპის რეჟიმი დაამყარაო.

და შეეძლო უკვე გულმშვიდად გაეხურა ამა ქვეყნის კარი, რაკილა ეს სამაგიეროც გადახდილი გახლდათ და ერთი ვალიც აღარ მიჰყვებოდა.

ეს... მისი გადმოსახედიდან, თორემ...

ედუარდ შევარდნაძის შემოქმედებითი გზა იქ არის წარმოსახული თუ არის, ზვიად გამსახურდიას იმ პუბლიცისტურ ნარკვევში, თვითონ „ღია წერილად“ რომ მიიჩნევდა, არსებითად კი მისი ადრესატის პოლიტიკური პორტრეტი წარმოისახებოდა — რელიეფური და ანალიტიკურად დანანევრებული, ადრესატი თავდაჯერებით რომ დაჰყურებდა: ამ სიცრუეების გაფანტვა ყოველგვარი სირთულეების გარეშე შემოიღია, ეგაა, უარყოფის სენით არასოდეს ვყოფილვარ დაავადებულიო.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება შეეცდებოდა მისი აღსასრული დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის გარდაცვალება-დაკრძალვისათვის გაეიცივებინა...

თუმც...

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი მოვალედ მიიჩნევა და თავს, გამოხმაურებოდა ამ მოვლენას, რასაც ერქვა ედუარდ შევარდნაძის დასაფლავება, და რაც შეიძლება თავშეკავებულად და პირუთვნელად შეეფასებინა ჩვენი ყოფითი რეალობის ეს ეპიზოდი.

როდესაც თვალს გადაავლებდა სხვათა გამოხმაურებებს, ის შეიქნებოდა მისთვის თვალშისაცემი, რასაც ისედაც მოელოდა საზოგადოებრივი განწყობლების კვალობაზე:

ერთნი, განადგურებულნი და რეპრესირებულნი, რომელთა თავზეც წისქვილის ქვალა დარჩენილიყო დასაბრუნებელი, სასტიკად გამოხდნენ და აძაგებდნენ მას სამშობლოს წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამო.

და ძალაუნებურად წამოეჭრებოდა კითხვა: გიფიქრიათ, რამდენად სამართლიანი და ობიექტური იქნებოდა მათთან შედავებო?

მეორენი საუბრობდნენ მის პოლიტიკურ ფორმატზე, მის საგარეო თუ სამინაო პოლიტიკურ მიღწევებზე. და ამ მართ-

ლაც განდიობული პოლიტიკური პროექტების ფონზე, რაღაც გასაკვირი გახლდათ, რომ რეპრესირებულნი, განადგურებულები საერთოდ არ განიხილებოდნენ, როგორც ფაქტორი.

და მოადევნებდა, რომ თავისი ცხოვრების 42 წლის განმავლობაში, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა — მაშინ უმცროსი კონსტანტინე 11 წლისა გახლდათ — იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მისი, მისი თაობისა და მის თანამოქალაქეთა ბედს:

— რომელიც საკმაოდ მძიმე გამოდგა.

და მიიჩნევედა, რომ თვითონაც ერთ-ერთი იყო მის მრავალრიცხოვან მსხვერპლთაგან — დაზარალებული ადამიანიურად, პოლიტიკურად, სამართლებრივად, სოციალურად.

არ აპირებდა დიდსულოვნების თამაშს და არც ეცდებოდა ამ წუთას გამხდარიყო ასეთი, თუმც ქრისტიანობა აქეთ მოგვიწოდებს.

— ამის უფლებას თუნდაც ჩემი განადგურებული მეგობრების და ახლობლების აზრდილები არ მომცემენ, მამაზე რომ არაფერი ვთქვა — ის ხომ საქართველოს დანაკარგია და არამარტო ჩემი ოჯახის. ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები არავინ მძულდეს, და არც დაუმსახურებლად მიყვარდეს ვინმე. ყოველთვის მწამდა სამყაროში ზნეობრივი წესრიგის არსებობა, სადაც ყველა საბოლოოდ იმას მოიძიოს, რასაც დასთესს.

ამ სიტყვებში ოდნავადაც არაფერია მოჩვენებითი თუ გადაჭარბებული.

მართლაც ამ მორალური თვალსაზრისიდან გადაიხზებდა ყველასა და ყველაფერს და ამჯერადაც შეინარჩუნებდა სულიერ სიმართლესა და შეუვალობას.

და ამ თვალთახედვით, ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვაზე მგლოვიარე მოქალაქეების სიმცირე როგორ შეიძლება აღექვა, თუ არა მკაფიო გზავნილად, მიმართულად ყველა ლიდერის, პოლიტიკოსისა და სახელმწიფო პირის, როგორც ახლანდელთა, ისე მომავალთა მიმართ:

— როგორი დიდი სახელი და მიღწევიც უნდა გქონდეთ საერთაშორისო მასშტაბით, როგორც უნდა გაფასებდნენ რუსი თუ ევროპელ-ამერიკელი კოლეგები, ნუ დაგავინყდებათ, რომ თქვენი უპირველესი მსაჯული საქართველო და მისი ხალხია. და თუ შეგატყობთ, რომ თქვენი ქვეყანა არ გიყვართ და გასურთ პირადი ინტერესებისთვის გამოიყენოთ იგი, რომ ჩვენი სოციალური პრობლემები და გაჭირვება მხოლოდ ლობის ჩხირია თქვენთვის, ნუ მოელით ჩვენგან სიყვარულს და დაფასებას ნურც სიცოცხლეში, ნურც გარდაცვალების შემდეგ.

და თავის მხრივ რა შეიძლება დაემატებინა ხალხის ამ მკაფიო გზავნილისათვის, თუ არა დასტური:

— დაიმახსოვროს ეს ყველამ.

„ბერად შემდგარი მელი“ — გვკარნახობს სათაურს საუკუნეთა სიღრმიდან სულხან-საბა ორბელიანი ბიოგრაფიული ქრონიკისათვის ედუარდ შევარდნაძეზე.

„ბერად შემდგარი მეკობრე“ — უშურველად გვჩუქნის სათაურს მურმან ლებანიძე ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიული ქრონიკისათვის.

მხატვრული კონცეფციებიც ისე ხელშესახებდად გამოსჭვივის ორივე სახელწოდებიდან, შენ მარტო მასალების თავმოყრა დაგარჩენია და გარკვეულ სიუჟეტურ ქარგაში მოქცევა.

სათაურები რომ მეორდებან?

რა ვუყოთ მერე, რამდენი რამ განმეორებულა და განმეორდება და... ფრიდრიხ ნიცშეს თუ დაუფუჯრებთ: განმეორების გარდა არც არაფერია ეს ჩვენი ტრაგიკული წუთისოფელი.

ასე ციტატად ტყუილბრალოდ ნუ დაუნყებთ ძებნას.

დასკვნაა მისი ფილოსოფიური ძიებებისა, თუნდ „ესე იტყოდა ზარატუსტრასი“...



პოეტი გურა კვარაცხელია. პირველი ასოციაცია: ინტელექტუალი.

მკვეთრი ეპითეტია, ერთმნიშვნელოვან ქათინაურადაც რომ გაიგებ და მრავალმნიშვნელოვან შენიშვნადაც. მან იცის. ის გრძნობს. მას შეუძლია. და ქმნის. ქმნადობა მისი ინტელექტის თვისებაა. შთაგონება — სულის მდგომარეობა. პოეტი შთაგონებით იცნობა.

გურა კვარაცხელიას აქვს საცნობი სტილი — გამომსახველობითი სიმკვეთრე და იდეის სიცხადე. იდეა არაფერია, თუ არ არის სიტყვა.

ლექსის დასაწერად ზოგჯერ სიტყვებიც კმარა, მაგრამ რომელი, ერთმანეთთან როგორ კავშირში მყოფი სიტყვები?

მას აქვს შესაძლებლობა სიტყვები შიგნიდანაც დაინახოს — ენათმეცნიერია, სწავლული ლინგვისტი. მაგრამ მართო ეს ხომ არაფერი იქნებოდა, რომ არ გააჩნდეს მგრძობელობისა და ინტელექტის აქტივიზაციის უნარი.

ის სიტყვებს ისე აკავშირებს, რომ ბგერა და აზრი ჰარმონიაშია, აღქმის დინამიკა მიემართება ბგერიდან აზრისკენ, აზრიდან ბგერისკენ.

ზოგჯერ მართო ბგერა ქმნის ყველაფერს: „ბუოლიანში იდგა ბუოლა, ანაჟრჟოლი ანაჟრჟოლად. ჟოლოს ფერი ზოლი ცახე. დანაჟონი ჟინჟღლი. ჟღალი თვალი ყაყაჩოსი. ჟვავიანი ჟვერი. ბუოლიანში იდგა ბუოლა, ერთხელ ანაჟღერი. ჟღარუნ კი აჟჟანდების იყო შორი... შორი...“ („ბუოლა“).

გურა კვარაცხელიას ეს უცნაური რეტროსპექტივა, 1957 და 1988 წლებში დაწერილი ლექსები, ნათლად დაგვანახებს, თუ რას ნიშნავს პოეტური აზროვნების მთლიანობა.

ნიშნავს იმას, რომ ფრაგმენტი შეიძლება ერთდროულად ნაწილიც იყოს და მთელიც.

ოღონდ რა არის მთელი?

ეს არის მეტაენა, რომელიც არც სიტყვებისგან შედგება, არც ფრაზებისგან, არც ლოგიკისგან, არც ალოგიზმისგან, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც მონაწილეობს მის შექმნაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აღნიშნული ერთეულების ურთიერთმოქმედების ამპლიტუდა ქმნის რალაცას, რასაც იძულებული ხარ მეტაენა უწოდო.

ამიტომ არის, რომ ზოგჯერ არაპოეტური ელემენტებიც ქმნიან ლექსს, ზოგჯერ კი პოეტისთვის აფუჭებს საქმეს.

ვიცი, რომ ლექსი არ უნდა ნავიკითხოთ ისე, როგორც მოთხრობა, მაგრამ მაინც ვკითხულობთ, სიუჟეტად აღვიქვამთ და შემდეგ ვისმენთ როგორც მუსიკას, ბგერათა ჰარმონიას.

არც ეს არის წესის დარღვევა. გურა კვარაცხელიას ლექსები ორგანიზებულია — ფორმითაც და შინაარსითაც.

გურა კვარაცხელია

ნიგოზის ქვეშ

ტყის სირხუმე და მაჟალოს გემო და მწვანე პანტა.

სხივები ატანს შენს ტოტებში, ნიგოზო ჩემო, სხივები ატანს.

ტყის სირხუმე და მაჟალოს გემო, სოკონითელი.

გულისტკივილით ვუცქერ გვირილებს, ფეხით მითელილთ.

მივდივარ მარტო, მივდივარ მარტო, არავინ მახლავს,

შემომეპარა მუხლებში დალლა ნიგოზის ახლო.

ტყის სირხუმე და მაჟალოს გემო და მწვანე პანტა,

სხივები ატანს შენს ტოტებში, ნიგოზო ჩემო, სხივები ატანს.

1957

სოფლის სურათები

ბალი არ აძლევს ნიავს გასაქანს, ნამრუდისფერი.

თურაშაულზე ყვირის ვასაკა და ცას გასცქერის.

ალბათ მახსენებს იგი აუგად — ვხვდები ყვირილზე.

სოფლის ლელეში ფეხი ჩაუდგამს ციდან ირისეს.

ბალი შრიალებს აჩურჩულებით, ბალი საუბრობს...

...და მიაპურებს ქურდი ძერა ღრუბელთ საუფლოს.

1957

ციცინათელა

ღამემ ნაბადი გადამასურა, დამიფახულა

თვალეში ციდან ხარიპარიამ. ნაწვიმარია...

ჟვავიან ბალახს ფეხით მივთელავ, ისე მივაგნებ ბილიკს ბინამდე,

თუ გამინათებ, ციციინათელავ, შენ გამინათებ.

1957

ღელეჯე

როგორც დამფრთხალი შველები მოვდივართ ფეხშიშველები,

ნედლი ნიგოზის როგოთი დაგვშავებია ხელები.

წვივამდე წყალში შევედით, ღამის ლელეში ჩავვარდეთ,

შემოგვესურა შხეფები, მზით გარუჯული ფეხები

სველი გვაქვს მუხლის თავამდე. ნამოვიწიეთ კაბები,

ნამოინიეს ლერწმებმა. სიცხეში ზურგი გვეწვება,

ჩრდილებში გავინაბებით, ჩრდილის კაბები გვეცმევა.

1957

* * *

ნამრუდისფერი

ყანა მოვლილი,

სიმინდის მტვერით მოოქროვილი თმა და ნამნამი,

გვალვით ნანამი

მინა პირლია, მშრალი ყელითა

წყალს ელოდება სოფლის ლელიდან.

1957

ხვამლის ძირს

ხვამლის ძირს ჩემი დედულა ჩალმართში ჩაყუდებულა,

ნისლები დაფეთებული ავდრიან დღეებს ებურა.

ხვამლი კი კვლავინდებურად დგას ფერუცვლელი მეფურად.

და ამ ნაქარგი ქართიდან აბრიალებულ ქათიბად

ჩანან მინდვრები ნათიბი და ცივწყლიანი სათიბი

და ჩემი ტკბილი დედულა — ხვამლის ძირს ჩაყუდებული.

1957

თეთრო ცირეპო

ყვითელთვალემა თეთრო ცირეპო, აღირსეთ კოცნა დანაპირები

იმ საწყალ ფუტკარს, თქვენი ღიმილი ასე რომ თუთქავს.

თორემ გახმება თქვენი ძირები, უსიყვარულოდ გაინირებით,

თეთრო ცირეპო, აღირსეთ კოცნა დანაპირები.

1957

ღამე

დასრიალებენ ლურჯი ლანდები გათენებამდე.

ღამეს შევწირე გულში ნადები, რაც კი მეტადა.

სადღაც ციმციმებს ციციინათელა, როგორც ნაკვესი.

უძირო ღამეს რა გაათენებს, რა ღრმა აქვს ფეხვი.

მთვარეს სიმშვიდე მოსდევს მთვარული,

ვესვრი ქამანდას.

— როცა დაგიჭერ, სევდა ფარული მე ერთს გამანდე.

1957

**რიონის პირას
(ტრიოლეტი)**

რიონის პირას უთენია
შეკრეს ტივები.
სველი წვივები... წყალში იდგა
სვანი ვეება.
თმებზე წვეთები შეჰკიდვოდა,
როგორც მძივები,
რიონის პირას უთენია
შეკრეს ტივები.
ნაპირი იყო ნესტიანი
და ნაცივები.
ძველი სიმღერა წამოინწყს
მეტივებმა.
რიონის პირას უთენია
შეკრეს ტივები.
სველი წვივები... წყალში იდგა
სვანი ვეება.

1957

ბჟოლა

ბჟოლიანში იდგა ბჟოლა,
ანაჟრჟოლი ანაჟრჟოლად.
ჟოლოს ფერი ზოლი ცახე.
დანაჟონი ჟინჟული.
ჟღალი თვალი ყაჩაჩოსი.
ჟვაიანი ჟვერი.
ბჟოლიანში იდგა ბჟოლა,
ერთხელ ანაჟღერი.
ჟღარუნი კი აჟჟანდების
იყო შორი... შორი...

1957

* * *

გალახულ ძაღლის ისმის ნკაენკაევი
მწვანე გუბეში ბაყაყმა თავით
გააპო მთვარე.

1957

* * *

ოცნების ქალაქს
შეუმდგარი
დაყნოსავს ქარი... და წავა...

1957

ციხენი

წვიმის წვეთივით
ერთმანეთს ჰგვანან,
დროგაცვეთილი
დგანან ციხენი,
მარტოობით და
ყოფით მეფურით,
კუთხეკაცივით მიტოვებული,
გადარჩენილი მხოლოდ ცის ხელით,
დგანან ციხენი...
გეზულ ქორების ხმათა კივილი...
ფეხანწყვეტილი დაძრული რემა...

გრემა კედლებში შემოკეტილი,
შემოვარდნილი ოდეს ქარცივი...
დგანან ციხენი,
გაცივებული ეულკაცივით.

1960

სიტყვების მონატრება

კარგა ხანია,
ჩაილურის წყალი დალია,
მანძილს არ ვზომავთ
წყრითთა და ადლით,
ალარც ჩარეჟი,
კოდი ვიცით, ალარც ბათმანი,
მაგრამ დამთბარი
არის მაინც სხვაგვარი მაღლით:
„სამი ურემი შეშა“,
„ტარო — ერთი ნალია“,
„კვერცხი მარილი“,
„ორი აცმა ზაფრანის კოჭი“,
„სამ ნაბადს თავზე მოველება
თორმეტმეტკავლიანს“;
„ყოველ არშინზე
თითო-თითო დამაკლეს გოჯი“
და კიდევ ბევრი
საწყაული ძველი ქონების...
გრინვიჩის, სევრის
და მსოფლიო ეტალონების
არ მიფიქრია ათვალწუნება,
მაგრამ რა ვქნა, რომ
გული იხარებს,
თუ ვინმე იტყვის
ეპიკური დიდებულებით:
„მზე შუბის ტარზე გადაიხარა“.

1988

**ასეთი ვიყავს
(ხუმრობა)**

მქონდა
როტონდა
ბენვის,
მეცვა ლამაზი
ჩექმა
სულ სხვანაირი პენი
ირეკლებოდა
ჩემგან.
მშვენოდა წვრილი
ნელი,
მაღალი წვივი
თხელი,
ნარნარი მიხრა-მოხრა,
კისკისი კაციმკვლელი.
ბევრის ვიყავი ოხვრა,
ბევრისთვის ჟრუანტელი.
და ვამაყობდი,
რადგან
თავს გაზაფხული
მადგა.
ასეთი ვიყავ
ხვითო.
რატომ არ გჯერა
ვითომ?

პასუხი

„ნგრევა იყო ჩემი ბეატრიჩე“ —
გაიკაფა უარყოფის გზები...
მერე ყველგან გაბატონდა კიტჩი
სიახლეთა თვითმიზნური გზებით.
იყიდება მოდერნიზმის მარკით,
არჩევანი არის მეტად ფართო —
ყოველგვარი ოპ-პოპ-ბოდი-არტი,
ყურს და თვალს რომ ართობს.
არის ერთი გოდება და ურვა,
კლასიკასო ადევს ათვა მტვერი,
მთელს რენესანსს გადაწონის თურმე
ერთი ენფანტ ტერრიბლე.

...და დაიძრა მომღიმარი ლუვრიდან...
და მთელი გზა ლიტანიას უვლიდა
ცრემლისფრქვევით, მონუსხული მსოფლიო...
შორს იჭრებოდა ნათელი
თვალთაგან მომავლისა,
ამაყად მოგზაურობდა
ჯოკონდა, მონა ლიზა.

სამი მოხუცი ქალი

ლია ჯინორიას

ისინი სხედან
(ჯდომა არის მათი გართობა),
ჩაის სვამენ და
თავს იქცევენ ორცხობილათი.
უყვართ ერთურთთან
ხრინწნარევი მასლაათობა.
სხვაგან ვინ ელით,
არ უცდებთ არსად ბილეთი.
დაინყებს ერთი: რომ
„ფრაზათა ჯადოს მფლობელის —
გუსტავ ფლობერის
ყველაზე დიდი და ბრწყინვალე
შედევი იყო
თურმე არც „მადამ ბოვარი“ და
არცა „სალამბო“,
(თუ გნებავთ, ყური მოვარიდოთ,
ღმერთო, ხალხი რაღას არ ამბობს!),
არამედ მისი ღვიძლი შვილი —
დე მოპასანი.
მეორე იტყვის:
„უცნაური გაკეთდა როქი
და ანას ბავშვი არ ყოფილა
ალექსანდრ ბლოკის“.
განინმატდება ახლა მესამე:
„ო, რა საშინელ ავ ხმებს თესავენ!
ათასი ჭორი შეაგროვეს,
შემდეგ ფანტეს და
(დაუდგეთ თვალ!)
გამოხდა ხანი,
— დიახაც, კიო —
დაამონმა მერმე დანტესმა,
— მყავდა ის ქალი!
მისხალი ჭკუის
არ იქნება ისიც პატრონი,
ვინც იტყვის გულშიც:
რად უყვარდაო ის ქალბატონი
ღვთაებრივ პუშკინს!“
და საუბრობენ...

განიცდიან ძველ ჭორებს ახლად:
 პრემიერაზე ბერნანდ შოუს
 ვილაცა ახლდა;
 რატომ ესროლა ვერლენმა
 რემბოს;
 ალფრედ თუ მძუსეს
 ჟორჟ სანდისგან
 ნამება ერგო;
 რომ ერთ დიდ მწერალს
 სულ სხვა კაცის ჰქონდა გენები,
 რომ ადმულტერის
 ცოდვა იყო თავს ტურგენევის...
 ისინი სხედან
 (ჯდომა არის მათი გართობა),
 არც დრო, არც სივრცე
 მათ ხელს არ უშლით.
 სხედან, გრანდებზე
 საათობით მასლაათობენ,
 ვით ნაცნობებზე,
 აგერ ახლა
 რომ ნახეს გუშინ.

1988

ვაჟა-ფშაველა

*ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის
 არჩილ მჭედლიძის ნათელ ხსოვნას*

„ — თქვენთვის პირველი პოეტი ვაჟა-ფშაველა? —
 იკითხა ვაჟმა ისეთი ხმით,
 რომელზეც უფრო ბოხი იყო
 ფშაველ დედაკაცთა ძახილი მთაში.

ფშაველი ქალები ქსოვდნენ წინდებს.
 ფშაველი ქალები ელოდნენ ქმრებს.
 ფშაველი ქალები წყევლიდნენ მტრებს.
 ფშაველი ქალები ტიროდნენ მკვდრებს.

ფშაველი ქალები თხზავდნენ ლექსებს.
 გაბილოურთა თემის ქალი, ფხიკლეთ გვარისა
 კიაფობდა და კაფიაობდა.
 გაბილოურთა თემის ქალი ლექსით დაობდა
 და ყველა მელექსეს —
 პირველს და მეექვსეს,
 ქალსა და კაცს —
 ერთად აჯობა,
 როდესაც შობა
 სამი პოეტი:
 ვაჟა,
 ბაჩანა,
 თედო.
 ო, ეს ისეთი კაფია იყო,
 რომელზეც ვერავინ ვერ უპასუხა.

გაოცებულმა ბარმა მთას შემოხედა
 და გაშეშდა მოწინებული —
 ჩამოდიოდა ვაჟა-ფშაველა.

მერე დაუნყეს
 სინჯვა,
 ზომვა-წონვა მისხლობით,
 მაგრამ აუნყველს
 ვინ აწყავდა...
 მერე გამოქექეს ყველა წინაპარი,
 ყველა გაიხსენეს,
 ვინაც ჰყავდა.

კბილზე დაიდეს, გაკვნიტეს სტრიქონი,
 ბაჯალო ოქროაო ნამდვილად ყველა,
 ვითომ არ კმაროდა ვაჟა-ფშაველა,
 სახელი ვერაფრით ვერ შეურჩიეს:
 რომანტიკოსი,
 სიმბოლისტი,
 ანიმისტი,
 პანთეისტი,
 ანთროპომორფისტი,
 მეტამორფოზის ტენდენციის გამომვლენელი.
 საზომი ისევ ვერ მიუყენეს.

ფშაველი არ იცინა ეს სიტყვები,
 ფშაველი იცინა ვაჟა ზეპირად
 და მართლად ესმით.
 ეძებეს კვეთა ფშაურ იზოგლოსთა,
 იქნებ აქ მანიც გაიზომოს და
 დამთავრდეს დიალექტით.
 მაგრამ ამაოდ.

მთას ჩაეცინა:
 ისეთი ტახია,
 რომ ყველა არტახი დახია.
 მთას ჩაეცინა ამაყად.

„ — იცით, ამბობენ, რომ
 სარტრი, კამიუ, მარსელი და... —
 დაიწყო ვაჟამ ისეთი ხმით,
 რომელსაც „ნიკვინა“ ჰქვია ფშაველი.


რაისთვის ჩამოხვედი ქალაქში,
 რაისთვის მოადექი თბილისს,
 სიკვდილისათვის რაისთვის მოხვედი
 იმ გაზაფხულზე უკანასკნელად?
 დამაყარეთო ფოთლები, ამბობდი,
 შემახვიეთო ბალახში, ითხოვდი,
 გენატრებოდა ბუნების სინედლე,
 რა ცხელი იყო ზაფხულის დღე!
 გეკარგებოდა თვალბში სინათლე,
 სული აღარაფერს ებჯინა,
 რაისთვის ჩამოხვედი ქალაქად,
 იქნებ იქ მთებს გადაერჩინე.

„... ჰაიდგერის ანალიტიკა,
 ბინსვაგენი,
 კქერკეგორი...
 ფროიდი,
 იუნგი...
 დანყველილი ეგზისტენცია.
 თქვენ ფიქრობთ, რომ
 მწერლობაში დეკადენსია?
 პირიქით, ლიტერატურაა დიდებული!“ —
 თქვა ვაჟმა ისეთი ხმით
 ფემინირებულით.

„სცხვენოდეს ახალ-უხლებსა,
 კაც იყოს, თუნდა ქალია,
 რომ მთელი მათი არსება
 ფუჭმა საგნებმა დალია,
 კაცმა ქალობა დაიწყო,
 კობტაობს სიტყვა-ნაზია“.

მთას ჩაეცინა:
 ისეთი ტახია,
 რომ ყველა არტახი დახია.
 მთას ჩაეცინა ამაყად.

1988



ჯარჯი ფხოველი

არწივის დანვა

აჰა; ჩემს არქივს
ვწვავ გამეტებით!

ვწვავ წარსულის
უდაბურ დღეებს,
დავინწყებულ წლებს
და იმ წლებში ნათქვამ სტრიქონებს
კარგად ედება ცეცხლის ალი, ღვთითდანყვევლილი...

პოეზიასაც სხვანაირი ცეცხლი სცოდნია:
ვერ შეადარებ უღრან ტყეში დანთებულ ხანძარს,
ვერც ქალაქის ყრუ კვარტალში
გაჩენილ ცეცხლს ვერ შეადარებ...

ეს სხვა ცეცხლია:
მცირე რამე: გულის კვამლი,
მცირე რამე: სიტყვის კვამლი,
მცირე რამე: ძველისძველი სიყვარულის გამოტირება...
კარგად ათბობს შუაზამთრის გაყინულ ხელებს...
ეუბნები: შენზე ახია!..
საქალაქადე თითქოს ზიზღის ქარმა გახია!..

და ხეხმელი ქალაქი ცვივა...
და წარსულის ნახერხი ცვივა...
და კიდევ რაღაც: კიდევ და კიდევ...

ამ ცეცხლს როცა ეფიცები,
ის იფიქრე, თავისთავი არ დაგემდუროს,
რადგან თავის ტკივილებს წვავ,
თავის დარდებს ანადგურებ,
თავის მწარე მოგონებებს ცეცხლს უკიდებ
გონარეული!..

და რამდენიმე დღე არის უკვე,
რაც ცეცხლს ვანთებ,
რაც წარსულის მოგონებებს ვემშვიდობები:
ვემშვიდობები
მღვრიე ნისლში ნაპოვნ სტრიქონებს!..

და რამდენიმე დღე არის უკვე,
რაც პოეზიის მწარე კვამლმა
ცას თვალეები მოუწყლიანა...
გული ჩამჯილა შუალამის ვარსკვლავმკითხველმა,
მთვარემაც ნისლი აიფარა ელამ თვალეებზე...

მარტო მე ვარ ერთადერთი,
ვინც თავისი გული ჩაქოლა,
თავის ცრემლებს რო ეჭვით დაჰყურებს,
ცეცხლმოდებულებს მოკანკალე შუალამეში...

და ესეც ვფიქრობ: ხომ არ აჯობებს,
რო ეს ბოლო ცრემლის წვეთიც:
ეს ლექსიც,
ეხლა თავპირს რო იმტვრევს,
ეს ბოლო ლექსიც
დავინწყების ხანძარს ვაჩუქო!..

კრწანისის ცა

კრწანისის ცას რო ავხედე
გულის შავი შუალამიდან,
ვიგრძენი კვნესა, დაუვინყარი...
და ტკივილები
და ჭრილობები,
მეფე ერეკლეს დროინდელები...

ეხლა იმათაც მოვიგონებ,
ღვთითდანყვევლილებს,
ჩემი ხმლის კვნესა რო წაიღეს
ცხელ უდაბნოში:
დღესაც რო მიაქვთ
დაკეჭნილი თავისქალებით!

სამი პრიმიტივი

1. შავი პრიმიტივი.

სულში ნაგდებო ნაღველო, ამოიცალე, ამო!..
შენს ცაზე კვამლის კოტორი და ღამე, უღიმღამო...
მე შენს თავს ვტირი, შენ: ჩემ თავს, მინაო, განანამო,
ბერნო და გულლორღიანო, დღე როგორ დაგიამო!..
შენ აქ რა გინდა მტრის სისხლო: უხსენებელის შხამო!..

მხარეო ყოიღიანო და სახილველად ამო,
არ დაგელია ღალატი: დაგტირი ამის გამო!

შორით ხმა: მხსნელი ძახილი: ყორნის ყრანტალი: ნამო!

2.

ეს ლექსი თითქოს დასასრულია:
ის შავი ხმაა, რასაც ცით ველი...
არსი: დაღლილი და დაშაშრული
და სუიციდის ჯავრის მტვირთველი...

ადე და სულ სხვა ნატვრა ინატრე,
ხომ არ დამთავრდა შენი ხეტება...
ეხლა უსურვე ყორნებს: შინამტრებს,
რაც გარემტრისთვის არ გემეტება;
ვერ დაივინყებ ბევრიც რო წერო,
წარსულს გულიდან ველარ ამოშლი.
ვერ შეირიგებ გაფოთლილ სკლეროზს,
წილად რო გერგო ამ უდაბნოში!

3.

მთების ქორრებთან ქარი ქილიკობს,
ქარს მისდევ ნისლო, თეთრო აფრაო...
გულში მიძვრები, გველის ბილიკო,
თვალთა დამთხრელო და დამხაფრავო...

საუკუნეთა შხამით ნაწურო,
დაეზომები ფურცელს, სიტყვაო,
მოდხარ: აქ რო სისხლით ნაწერის
სიმძიმით მხრები გადამიტყავო...

იქ წამიყვანო, სადაც სადაოდ
ჩანხარ, ცხოვრების შავო აფრო,ო,
ნაღველო, გულის გამომწალდავო,
დავინყებულო ჩემო საფლავო!

* * *

თავი მოიკლა შეყვარებულმა
და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძველისძველი
ჭეშმარიტება —
რომ წარმტაცია, სიყვარულო, სუყველაფერი,
შენი სახელით
რაც კეთდება დედამინაზე!

ბებრისციხე

ეხლა შენს ჭალას გვერდზე ჩაუვლის
ქარი: ფუტკრების ფრთებით ნაზომი...
არაგვის კენესა: ჯომორდაული...
და ბებრისციხე: ბერმონაზონი...

ეხლა შენს ჭალას კენესით დაღალავს
უცხო სიზმრების გზებზე ნატარი
ვინმე პოეტის გული, ჭაღარა,
ვინმე ყორანის ავი ყრანტალი!

ეხლა შენს ჭალას ყელში წაუჭერს
ის ძველი დარდი: გულით ნაზომი,
ის კენესა, შენ რო ჩაებლაუჭე:
რო გააღვიძე ბერმონაზონი:

ეს ბებრისციხე,
ეს ეულციხე,
ეს ნგრეულციხე: ბერმონაზონი...

შედეგის ღამე

შემოდგომის
შარაგზაზე
შემოდგება
ძველშავური
შარიშური
შუალამისა...

და ღამეს ესმის მთების კენესა: ძილისპირული,
იმასაც ხედავს: სიტყვის ნასეტყვი
შედეგის ღამის ცას რო ატყვია...

შარიშურობს საარაგვოს შავი დარდი,
გულს რო ასიებს:
ის ერევა სტრიქონების შხამს და
სიტყვის ნაფეხურებს ქვიშით ავსებს
და ქვიშაზე იხატება შედეგის ღამე...

ეს სიტყვები ცას ეკუთვნოდა!
შენ ხომ სიტყვების ყაჩაღი ხარ, სასჯელმობდილი;
დაედეგე, დაისაკუთრე!

ამ სიტყვების დევნაში ხომ კალამიც გაცვდა,
ესლა დაგრჩა:
ვარსკვლავების ბრაილით წერე!

აქ სიტყვების ეკლებს წამოედები...
და ეკლებით
და ბრაილით ნაწერი ლექსით
რა უნდა თქვა, რო ეს მთები გამოაღვიძო,
გულში რო დაჭრა, რო დალიონ შედეგის ღამე —
და საბოლოოდ დაითავისონ
შემოდგომის
შიშდალეულ
შარაგზაზე
შარიშური
შუალამისა...

ორი მზე (პრიმიტივი)

თავს გადაგივლის ორი მზე: წყვილი...
შენ და უდაბნო, შენ და ისინი...
დაგეშეფება გველის ნერწყვივით
სიტყვა: დაგტბორავს მისი სისინი!

სიტყვას უთხარი სამაგიერო
სიტყვები: ღამის შავი ნერგები...
იგრძენი გულში ცა, მაგიური,
მინის ხარ, თუმცა ცასაც ერგები,

იმ ცას, თავზე რო ლურჯი წრე უვლის,
შენთვის რო მოყავს ორი მზე: წყვილი,
შავი დღის სუნთქვა. შვება წყეულის
და შავი სიტყვა: გველის ნერწყვივით...

* * *

სიყვარულის ენა
ადამიანებმა დაივიწყეს,
მარტოდმარტო ფრინველებს ახსოვთ!

არ ახსოვთ მთებს
და არ ახსოვთ ღრუბლებს,
მარტოდმარტო ფრინველებს ახსოვთ!

ისინი სიყვარულის სახელით
ჭიკჭიკებენ და
თბილ ტოტებზე ბუდეებს ქსოვენ...

ისინი.
სიყვარულის ძველისძველ ენას
ახსენებენ უდაბურ ტყეს, ახსენებენ ადამიანებს...

მაგრამ ამისთვის
ალარავის არა სცალია!

და ინგრევა ბუდეები...
და ინგრევა სასახლეები...
და ცვივიან ფრთებდამსხვრეული ფრინველები...
და ეცვივიან გულდაკარგული ადამიანები!..

სიყვარულის ძველისძველი ენა,
სიყვარულის ძველისძველი ანბანი,
ღმერთო ჩემო,
აქ სუყველას დაავინყდა...
მარტოდმარტო ფრინველებს ახსოვთ!..

პრიმიტივი: ავტოპორტრეტი

აქ რო გაზარდე: ანთე, აჩალე
ეს სტრიქონები: ავი ტყუპები...
აქ გიცხოვრია შენ ყაჩაღივით
და ყაჩაღივით დაიღუპები!

ყორნები თვალებს ამოგკენკავენ,
მთებს შეახტება გული ტიტველი...
შენ სიტყვა გჭირდა, როგორც ნელკავი
და ხანჯარივით აურიდველი!

დარდი სივდება გულში ნაღმივით
და გროვდებიან შავი ღრუბლები...
ჩაგდახის ვინმე ცისგადაღმელი:
აქ, ალბათ, მალე დაიღუპები!

ჩემი ყორანი

ყორნის სიტყვა კუნაპეტი:
შუალამის საჩუქარივით
შავეთიდან ამოშვერილი...

და, შიგდამიგ, შავი ცრემლებით
დახატული სასვენნიშნები...

ღრუბლებიდან
გამოცრილი ამოხავლება...
რასაც, ჟამიჟამ, აბოლოებს
ცრემლის წინწკალი,
როგორც კუპრნასვამ ცის ფერდობზე
დარჭობილი
ვარსკვლავ-ლურსმანი...

გურამ ქართველიშვილი

ორი მინიატურა

მარადიული ახალი წელი

— შემაშინებ და შენი მორჩილი გავხდები?
— ისევე ხუმრობის გუნებაზე ხარ, არა?!
— არა, რა მეხუმრება, ძალა შენს ხელშია.
— მაგდენს თუ ხვდები...
— მოიცა, ჯერ გავარკვიოთ რა არის ძალა.
— რა და, ამ დილეგში სულს რომ ამოგხდი, იმის უპირატესობა.
— სიმართლე?
— მერედა ვის ესმის ეგ შენი სიმართლე?
— ჩემამდე დილეგებში სულამოხდილების სახელი მეტწილად არც შე-
მონახულა. მათი სიმართლე შემორჩა. შენისთანების ხიშტი და მათრახი კი...
გავარდნილმა ნაგანმა კამათი შეწყვიტა. ცოტა ხანში პატიმრის
გვამი დილეგიდან ეზოში გაათრეეს, მანქანის ძარაზე დააგდეს და და-
სამარხად წაიღეს. დამხვრეტმა თავის ოთახში ტანისამოსი გამოიცვა-
ლა, ახალშექერილი ფეხსაცმელი ღილინით გააპრიალა და საათს და-
ხედა. ახალი წლის დადგომას ორი საათი აკლდა.
— უჰ, ჯერ ადრე ყოფილა. მოვდივარ, გენაცვალეთ მამა!

ჩერქეზა

— მერე რა, რომ ადამიანი ვარ, შენ კიდევ ძალღი. არ გეგონოს შენ-
ზე მართალი ვიყო.
ლევანი ისეთი მთვრალი ტორტმანებდა, რომ სრული სერიოზულობით
ხმამალა მიმართა ასე თავის ყაზბეგურ ჩერქეზას. არადა ისე უყვარდა ეს
ადამიანის ენის არმცოდნე არსება, როგორც ჭკვიანი მეგობარი უყვართ.
არც აჭარბებდა — ჩერქეზა კაცი იყო კაცური — ყველა იმ თვისების მატა-
რებელი, რომელსაც ლევანამდე დაბადებული და უკვე კაი ხნის წინათ
მკვდარი ქართველობა აჭარებდა. გენეტიკურად თვითონაც ათასწლეუ-
ლობით ქართველი იყო, ოღონდ ქოფაკი. ნასვამი პატრონის დანახვა არ
ესიამოვნა. იმიტომ კი არა, რომ მასზე მზე და მთვარე არ ამოსდიოდა. არა,
უბრალოდ ყველა ოჯახის წევრსა და ექიმზე უკეთ იცოდა გუმანი, რომ
ლევანის ღვიძლს ღვინო ბოლოს მოუღებდა. საყვედურს როგორ აკადრებ-
და. პატრონის ადამიანურ დარდებთან აბა მისი დარდი რა მოსატანი იყო?!
ჭიპკართან ატუზულ ლევანს ჩერქეზა მთელი სხეულის რევერან-
სით შეეგება და შარვალზე ბოხორა თათი ჩამოუსვა. მარტის შუა იდ-
გა. ყინვა ახალი გატეხილი იყო და ადრიანი გაზაფხულის ღამე ორივეს
სიამოვნებდა — ადამიანსაც და ძაღლსაც.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

— ნახე, რა მოგიტანე!
პატრონმა ხორცის ნაჭერი ჯერ ცხვირთან მიუტა-
ნა ნაგაზს და მერე მინაზე დადო. ჩერქეზას ლუკმის-
თვის არც დაუხედავს, ლევანს წინ ჩამოუჯდა და თვა-
ლი თვალში გაუყარა. ლევანმაც ჩაიმუხლა და ცხვირი
ცხვირზე მიადო დათვისთავას.
— ბედნიერი არც მე ვარ და არც შენ, ჩერქეზო. რა-
ტომ? იმიტომ რომ, ღმერთმა დაიფაროს და, ჩემი და
შენი შთამომავლები ისევე გაუგებენ ერთმანეთს, რო-
გორც ჩვენ?.. ეჰ, ძალიან კი გინდა მარა... არ გეგონოს
რო ქართველი ძაღლების ბრალი იქნება, ეგ თუ მოხდა.
ქართველი ადამიანები ვკარგავთ სახეს და ერთი ოცი
წლის შემდეგ ვართუ ველარ იგუოს შენმა მოდგამ ჩემი
გადაგვარებული მოდგმა. აუ, რა მთვრალი ვარ! წავე-
დი, დავეგდები. აქაურობას მიხედე. ზამთარი კი გატყ-
და, მაგრამ ჯერ კიდევ დაეთრევიან ჩეკურში მგლები.
ლევანი შინ შევიდა და კარი მიიჯახუნა. ჩერქეზა
ჯერ ანკარა ჰაერს ყნოსავდა, მერე ხორცი წაიღო —
შავი დღისთვის მინას მიაბარა და თავისი ტერიტორი-
ის დასაცავად მოემზადა.


ჩეკურანთგორი

მო იენი პირველი ჩინელი ნობელიანტია ლიტერატურის დარგში (2012). დაიბადა (1955) და გაიზარდა შანდუნის პროვინციის, კაომის მაზრის პატარა სოფელში, ლარბი გლეხის ოჯახში. ბავშვობიდან უყვარდა ზღაპრების ჯერ მოსმენა, ხოლო შემდეგ თვითონაც ყვებოდა. მო იენი მწერლის ფსევდონიმაა. სიტყვასიტყვით ნიშნავს არ ილაპარაკო, ნუ იტყვი, არ თქვა. ასეთი ფსევდონიმი განაპირობა დრომ, როდესაც მწერალი გამოვიდა ლიტერატურულ სარბიელზე და როდესაც იმის თქმა, რასაც ფიქრობდა, არ შეიძლებოდა, სიცოცხლისთვის სახიფათო გახლდათ. ეს იყო „კულტურული რევოლუციის“, საყოველთაო ტერორის მძვინვარე ხანა. მო იენი პოპულარული მწერალია, უამრავი მოთხრობისა და აგრეთვე რომანების ავტორია. დაჯილდოებულია მრავალი ეროვნული ჯილდოთი, თარგმნილია მრავალ ენაზე. მწერლის ერთ-ერთი მოთხრობა, „თეთრი ძაღლი და საქანელა“, ჩვენს მიერ ჩინურიდან ნათარგმნი, დაიბეჭდა 2013 წელს „ჩვენ მწერლობაში“. ეს იყო ამ ჩინელი ნობელიანტის ქართული თარგმანის პირველი პუბლიკაცია.

მო იენი

მწერლის ინდივიდუალური ხმა

(წინასიტყვაობა კრავულისათვის
„ჩემი სათაყვანეებელი ათი
ლიტერატურული ნაწარმოები“)



იმისათვის, რათა ადამიანმა, რომელსაც მკითხველის ოცნ-ლიანი სტაჟი აქვს, დაწეროს იმ ათ მოთხრობასა თუ რომანზე, რომლებიც შეჰყვარებია, ასეთი ამოცანა ფრიად ადვილი და სა-სიამოვნოც უნდა იყოს, მაგრამ ახსნა მიზეზებისა, თუ რატომ მაინცა და მაინც ეს ათი, არათუ საძნელო, არამედ არცთუ სა-სიამოვნოა, ყოველ შემთხვევაში პირადად ჩემთვის ასეა.

ფიქრობ, რომ კარგი, სრულფასოვანი ლიტერატურული ნაწარმოები, ანუ კარგი მოთხრობა თუ რომანი, დაწერილი უნდა იყოს მწერლის მიერ, რომელიც უკვე მონიფულია, რადგან ამგვარი თხზულება საშუალებას იძლევა შეიგრძნო, განიცადო ამა თუ იმ მწერლის ინდივიდუალობა და თვითმ-ყოფობა, მსგავსად იმისა, გასაღების პატარა ჭურჭულთან-დან რომ დაინახო მის შიგნით არსებული მთლიანი ოთახი, ანდა მსგავსად იმისა, მეცნიერს რომ შეუძლია ხელში ჩაგდებ-ული ორგანიზმის სულ ერთადერთი უჯრედით ცოცხალი ცხვრების მთელი ფარის კლონირება მოახდინოს.

მე მგონია, მწერლის მონიფულობა იმასა ნიშნავს, რომ უკ-ვე ჩამოყალიბებულია მისი საკუთარი ინდივიდუალური და განსაკუთრებული სტილი, როცა მის თხზულებათა ხმის ტო-ნალობას ვერ აურევ ნებისმიერი სხვა მწერლის ტონალობაში, ხოლო ეს განსაკუთრებული და გამორჩეული ტონალობა ნარ-მოადგენს არა მხოლოდ მისი ენის ტონალობას, არამედ უმე-ტესნილად გამოიხატება მისთვის ჩვეული და საყვარელი სიუ-ჟეტის ტიპში, ანუ „ზღაპრის“ ფაბულაში და ასევე ფორმაში, რომელსაც იგი ამ ფაბულის მოსაყოლად აირჩევს. რა თქმა უნ-და, სხვა ნიშნებიც არსებობს. ეს ყველაფერი, ერთად აღებუ-ლი, წარმოშობს საკუთრივ მის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ ატმოსფეროს. ატმოსფერო, მაგალითად, შეიძლება იყოს სიძ-ველით შეჭვარტლული ღვინის სარდაფი, ან დუქნების მთელი რიგი, შეიძლება იყოს შუქით მოფენილი ძვირადღირებული რჩეული კაფეს დარბაზი, ანკიდევ შეიძლება იყოს სიჩუანის მიყრუებულ პროვინციაში უბადრუკი საჩაიე, შესაძლოა იყოს ხუთვარსკვლავიანი ოტელის დამტამპული სასტუმრო ოთახი, სადაც მუსიკა დღედაღამ მოედინება და მოდუდუნებს, სავსე-ბით შესაძლებელია, რომ ეს იყოს ატმოსფერო გაქროლებული მსუბუქი ავტომანქანისა, რომელიც უკანმოუხედავად მიგო-რავს ჩქაროსნულ შოსეზე, ანდა რკინიგზის მოსაცდელი დარ-ბაზი, ანკიდევ შეიძლება უბრალოდ აბანო იყოს... ერთი სიტყ-ვით, ატმოსფეროც, მწერლის შექმნილი, უნდა იყოს ინდივი-

დუალური, ერთი არ უნდა ჰგავდეს მეორეს. მაშინაც კი, როცა ორ, უკვე შემდგარსა და მონიფულ მწერალს ერთსა და იმავე თემას, ან სიუჟეტს შესთავაზებთ, ატმოსფერო, მათ მიერ შექ-მნილი, მერწმუნეთ, განსხვავებული იქნება. მაგრამ, მხედვე-ლობაში იქონიეთ, ის, რასაც მე მწერლის მონიფულობას ვუ-წოდებ. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ მონიფუ-ლობას მიტანებული მწერლები შემდგომ უკვე უცვლელები რჩებიან, იმიტომ, რომ უცვლელია სრულიადაც არაა მონი-ფულობა. ყველაფერ ამასთან ერთად, დარწმუნებულიც ვარ, რომ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა, მოთხრობათა, რომანების და სხვა ამგვართა დიდი რაოდენობა სრულებითაც არა ნიშ-ნავს მონიფულობას. ზოგიერთი ადამიანი, როგორც დიდი ხნის, დავარგებული, ძველი ღვინო, ნელ-ნელა, თანდათანობი-თა ღვინდება, ზოგნი კი ვერც ვერასოდეს ღვინდებიან, გინ-დაც ათასობით წიგნი ჰქონდეთ დაწერილი.

რაც შეეხება ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს, განსაკუთრებით შემოქმედებითი საკითხებისადმი მიძღ-ვნილს, მკითხველთა უმეტესობისათვის, და თვით მწერლების-თვისაც, ისინი სრულიად უმაქნისია, არაა საჭირო. ნებისმიე-რი თეორია რომანის შექმნის თაობაზე, უეჭველად ცალმხრი-ვია, უმეტესად რალაც საკუთარი თავის დასაკმაყოფილებე-ლი რამაა კრიტიკოსებისათვის. თეორიები, თვით მწერლების მიერ რომა ინტერპრეტირებული, უფრო რალაც ემოციური პირმშობები გახლავან, უამრავი ხინჯითა და წინააღმდეგობით რომ სცოდავენ, ასე რომ, მათ გაჭირვებით თუ დავარქმევთ არსებობსა და რეალურ რასმე. მაგრამ საყოველთაოდაა ცნო-ბილი, რომანები სინამდვილეში იყოფიან კარგსა და მარადი-ულსა და ცუდსა და დროებითებად. ეს რომ ასეა, შეუძლია იგ-რძნოს ნებისმიერმა მკითხველმა. ამ მიზეზით ჩემი მოცემუ-ლი არჩევანი ძირითადად მხოლოდ და მხოლოდ ჩემს პირად შეგარძნებებს ეფუძნება, ამასთანავე ის, რაც მე შემეძლო რომ გადმომეცა, მხოლოდ და მხოლოდ ის შეგარძნებანი და განც-დებია, პირველი წაკითხვისას რომ წარმოიშობოდნენ, და ის, რაც გულში ჩამივარდა და მას აქვითა ჩემს ხსოვნას შემორჩა.

მე შეძრული ვიყავ, როცა პირველად წავიკითხე ლუ სიუ-ნის შედევრი, მოთხრობა „როგორ იწრთობოდა მახვილის პი-რი“. ის შემთხვევით ჩამივარდა ხელში. ეს იყო ჩემი უფროსი ძმის მშობლიური ენის სახელმძღვანელო. მე ვიყავი ვითარცა

ქალაქის სუფთა ფურცელი, უმნიშვნელო ყმანვილი. სულმო-
 უთქმელად წავიკითხე და ვიგრძენი, მთელ ტანში სუსხმა რომ
 დამიარა, განმსჭვალა. ასე მეჩვენა, გულიც გამეყინა. სამუდამოდ
 დამამახსოვრდა ის ამჟამი, ქედმოუხრელი, თალხით შემო-
 სილი ადამიანი, მისი შავ-მოლურჯო სამოსი, მისი ფოლადი-
 სებურად ცივი და უდრეკი დამოკიდებულება სიკვდილისად-
 მი, რომანტიკულობითა და გმირობით განმსჭვალული გმირი,
 მო ძიენჩი და ის ხელმწიფე, ჩამოკონწიალებული, თხასავით
 კიკინა წვერით და ის მდულარე ბრინჯაოს ქვაბი-სამფეხი და
 ლამის მჭვირვალე მიტანებული გამონრთობილი მახვი-
 ლის პირი. და კიდევ სამი ადამიანის თავი, ლითონის მდულარე
 სითხის მორევში რომ როკავდნენ და მღეროდნენ. ეს ყველა-
 ფერი სამარადისოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში. მერე, როცა
 ოსტატ-მჭედელს შევირდად მიმბარეს, ახალი ხიდის მშენებ-
 ლობაზე ვინცა მუშაობდა, და მე სამჭედლო საბერველის მუ-
 შა შევიქენი, საკუთარი თვალთა ვნახე ბრძმედში როგორ ინ-
 რთობა ფოლადი, კაშკაშა ნითელიდან თეთრად როგორ გადა-
 იქცევა; თეთრიდან მოცისფრო-სილურჯეში როგორ გადა-
 დის. ეს ყველაფერი ყოველ ჯერზე მახსენებდა იმ ძვირფასი
 მახვილის პირს, ჭედვისას მჭვირვალეობამდე რომ მიეღწია.
 დიდი დრო არ იყო გასული მას აქეთ, რაც წამოვიზარდე და
 ჩვენი სოფლის კომუნის ხელის ბიჭად გამამსესეს. მე ვხედავ-
 დე კომუნის საერთო უშველებელ ქვაბში როგორ იხარშებოდა
 ღორის თავები.¹ ეს ყოველ ჯერზე მახსენებდა იმ სამი ადამი-
 ანის თავს, ქვაბის ამ ქაფქაფა მორევში ერთმანეთს რომ დას-
 დევდნენ, მალაყს გადადიოდნენ და ცდილობდნენ ერთმანე-
 თისათვის ეკბინათ. მაშინ ჩემს ხსოვნაში ჩაბეჭდილი წა-
 კითხული, რალაც ჯადოსნური ძალით რეალურად დანახულს,
 რეალურ მოვლენას დაემთხვა. ასეთ მომენტებში მეუფლებო-
 და განსაკუთრებული განცდა, განსაკუთრებულ ხილვებთან
 რომ მივყავდი. ასეთ დროს რეალობა შორეული ხდება და მე
 ფანტასტიკურ სამყაროში აღმოვჩნდები ხოლმე, ჩემი საკუ-
 თარი ხილვების სამყაროში. ღორის თავების ხარშვის ყურები-
 სსს ხშირად მაკინწყებოდა საკუთარი თავი და უნებლეთ იმ
 თალხით შემოსილი ადამიანის სიმღერას ვინწყებდი: „ა-ხუ-უ-
 ხუ-სი, უხუ-უხუ-სი“. ეს ლუ სიუნის გამოგონილი „სიმღერე-
 კა“ იყო, ხოლო მას ვუმატებდი ჩემსას, საკუთარ მისამღერს:
 „უ-ლი, ვა-ლი, სი-ლი-უ-ხუ“. უფროსებს ჩემი სიმღერის არა-
 ფერი გაეგებოდათ, არც არაფრის ამოცნობა შეეძლოთ, ხო-
 ლო ბაღლობა და ყმანვილები კი საუცხოოდ მიგებდნენ, მათ
 ალლოთი მიიღეს ის და ჩემთან ერთადა მღეროდნენ ამ „აბდა-
 უბდას“. იმ „კულტურული რევოლუციის“ წლებში ჩვენი და-
 ბის ბიჭბუჭობის ნახევარზე მეტი ამ „სიმღერასა“ მღეროდა.
 იმ მომინშილე, ვარსკვლავებით მოჭედოდი ლამებში ჩვენი და-
 ბის რომელიღაც კუთხეში უეცრად აღმოცენდებოდა გაბმე-
 ული ჰანგი, მშვენიერი მგლები ყმული უფრო რომ ჰგავდა, ვიდ-
 რე ბავშვურ რამ ლათაიას. ეს ხმები ხან აქ გაისმოდა, ხან იქ,
 ხან იქ წამოიწყებოდა, ხან აქ დადუმდებოდა, ხან კი სადმე
 კვლავ გაჟღერდებოდა და ეს ჰგავდა ტალღებს, წყალში ჩა-
 ვარდნილი მძიმე ქვა რომ წარმოშობს, ტალღა ტალღას რომ
 მისდევს, წრე წრეს რომა კრავს. უკვე აღარც კი მახსოვს რამ-
 დენჯერ წავიკითხე ლუ სიუნის ეს მოთხრობა, მაგრამ ყოველ
 ჯერზე შეგრძნება ახლებური და არაჩვეულებრივი მქონდა.
 თანდათანობით თალხით შემოსილი ადამიანი ჩემს გონებაში
 თვით ლუ სიუნთან გაიგივდა, ხოლო ჩემი თავი ადრიდანვე იმ
 მოთხრობის გმირად წარმომედგინა, მო ძიენჩის გმირად, მუქ
 ლურჯ ხალათში რომ დაიარებოდა. თუმცა კი ვიცოდი, იმნაირი
 ვერასოდეს გავხდებოდი, მეტისმეტად მხდალი ვარ და უნია-
 თო ამისთანა ამპლუსათვის. მე ხომ ვიცოდი, სიკვდილის
 რომ მეშინოდა, ამიტომ თალხით შემოსილ ადამიანს შევფიცე,
 ვერასოდეს გავხდებოდი თვითონ მომეკვეთა ჩემივე თავი.
 ვგრძნობდი, რომ თუკი მსგავს პირობებში აღმოვჩნდებოდი,

უმალ უფრო იმ მორალურად გახრწილ ხელმწიფედ გადავიქ-
 ცეოდი, ვიდრე იმ გმირად.
 სენკევიჩის ნაკალმევი თხზულების „შუქურის მეთვალყუ-
 რე“-ს² ნაკითხვის შესაძლებლობა იმ დროს მომეცა, როცა უკ-
 ვე სოციალურ საგანთა პედაგოგი ვიყავი და როცა უკვე წერის
 ტექნიკის შესწავლა, მის სრულყოფაზე მუშაობა დავინწყე. ამი-
 ტომ უკვე აღარა მყოფნიდა სიუჟეტის შიშველი კითხვა, მაინ-
 ტერესებდა მწერლის „ენა“, მის შესწავლასა ცვდილობდი. სენ-
 კევიჩის ამ მოთხრობაში ზეპირად ვიცოდი ყველა ის ადგილი
 და აბზაცი, სადაც ზღვა იყო აღწერილი. ბევრჯერ ვკითხუ-
 ლობდი, ვკითხულობდი და ვკითხულობდი და ჩემს ადრეულ,
 სამხედრო ყოვაცხოვრების თემატიკაზე დაწერილ მოთხრო-
 ბებში ხშირად გვხვდება ვრცელი აღწერითი აბზაციები, სადაც
 კალმით ჩემს კერპს ვბაძავ. მაშინ რედაქტორს, ვინც ჩემი
 ხელნაწერი მიიღო, ეგონა კიდევ, ფლოტში მეზღვაურად ნამუ-
 შევარი რომ ვიყავი, ან კიდევ მეთევზის, მეთევზეთა ოჯახისშ-
 ვილი. რა თქმა უნდა, იმდენად რეგენი არ ვყოფილვარ, პლაგი-
 ატორობა დამეწყო, ანდა გადამეწერა რაიმე, მაგრამ კითხვის
 მეშვეობით მივხვდი, რომ თუკი ვწერ ზღვის შესახებ, მას ისე
 უნდა მოგვეყრა, როგორც ცოცხალ არსებას, ზღვა უნდა შეიქ-
 ნას რალაც სულიერი არსება, ამიტომ ვერც კი დავითვლი,
 ზღვის შესახებ წიგნების რა რაოდენობა წავიკითხე იმხანად.
 ამრიგად, მთის ხეობაში ჯდომისას ზღვის შესახებ ვწერდი. მე-
 რე წავიკითხე სენკევიჩის კიდევ ერთი რომანი, „ჯვაროსანი,
 რაინდები“. ასე მეგონა, კვლავ შევხვდი ძვირფას მეგობარს, ნა-
 ზად ვინც მიყვარდა და ვინც დიდი ხანია არ მენახა. სენკევიჩის
 კონსერვატიულ-რელიგიური გრძნობებისადმი სიახლოვე,
 მწერლის მთლიანობა და ურყევი პატრიოტიზმი, მისი უცვლე-
 ლობა, ეს ყველაფერი აღწერილი ასზე მეტი წლის უნინ, მოთხ-
 რობისა თუ რომანის ზომის მიუხედავად, ახლაც იკითხება რო-
 გორც თანამედროვე და ახალი ნაწარმოები. ეს ნაწარმოები და-
 ნერლია დიდი სულიერი მზაობითა და სინატიფით სასვე ავ-
 ტორის მიერ, თანაც განმსჭვალულია რომანტიზმის გრძნო-
 ბით. გულმოდგინე კითხვა პირობასა ქმნის, რათა იგრძნო, რომ
 სიუჟეტის ძირითადი ხაზი ავტორის გამოგონილია, მაგრამ რა-
 კი რომანტიზმი მუდამ მიდრეკილია თამაშისა და არეულ-და-
 რეული სიუჟეტებისადმი, მუდამ მიდრეკილია თეატრალურო-
 ბისადმი, მკითხველს გამუდმებით სწორედ ეს იტაცებს.
 ხულიო კორტასარის მოთხრობასთან „სამხრეთის ჩქა-
 როსნული შოსე“ ჩემს ნაწარმოებს „ბამბის გზა“ სისხლისმიე-
 რი და კარმული კავშირი აქვს. XX საუკუნის 80-იან წლებში,
 ჩინურ ჟურნალში „ვაიკო ვენსიუე“ („საზღვარგარეთული ლი-
 ტერატურა“) ამ ნოველას შემთხვევით წავაწყდი. ჟურნალი
 ჩემი სოციალური მეცნიერების კურსის ერთ მსმენელს ჰქონ-
 და გამოვჩინე, ხოლო მე ვისარგებლე იმით, რომ დროებით
 ვცვდილი ვაზეთებისა და ჟურნალების მიმღებ კადრების პა-
 სუხისმგებელ პირს, ავდექი და ეს ჟურნალი ცოტა ხნით ჩემ-
 თან შევიყოვნე, მიხაროდა, რომ ჩვენს მიყრუებულ მხარეში
 რალაც სიახლის ნაკითხვა შეეძელი. იმხანად ქსეროქსზე ყუ-
 რიც კი არა გვქონდა მოკრული, ლამდამობით ვკითხულობდი
 და სამ დღეში განა მარტო წავიკითხე, ეს მოთხრობა ჩემს
 სქელ რეგულში გადავინერე კიდევაც. იმხანად ძირითადად
 მხოლოდ კლასიკოსებსა ვკითხულობდი, ეს კიდევ ლათინური
 ამერიკის კონტინენტის შედევრი აღმოჩნდა, ის ჩემთვის არა
 მარტო რალაც სიახლითა სუნთქავდა, არამედ თანადროუ-
 ლობითაც, რამაც მე დამიპყრო და შემძრა. კითხვისას მთლად
 ემოციით ვიყავი შეპყრობილი, ენობრივი ნაკადის მდინარე-
 ბას უძღვევლი ენერჯის ძალა ჰქონდა და არ ძალმიძდა ამ ნა-
 კადისათვის არ მიმებაძა, ჰოდა მეც მისი მიბაძვით „ბამბის
 გზა“ დავწერე. ამჯერად მიმბაძველობამ ჩემი შემოქმედების
 ისტორიაში აუნერლად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამან
 მომცა საშუალება გამეგო, რომ შენი მოთხრობისათვის აუცი-

ლებელია მიაგნო საჭირო ტონს, ანკიდევ საჭირო ლაიტმოტივს, რომ ეს იგივეა, ორკესტრის დირიჟორი ტონს რომ აგნებს და განსაზღვრავს. თუკი მართებული და ზუსტი ტონი მოხელთებულია, მამ მოთხრობა „მოედინება“ ნაკადივით, მოედინება თავისუფლად და ადვილად. თუკი საჭირო ტონი მონახული არ იქნება, რომანი ტვინის ჭყლეტა გამოვა.

ჯოისის „მერვეც“ ჭეშმარიტი კლასიკაა. შესაძლოა მის შესახებ ამდენი სტატია და ქება-დიდება რომ არ ყოფილიყო დაწერილი, იქნებ არც არასოდეს წამეკითხა. ეს რომანი საკითხავად ისე ძნელი არაა, როგორც ბევრს აჰგონია, მაგრამ გულმოდგინე, დაწვრილებით, დროდადრო ჩაკირკიტებულ აღწერას იმ სასტიკმრო ოთახებისა, სადაც არანაკლებ დაწვრილებით, გამოწვრილებით აღწერა ხდება ცხოვრებისეული წვრილმანებისა, ნამდვილად შეუძლია მოთმინებიდან გამოვიყვანოს კაცი. რომანის უკვე თითქმის ბოლოში, მამაკაცი და ქალი, ვინც მთავარი მოქმედი პირები არიან, გამოდიან დედის სასტიკმრო ოთახიდან და მიდიან ცივსა და სურნელოვან ქუჩაში და მათი მინავლებული სიყვარულის ალი აქ, როგორც იქნა, გარდაიქმნება კოცონის მოგიზგიზე ცეცხლად და ეს ტკრციალა ალი, გაფურჩქნული ყვავილის სტიქისებურ, გაუნელებელია. ეს ორი შემოილი, აგიზგიზებული გული, ყვავილისებურად გაფურჩქნული, ნელინელ გარინდება, როგორც ინავლად კოცონის სიმზურვალე, როგორც ჭკნება ყვავილი. მამაკაცი სამარეში ჩასახვენებს სულსა და გულს, მსგავსად იმ ყვავილის კოკრისა, ამქვეყნად ოდესღაც გამოზრდილი და მოვლილ-ნალოლიავეები რომ იყო, მაგრამ რომლის ცხოვრებისეული სიმზურვალეც განწირულია მშვიდი კვდომისათვის, გაქარწყლებისა და გაქრობისათვის. ეს რომ ნებისმიერი სხვა მწერალი ყოფილიყო და არა თვით ჯეიმზ ჯოისი, არცერთი აღარ გააგრძელებდა რომანს, რადგან, ფაქტობრივად, ის ამ ადგილას დასრულდა. მაგრამ ჯეიმზი არ შეჩერებულა, იგი გვაძილებს წავიკითხოთ „მთელს ირლანდიას თუ როგორ ფარავს თოვლი“ და მხოლოდ ამის შემდეგ დაესმის რომანის წერტილი. „თოვლი ეცემოდა დედამინის ცენტრალური დაბლობის თითოეულ გოჯს, ეცემოდა გორაკის მომიშვლებულ მწვერვალს, მსუბუქად ეშვებოდა ელენ-ტბის ზედაპირზე, იჭიმებოდა დასავლეთისაკენ, მძიმედ ეფინებოდა, თითქო მიიჭაროდა ტალღოვანი ბნელი მორევისაკენ, ჭაობისაკენ, შემდეგ კვლავ დასავლეთისაკენ გაექანებოდა და ბუმბულივით მსუბუქად ეფინებოდა მდინარის შავ მორევს და ატაცებული ბობოქარი, აქაფებული ტალღათა ცემით წარტაცებულიყო. ეფინებოდა მაიკლ ფულის ეული საფლავის გორაკის მწვერვალს, ეშვებოდა და ეშვებოდა, ეფინებოდა გადაღრეცილ ჯვარს, ეფინებოდა საფლავის ქვას, სასაფლაოს შესავლელში სამრეკლოს კართან ამართულ სვეტს, ეფინებოდა ირგვლივ ბლაბზულახის გროვას“. ეს ლიტერატურის მთელი ისტორიის მანძილზე რომანის ყველაზე საუცხოო დაბოლოებაა აღიარებული. მიუხედავად თავშეკავებულობისა, ძალზე მნიშვნელოვანია, სიმბოლური, ყველა კრიტიკოსის მიერ ნაქები, მსოფლიოს უამრავი მწერლის მიერ მიბაძული და მანც ცოტა ვინმე თუ გაბედავს ასე დაბოლოოს რომანი. მაშინაც კი, როცა ჯოისის რომანის ამ ხერხს იყენებენ არა ბოლოში, არამედ რომანის შუაში, ასეთი ჩანართი ძალზე თვალშისაცემი ხდება, მიბაძულობითა სცოდავს, ამ სიტყვის ცუდი გაგებით. მეც მიცდია დამწერა ჯოისის ტონის გამოყენებით, მაგრამ ყოველ ჯერზე გამოჭერილი ვიყავი ხალხური ანდაზით: „ვეფხვსა ხატავს, გომია კი გამოსდის“.

ლოურენსის ჩინებული მოთხრობის „პლუჟელი გენერალი“ კითხვის ჟამს უკვე „სამხედრო ხელოვნების აკადემიის“ სტუდენტი გახლდით. იმხანად ხელოვნების სფეროში მოდად იყო ქცეული გამოთქმა „შეგრძნება“. როცა რომელიმე რომანს აკრიტიკებდნენ, იტყოდნენ ხოლმე: „ავტორს შეგრძნება არ გააჩნია“-ო, „მას შეგრძნებები არა აქვს“-ო. იმხანად ჩემი მოთხრობები „აფეთქება“, „წითელი გამჭვირვალე ბოლოკი“ უკვე მქონ-

და გამოქვეყნებული. ბევრს ერთგვარ „შეგრძნებებიან“ მწერლუკად მივაჩნდი, ეს ხელს უწყობდა ჩემს თავმომწონეობას და მეც, რომ იტყვიან, „აღარც კი ვუნყოფი თუ რაოდენ მაღალია ზეცა და რაოდენ ღრმაა დედამინა“ (ანუ ქართული ანდაზის მსგავსად — ცა ქუდად არ მიმანდა და დედამინა ქალამნად. მთარგმ.). ქების სიხარული თავს მაგინყებდა, ხოლო ლოურენსის „პლუჟელი გენერალი“ როცა წავიკითხე, მაშინლა მივხვდი, თუ რასა ნიშნავს „შეგრძნება“. ამ შთაგონებამ დამანახა, თუ რაოდენ პრიმიტიული და მარტივი იყო ჩემი „შეგრძნებანი“. მე მივხვდი, რომ ეგრეთწოდებული „შეგრძნება“ ის ხარისხია, რამდენსაც მწერალი გასცემს და რომანის გმირებს საშუალებას აძლევს შეიცნონ საკუთარი თავი, აღწევს ამას მისთვის ხელმისაწვდომი ყველა მეთოდით, თავისი „მეექვსე გრძნობის“ ჩათვლითაც კი, საკუთარი სხეულისა და სულის, გულის შეცნობითა და ასევე საკუთარი თავის მიღმა, საკუთარი თავის ირგვლივ არსებული სამყაროს შემეცნებით. ამ ყველაფერში ლოურენსის „პლუჟელმა გენერალმა“ დაგვიტოვა, ყველა ჩვენგანს დაგვიტოვა, უზრუნველი და უმშვენიერესი ძეგლ-მაგალითი.

ხელოვნების ტაძრისა და მით უფრო XX საუკუნის 80-იანი წლების ჩინეთისათვის მარკესის სახელი, ეჭვგარეშეა, მონმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილის მსგავსი რამ იყო. მისმა „დაიდმა მოხუცმა“ მკაფიოდ გვიჩვენა „მისტიკურ-ფანტასტიკური რეალიზმის“ ურყევი პრინციპი. ამ პრინციპის კოდექსი, ერთი შეხედვით, უბრალოა: შესახედად არარეალური ამბები აღინეროს როგორც სინამდვილე, ადამიანების მიერ შეუძლებლად მიჩნეული — გვიჩვენოს როგორც შესაძლებელი, საცხებით შესაძლებელიც კი. მარკესის მოთხრობა თავდაპირველად შეგნებაში უნებლიეთ კავკასიულ „მეტამორფოზებს“ უკავშირდება, მაგრამ პირადად ჩემთვის მისი მოთხრობა საბავშვო ზღაპრებსა და თქმულებებთან უფრო ახლოსაა, იმიტომ, რომ რარიც უცნაურადაც და არარეალურადაც უნდა გვეჩვენოს, მაგრამ ჩვენ ყველას ოდესღაც, ანკი სულ მუდამ, გვჯერა ზღაპრებისა. მე ყოველთვის მეჩვენება, რომ მარკესის ჭეშმარიტი მასწავლებელი ანდერსენია, იმიტომ, რომ მარკესი სარგებლობს ბავშვებისათვის მოსაყოლი ზღაპრების მეთოდით, ანუ მისთვის ნებადართულია ყველაფერი, რაგინდ უცნაური, გასაოცარი და ზღაპრულიც უნდა იყოს ეს.

ფოლკნერი — უამრავი მწერლის მასწავლებელი, მათ შორის ჩემი მასწავლებელიცაა. რა თქმა უნდა, იქნებოდა თუ არა თანახმა მე მოწაფედ მიველე, მოეწონებოდა თუ არა ასეთი იდეა, არ ვიცი, მაგრამ, საბედნიეროდ, მე არ მომიხდება მასწავლებლის წინაშე თავი მდაბლად დაეხარო და მუხლმოდრეკით შევევედრო, როგორც ეს უძველესი ჩინეთის ჩემს წინაპრებს სჭირდებოდათ ხოლმე, როცა პირველად ეახლებოდნენ თავთან მასწავლებლებს საზვიამო ცერემონიაზე. ეს ხელს უწყობს კიდევაც ჩემს გაბედულებას და ნებსა მადლებს ჩემს თავს მისი მოწაფე ვუნდო. ფოლკნერის მოთხრობა „სამართლიანობა“ სულაც არაა მისი ყველაზე სახელგანთქმული ნაწარმოები, მაგრამ ჩემთვის გამორჩეულად საყვარელია და არამარტო ჩემთვის, გამუდმებით ვინმეს ვთავაზობ, რათა წავიკითხო, თუმცა, არსებითად, ეს მოთხრობა მიყვარს მისი აღნაგობის, მისი გამორჩეულად ორიგინალური კონსტრუქციის გამო. ეს კონსტრუქცია მიმზიდველია. ფოლკნერის ვრცელ რომანებსაც და მოკლე-მოკლე მოთხრობებსაც ყოველთვის მშვენიერი, დახვეწილი კომპოზიცია აქვთ, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, „სამართლიანობა“ სწორედაც რომ როგორღაც განცალკევებითა დგას. ფრიად კარგად მოთხრობა „ვარდები ემილისათვის“, მაგრამ პირადად მე მგონია, რომ ის „სამართლიანობას“ ჩამოუვარდება. ეს უკანასკნელი, თავისი მარჯვე და დახვეწილი მეთოდით — ბავშვის პირით გადმოგვცეს ბავშვისავე გაგონილ, მისი პაპის მოხუცი მსახური სემის ნაამბობს ამბავს, რომელიც მან, თავის მხრივ, მოისმინა მისი მამის, გერმანის მე-

გობრისაგან, ამრიგად შევიტყობთ მეუღლეების — დედისა და მამის — ისტორიას. ფაქტობრივ, ჩამოყალიბებულია ისეთივე კონსტრუქცია, როგორცაა ხალხური შემოქმედების ნიმუში — კოლოფი კოლოფში. ჩინეთში ასეთ სათამაშოს „თაო მუ შუ“ ჰქვია, ანუ „ხის კოლოფში ჩასმული ხის სათამაშო“. ეს, რა თქმა უნდა, დაახლოებითაა ასე. მე მგონია, რომ კონსტრუქციის ამგვარად აგება მწერლის ისტორიულ მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული. მოთხრობაში აღწერილია მამის გაჯიბრება ზანგ მსახურთან, ზანგის შეჯიბრი მეტროლ მამალთან, ეს ყველაფერი აღწერილია მეტად თეატრალურად და თამაშის მომენტის პრინციპის გათვალისწინებით, დროდადრო კომედიის პრინციპისაც და, ამავდროულად, სიღრმისა და წერის ოსტატობის თვალსაზრისით შეუდარებელია.

ტურგენევის „თეთრი სტეპი“ ლამაზი საბავშვო ზღაპარია. სამწუხაროდ, ეს ესეისტური თხზულება მხოლოდ ერთხელ მაქვს წაკითხული, თანაც ოც წელიწადზე მეტი ხნის წინათ, მაგრამ ის კოცონი, ის მონათხრობი სულეზა და ეშმაკეულებზე, ის ამბები, დაძაბული შიში, თავზე თმას ყალყზე რომ გიყენებს, შეგრძნება იმ საქონლისა, სტეპში რომ დაბალახობს, თავიანთ დინგებს წარამარა რომ იშვერენ კოცონით განათებული მხარისაგან, ეს ყველაფერი დღემდე არ დამვიწყია, ხსოვნებიდან არ ამომშლია.

კავკასიული „სოფლის მკურნალი“ ტიპური ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელიც მიმართულია ეგრეთწოდებული „სიზმრისეული მიბაძვებისადმი“. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ სიზმრიდან იყოს კიდევ „გადმონერილი“. ამ მწერლის თხზულებათა უმეტესობა ამის მსგავსია. ყველა ჩვენგანი ხედავს სიზმრებს, მაგრამ როგორ აღგვეჩერა და გადმოგვეცა ისინი, ჩემი აზრით, მხოლოდდამხოლოდ კავკამ შეძლო. ხოლო ის, რომ მისი ფანტასტიკური შემოქმედება შექმნილია იმ მიზნით, რომ გააკრიტიკოს კაპიტალისტური სამყარო, კაპიტალიზმის სასაყვედუროდ, ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

მწერალი მიძუგამი, ვინც დაწერა ნიგნი „თუთის ბაღი“, მშობლებმა ადრეულ ბავშვობაში ბუდისტურ მონასტერში მორჩილად, ბერად მიაბარეს. მის მოთხრობებში ხშირად ვხვდებით ბოდისატვას, ლოცვას ამიტოვო, ასევეა ამ გულსაკლავ, მწუხარე მოთხრობაშიც. მიძუგამის ენა გასაოცრად დახვეწილია, ფაქიზი, მაგრამ ყოველთვის ახალი, ქორფა, მიუხედავად სიუჟეტისა. ამგვარი სიუჟეტები მე რომ ჩამვარდნოდა ხელთ, შემაძრწუნებელი გამომივიდოდა, იმიტომ, რომ ხალხში როგორცაა ნათქვამი, „იჩქეფებდა და იშხეფებდა სისხლი“. ამ ნიგნის აღნაგობა და კომპოზიცია, ცოტა არ იყოს, შორეულად ფოლკნერს გვაგონებს. ხოლო ის მოთხრობა, რომელზეც ლაპარაკი მქონდა, — „სამართლიანობა“ — მე შევეჩვიე ათი რიცხვით შემოფარგულულ შორის, ჩემს საყვარელ ნაწარმოებთან სიაში, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შეიძლება ითქვას სუპერ-სულიერი ნაწარმოებია, მასში ამაღლებული, შეიძლება ითქვას, რელიგიის დონეზეა აზიდული. მეორეც იმიტომ, რომ ეს ამბავია და ლეგენდა სოფლური ტრადიციის, მიწათმოქმედთა და მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ. მოთხრობა მეტად სარწმუნოა, დამაჯერებელი და საკეთილდღეო.

როგორც მკითხველმა, ძალზე ცოტა რამ ვთქვი, ხოლო როგორც „ამომრჩეველმა“, ვთქვი მეტისმეტად გრძლად და ბევრი.

**ჩინურიდან თარგმანეს
ლიუ-ჟანდარალი კუანგჰენისამ
და რუსუდან ქუთათელაძემ**

- 1. კულტურული რევოლუციის დროს მოხარული ღორის თავი დიდ ფუფუნებად მიიჩნეოდა.
- 2. აქ და შემდეგ ვეროპულ ლიტერატურულ ნაწარმოებთან დასათაურებანი ჩვენს მიერ თარგმნილია ავტორის ჩინური თარგმანიდან და არა ისე, როგორც ორიგინალშია დასათაურებული.

ეკა ბუჯიაშვილი
**ის
საგულისხმო
ზღვარი**

**(ნათია როსტიაშვილის
ახალი ნოველები)**

მისი თხზულებების შესახებ ელგუჯა თავბერიძე ასე წერს: „დეტალის ხელოვნება დიდი ოსტატობაა და ამას გამორჩეულები ახერხებენ. ბოლოსდაბოლოს, ტექსტი მთლიანობაში დეტალებისგან იკინძება, მაგრამ ხშირად იმ მცირეში უფრო ამკარად ჩანს, რა შეუძლია და რა არ ძალუძს მის მთხვევლს. ნათია როსტიაშვილის ნოველები პირველივე ფრაზიდანვე დეტალის, ნიუანსის ახლებურად და იმავდროულად ოსტატური ჩამოქნით მიგაქცევენებს ყურადღებას“.

დეტალის ხელოვნება მის ამ თხზულებებშიც გამორჩეულად თვალსაჩინოა, ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ (№3, 2015) ფურცლებზე რომ დაიბეჭდა. რამდენიმე ნოველაში — „ნიფის გენერალი“, „ფულს აგროვებს ერთი კაცი“, „თბილისი-ჰერეთი“ და „ნითელი წინდები“ — საგულისხმოდ იკვეთება ახალგაზრდა მწერლის ბელეტრისტული ოსტატობაც, მეტაფორული ხედვაც, შემოქმედებითი მრწამსიცა და ფრაზის ხელოვნებაც, ოღონდ ყველაზე მეტად მაინც ის მრავლისმეტყველი და ტევადი დეტალები იქცევის ყურადღებას, ფსიქოლოგიური სიღრმითაც რომ გამოირჩევა.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ამბავს გაიმბობთ მწერალი, ოღონდ სტრიქონსა და სტრიქონს შუა ადამიანური ბუნების ღრმა შრეებშიც ჩაგახედებთ და თვალსა და ხელს შუა ისე მოულოდნელად შემოაბრუნებს თხრობას, ისე ცვლის სიუჟეტურ ხაზს, რომ მოულოდნელი ფინალის წინაშე აღმოჩნდებით.

მოულოდნელი ფინალი — ეს კიდევ ერთი სახასიათო ნიშანია ნათია როსტიაშვილის შემოქმედებისა. სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა „ლიტერატურული პალიტრის“ პუბლიკაციებს შორის „ნითელი წინდები“ — მინიატურა ოსტატურად მიგნებული კომპოზიციით, სულ რამდენიმე ფრაზაში დაწურული ამბით, პოსტმოდერნისტული ფინალით რომ იპყრობს ყურადღებას და თავდაყირა აყენებს ყველაფერს, რაც მანამდე გაიმბობთ პერსონაჟმა.

„მაგას ცხოვრებაში კარს როგორ გავუღებ? მეცხრე სართულის თემურაზე გეუბნები.“

არადა, როგორ მორიდებულად დააკაკუნა, ჩაიდანე ეჭირა, წყალს ვერ ამავსებინებო?“

მორიდებულად კი დააკაკუნა, მაგრამ მოურიდებლად უთხრა ქალს:

— ცალ-ცალკე, მარტოხელად რატომ ვბერდებითო. ერთად ვიყოთო...

აი, ეს ნითელი წინდები რომ გაცვია, ამან სულ ამიმღვრია გონებაო... ნურბელასავით აეკრო და...

მოხდა მოსახდენი.

ოღონდ, როცა მკითხველი იმაზე ფიქრობ, გაგვიღმოს თუ უთანაგრძნო ქალს, ასეთი ამბავი რომ შემთხვევია, აღმოჩნდება, რომ თურმე ახრიალებულ ონკანთან ყვება „ცუდ“ სიზმარს „წყლისთვის გასატანებლად“ და თითქოს გულიც კი გწყდება, სიზმარი რომ აღმოჩნდება ეს ყველაფერი. უკვე

ერთის მარტობასაც უთანაგრძნობ და მეორისაც, თანაზი-
არიც კი ხდები მათი სევდისა და უცებ...

ცხადშიც წყდება წყალი.
კარზეც ცხადი კაკუნია და...
ესეც ფინალური ფრაზა:

„ქალი აბაზანიდან ოთახში გავარდა და ფეხზე წითელი
წინდები ამოიცვა“.

კითხულობ და... უკვე აღარც იცი, გაგელიმოს თუ გული
აგინწყდეს, ამ პატარა დეტალით ისე ფაქიზად გიხსნის მწე-
რალი ერთი მარტოხელა ქალის ფსიქოლოგიას.

არცერთი ზედმეტი სიტყვა.
არცერთი ზედმეტი ფრაზა.
და არც ზედმეტი მინიმება.

მწერალი ოქროს შუალედს ინარჩუნებს და ძალიან
ფრთხილად გადის იმ ზღვარზე, რომლის მიღმა ყველაფერი
შესაძლოა უხამსობად ან ანეკდოტურ ამბად ქცეულიყო. და
ამას ისე ბუნებრივად აღწევს, თითქოს ჩაგვსმის ის საბედის-
წერო კაკუნიც, მთლიანად რომ ამოაყირავებს ამ პატარა ნო-
ველის სივრცეს.

და შეგძრავს წითელწინდებიანი ქალის განცდათა სიღრმეც.
აი, ეს კაცი კი, სხვა ნოველის გმირი, ფულს აგროვებს.
ფულს აგროვებს ერთი უცნაური კაცი და ფიქრობს:

„როცა იქნება, მომიგროვდება გარკვეული რაოდენობის
თანხა, საქველმოქმედო ფონდს დავაარსებ, დავეხმარები
ღარიბ-ღატაკებს, უსახლ-კარ-უთვისტომ-უყველაფროებს,
ხელს გაუშვარათა გაღატაკებულ ინტელიგენციას, ექიმებს,
პედაგოგებს, მერე თავსაც მივხედავ და იქნებ დავოჯახდე
კიდევ სიბერეში“.

ფულს აგროვებს ერთი უცნაური კაცი, ოღონდ უცნაური
ჯერჯერობით ამაში არაფერია, გაკვირვებამდე ჯერ ის უნ-
და გითხრათ მწერალმა, რომ კაცი თავის ზრახვებს ქალს
უზიარებს ფიქრსა თუ ოცნებაში, იმ ქალს, წლების წინათ
რომ უყვარდა, ახალგაზრდები რომ იყვნენ და ახალგაზრდეუ-
ლადაც ათროლოებოდათ გული.

მერე ბედმა დააშორათ ერთმანეთს.

მერე ეს თავის გზაზე წავიდა, ის — თავისაზე.

წლები გავიდა მას შემდეგ. ცხოვრებამ სხვადასხვაგვარად
გადააწყო მათი ყოფა.

და აი, ახლა, უკვე წლებშეპარული, ფულს აგროვებს კე-
თილი სურვილებს ატანილი კაცი და დროდადრო ასეც ანა-
წილებს თავისი გეგმების რეგითობას:

„არა, ჯერ თავს მივხედავ, მერე — გაღატაკებულ ინტე-
ლიგენციას და ბოლოს იქნებ დავოჯახდე კიდევ“.

ჯერ თაო და თაოო, — ეს ადამიანური სისუსტეც სძლევს ჯე-
რარშექმნილი ფონდის ავან-ჩავანს, ჯერარშეგროვილი ფულის
პატრონს, მაგრამ განზრახვას არ ცვლის, კაცობრიობაზე ფიქრს
მაინც აგრძელებს და ინტელიგენციის ბედიც კვლავ აწუხებს.

და შენც თანაუგრძნობ მის კეთილ განზრახვას.

იქნებ ჯიბეზეც გაიკრა ხელი მისი საქველმოქმედო ფონ-
დის შესანიშნავის, ცნობისნადილით შეპყრობილი ფეხ-
დაფეხ მიჰყვები მწერალს, რომელიც, ვიდრე იმასაც გეტყ-
ვით, რა ბედი ეწია თავისი პერსონაჟის გეგმებს, მისი სიყვარ-
ულის ისტორიასაც გიამბობთ და ასე თვალსა და ხელს შუა
აღმოჩნდები კადრთან:

გადაქექილი საფულედან ხანგადასული ქალი ღარიანს
ამოაძრენს, ქუდში ჩაუფდება მათხოვარს და როცა ჩაუყ-
ლის, გახევებულს გაფართოებული და სევდიანი თვალები-
დან ცრემლი ჩამოუგორდება:

„საბრალო... საბრალო... ალბათ ვერ მიცნო“.

და ხედები, რომ მანამდელი საუბარი ქალთან მირაჟია,
კაცი კი მართლაც აგროვებს ფულს, ოღონდ ქუჩაში მდგომი,
განვდილ ქუდში, რომელშიც საარსებო გროშები თუ ყრია.



კარლო ფაჩულია ნათია როსტიაშვილის მინიატურისა „წითელი წინდები“ ილუსტრაცია

დასა და გაჰყურებს ცხოვრებას, მათხოვრად რომ უქცე-
ვია, და წუხს, წუხს... კაცობრიობისა და ინტელიგენციის
ბედზე:

„ესეც ლარი...“

ასე, ლარს ლარი მიემატება, მოვაგროვებ საჭირო თანხას
და მერე...“

თავისებურად საინტერესოა ნათია როსტიაშვილის ეს
ორი ნოველაც: „თბილისი-ჰერეთი“ და „წიფის გენერალი“,
ტევადი და მრავლისმთქმელი ფრაზებით რომ გიხსნის ადა-
მიანის სულიერი სამყაროს კარს, გიზიარებს მის განცდებს
და შენც, მკითხველი, თითქოს ამ პერსონაჟებთან ერთად
იღებ გადანყვეტილებებს, ხან ეთანხმები, ხან არა, ხან უთა-
ნაგრძნობ მათ მრწამსს, ხან ეწინააღმდეგები, თუმცა არასო-
დეს გეპარება ეჭვი მათ გულწრფელობაში, ენდობი მწერალს-
საც, მის მიერ შექმნილ ხასიათებსაც და გჯერა პერსონაჟთა
სულიერი მეტამორფოზისაც, რასაც ისეთი ფაქიზი ნიუანსე-
ბით განგაცდევინებს ავტორი, რომ არაფერი გეჩვენება
ზედმეტი და ხელოვნური.

ასეთია ნათია როსტიაშვილის ეს ნოველები.

იმ ახალგაზრდა მწერლისა, რომლის შემოქმედებაშიც
უწინარესად დეტალს გამოარჩევენ;

კიდევ — მოულოდნელი ფინალის ხელოვნებასაც;

ბელეტრისტულ ოსტატობასაც;

კომპოზიციის გამორჩეულ გრძნობასაც.

და იმ საგულისხმო ზღვარსაც, რასაც ასეთი სიფრთხი-
ლით გადის მწერალი თავის თხზულებებში, რათა ასეთივე
სიფრთხილით გვაზიაროს ადამიანური ბუნების დაფარულ
თუ ხილულ შრეებსაც და იმ მარადიულ ღირებულებებსაც,
რომლებზე საუბარიც დღესდღეობით იქნებ ბანალური და
პათეტიკურიც კი მოგეჩვენებოდა, ამგვარი სიფაქიზისა და
ზომიერების გარეშე.

2014 წელს, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ორ ნაწილად იყო დაყოფილი: 1. საერთაშორისო სპექტაკლები, რომელიც მხოლოდ უცხოური სპექტაკლების ჩვენებას გულისხმობდა (20-30 სპექტემბერი); 2. ქართულ პროგრამა, რომელსაც დაემატა კავკასიისა და შავი ზღვის ქვეყნების სპექტაკლები (2-8 ოქტომბერი). 3 ოქტომბერს, ქართული პროგრამის ფარგლებში, გაიმართა რეჟისორ ლევან ნულაძის სპექტაკლის პრემიერა — ნიკოლაი გოგოლის „შეშლილი წერილები“, რომელიც წარმოადგენს მარჯანიშვილის თეატრისა და Emilia Romagna Teatro Fondazione-ის კოპროდუქციას. ქართულ-იტალიურმა პროექტმა, რომელიც ორ ენაზე მიმდინარეობდა და იტალიელი და ქართველი მსახიობები თამაშობდნენ, უცხოელი სტუმრებისა და ქართველი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია.

მანანა ტურიაშვილი

სიყვარული მეორე სიცოცხლა

2013 წელს, თბილისის თეატრალურ ფესტივალზე ემილია რომანას თეატრი ჩამოვიდა და პიპო დელბონოს დასმა აღიარებული სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს — „ბრძოლის შემდეგ“. ემილია რომანას თეატრი წარმოდგენების ცენტრია, რომელიც 1977 წელს დაარსდა და ას ოცზე მეტი წარმოდგენა შექმნა. „თეატრი ორი მიმართულებით მუშაობს: თანამშრომლობს რეჟისორებთან და ეძებს სპექტაკლებს და სივრცეებს, რომელიც შესაძლოა ტრადიციული თეატრალური დარბაზების ალტერნატივა გახდეს.“

ასე ნახეს მათ 2013 წელს ლევან ნულაძის სპექტაკლები და გადანყდა თანამშრომლობა. მოლაპარაკების მთავარი საკითხი ავტორის შერჩევა გახდა. ლევან ნულაძის თქმით: ვარაუდობდნენ ჩეხოვის ან გოგოლის დადგმას, ფიქრობდნენ იტალიელ ავტორებზეც, მაგრამ ვინაიდან ქართველ და იტალიელ მსახიობთა ენობრივი ბარიერი უნდა გაეთვალისწინებინათ, ისეთ ნაწარმოებზე შეჩერდნენ, სადაც ქმედითი ელემენტი ტექსტზე ძლიერი იქნებოდა, და ასე შეარჩიეს ნიკოლაი გოგოლის „შეშლილი წერილები“, სადაც მთავარი გმირის სიზმრის სეული ატმოსფერო სცენურ პრობლემებს გადაჭრიდა.

„მარჯანიშვილის სარდაფი“ ერთ დროს თბილისში პოპულარული თეატრის „რუსთაველის სარდაფის“ პროტოტიპია, რომელიც 90-იან წლებში დაიბადა და საინტერესო სანახაობებით უამრავი მაყურებელი მიიზიდა.

„შეშლილი წერილების“ მთავარი გმირის დღიურის პირველი ჩანაწერი სამი ოქტომბრით არის დათარიღებული და ქართულ-იტალიური სპექტაკლის პრემიერაც სწორედ ამ დღეს შედგა, ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში. სპექტაკლი ორჯერ ითამაშეს და აი, 2015 წლის იანვარს ახალგაზრდა იტალიელი მსახიობები კვლავ ჩამოვიდნენ და ქართველ მსახიობებთან ერთად უფრო მეტ ქართველ მაყურებელს უჩვენეს აქსენტი პოპრიშინის ზმანებანი, რომელიც ასე ანუხებდათ მის უიღბლო, ჩინოვნიკურ სამყაროში ჩაკეტილ თანამშრომლებს. პოპრიშინის ახალგაზრდა, ტანხმელი, ნათელი და გამჭირვალე გამომეტყველებს იტალიელი მსახიობი მასიმო სკოლა ასრულებდა. სოფის — მშვენიერი ელეონორა ჯოვანარდი, ხოლო მის მოლაპარაკე ცუგას — მეჯის, მალალი, ტემპერამენტური და ვნებიანი ქალი რობერტა დესტეფანო.

„სიყვარული მეორე სიცოცხლე“, ამბობს სოფის ძალი — მეჯი და სწორედ მეორე სიცოცხლეს ეძებს მისი მთავარი გმირი, ტიტულარული მრჩეველი — აქსენტი პოპრიშინი, რომლის გვარის ფუძეც ასპარეზს, სარბიელს ნიშნავს. გოგოლის გმირს და შესაბამისად ლევან ნულაძის წარმოდგენის პერსონაჟს ორი ცხოვრება აქვს: ერთი ჩინოვნიკური და მეორე წარმოსახვითი, სიზმრისეული, სადაც ყველაფერი მოქნილია, სადაც გზა ხსნილი გაქვს და ფანტაზიებს უდღევს გასაქანი ეძლევა. „შეშლილი წერილები“ პიესა არ არის, მაგრამ სხვადასხვა ფანტასმაგორიული ამბით გაჯერებულ ნაწარმოებში ბევრი წარმოსახვითი, ქმედითი ელემენტი და ამის

გამო რეჟისორისთვის საინტერესო ექსპერიმენტსაც წარმოადგენდა.

„მარჯანიშვილის სარდაფის“ გრძელი, სიღრმეში სიგრძივად გაშლილი სცენა იტალიელი პოპრიშინის სარბიელია, რომელიც ქართველი მაყურებლის ყოველდღიურ სარბიელსაც მიგვანიშნებს. ვინ არ ამდგარა დილაობით და ვის არ დაზარებია ალიონზე იმ სამსახურში წასვლა, რომელიც მხოლოდ არსებობის საშუალებას გაძლევს და მეტს არაფერს. ჩინოვნიკურ დეპარტამენტებში უამრავი ტექსტი იქმნება და ინახება — საკანცელარიო საბუთების წყება და წყება: ბეჭდვითი თუ უბეჭდო, მიმართვები, დანიშვნები, ბრძანებები. მათი გადაფურცვლა, შემოწმება, ჩასწორება ვისთვის ნეტარებაა, ვინაიდან მიწვია ასეთ ცხოვრებას და გადაგვარდა ანუ ადამიანის, როგორც ინდივიდის სახე დაკარგა; ხოლო ისეთი ადამიანებისათვის, როგორიც პოპრიშინია — დედამიწაზე არსებული ჯოჯოხეთია, სადაც წამების ათასნაირი იარაღი არსებობს: დირექტორთან ქედმობრილი საუბარი, მისი ყველა ნება-სურვილის შესრულება, კალმის ფრთების შეკეთება, სამსახურში წამი-წამზე მისვლა და იქიდან წამი-წამზე გამოსვლა: არავითარი შემოქმედება, არავითარი ფანტაზია. ხვდება, რომ ერთი პროზაული ამბის გამო იბრძვის — ლუკმა-პურისთვის, როგორმე, თვიდან თვიმდე ხელფასის მოლოდინში — ვალებით რომ განვლოს დაბადებიდან სიკვდილამდე გადებული გზა, რათა მერე ნება-ნება, ტაბით ჩაასვენონ იმ საფლავეში, საიდანაც აღარსად დაავიანდება — არც ჩინოვნიკურ დეპარტამენტში და არც სიზმრებით გაჟღერებულ სასთუმალზე. გოგოლის ნაწარმოებში გულუბრყვილო პოპრიშინის სჯერა, რომ დირექტორის კაბინეტში წიგნებით სავსე თაროები ხელისუფალის განათლებისა და ჭკუის მანიშნებელია და არა მისი ყალბი სარბიელი, სადაც პოპრიშინის მსგავსი მსხვერპლნი ნაპირზე გამორიყული თევზებით სულს ლაფავენ, ხოლო უფროსის ფეხის ხმას აწყობილნი მისი ნასუფრალიდან პატარა-პატარა ულუფებს ღებულობენ.

მაგრამ ვაითუ დეპარტამენტში ისეთი ადამიანიც მოხვდა, რომელსაც ღმერთმა შემოქმედებითი უნარი შთაბერა?! მაშინ ის, ამგვარი სიცოცხლით დახუთული, ვეღარ უძლებს დათრგუნვას — აპროტესტებს და თითქოს თავსაც ირთობს პოპრიშინით, რომელსაც თეატრში სიარული უყვარს, რადგანაც ეს მისთვის საშუალებაა, წავიდეს ბრტყელი რეალობიდან შორს, სადაც წარმოსახვითი სამყარო იბადება და ახალ სიცოცხლეს იძენს. გაღლეტილი და ძველმოდურშიწელიანი პოპრიშინი როგორმე გროშ-კაპიკს თუ გადაინახავს, სპექტაკლის ბილეთს ყიდულობს პაციოსნად და მერე იქ — წარმოსახვით სამყაროში აგრძელებს ცხოვრებას. რეჟისორმა ლევან ნულაძემ ასე გადააქცია სცენა მაყურებლის ფანტაზიის სავანედ და ის დღევანდელ, სასტიკ რეალობას პოპრიშინის მეთოდით — ზმანებებში ჩაძირვით ჩამოაშორა და იმ შეთხზულ სამყაროში გადაიყვანა, სადაც მთავარ გმირს გადავენებულ მაყურებელთა დარბაზს უკან მოხედვის საშუალება არ მისცა.

პოპრიშინის პერსონაჟით რეჟისორი სვამს პრობლემას: რა არის საკუთარი ცხოვრება და როგორ უნდა გახდეს ამ ცხოვრების ავტორი, რათა თავი ჭკემაშიც ადამიანად იგრძნოს. პოპრიშინი ჩინოვნიკურ სამყაროში ჩამოყალიბებული წეს-კანონებით ცხოვრობს. ასე სულდგმულნი ჩინოვნიკური იერარქიის ყველა საფეხურზე მდგომ ადამიანთა მთელი არმია, რომელიც დღევანდელი სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მალაანაზღაურებადი, ძალაუფლების მქონე პირებს და ხელფასისათვის ხელგანვდილ უბრალო მოხელე-

ებს — ორივე სახეობას არაქვემდებარები ცხოვრება აქვთ, ვინაიდან მათი ნიღბები წინასწარვეა ჩამოყალიბებული და შეცვლას არ ექვემდებარება — მთავარია, მოირგო ეს ნიღბი და მიჰყვე მას. ეს ადამიანები უფერული მასის ნაწილაკები არიან. უბრალოდ, ერთნი — დაბლა მდგომნი — აცნობიერებენ უღიმღამო ცხოვრების ტრაგიკულ არსს, ხოლო მეორენი, ვინაიდან ძალაუფლება მათ ხელშია — თავს იტყუებენ და ჰგონიან, თვითონვე ქმნიან თავიანთ ცხოვრებას. პოპრიშინი ამ იერარქიული საფეხურის ის მოძრავი და მოციმციმე სინათლეა, რომელიც არ და ვერ ღებულობს ჩამოყალიბებულ, ჩინოვნიკურ ურთიერთობათა წეს-კანონს, ვინაიდან ის მის ფანტაზიებს ფრთებს უკვეცავს. სწორედ ამიტომ მიდის ფსიქოლოგიურ თავშესაფარში, სადაც ის პიროვნება ხდება. ეს „გაქცევები“ მან საკუთარ თავთან მარტო დარჩენით და ოცნებებით დაინწყო, სადაც მის ტკბილ ზმანებებს და მასში თავისუფლად ნავარდს ძე-ხორციელი ხელს ვერ შეუშლიდა. ამიტომაც ქვეშაგებზე მოხერხებული განთავსება და სასთუმალზე თავის მინებება პოპრიშინის ქვემარტივი არსებობაა, სადაც ის თავისი ცხოვრების ავტორი ხდება.



ნინა პლანზე: მასიმო სკოლა (პოპრიშინი); უკანა პლანზე: კოკო როინიშვილი (კუზმა), ზურა ბერიკაშვილი (წერო), ნიკა კუჭავა (ერმოლაი), ანა გრიგოლია (მავრა)

სწორედ ამიტომ იწყება ლევან ნულაძის სპექტაკლის პირველი სცენა განათებულ ლოგინზე მოკალათებული მთავარი გმირით. მაყურებელთან ძალიან ახლოს, მსახიობი მასიმო სკოლა გაზეთებს ხარბად ჩასჩერებია, საიდანაც ინფორმაციას ამოწრუპავს, სხვის ცხოვრებას კარგი მსახიობივით თავისად მოირგებს და მასში ცხოვრებას იწყებს. თავზე გაზეთგადაფარებული თხზავს და თხზავს გამალებული — სიზმარში მიცურავს და სწორედ ამის მანიშნებლად გაზეთი უხილავი ძაფის მოძრაობით ზევით ადის და აფარფატდება ისე, როგორც პოპრიშინის სიზმარი. მაყურებლის ფანტაზიის გასაღვიძებლად, სცენაზე თითქოს ყველაფერი მოძრაობას იწყებს: სანოლი, კარადა მიცურავს და უცებ ხვდება, რომ კედელზე აკრული შპალერი გამჭვირვალე ყოფილა და მის მიღმა, განათებაში მოფარფატე ფრთოსანი ქალი ხორცს ისხამს და ჩინოვნიკის ოცნების ქალად გადაიქცევა. თეთრებში ჩაცმული ხალხი კინოგადაღებაზეა. ტიტულიანმა მრჩეველმა ალბათ რომელიმე მსახიობის ცხოვრების დეტალი ნაიკითხა და ოცნებებში გაფრინდა. გამჭვირვალე შპალერის უკან გაჩნდა ძველი კინოაპარატი, მის გვერდით მოფუსფუსე მსახიობ ზურა ბერიკაშვილის ხვეული პარიკი პაროდიულ ფლფერს ანიჭებს ამ სცენას. პოპრიშინი კინორეჟისორში თავისი ურჩხული უფროსი შეიცნო, რომელიც სიზმარშიც არ ანებებს თავს, ცხადში ხომ გაღვიძების შემდეგ სამსახურში დახვდება და ბუზანკალივით გაუთავებელი შენიშვნების ბუილით გულს გაუწყალებს და სიცოცხლის ხალისს წაართმევს... მაგრამ რა ლამაზია ეს ქალი, მას არ უნდა სიზმრიდან წამოსვლა, პირიქით მისი გახანგრძლივება სურს, რათა ბოლომდე დატკბეს მისი მშვენიერებით. ჩინოვნიკის პოეტურ სულს თოვლის ფანტელი ულამაზებს გზას, ის უყურებს კინოგადაღებას და ეჭვიანობს იმ მამაკაცზე, რომელიც კოცნის მის ქალს... მერე რა, რომ ეს თანაშემწეა! მაინც ეჭვიანობს, გაიფიქრებს: აი, სწორედ აქედან იწყება ეს წყველი რომანები, რომლებზეც ასეთი გავრეშობითა და ტემპით, უსასრულოდ წერენ გაზეთები. რა! საქმე გამოლევიან? აქ რაღა უნდათ? სიზმარში მაინც ნუ ჰკოცნიან მას.

და როგორ ახლოა ამ სცენის არსი დღევანდელ რეალობასთან! დღეს, როცა ინტერნეტი, ტელევიზია, ყურნალ-გაზეთები ანუ ინფორმაციის ყველა საშუალებით — ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავები ვიგებთ მსოფლიო კინოვარსკვლავთა თუ ცნობილ ადამიანთა ცხოვრების შესახებ, გოგოლის პერიოდში ამ ფუნქციას გაზეთების ელიტური სვეტი ასრულებდა.

თუმცა, უბრალო, პატარა ადამიანის ფსიქიკა მაშინაც და ახლაც, XXI საუკუნეში, ოცნებობდა და ოცნებობს მიუნდომელზე, თხზავს წარმოსახვაში და ფანტაზიით უახლოვდება იდეალს, სწორედ ასეთ იდეალად ამოიჩემა პოპრიშინი თავისი უფროსის მშვენიერი ქალიშვილი — სოფი, რომელიც სპექტაკლში მუნჯი კინოს ვარსკვლავად წარმოგვიდგა.

თუ გოგოლის პოპრიშინის უძველესი ხელოვნება — თეატრი უყვარს, ქართულ-იტალიური პროექტის მთავარი გმირი ერთსაუკუნოვანი ხელოვნების — კინოს თავყანისმცემელია. მაგრამ თენდება, მგრას (მსახიობი ანა გრიგოლია) ხმაური აღვიძებს პოპრიშინის — სიზმრიდან სამსახურში უნდა გაიქცეს. ყველა მიიჩქარის — პიკის საათია... ველოსიპედის რბოლა, თავისი აზარტული მოძრაობით, ლამისაა ფინიშის ზღურბლთან მიახლოების წყურვილით გაფერებულ ოლიმპიურ შეჯიბრებას დაემსგავსოს. რეჟისორი უჩვეულოდ საინტერესოდ იყენებს სცენურ სივრცეს — სამსახურში მიმავალი და ფეხმარდი ხალხის რბოლას ველოსიპედთა ბორბლების ტრიალი ასაკაცებს და გეჩვენება, რომ ძალიან ბევრნი არიან. მათში ვერ გამოარჩევთ იტალიელი მსახიობის პოპრიშინის ველოსიპედს, ის ბრბოშია ათქვეფილი და ამიტომაც მიჩქმალული. მაგრამ რეჟისორი სიმბოლურ სცენებს ქმნის ამ თითქოს უბრალო რბოლისაგან. ეს ის ხალხია, რომელიც სამსახურზე ჩამოკონიალებული, თითო-ორთა ლუკმისათვის ადამიანის სახე დაუკარგავთ, ერთფეროვანი არიან და მათში გამორჩეული ადამიანი, რომელსაც წარმოსახვის უნარი აქვს და რომელსაც სიზმრები რეალობად ესახება — ცხოვრების ჩამორჩენილ, უხერხემლო დაჩანჩაკებულთა რიგებში ირიცხება! სწორედ ამიტომ ჩამორჩება ამ რბოლას პოპრიშინი და მარტო მიაგვლევებს ველოსიპედს: „დავიკარგე?“ სვამს კითხვას, რომელზეც პასუხი თვითვე აქვს: „დავიკარგე!“ პოპრიშინი უკვე დაკარგული საზოგადოებისათვის, ვინაიდან ვერავინ აპატიებს ზმანებებში ჩაკარგვას და იმას, რასაც მის მიერ არჩეული გზა უჩვენებს. ამ გზას იგი მიჰყვება თავისებური ლოგიკით, რომელიც ჩვეულებრივი, ყოველდღიური ლოგიკისაგან განსხვავებულია. მაყურებლისათვის კი ერთია ცხადი: მას სამსახურში დაგვიანება არ ასცდება.

თეთრ სამოსში ჩაცმული კინოვარსკვლავი გოგოლის სოფის ჰგავს სილამაზითა და გრაციოზულობით — ახალგაზრდა იტალიელი მსახიობის, ელეონორა ჯოვანარდის წინაშე თეთრი, გრძელი „ცელოფანის მდინარეს“ აფრიალებენ — ასე იქმნება კინოფექტი, მაგრამ პოპრიშინისათვის ეს რეალური ტალღებია! განა მას შეუძლია მოწყდეს ამ სილამაზეს? რასაკვირველია,

არა! მომავლებზე უფროსი დაცინვის ატანას ამის ყურება არ ურჩევია? ჰოდა ეჩვენება ეს ქალი და ბედნიერი შებიჯებს დეპარტამენტში, სიყვარულის ნექტარი უკვე მიღებული აქვს და, როცა სამსახურში მისული მოხელის მაგიდაზე თავს ჩაქინდრავს — ნელ-ნელა შეამჩნევთ: სხვები ვითომ მუშაობენ — ქალაქებს ანაკუნებენ, პოპრიშინი კი ყვავილს აკეთებს მისგან...

უცებ ამ ჩაკეტილსა და უიმედო სამყაროში „პატარა პოეზია“ იბადება, პოპრიშინის თავისებური — წარმოუთქმელი მუნჯი ლექსის რიტმი და მისი სიტბო თანამშრომლებს გულს აუთრთოლებს, ყველას ტრფიალი მოუნდება და სიყვარულს მოწყურებული ნიკა კუჭავას გმირი მოსამსახურე ქალის ტუჩებს დაეძგერება. პოპრიშინი სიყვარულის ვირუსი შეიტანა დეპარტამენტში, რიგითი ჩინოვნიკთა ოთახში, რომლის შეზღუდული საზღვარის საზღვრებიც გაირღვა და ყველას მოუნდა მეორე სიცოცხლესთან, ანუ სიყვარულთან ხელშეხება, მისი შეგრძნება, მისი საამური სურნელებით ტკობა.

ჩვეულებრივი ბანალური სახაზინო ტექსტი გაქრა მათი გონებიდან და თავისუფლების შეგრძნებამ, რომელიც სიყვარულის მოპოვების ნდომით იყო გამოწვეული, ყველა მოსამსახურეში პოეტური სული გააღვიძა. ქალაქის ყვავილი მალდა და მალდა მიფარფატებდა, მან კედელს გადაუფრინა, სწორედ ის ზღუდე გადალახა, რომელიც რეალობასა და წარმოსახვას ასე უხეშად აცალკევებს და ორივეს ეულად ტოვებს. შპალერის ორნამენტი გაიკრიცა თითქოს და გამჭვირვალე, უხილავი გახდა. გზა გაიხსნა, თავისუფლებამ თავის ნებაზე დაიწყო ფარფატი და წერილფეხა ჩინოვნიკებმა გახელების ფრიალით ფურცლების კორიანტევი დააყენეს — თითქოს გაისმოდა მათი შინაგანი პროტესტი — ძირს ჩინოვნიკური აზროვნება — ძირს ყველაფერი, რაც სიყვარულს კლავს! ეს ლამაზი კორიანტელი, რომელიც მშვენიერი სცენური ეფექტის სახით წარმოგვიდგა, ჯერ პროტესტი იყო, მერე იმ ინფორმაციული ქაოსის მანიშნებელი სიმბოლო, რომელიც ბურუსში ახვევს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას და პრესის მონად აქცევს, დაბოლოს — ის თავისუფალი ადამიანების ნების გამოხატულებად გადაიქცევა, რადგან ჟურნალ-გაზეთებში დანერგილი ამბები, რომლებიც მხოლოდ ელიტური წრის ცხოვრებაზე მოგვითხრობს — განადგურდა, გაცამტყვრდა და მათი წერვის ქარბუქი თითოეული ადამიანის სულში დატრიალდა: მსახიობში, მაყურებელშიც და კიდევ ერთხელ მიგვანიშნა ადამიანის დანიშნულებაზე — უყვარდეს და უყვარდეთ! მათ ბედნიერ ალტკინებას უფროსი — მსახიობ ზურაბ ბერიკაშვილის — შემოსვლა შეწყვეტს. შეხედულებით ის ჩამოჰკავს პოპრიშინს — ისიც მასავით გამხდარია, სუსტი, მოგრძო ცხვირით. ალბათ ასეთი იყო წერილფეხა ჩინოვნიკთა უფროსი, ვიდრე საბოლოოდ გაჩინოვნიკდებოდა და დაკარგავდა წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარს, რომელიც მხოლოდ ბავშვებს აქვთ და ნელ-ნელა, ზრდის პროცესში ცხოვრება ამიწებს მათ წარმოსახვებს და ხისტ, მექანიკურად მოძრავ ადამიანებად გადააქცევს.

უფროსის დანახვაზე ყველა ჩინოვნიკი გასწორდება და უცებ უბრუნდება რეალობას, რადგან ყველა დამწყებ ჩინოვნიკს საბოლოოდ გახედნა ელის, მხოლოდ ლევან ნულაძისა და მასიმო სკოლას შეთხზული გმირი ვერ ახერხებს ამას და სწორედ ამ ნიშნითაც უახლოვდება გოგოლის გმირს, რადგან ქართულ-იტალიური პროექტის პოპრიშინისათვის სამსახურის მაგიური კედელი საბოლოოდ გაცრეცილია და ფანტაზიის ტალღებით დაღვენილი ტილოდ არის ქცეული, რომლის მიღმაც თეთრსამოსიანი ქალი დგას, ერთი დაშვებული სინათლის ჭავლით განათებული ზეციური იდუმალების ნიშნად. სწორედ ამიტომ ეკითხება ზურაბ ბერიკაშვილის პერსონაჟი თავის ხელქვეითს: „რა კაცი ხარ შენ, პოპრიშინი, რატომ იღიმი? ვინ მოგცა შენ ღიმილის უფლება? რა გაქვს ამ თავში ტვინის მაგივრად, რა?.. კედელს რატომ უყურებ, იდიოტივით, რატომ?“ რატომ უყურებდა მასიმო სკოლას პოპრიშინი კედელს? იმიტომ, რომ კვლავ გაიქცა წარმოსახვაში.

სამსახურის დამთავრების შემდეგ პოპრიშინი სახლის გზას გაუყვება, ახლა მისი ველოსიპედი გამჭირვალე კედლის

უკან, მაყურებლის პირისპირ მოძრაობს. მხოლოდ ჩინოვნიკთა განათებული, წრიულად მბრუნავ ბორბლებზე შემომჯდარი მხედარივით შეუპოვარი, რათა უკან მოიტოვოს ეს საძაგელი სამსახური, რომელიც ასე აკინებებს და ანადგურებს. უჩინარ ხელებს ხის ტოტები უჭირავთ და მათ წრიულად ატრიალებენ განათებაში, რაც მთავარი გმირის ველოსიპედის გრძელ ხეივანში მოძრაობის ეფექტს ასახავს. პოპრიშინი უკიდევანო სრობლამ ბუნების ალქმის გუნებაზე მოიყვანა და შეაჩერა, რათა მთელი სისავსით შეეგრძნო გუგულის ამოძახილი „გუ-გუ“.

სიყვარულს დადევნებული ადამიანი ბუნების სიმღერას გრძობს და სწორედ ამიტომ შეჩერდება ტყეში გუგულის ხმაზე: უნდა მოუსმინოს, წამით მაინც, ვიდრე ის თავის „გუ-გუ“-ს დაამთავრებდეს. ამ „გუ-გუ“-ს ძახილზე გზასაც ასცდება და მიხვდება, რომ ზმანებათა წარმოსადგენად ლოგინი და ბალიში აღარ სჭირდება და კვლავ კინოგადაღებაზე ხვდება. აქ იწყება რეჟისორისა და მსახიობთა მიერ შეთხზული უხმო ეპიზოდები, და ვინაიდან ეს კინოს გადასაღები მოედანია და თან მუნჯი კინოს პერიოდი, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ენას. არის ვნებები, არის სიყვარული, არის იმედგაცრუება, სატრფოს სიკვდილი და „ტრავიატას“ მუსიკის ფონზე სასიყვარულო ვნებათაღელვანი.

პოპრიშინის გაზეთში წაკითხული ინფორმაცია კინოგადაღების შესახებ რეალურად თვალწინ უტრიალებს: თურმე პრესაში ტყუილს არ წერენ და კინოვარსკვლავი მართლაც აქ არის, მასთან ახლოს, თითქმის ხელშესახებად, მაგრამ ეს კინორეჟისორი (ზურა ბერიკაშვილი) რატომ ჰკავს მის უფროსს, რომელიც ყველაფერს უკრძალავს, ან ეს ასისტენტები მის თანამშრომლებად რატომ ესახება? მაგრამ განა ეს არის მთავარი, როცა საქმე სატრფოს ეხება, მუნჯი კინოს ვარსკვლავს?

ლევან ნულაძეს კარგად აქვს შესწავლილი ჩვეულებრივ მოკვდავთა ზმანებანი, რომლებიც დღეს ტელევიზიის ეკრანიდან თუ ფერადი ჟურნალისა თუ გაზეთების ფურცლებზე მოთხრობილი ამბებიდან ახალ რეალობას ქმნიან, ყველა ოჯახის ჩარაზულ კარს აღებენ, უჩინმაჩინის ქუდის დაუხმარებლად შინ შემოდიან და ჩვენი ცხოვრების ნაწილი ხდებიან. კინოსა თუ თეატრის ვარსკვლავები მაცდურად უღიმიან მონურ შრომაში ჩართულ ადამიანებს, ჩვეულებრივ მოქალაქეებს, რომლებიც გამალებულად შეავლებენ თვალს სასურველ მსახიობს, ლამაზად აწყობილს, მდიდარს ანუ — იდეალს და მათზე ოცნებებსა და ფიქრებში გაღვივებულ სახლიდან სამსახურამდე გზას და ზრდასრულ ადამიანთა ძილისპირულის რიტუალის მთავარი პერსონაჟები ხდებიან. თუმცა ზოგს ისე აქვს გადატყავებული ტვინის ქერქი საშუაოზე ფიქრით, რომ ძილისპირულის ფუფუნების უფლება არა აქვს. მაგრამ გავიხსენოთ ნებისმიერი ბუნავი, მივარდნილი ტექნიკური სახელოსნო თუ პანანინა ჭუჭყიანი მაღაზია, სადაც კედლებზე თვალის ხერხელ შევლებითაც კი შევამჩნევთ ვარსკვლავთა და ე. წ. „ცნობილების“ ფოტოებს. რეალობის სწორედ ეს თვისება აქვს ჩავლებული ლევან ნულაძეს, და ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ შემოიტანა სპექტაკლში მუნჯი კინოს გადასაღები მოედნის სცენები.

საერთოდ ძალიან ძნელია დადგა გოგოლის „შეშლილის წერილები“, ვინაიდან ეს ნაწარმოები მარტოსულის მონოლოგია და მსახიობის თხრობამ — ერთი ამბიდან მეორეზე გადასვლა — წარმოდგენის დადგმის დროს და მისი მსვლელობის პროცესშიც სირთულე უნდა წარმოიქმნას.

მაგრამ კინოგადაღების სცენებმა შეცვალა ყველაფერი, რეჟისორს გასაღები აპოვინა და გოგოლის მთელი რიგი ტექსტები ქმედითი გახდა. მაგრამ ერთი პრობლემა მაინც გაჩნდებოდა მუშაობის პროცესში: ესაა პოპრიშინის მუზის — დირექტორის ქალიშვილის, სოფის, ძალის — მოტიკტიკე ფინიას, მეჯის, პერსონაჟის გადაწყვეტა. არადა გოგოლთან ამ ძალს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, სწორედ მისი მიმონერისაგან იგებს პოპრიშინი საყვარელი არსების პირადი ცხოვრების დეტალებს, მის სასიყვარულო ლტოლვებს. ფანტასმაგორიული, მოლაპარაკე ძალის პრობლემატა კინოგა-

დასაღებმა მოედანმა მოაგვარა: როცა კინოვარსკვლავი — მსახიობი ელენორა ჯოვანარდი — კადრშია, თამაშობს და თავის სატრფოს რალაცას უხსნის, მაყურებელი ხედავს თუ როგორ ექაჩება მას თოკი, რომელზეც საყვარელი ფინიაა მიბმული... ძალღიჯი ჭირვეულობს, ეჭვიანობს პატრონზე და საშუალებას არ აძლევს მას, დაელაპარაკოს და აუხსნას თავის სატრფოს მნიშვნელოვანი რამ. ლევან ნულაძის კინორეჟისორმა რეალური ძაღლის გამოყვანით თავი არ გაიწვალა, მან ისიც იცის, რომ ჭირვეული ვარსკვლავი ჰყავს მისახვედრად და მისი ახირებანი უნდა მოითმინოს, თანაც კარგად ვხედავთ, რომ ეს კინოს დაბადების პერიოდია და მისი ენა დასახვედრად და თეატრალური პირობითობა მაინც მძლავრად მოქმედებს.

ამიტომაც თოკზე გამობმული ძაღლის ეფექტის მისაღებად იქვე დგას სტატისტი და შესაძლოა რეჟისორის ასისტენტი, რომელსაც ხელის მოძრაობათაც შეუძლია „ვითომ ძაღლის“ უჩინობისა და თოკის გადაქაჩვის სცენა ითამაშოს. ასე გაჩნდა პოპრიმშინის ფსიქიკაში უმნიშვნელოვანესი პერსონაჟი — მეჯი, რომელიც ჩინოვნიკისათვის ხან ქალია და ხანაც ძაღლი.

„არ დამტოვო, ლეონარდო!“ ემუდარება კინოგმირი თავის სატრფოს, რომელსაც თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე იტალიელი მსახიობი ლეონარდო ლიდი თამაშობდა და იანვარში ის მსახიობმა ირაკლი ჩოლოყაშვილმა შეცვალა. ეს ტრაგიკული მუნჯი სცენები თავისი ექსპრესიულობით მოქმედებს პოპრიმშინზე და ისე განიცდის, რომ შინ მისული, მისავათებული ძლივს იხდის ტანსაცმელს და ლოგინში წვება. მისი ავადმყოფობა დადგენილია — ის შეყვარებულია და შინიდან აღარ გამოდის, კინოსცენების ტრაგიკულ დასასრულში თავისი მომავალი დაინახა და, როცა მისი უფროსი, ზურაბ ბერიკაშვილის გმირი მოაკითხავს, პირდაპირ ეუბნება მას და ყოველგვარი რევერანსების გარეშე ახედებს რეალობაში: „რა შენი საქმეა ქალის სიყვარული? კაპიკი არ გაგაჩნია! ჩინოვნიკს ყველაფრის უფლება არა აქვს, პოპრიმშინ! ჩინოვნიკს სიყვარულის უფლება არა აქვს!“

მაგრამ როგორ უნდა პოპრიმშინს აქ, დედამიწაზე, მთვარე ჰქონდეს, რათა მხოლოდ ამ იდუმალ ლამის მანათობელში აირეკლოს მისი სიყვარული, რასაც მეორე სიცოცხლე ჰქვია! მას იმედი აქვს და ნუ წაართმევთ ამ იმედს! ისეთი ძალისხმევით უყვარს მთვარე და ისე უნდა ამ ქალის სიყვარული, რომელიც სიცოცხლის გაგრძელების შანსს მისცემს, რომ მზადაა სიცოცხლედ გაიღოს, რადგან მხოლოდ მან იცის ნაცრისფერი ერთფეროვნების სამხელეობა, რომელიც კლავს ადამიანს და ანადგურებს. პოპრიმშინი გრძნობს, რომ სიყვარულის უფლება მხოლოდ მისი არჩევანია და ის ირჩევს მთვარეზე დასახლებას, შორს ამ მიწიერ არსებათაგან და აღიარებს ამ სამყაროში სიყვარულის ერთადერთობას, მის მაგიურ ძალას. მწერლისა და რეჟისორისათვის ემოციებისაგან, ნამდვილი გრძნობებისაგან განძარცვულ სამყაროში პოპრიმშინი ერთადერთი ადამიანია, ვინც ეპოტინება სიყვარულს, სწვდება მას და თავის საკუთრებად გადააქცევს, ვინაიდან არ უნდა ის ყალბი სიცოცხლე, რომელსაც ჩინოვნიკური სამსახური ქმნის, რაც საბოლოოდ ძალას გამოაცლის და უბედურ ადამიანად გადააქცევს. ვიდრე იმედი აქვს, ბედნიერია, ტანჯული, მაგრამ მაინც ბედნიერი.

სიყვარულით ავად ხდება პოპრიმშინი, მას მაგრა უვლის, მაგრამ, რეჟისორის აზრით, არც ისე უიღბლოა მისი ცხოვრება, რადგან მის სანახავად სექსუალური მეჯი მოდის, რომელსაც ბადეში ჩანს მნიშვნელოვანი ფორტოხლების ელფერთი სამხრეთის მცხუნვარება შემოაქვს უიმედო ჩინოვნიკის ცივ ოთახში. მაგრამ რა არის ეს? კვლავ პოპრიმშინის ზმანება თუ რეალობა? „ვინ ხარ?“ — ეკითხება უკვე ჩინოვნიკოფილი ქალს, რომელიც პასუხობს: „მეჯი! შენი ცუგა!“ ეს სიტყვები ყველა კეკულუც და თამამ ქალს შეუძლია უთხრას თავის სატრფოს და სწორედ ასეთი სითამამით გამოირჩევა რობერტა დესტეფანოს გმირი. აქ უკვე იტალიურ დუეტს ვხედავთ, სადაც რეჟისორი კიდევ ერთხელ და წარმატებით გადანყვეტს ტექსტის პრობლემას და მას ქმედითად გადააქცევს. ის პოპრიმშინის მსგავ-

სად ფანტაზიორობს და ქმნის მეჯისა და მთავარი გმირის სცენებს. მეჯის როლის შემსრულებელი რობერტა დესტეფანო ძალიან მკაფიო, ამკარად ემოციური და იუმორით აღსავსე ქალბატონია, რომელსაც ართობს პოპრიმშინის გამოკითხვები კინოვარსკვლავის შესახებ და ნელ-ნელა, როგორც უპატრონო ძაღლებს სჩვევიათ, აეტმასნება მას და საშველს აღარ აძლევს, ოღონდ ეს რეჟისორისა და მსახიობთა მსუბუქი თამაშით გამოიხატება. პოპრიმშინი ვერ ხედავს რეალობას, არც გვერდით მდგომ ქალს აღიქვამს, რომელიც მისი ერთგული ხდება. მაგრამ ეს ხომ მაინც ზმანებაა, ვინაიდან ავადმყოფის სანახავად შემოსული მეჯი ერთი და იმავე ქმედებით გამოირჩევა: ბადეში ჩანს მნიშვნელოვანი ფორტოხლების შეჩერება ფეხებში, ეროტიკული გავლა და სკამზე თამამი ჩამოჯდომა — პოპრიმშინთან ლამის გათევის მიზნით გადანყვეტილების აფიშირება, რომელსაც პოპრიმშინი ვერ ხედავს და ვერ ამჩნევს. მაგრამ აი, მეჯი უყვება კინოვარსკვლავზე, ხოლო გოგოლის ტექსტში სოფის ძაღლის — მეჯის წერილს კითხულობს ჩინოვნიკი.

როცა მეჯი, სოფის ანუ კინოვარსკვლავის შესახებ უყვება პოპრიმშინს, მამაკაცი ნეტარია, მისი ფანტაზია კვლავ იღვიძებს და, ვინაიდან მის გვერდით საყვარელი არსების ძაღლი წამოსკუპულა, ჩინოვნიკი ბედნიერია, რადგან ის არსებაა მის გვერდით, რომელსაც მისი ოცნების ქალი ეფერება, კოცნის, უბრაზდება, აჭმევს, ელაპარაკება და შესაძლოა თავის ბუდუარში პიკანტურ ჩაცმულობაშიც ხედავს. სწორედ ამიტომ განჩნდება ასე ცხადად მისი კარადის მინაზე პერანგში ჩაცმული საყვარელი მუზა — სოფი... ბედნიერი პოპრიმშინი მას მიელამუნება, კარს გამოაღებს, მაგრამ იქ არავინაა! მეჯი ეფერება ავადმყოფ პოპრიმშინს და მისი იმედგაცრუების გაბათილებას ცდილობს, და კვლავ ეს ოხერი ფანტაზიები შემოაწვება ბურუსივით ჩინოვნიკს — ის უკვე ორად აღიქვამს ქალს, ერთი მის გვერდითაა და ეფერება, ხოლო მეორე — კედლის უკან, ეს სოფია, გამჭვირვალე შპალერში ასახული, რომელიც მეჯის მოძრაობებს იმეორებს. პოპრიმშინს ნარკოტიკი არ სჭირდება გასაბრუნებლად, მისი ნარკოტიკი, რომელიც მაგიურად მოქმედებს წარმოსახვაზე, მისი მუზაა — სოფი.

ამიტომაც მშვენიერ და სიყვარულით აღსავსე ღამეს აჩუქებს მეჯის, რომელიც ერთობ კმაყოფილია სატრფოს მამაკაცურ ღირსებათა აღმოჩენით და ინტიმურ საუბარში გაანდობს, რომ სოფი კამერ-იუნკერს მიჰყვება ცოლად. პოპრიმშინს აღარ ახსოვს მასთან გატარებული ღამე, არც ის ახსოვს, იყო კი ვინმე! თუ გოგოლს მოვიშველიებთ, ძაღლებისა და პოპრიმშინის ე. წ. საინფორმაციო ტექსტების გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ მისი ფანტაზიებია და მეტი არაფერი. ლოგიკურია, რომ დეპარტამენტის დირექტორის ქალიშვილის ნიშნობის აშბებს ის გაზეთებიდან ან მთარული ჭორებიდან იგებს და ამ მოსაზრების დასტურება გაბრაზებული, ეჭვიანობისაგან თითქმის შეშლილი პოპრიმშინის ხელის გამეტიებული მოძრაობა, როცა ბალიშით მეჯის დახრჩობას ცდილობს.

იტალიელი მსახიობები ლირიკული სცენებიდან გადადიან ვნებიან სცენებზე, მაგრამ ეჭვიანი პოპრიმშინის მიერ მეჯის დახრჩობის სცენა უკვე ტრაგიკულია. მაყურებელი გაოცებული უყურებს რეჟისორისა და მსახიობთა მოულოდნელ სვლას, მასიმო სკოლას გამეტიებული მოძრაობებით მის სისასტიკეს ხედავს და უკვე აღარ თანაუგრძნობს მთავარ გმირს, მაგრამ როცა ოდნავ განათდება ლოგინი — აღმოჩნდება, რომ იქ არავინ არ ყოფილა და ის მხოლოდ პოპრიმშინის სიზმარი ან წარმოსახვაა.

ახლა ველარავინ გამოიყვანს მას სიზმრიდან და, შეყვარებული რაინდივით, მეტოქე კამერ-იუნკერის დაჯახნას გადანყვეტს, მაგრამ ეს სივრცე აწუხებს მას, შპალერი გამჭვირვალედ აღარ ეჩვენება, მის მიღმა ველარავინს ხედავს და მთელი ძალით აწვება კედელს, რომელიც უკან-უკან მიიწევს და მთავარი გმირის ასპარეზს აფართოებს. სცენური სივრცე და ამ შემთხვევაში პოპრიმშინის გონება თანდათანობით მთლიანდება და

მისი მეორე ცხოვრება, მეორე სიცოცხლე, რომელსაც სიყვარულისთვის სიცოცხლე ჰქვია, საბოლოოდ ბატონდება ფსიქიკაში. მისი სული გაორებული აღარ იქნება, ის აღარ დაიტანჯება, ყოველ შემთხვევაში გაორებისაგან მაინც განიკურნება.

აგერ სიმბოლური სარკეც განდება, იქ ხომ თავისი წარმოსახვითი მუნდირით უნდა აისახოს, იმ მუნდირით, რომელსაც გენერლის ეპოლეტები დაამშვენებს — მხოლოდ ასე დაჯანსაღდება თავის კონკურენტს და დეპარტამენტის დირექტორიც ქალიშვილს სახარბილო საქმროს შეურჩევს. მიხვდა პოპრიშინი, რომ ამ ქვეყანაზე არსებულ რეალობაში მხოლოდ მაღალი მდგომარეობა და ჩინი ჩაუგდება ხელთ იმ სილამაზესა და გრაციოზულობას, რასაც მისი სოფი ატარებს. გახელბული პოპრიშინი სარკეს ებრძვის თითქოს — მსახიობის პლასტიკური და მოქნილი სხეული დიდი სარკის კედელზე ალწევს, ალწევს ისე, როგორც ეს შეუძლიათ უშიშარ ადამიანებს, რომლებიც კამიკაძის მსგავსად სიკვდილის შესაგებებლად ყოველთვის მზად არიან. მაგრამ ვინ არის გენერალი? თუ ოცნებაა, ბარემ ოცნება იყოს! უფრო ზევით, უფრო მაღლა მიცურავს მისი ფანტაზია და, როცა პოპრიშინის ესპანეთის ტახტის მემკვიდრის სადავო საკითხი ამოუტივტივდება გონებაში, აქ იწყება ესპანეთის თემა.

ასე გახდა წარმოსახვის წყალობით იგი ესპანეთის მეფე, რომლის სამეფოშიც ინკვიზიციას გაუდგამს ფესვი. ნიკოლაი გოგოლის პოპრიშინი დღევანდელი ბოლო ფურცლებზე წერს: 2000 წელი, აპრილის 43-ი: ამ თარიღის ჩანაწერში დაასკვნის, რომ ესპანეთს მეფე ჰყავს და ეს მეფე თვითონაა. ცარიელ სცენაზე მარტოდმარტო დგას იტალიელი მსახიობი და ასე იბადება სპექტაკლის ყველაზე ეფექტური სცენა, როცა ტემპითა და სიჩქარით, თითქოს გაზეთების ქარიშხალი იწყებაო, ისე დაუბერავს სცენაზე პრესის ფურცლების კორიანტელი. ეს ქარი კასპიის ზღვიდან ქრის და მას ტვინი მოაქვს, ვინაიდან, პოპრიშინის აზრით, ტვინი ადამიანის თავში არ არის. ამ მოხეტიაელი ტვინის კორიანტელის ფსკერზე იძირება პოპრიშინი: ადამიანის აზროვნებას წარმართავს პრესა, ფურცლები, ტიტულიანი ქაღალდები — ასე იწყობა პატარა ადამიანი პროზაული ცხოვრებისაგან, სადაც ჩინოვნიკურ სულს გაუმართავს ნადიმი. ის აღარ დაბრუნდება მაღალჩინოსანთა სუფრაზე, აღარ შეჭამს მათ ნასუფრალს, აღარ დაღრღნის სიცოცხლის გადასარჩენად გადმოგდებულ გახრიოკებულ და სხვისგან ალოკილ ძვალს, რომლის ლულაშიც ტვინის ნატამალიც აღარ არის. სწორედ ამიტომ გაზეთების ამ გროვში წარმოუდგება მას დეპარტამენტში შესვლა, მხრებზე საბანი შემოუხურავს ძვირფას მანტიად და სამეფო გვარის წარმომადგენლის ნიშნად თავზე ბალიში აქვს დამაგრებული.

გოგოლთან პოპრიშინი დღევანდელი წერს: „ვინ არის დირექტორი, რომ მე მის წინაშე ავდგე! ის რა დირექტორია? ის საცობია და არა დირექტორი. უბრალო, ჩვეულებრივი საცობი და მეტი არაფერი.“ სწორედ ბოთლიდან ამოვარდნილი საცობით შემოხაზავს ჰაერში წრეს მსახიობის პლასტიკური სხეული და ძირს დაეცემა საწყალობლად. ეს კომედია არ გეგონოთ, აქ უკვე დრამა თამაშდება, ვინაიდან როცა ქაღალდზე ხელის მოწერის დრო დგება, ის ჩვეულ ადგილზე კი არ აწერს თავის სახელსა გვარს, არამედ უჩვეულო ადგილას, დეპარტამენტის დირექტორის ხელმოსანერ ტერიტორიაზე აღნიშნავს თავის სახელს — „ფერდინანდ VIII“.

ასე გადაიქცევა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტად, ხოლო მისი ექიმი — მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი — რომელიც პირველ სცენებში ფილმის გმირი ქალის სატრფოს თამაშობდა, ახლა უკვე მისი ექიმი-ფსიქიატრია, რომელიც კბილებით ფრჩხილებს იღრღნის და ამ დროს ქალების თემას განიხილავს ყოფილ პოპრიშინთან, რომელიც ახლა უკვე ესპანეთის სამეფო კარის გვირგვინოსანია.

საბოლოოდ იტალიური და ქართული ენის უღერადობის შერწყმით დაადგენენ, რომ ქალი ვერაგი არსებაა და მას საბოლოოდ აუცილებლად ეშმაკი შეუყვარდება. საინტერესოა სცენა

ნა, როცა ფსიქიატრი უკანასკნელ შანსს აძლევს პოპრიშინს, რათა მან როგორმე წარმოთქვას თავისი ნამდვილი გვარ-სახელი, მაგრამ ყოფილ ჩინოვნიკს აღარ უნდა მინაზე დაბრუნება, მას ისეთი თავმესაფარი ურჩევნია, სადაც მყუდროდ იგრძნობს თავს და სადაც ყველა ოცნებებს ფრთებს შეასხამს.

შეშლილს ხომ თავისი რეალობა აქვს, რომელსაც პრაგმატული ადამიანები, მეცნიერები და თუნდაც ჩვენ ყველა, გავუზრებავთ. გიჟის რეალობა წარმოსახვა-მოჩვენებებით არის სახე და ეს მხოლოდ გიჟებს, მიჯნურებსა და პოეტებს ახასიათებთ (შექსპირის პნკარედის პერიფრაზი, „ზაფხულის ღამის სიზმრიდან“). ამ წარმოსახვა-მოჩვენებებში ამოცურდება ბადრი მთვარესავით მშვენიერი კინომსახიობი, რომელსაც შავი, გაშლილი ფრთების თავსაბურავი ახურავს და უცხო, ზღაპრული ფრინველის მსგავსად მაცდური იდუმალების ელფერით მოცურავს. ფერდინანდ VIII მოკუნტული და დაპატარავებული შეჭყურებს თავის მუზას, სამედიცინო პერსონალისათვის კი ცხადია, რომ პოპრიშინიმ საბოლოოდ დატოვა თავისი სხეული, არადა მეფის გაკოჭვა მაინც რთულია და მისი გათრევა, მიუხედავად სანიტრების ჩვეული პროცედურისა, არ არის სასიამოვნო საყურებელი, ვინაიდან მყურებელი სპექტაკლის დასაწყისიდან მის ბოლო წუთებამდე პოპრიშინის მხარეს დგას, მას თანაუგრძნობს და მასთან ერთად გადის გულუბრყვილო, მაგრამ მაინც წრფელსა და სახიფათო გზას.

სიყვარული მეორე სიცოცხლეა, ეს მეფის ფრაზაა, და სწორედ ამ მეორე სიცოცხლისათვის პოპრიშინიმ ადამიანში არსებული ფანტაზიისა და წარმოსახვისათვის იბრძოლა, ოცნებისათვის იბრძოლა, ჩინოვნიკური ფსიქიკის დამანგრეველ ძალთა წინააღმდეგ იბრძოლა, მაგრამ ჩვენდა სასიკეთოდ გამართული ბრძოლა მისთვის საკუთარი თავის მსხვერპლშენივით დამთავრდა.

გაზეთებისაგან შეკრული სახე მთვარე ანათებს „მარჯანიშვილის სარდაფის“ სცენას, რომელშიც დედამინასაც შეიცნობთ. ამ მარტივი მეტაფორით გოგოლთან დამეგობრებული რეჟისორი ლევან წულაძე და იტალიელი მსახიობის შესრულებული პოპრიშინი გლობალურ და დღევანდელი მსოფლიოს უდიდეს პრობლემას სვამს, ვინაიდან დღეს მთელი სამყარო გახედულია ინფორმაციის ბურუსში, მოკლე ტექსტურ შეტყობინებათა ქაოსში, სადაც დაიკარგა ადამიანური ღირებულებანი, მისი მაღალი დანიშნულება. პოპრიშინის დედამინა მთვარეა, რომელიც გაზეთებშია გახვეული და სურს მას გაჰყვეს ზევით, იქ, სადაც მისი ადგილია.

„დედამინა მთვარეზე თუ დაჯდა, დაილუპება საბრალო მთვარე“, ამბობს იგი და მთვარის, როგორც წარმოსახვისა და ფანტაზიის სიმბოლოს, გადარჩენა სურს, მაგრამ ექიმი-ფსიქიატრი მაინც ჩასჩინებს: „გამიეორე, რომ პოპრიშინი ხარ, გამიეორე!“

შიშველი, ქვედა საცვლის ამარა დარჩენილი პოპრიშინი ველარ უბრუნდება თავის წარსულ „მე“-ს და როგორ არ უნდა თავის ძლივს მოპოვებულ ახალ „მე“-სთან განშორება, ვერ დათმობს მას, ის მისი ნამდვილი არსია. ჭავლით მიშვეული წყალიც ვეღარ აფხიზლებს. სველი, განუწული, ცხოვრებისაგან დაღლილი, მიუსაფარი ბოლოს დედას მიმართავს მაინც: „დედა ნამიყვანე...“

რეჟისორი „შეშლილის წერილების“ სიუჟეტის თავისებური თხრობის გამო ლოგიკურ სვლას აკეთებს — მარტობისათვის ვერ განირა სპექტაკლის გმირი — პალატის ზღურბლს მეჯი გადმოაბიჯებს და აღმოჩნდება, რომ ეს ფინია თუ ვნებიანი ქალი მისი ერთადერთი მეგობარი და მეგობარია, მეტი არაფერ ძეხორციელი. პოპრიშინის მთვარე ამოდის და ნათდება, მისი ბრძოლა მეორე სიცოცხლისათვის ანუ სიყვარულისათვის მაინც შედგება, რადგან წარმოსახვაში ამოტივტივებული ნიკოლაი გოგოლის სოფი თუ წულაძის მუნჯი კინოს ვარსკლავი სულ იციმციმებს მის სულში და იციმციმებს მანამ, სანამ სიკვდილი სიცოცხლის ადგილს დაიკავებდეს.

ნინო დეკანოიძე

„მეცნიერულად ზუსტი, პოეტურად იღუმალნი...“

(ბანსილვა მარინე ტურავას ნიგნისა „გარღვეული ლაბირინთი“)

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადო-
მეცნიერული, იმავე შურონალ „მეცნიერული მართლმართის“ თა-
ოსნობით გამართულ ერთ-ერთ ლიტერატურულ
თავყრილობიდან ისევ რეპორტაჟულ ჩანა-
ნერს გთავაზობთ.

თავყრილობის ადგილი, რასაკვირველია,
კვლავ ლიტერატურის ინსტიტუტის საკონფე-
რენციო დარბაზი — აგერ უკვე მთელი სეზონი
დაუყვედრებლად რომ აღებენ აქ კარს ტრადი-
ციული შეხვედრებისათვის, რომელთა მიზანი
ერთადერთია, პოპულარიზაცია გაენოს ღირე-
ბულ ნიგნებს, ფასეულ ქმნილებებს ლიტერა-
ტურის ნებისმიერ ჟანრში და არამხოლოდ...

ამჯერად ღონისძიება მომზადდა სოხუმის
უნივერსიტეტის პროფესორის მარინე ტურა-
ვას ლიტერატურული ნერილების, ესეების,
პორტრეტების კრებულის „გარღვეული ლა-
ბირინთის“ განსახილველად (ნიგნი გამოცა
ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების
ეგიდით).

გინდა, რომ სარწმუნოდ გაისმოდეს სახელ-
წოდება — „გარღვეული ლაბირინთი“. მითუმე-
ტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიგნსა და მის
ავტორს შარშან დამსახურებულად მიენიჭა
შურნალ „ჩვენი მწერლობის“ ყოველწლიური
ლიტერატურული პრემია კრიტიკის ჟანრში. ასე
რომ, ვიგულისხმობთ, დასაწყისი არის სარწმუ-
ნო, თანაც ეს უკვე მეოთხე ნიგნია ახალგაზრდა
კრიტიკოსისა, რომელსაც საინტერესო და საპა-
სუხისმგებლო ასპარეზი წინ ელოდება.

როსტომ ჩხაიძემ, როგორც ამ შეხვედრის
თავკაცმა, შესავალ სიტყვაში ზოგადად ისაუბრა
კრიტიკოსის როლსა და მნიშვნელობაზე სალი-
ტერატურო პროცესში. აუცილებელ პირობად მი-
ჩნია — კრიტიკოსს ახასიათებდეს უშიშარობა,
არ მოერიდოს თუნდაც მცდარი აზრის გამოთქ-
მას, უპირველესად იყოს გულწრფელი და რაზეც
ილაპარაკებს, საფუძვლიანად ჰქონდეს შესწავ-
ლილი. კარგი კი იქნებოდა, მაგრამ არაა იგი ვალ-
დებული ილადადოს ჭეშმარიტებას. ისწრაფოს
ჭეშმარიტებისკენ — ეს კი აუცილებელიაო.

დაახასიათა რა განსახილველი ნიგნი, უწო-
და მას თვალსაჩინო მოვლენა, რა თქმა უნდა, არ
დაიშურა საქებარი, მაგრამ გადაუჭარბებული
სიტყვები მის ავტორზე: — მარინე ტურავას გა-
რეშე უკვე წარმოუდგენელია ჩვენი სალიტერა-
ტურო პროცესი. ეს ნიგნი „გარღვეული ლაბი-
რინთი“ დაწერილია ისეთი ლიტერატორის მი-
ერ, რომელიც ცხოვრობს ქრისტიანული პრინ-
ციპებით. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ მას ენ-
დობა მკითხველი, და აგრეთვე, ენდობა მწერა-
ლი. მარინე ტურავა ერთ-ერთი გამოკვეთილი
სახელია კრიტიკოსთა „სოხუმური ფრთისა“
(მოგესხენებათ, ბუნებრივად და თავისთავად
დაერქვათ ეს სახელი). ისინი სანდოდ აფასებენ
პროცესებს, რაც ჩვენ გარშემო ხდება: დული-
ლია, ძალიან მძაფრი დულილი, რაც აუცილებე-
ლია ლიტერატურის მდინარებისათვის... და
ასეთ მდინარეებში სწორ ორიენტირებს რომ და-
ინახავს და სწორი მიმართულებით გაიხედავს
მკითხველი „სოხუმურ ფრთად“ წოდებულ კრი-
ტიკოსთა უდავო დამსახურებაცააო...

დროც დადგა, რომ კრიტიკოსთა „სოხუმური ფრთის“ კიდევ ერთ სიმბატი-
ურ წარმომადგენელს, სანიმუშო ლიტერატორსა და ესთეტს, პროფესორ ნა-
ნა კუციას წაეკითხა მოხსენება „გარღვეული ლაბირინთის“ შესახებ: — გო-
ნიერი და გემოვნებიანი ლიტერატორი (ასე იხსენიებს ოთარ ჩხეიძე კრიტიკო-
სებს) არასოდესაა კატეგორიული, პრეტენზიულად ჭირვეული. მისთვის რე-
ცენზია „შთამბეჭდილება და არა ტექსტის წაკითხვის ერთადერთი ვერსია...
— ქართული პროზის კლასიკოსის, ოთარ ჩხეიძის შეხედულება კრიტიკოსის
მისიაზე სათანადო სიზუსტით დაინიშნა რა ორატორმა, იქვე განავრცო.

— ტრადიციული, აკადემიური აზროვნება განსაზღვრავს ანალიზისას
მარჯი ცნებების მომარჯვებას, გამორიცხავს ტერმინებით, ნაგლეჯი ციტა-
ტებით კეკლუცობას, ნონსენსს, როდესაც რეალისტურ რომანს მოდერნის-
ტულ-მითოლოგიზირებული არსენალით „ანატომირებენ“ (როგორც ეს
ოთარ ჩხეიძის ჯერ კიდევ 1983 წელს შექმნილ ესეშია კონსტატირებული
(„ღვინია გადაიჩეხა ანუ მითოსი და მითოსური მოდელები ლიტერატურაში“).

მარინე ტურავას ცნობიერებასა და ლექსიკონში „თანამედროვეობა“
„ტრადიციულობას“ არ გამორიცხავს, პირიქით, ეჯუფთება.

კრებულის პრობლემატიკა თითქოს კონტრაპუნქტში ერთიანდება, მო-
ნათხრობ-გააზრებული დაუნაწევრებელ ესეისტურ ტექსტად აღიქმება.
მკვლევარი საქართველოს მარადიულ საფიქრალს უღრმავდება, ჟამიერის
კონტექსტში წარუვალს მოხაზავს.

ლევან ბრეგაძის ბრწყინვალე ესეთა („მოთხრობები ლიტერატურაზე“) შე-
სახებ საუბრისას მკვლევარი აღნიშნავს თანამედროვე ევროპასა და ამე-
რიკაში პოპულარული, მოდური „ახალი კრიტიკის“ ნიშნულ თავისებურებას
— მხატვრული ნაწარმოების აღქმას თვითმკმარ „პოეტურ ფენომენად“, „სა-
ფუძვლიანი წაკითხვის, ტექსტის ღრმა ანალიზის, ამბივალენტურობის დად-
გენის პრინციპებს რომ ეფუძნება და ანალიზებს მას საზოგადოებრივი, ის-
ტორიული და ბიოგრაფიული ფაქტორების გაუთვალისწინებლად“.

— კრიტიკული ბუნებით პოსტმოდერნისტიკა — ტექსტუალური ციტატე-
ბით ქსოვს ახალი ლიტერატურული ესეის სივრცეს. ავტორისეული ციტატა
მარინე ტურავასთან ყოველთვის ზუსტია, კონტექსტს მორგებული, ქვეტექს-
ტის წარმომჩენი და ლოგიკური, ღირებული დასკვნის საფუძველი.

ქართულად, „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“, ალბათ, არა გვაქვს ევ-
როპულ-ამერიკული „ახალი კრიტიკის“ კონცეპტთა მიდევნების ფუფუნება.

„ანეწილ-დაწეწილი სამშობლო მაქვს და მშვენიერი წურც შენ იქნები,
[ლექსო!], მანონ ბულისკერიას პოეზიის („წეწილი ნამხრევი“) ამონარიდი
ერთგვარ კონცეპტად აღიქმება „ტინის ხიდის“ სტილურ და შინაარსობრივ
თავისებურებათა განსჯისას ავტორისეული ციტატირებე რომ გამჟღავნდებ-
ბა: „მწერალი მხატვარია, პირველყოვლისა, ოღონდ მემატინეცაა ეპოქისა
იმავე დროსა“.

სიყვარული, პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, თანაგრძნობა ესა-
ძირკვლება კრიტიკოსისეულ პოზიციას, „ბორიაციის“ კვლევისას ფიქსირე-
ბულს: „ძნელია ადამიანთა მოქცევა საერთო დისკურსში. ყველას საკუთარი
კოდექსი და სამშობლო აქვს, ან სულაც უსამშობლოა, ყველა საკუთარი გზით
მიდის ჭეშმარიტებასთან, ან საერთოდ არ აინტერესებს ჭეშმარიტება“.

„მორჩილის“ ანალიზისას ლაკონიურ მაქსიმათა სტილით კონსტატირდებ-
ბა მთავარი: „ძნელია წერა, ამოვრედ მოსვლის ენაზე“.

მკვლევარი ჯარჯი ფხოველის ტკივილიან დაკვირვებას დაიმონმებს:
„კომუნიტურ კონიუნქტურასთან ერთად მოკვდა ლექსის ბუნდოვანი ქვე-
ტექსტი, უჰაერო ჰერმეტიზმით გარდაიცვალა“; ჯეშალ ქარჩხაძის „საბჭო-
ურმა სინამდვილემ მხატვრულ ნაწარმოებს ერთპლანიანობა დაუკანონა —
მთელი სათქმელი ზედაპირზე უნდა იდოს, აზრობრივადაც და ემოციურა-
დაც. მასზე სრული კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს“.

სხვა ავტორთა ესეისტური მემკვიდრეობის ციტაციას მარინე ტურავას
ნააზრევი იმის დასტურად წარმოვადგენთ, რომ კრიტიკოსის აკადემიზმი
განათლებით, პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმითაა ნასაძირკვლები

— ესეისტი არა მხოლოდ ტექსტებს იცნობს ღრმად და საფუძვლიანად, არამედ მათ კრიტიკულ რეფლექსიასაც — ქართული კრიტიკის სათავეებიდან თანამედროვეობამდის.

მარინე ტურავას ღრმა და ლამაზი (შინაარსითაც და ვიზუალურადაც) წიგნის მთავარი სათქმელი ლაკონიურია და ტკივილიანი — ტრადიციული ქართული მსოფლალქმით, „ქართული ზნე-ხასიათითა და შინამოთი“ „როგორმე დავბრუნდეთ ევროპის კონტექსტში“. საკითხავი „წყევლაკრულვიანია“ და მძიმე. ესეების პოსტსკრიპტუმად როსტომ ჩხეიძის პოსტმოდერნისტულად ტრაგიკულ-გროტესკული ციტატა მოგვაგონდება, ესეებშივე კონსტატორებული: „რაც ძალიან გტკივთ და განუხებთ, იმაზე ნურაფერს დაწერთ. რაც არ გტკივთ და არ განუხებთ, იმაზე ხომ არ უნდა მოცდეთ და არა“.

ესეისტს უყვარს, სტკივა, ნუხს, აქვს პოზიცია, წერს. — დასძენს ნანა კუცია.

და ბოლოს აღვნიშნავთ როგორც ფაქტს და არა როგორც რიგითი მსმენელის შთაბეჭდილებას, გამოწვეულს სასიამოვნო მოულოდნელობით. ნანა კუციამ ჩვეულებისამებრ, კიდევ ერთხელ შეძლო დარბაზის მოხიბვლა თავისი უფაქიზესი და ზუსტი სიტყვით. თითქმის არ გამოუტოვებია კრებულში ადგილმჩინელი არცერთი ესეი თუ წერილი, რომ არ დაუხასიათებინოს ნიუანსობრივად თუ არსებითად. და მან შეძლო უმთავრესი — იქვე გამოითქვა მრავალთაგან ინტერესი, მოეძიათ მარინე ტურავას ეს ახალი წიგნი, რათა საფუძვლიანად გასცნობოდნენ.

ახალგაზრდა კრიტიკოსის პორტრეტი ილიასეულ ინტერიერში — აი ეს მასშტაბი შეურჩევია სათაურად პუბლიცისტსა და კრიტიკოსს, პროფესორ **იოსებ ჭუმბურიძეს** თავის ესეისტიკოსს — მარინე ტურავას შემოქმედებაზე, ოღონდ იმჟამინდელი გამოსვლა შტრიხებზე ასე მოხაზა:

„ცნობილ სტატიაში - „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“- ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: „ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი“, დარვიზის თეორიას ზედმინევენით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისა თვისის ხელისგულივით გადაგიშლიან, შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდა ჰომეროსზედაც... უზარმაზარ წიგნებს დასწერენ... ერთს პანია ლექსს - კი ჩვენის რომელისავე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია.“

მარინე ტურავას წიგნში არის იმის ჩინებული მაგალითი, თუ როგორ „რიგინად უძღვება“ კრიტიკოსი „ერთს პანია ლექსს“...

ეს არის გია კობახიძის უსათაურო ლექსი, რომლის კრიტიკული ანალიზი მართლაც სანიმუშოა: წარმოჩენილია მისი ორგანული კავშირი მითოლოგიასთან, ფოლკლორთან, ტრადიციებთან. განხილულია სინტაქსი, რითმები, მეტაფორები, რიტმულ - ინტონაციური ასპექტი და მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სწორედ მხატვრული ქრონოტიპი განსაზღვრავს მუხის, კაცისა და მინის კოსმოლოგიურ ერთიანობას. ეს ტრიადა, ერთი მხრივ, მიწაზე მყარად დგომის („ფესვი მიწის გულს მიარღვევს“), მეორე მხრივ, ზეცისკენ მუდმივი სწრაფვის გამომხატველია, ამიტომაც შეიძლება, მუხა სულაც პოეტის სულიერი მდგომარეობის მეტაფორა, მისი მარტოკაცობის სიმბოლოც იყოს.“

არა მხოლოდ ეს მაგალითი, მთელი წიგნი ადასტურებს ახალგაზრდა კრიტიკოსის იმ თვისებას, რასაც ილია „სხვა უნარს“ უწოდებს და ასე განმარტავს: „ის სხვა უნარი იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან.“

მხოლოდ ერთ უწყინარ შენიშვნას თუ გამოვთქვამდი: აკაკი ბაქრაძემ კრიტიკა ოთარაანთ ქვრივს შეადარა და „პილპილმწყრილი მადლი“ უწოდა.

მარინე ტურავას წიგნში უხვად არის მადლი, მაგრამ საერთოდ არ არის პილპილი.

გულწრფელად ვისურვებდი, რომ ესეც ყოფილიყო.“

„გარღვეული ლაბირინთის“ მესამე ნაწილის ანალიზით შემოიფარგლა, ძირითადად, ახალგაზრდა ლიტერატორი **ადა ნემსაძე**:

— ამ ნაკვეთის პირველი წერილია „სიკვდილის ქრონოტიპი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, რომელშიც მოცემულია სიკვდილის, როგორც ფენომენისა და გარკვეული სტრუქტურულ-კომპოზიციური ერთეულის გააზრება დროსივრცულ ჭრილში. ამ თვალსაზრისით მკვლევარი მიმოიხილავს პოემა „განდეგილის“ და მოთხრობების — „კაცია-ადამიანი?“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „სარჩობელაზედ“ — სიკვდილის კონცეფციებს, როგორც მწერლის „ესთეტიკურ-ფილოსოფიური შეხედულებების ანარეკლს“. წარმოჩენილი აქვს სიკვდილის სივრცის სხვადასხვა ფორმა და ამ მხრივ განსახილველი მასალა გრადაციის პრინციპით, გაფართოებისაკენ აქვს დალაგებული, რაც საბოლოოდ ასეთ სახეს იღებს: „განდეგილში“ ესაა ერთი საკანი, „კაცია-ადამიანი?“ — ერთი სახლი, „ოთარაანთ ქვრივი“ — ერთი სოფელი, ხლო მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ერთი მთა, რომელიც მთლიანად გაშლილი სივრცეა და აღარაფრით აღარაა შემოსაზღვრული.

წერილში „ინდივიდუალური შემოქმედების სტადია“, როგორც სათაურიდან ჩანს, გაანალიზებულია, თუ როგორ იკვეთება ინდივიდუალური შემოქმედი, ავტორი შემოქმედებით პროცესში, კერძოდ კი, როგორ გამოდის იგი ტექსტის ჩრდილიდან, ტექსტის ბატონობიდან და ინაცვლებს წინა პლანზე. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს პროცესი მსოფლიო ლიტერატურაშიც და ქართულშიც რომანტიზმის ეპოქაში იწყება: „სწორედ ბარათაშვილის შემოქმედებიდან იწყება ინტორიკული მხატვრული მოდელის დაძლევა და მოვლენათა ეპიცენტრში გადმოდის ავტორი, ის ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი, გადაწყვეტი“. ეს პროცესი გრძელდება მოდერნიზმში.

„ტრაგედია თამაშისეული სტილით“ ოთარ ჩხეიძის ერთ-ერთ საუკეთესო რომანს, „ბორიასს“ ეხება. დასაწყისიდანვე გამახვილებული ყურადღება მწერლის ენობრივი მანერისა და მხატვრული სტილის თავისებურებებზე, რაც „ხარისხობრივ მკითხველს“ (მ. ტურავა) საჭიროებს. წერილში საინტერესოაა წარმოჩენილი ორი განსხვავებული, მაგრამ ორივე უაღრესად ტრაგიკული სახე — ლეკო თათაშვილი და ნიკუშა ჩაჩანიძე. ისინი სასტიკ დროს თუ ბედისწერას ვერ გადაურჩნენ მიუხედავად იმისა, რა მიზანი ამოძრავებდათ. მათ გარდა, წერილში რომანის სხვა პერსონაჟებზეც საუბრობს ავტორი: შალვა ხეთერელი, ელიზბარ ხეთერელი, თეკლა... მართალია, ეს პერსონაჟები ერთმანეთს არ ჰგვანან, ყველას თავისებური დამოკიდებულება აქვს სამშობლოში მიმდინარე პროცესებთან, ყველა საკუთარი შეხედულებისამებრ ცხოვრობს და მოქმედებს, მაგრამ მათ ერთი რამ მაინც აერთიანებთ: ყველა მათგანი ერთად ურთულეს დროში, უსასტიკეს პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდება. „ასეთ დროში მთელი საქართველოს დაჭერა შეიძლება, ყველა პოტენციური დამნაშავეა“, — შენიშნავს მკვლევარი. სწორედ ესაა ნებისმიერი მათგანის ბედის განმსაზღვრელი. როცა ირგვლივ სისხლი წვიმად მოდის, ბრალიანი და უბრალო ძნელი გასარჩევია, თუმც, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მაშინ არც არავის მოუკლავს თავი ამის გასარჩევად.

ოთარ ჩხეიძის ესეის — „ღვინია გადაიჩეხა ანუ მითოსი და მითოსური მოდელები ლიტერატურაში“ — ეხება კიდევ ერთი წერილი „მითოსური ანტურაჟი“. ზემოხსენებულ ესეისი ოთარ ჩხეიძე ეწინააღმდეგება ნებისმიერი ეპოქის მხატვრული ტექსტის ნებისმიერი მეთოდოლოგიით განხილვას, კონკრეტულ შემთხვევაში კი გვიჩვენებს ხალხოსნური ტექსტის მითოლოგიური კრიტიკის თეორიით ანალიზის შედეგს.

მწერლის სათქმელი გასაგებია: ნაწარმოების ანალიზი ეპოქის კონტექსტის გარეშე ხშირად ხდება არასწორი და ნაძალადევი ინტერპრეტაციის საფუძველი, რაშიც ლიტერატურის მკვლევარი და კრიტიკოსი მარინე ტურავა (და ჩვენც) სრულად ვეთანხმებით მწერალს.

ნიგნში რამდენიმე წერილი ეთმობა ოთარ ჭილაძის რომანებსაც. ოთარ ჭილაძის მხატვრული სტილის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი ე.წ. „ცნობიერების ნაკადია“, რაც განსაკუთრებით ინტენსიურია მის ბოლო სამ რომანში „მარტის მამალი“, „აველუმი“ და „გოდორი“. ამიტომ ტექსტში უაღრესად დაძაბული და ინტენსიურია თხრობა, რომელიც მთლიანად მოძრაობაზეა აგებული. ესაა მოძრაობა პიროვნების შიდაფსიქიკურ სამყაროში, მის ცნობიერებაში, თუმცა ხშირად იგი ინდივიდის ცნობიერების საზღვრებს გაარღვევს და ერის კოლექტიურ ცნობიერებაში, მის ისტორიულ მესხიერებაში გადის. მკვლევარიც სწორედ ამ გზას უნდა გაჰყვეს, რომ შეძლოს ოთარ ჭილაძის პერსონაჟთა სულიერი სამყაროს წვდომა. წერილში „ტრაგიკული სულის ისტორია ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“ ამგვარი ცდაა მოცემული.

მაია ჯალიაშვილმა დაულაღვი მეგზური უწოდა მარინე ტურავას ლიტერატურის სამყაროში და თავისი ჩინებული სიტყვით, თვითონაც მეგზურად მოვევლინა აუდიტორიას „გარდევული ლაბირინთის“ „გასავლელად“.

— როგორც ოსკარ უაილდი მიიჩნევს, ლიტერატურის კრიტიკოსი ხელოვანი უნდა იყოს, შემოქმედებითი ნიჭით, განსჯის სიღრმით, შორსმჭვრეტელობით, გონებამახვილობით და, რაც მთავარია, ნაგრძნობ-ნაფიქრის შესაფერის სიტყვიერ ქსოვილში გამოხატვის უნარით. ვფიქრობთ, ამგვარი კრიტიკოსია მარინე ტურავა, რომელიც თანამედროვე თუ კლასიკური ქართული ლიტერატურის ჩინებული მკვლევარია.

მისი ეს ახალი ნიგნი მეტყველებს ავტორის დახვეწილ ლიტერატურულ ალღოსა და გემოვნებაზე. ის საგანგებოდ არჩევს მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა სადა და მრავალმხრივი ანალიზითაც მკითხველს ეხმარება ავტორისეული ჩანაფიქრის გამოცნობაში, დეტალებში გაბნეული მნიშვნელოვანი სიმბოლურ-ალეგორიული სახეების დანახვასა და გაცნობიერებაში, ავტორისეული ესთეტიკური მრწამსის გარკვევაში.

ის, შეიძლება ვთქვათ, რომ ესთეტიკური კრიტიკის ნარმომადგენელია, რაც გულისხმობს ლიტერატურული ტექსტის მრავალმხრივ კვლევას; სოციოლოგიური, ევოლუციური, ფსიქოლოგიური და იმპრესიონისტული მეთოდების მონარჯვებას ავტორთა ინდივიდუალური სტილის მახასიათებელთა გამოსაკვეთად, ტექსტისა და ეპოქის, ტრადიციისა და ნოვაციის ურთიერთმიმართების დასადგენად. ეს კი ითხოვს მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას, რითაც ნამდვილად გამოირჩევა მარინე ტურავა.

კრიტიკოსის მიზანია, დაეხმაროს მკითხველებს ნაწარმოების „მნიშვნელობის გაგებასა და ტკობაში“, „ექსპერტი არაა, აღჭურვილი დასწავლული წესებით (გვ. 95). ის ყოველმხრივ შემკული ადამიანი უნდა იყოს, საკუთარი შეხედულებებითა და პრინციპებით, ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით“, — წერს თომას ელიოტი.

ნიგნში წარმოდგენილი წერილები ამ ცოდნას ადასტურებენ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ახლებური რაკურსითაა გააზრებული წერილში „სიკვდილის ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“. როგორც თომას ელიოტი ფიქრობდა, ყოველი ახალი ნაწარმოები გავლენას ახდენდა ძველზე. ასე რომ, არასოდეს არ შეიძლება რომელიმე მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა ამოწურულად მივიჩნიოთ. ყოველი მკითხველი დროისა და ვითარების შესაბამისად გააზრებს



თამარ ყალიჩავა, იოსებ ჭუმბურიძე, ეკატერინე ტუკვაძე, თამილა ზვიადაძე

მხატვრულ ნაწარმოებს. კრიტიკოსი კი მას ეხმარება გაგებასა და ინტერპრეტაციაში, მას ჩვენ ზღურბლთან მივყავართ ხოლო „ტექსტში შეღწევა ჩვენ თვითონ უნდა მოვახერხოთ“ (ელიოტი). სიახლის ძიების ამგვარ კონტექსტშია ნაწარმოების ვაჟა-ფშაველას „სვინდისი“, პაოლო იაშვილის ლექსი „ნიკო ლორთქიფანიძეს“ და სხვა.

მარინე ტურავას წერილები მკითხველებს უადვილებენ დიალოგს მწერალთან, რომელიც შეიძლება თავისი სტილური ინდივიდუალურობისა და უცხოობის გამო ერთგვარ ჩაკეტილ სივრცედ იქცეს გამოუცდელი მკითხველისთვის. ავტორი კი არა მხოლოდ მათს ორიგინალურ მხატვრულ სამყაროში შესაღწევ უამრავ კარს უჩვენებს, არამედ გასაღებებსაც სთავაზობს. ამგვარად შეუძლება ავტორი მკითხველს ოთარ ჩხეიძის რომანების მრავალფეროვან სამყაროში. ამ წერილების ნაკითხვის შემდეგ, ვფიქრობთ, ოთარ ჩხეიძის „ტინის ხიდი“, „ბორაყი“, „მორჩილი“ და სხვა მკითხველის ისეთივე საყვარელ რომანებად იქცევა, როგორც ავტორისთვისაა, რადგან ის ახერხებს, სხვასაც დაანახოს, როგორ გამოხატავს ეს მწერალი თავისი ენით ეროვნულ ენერგიას, რა მუხტსა და სასიცოცხლო ძალას ფარავს მისი რიტმი და ინტონაციები.

ელიოტი წერდა: „დიდად მადლობელი ვარ იმ კრიტიკოსისა, რომელსაც ძალუძს დამანახოს, რაც უწინ არასდროს შემინიშნავს, დამსვას პოეზიის პირისპირ და მასთან დამტოვოს. ამ შემთხვევაში, მე უნდა ვენდო საკუთარ მგრძობლობას, საზრიანობასა და გონებრივ შესაძლებლობას“.

ასე რომ, ჩვენც მადლიერი ვართ მარინე ტურავასი, რომელიც ბევრ მნიშვნელოვანსა და საგულისხმოს აღმოგვაჩენინებს უკვე ნაკითხულსა და გააზრებულ ნაწარმოებში.

ოდენ პოეტური შესავალი წარუძღვარა ქანა კვატაიამ თავის პროფესიულ აკურატულობით გამორჩეულ სიტყვას, ამჯერად ამორჩევით და ფრაგმენტულად რომ გთავაზობთ:

— ნიგნი განსახილველ ავტორთა და თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მასში ცალკე გამოყოფილია „გამოხმაურებანი“, სადაც კომპეტენტური მოსაზრებებია დაფიქსირებული უახლეს ქართულ სამეცნიერო თუ მხატვრულ გამოცემებზე. რეცენზენტს 17 ავტორისათვის შეუწევია კეთილი სიტყვა და მიუცია რჩევა. მინდა, ერთად გადავაგლოთ თვლი ამ შეფასებებს.

მარინე ტურავას ნიგნის ამ ნაწილში საფუძვლიანადაა განხილული ნინო ვახანიას ესეების კრებული „ერთი ყლუპი ჰაერი“. ნინო ლიტერატურით ცხოვრობს და მხატვრული სიტყვა მისთვის ერთი ყლუპი ჰაერივითა, — ამგვარად აც-

ნობს მკითხველს მარინე ტურავა ავტორს. გამომხაურებაში ხაზგასმულია ნინო ვახანიას ინტელექტუალური სამყაროს სისადავე და ლიტერატურისადმი ლამის საკრალური დამოკიდებულება.

პროფესიონალური პოზიციიდანაა გაანალიზებული ნანა კუციას ნიგნი „ქართული ნოველის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“, სადაც შესწავლილია გურამ დოჩანაშვილის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველაძის, გოდერძი ჩოხელისა და ოთარ ჩხეიძის მცირე პროზის ნიმუშები. აქვე დახასიათებულია იმდროინდელი ისტორიული და კულტურული გარემო. მარინე ტურავა ნათლად გამოკვეთს ნანა კუციას კვლევის საგანს, კერძოდ, ხაზს უსვამს მის მიერ ქართველ ნოველისტთა ინდივიდუალობის ანალიზს. ლაკონურია რეცენზენტის შემაჯამებელი დასკვნა: „მე-იანი წლების ქართული ნოველა ადამიანის პიროვნებად სახექმნას, სულიერი თვალის ახელას, მინავლებული ეროვნული ცნობიერების გაღვივებას, სააქტო დარბაზებიდან ტაძარში დაბრუნებას, ფესვების გაფრთხილებას ემსახურება“.

„გარღვეული ლაბირინთის“ წერილების ერთი ნაწილი მკითხველს თანამედროვე პროზაულ ტექსტებსაც აცნობს. კობა ცხაკაიას რომანს „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“ ჩვენი უახლოესი წარსულის ტკივილი და პრობლემები რომ აღუბეჭდავს: თბილისისა და აფხაზეთის ომები, ნარკომანია და სხვა აქტუალური თემები. „ამბები კადრებივით ენაცვლება ერთმანეთს, რაც კობა ცხაკაიას პროფესიით არის განპირობებული, რეჟისორები, ეტყობა, სწორედ ასე აღიქვამენ სამყაროს“, — ამგვარად გვაცნობს რომანის ავტორს მარინე ტურავა.

ჩვენი თანადროულობის ამსახველია სოსო ნადირაძის რომანი „ხაკისფერი ჩადრი“, საქართველოს უახლესი ისტორიის მტკივნეულ თემებს რომ ასახავს: „დედოფშინა“, 9 აპრილის ტრაგედია თუ აფხაზეთის ომი. „ხაკისფერი ჩადრის“ ავტორი იდეალისტი. მწერლის მხატვრული სტილიც ჩამოყალიბების პროცესშია. ეს ნიგნი ავტორის პიროვნებაში დაგროვილი განცდების, ემოციების, ტკივილის გადმოცემაა“, — ამგვარია მარინე ტურავას ვერდიქტი „ხაკისფერ ჩადრსა“ და მის ავტორზე.

მშობლიური სოხუმის დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილი განახლება მარინე ტურავას შორენა ლებანიძის მოთხრობის „კამანის ალყის“ განხილვისას. „ეს ტკივილი არ შუმდება, არ ყურდება, უბრალოდ, მასთან ერთად ცხოვრებას ეჩვევი, სწავლობ“, — ვკითხულობთ გამომხაურებაში. მოთხრობის პერიპეტეები რეცენზენტს ბევრ რამეს ახსენებს, თავიდან განაცდევინებს გარდასულს. „ძნელია, ზუსტად განსაზღვრო, ეს დოკუმენტური მოთხრობაა, რეპორტაჟი თუ მხატვრული პროზა, თუმცა ყველა მათგანის ელემენტს შეიცავს“.

გამორჩეულია „გარღვეული ლაბირინთის“ ის წერილი, რომლის სათაურია „რეალობისგან ნასესხები“. იგი ეძღვნება ზვიად კვარაცხელიას მოთხრობას „შეკვეთილი წირვა“. დასაწყისში რეცენზენტი იხსენებს ისტორიებს, როცა ავტორი იძულებულია, დაემორჩილოს მხატვრულ კანონზომიერებას და პერსონაჟი თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ აამოქმედოს. ამ თეზის დასტურად მარინე ტურავა ყურადღებას აქცევს ზვიად კვარაცხელიას რემარკას. წერილში ხაზგასმულია ახალგაზრდა მწერლის საოცარი ოსტატობა და ზომიერება თითოეული პერსონაჟის თუ პასაჟის ხატვისას. მარინე ტურავა განსაკუთრებით გამოყოფს ზვიად კვარაცხელიას ენას: „ენა მის ხელში ნამდვილად მძლავრი და ყოვლისშემძლე იარაღია, რომელსაც იგი ოსტატურად იყენებს. სწორედ ამის გამო მის ტექსტებში ვერ შეხვდებით ყალბ სიტყვას, ფრაზას, დეტალს“. ზვიად კვარაცხელია, რეცენზენტის მართებული შენიშვნით, „მზარდი და საინტერესო მწერალია“.

ნიგნში ცალკე წერილი ეძღვნება ზაურ კალანდიას მოთხრობას „უსიზმრებო ღამე“ (იხ. „ჩვენი მწერლობა“, 2011, 12). აქ

ავტორი ინტერესდება, თუ როგორია ქართველი პერსონაჟის ხატვის ტენდენცია თანამედროვე აფხაზურ ლიტერატურაში.

პროფესიონალი ლიტერატორის პოზიციებიდან აფასებს რეცენზენტი ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობას „მარჯვნიდან მარცხნივ“. „ეს მოთხრობა ერთგვარ აპოკალიფსურ რეალობას გვიხატავს, როცა წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთშია აღრეული, როცა მოშლილია ზღვარი, მიჯნა“. მარინე ტურავა გამომხაურება აგრეთვე ღია მოლარიშვილის ორ ნოველას: „ავისტოს მინურულს“ და „მდინარიდან კი თევზები ხტან“. „ამ ნოველებში იკვეთება ავტორის ორეული, ერთგვარი ალტერ ეგო — მგრძობიარე, გულჩვილი, ემოციური, სიყვარულით აღსავსე ქალი, რომლისგანაც სამყაროს განსხვავებული აღქმა სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია“, — ამგვარად კვეთს რეცენზენტი ღია მოლარიშვილის შემოქმედებით ხატს. ნიგნში შეფასებულია ასევე გიზო თავაძის მოთხრობა „შურისმამიძეები“. „მწერალს აქვს კონსტრუირების არაჩვეულებრივი უნარი. მოთხრობა თითქოს კადრებად არის დაწერილი, სცენა სცენას ენაცვლება, სურათი სურათს. რაც შეეხება გიზო თავაძეს, ეს მწერალი ნამდვილი იდეალისტი, იგი სიკეთისა და სინათლის ძიების პროცესშია“.

განსაკუთრებული მღელვარებით გავცანი მარინე ტურავას წერილს „ორი სამყაროს სამანზე (ზოგიერთი დაკვირვება თამაზ ბაძაღვას ლექსებზე)“. უდროოდ წასული უნიჭიერესი პოეტის ნიგნის სათაური „სიზმარში მინც ვნახავთ ერთმანეთს“ წერილის ავტორს ნოვალისს ახსენებს, რადგან მისი დაკვირვებით, ისიც „სიკვდილ-სიცოცხლის, რეალურისა და ირეალურის სამანზე ცხოვრობდა, თითქოს აერთიანებდა და ამთლიანებდა ორ სამყაროს, ამირე და იმირე სოფელს“...

„გარღვეული ლაბირინთში“ კეთილგანწყობითა და საქმის ცოდნითაა გაანალიზებული მანონ ბულისკერიას ლექსების კრებული „ნეღლი ნამხრევი“. წერილში დაფიქსირებულია ავტორის პოეტური ოსტატობის მთავარი ნიშნები: მანონ ბულისკერია უპირველესად ანჟანბმანის ოსტატი გახლავთ. საინტერესოა რეცენზენტის ექსკურსი ამ რთული სალექსო საზომის განმარტებისათვის: „ეს არის ემოციის ცოცხალი ჯაჭვი. ამიტომ მთავარია ემოციური და ინტონაციური სიმწყობრის ბოლომდე შენარჩუნება და ლექსის დროული დასრულება. წერილის მიხედვით, მანონ ბულისკერია ამას კარგად ახერხებს. „პოეტის შინაგანი სამყარო რაფინირებული და დახვეწილია, ზომიერება მანონ ბულისკერიას პოეზიის ერთი უმთავრესი ნიშანია“.

ნიგნში ორიგინალურადაა განხილული ასევე ზაზა ბაბილაშვილის „ნელინადი, როგორც ერთი დღე“; მისი „პოეზიისათვის ნიშნულია თვითნაღიზი, ფიქრი, აქ გრძნობა და გონება, ცნობიერი და არაცნობიერი ერთმანეთს ხელს არ უშლის, პირიქით, ჰარმონიაშია. აზრი ნათელია, გამჭვირვალე, არ არის დამძიმებული ხელოვნური ნიაღვრებით, ქვეტექსტებით“.

ძალზე მრავალფეროვანია იმ ავტორთა პალიტრა, მარინე ტურავას ყურადღება და მონონება რომ დაუშმასურება. ეს გამომხაურებანი შესანიშნავი გზამკვლევაა თანამედროვე მკითხველისათვის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის, რათა მშობლიური მწერლობის ნოვაციებს გონების თვალთ ჩაწვდეს.

მწერალი **მიხეილ ანთაძე** განიზრახავს ორიოდ სიტყვით ილაპარაკოს იმ სარგებელზე, კრებულმა რომ დაუტოვა: — კითხვის დროს გადავწყვიტე, ჩამომენერა სია იმ ავტორთა ნაწარმოებებისა, რომელთა შესახებ კრიტიკოსი მსჯელობს... მართალი გითხრათ, ჩემულმა „კვლევამ“ სახტად დამტოვა, აღმოჩნდა, რომ უმეტესობა არათუ ნაკითხული არ მქონდა, არ მსმენოდა მათ ავტორებზეც... და ერთბაშად შეიძინა ამ ნიგნმა ჩემთვის საცნობარო-ენციკლოპედიური ღირებულება

ბა. თითქმის ორმოცდაათიოდე ლიტერატურულ ფაქტს გავეცანი და რახან ანთროპოლოგიური გემოვნება ჩემი ემთხვევა კრიტიკოსისას, უკვე თამამად შემძლია ვისაუბრო ამ ნაწარმოებებზე სხვებთან ისე, თითქოს ყველაფერი წამეკითხოს, და თანაც როგორ...

რაც შეეხება უკვე დასმულ კითხვას, რატომ არის მარინე ტურავა ასეთი კეთილგანწყობილი კრიტიკოსი ანუ სახობო წერილების კვალდაკვალ „პილიპეზებულსაც“ არ მოიმარჯვებს, რასაკვირველია ვუერთდები. ეგ კი არა ძვირფასო, ქ-ნ მარინე, თუ საჭიროა „პილიპილი“ რაა, დუსტიც უნდა მოაწიო აქა-იქ.

მხარი კი აუბა იოსებ ჭუმბურიძის შენიშვნას, სამაგიეროდ ზედმეტი გულახდილობის გამო თავი ჩაიგდო „საფრთხეში“ მიხეილ ანთაძემ.

— ველოდებოდი, რომ ბ-ნი მიხეილი იტყოდა „გარღვეულმა ლაბირინთმა“ მრავალი წიგნის წაკითხვა მომანდომაო, მაგრამ დასანანი, რომ იოლი გზა აურჩევია. თავი ხომ დაიიმედა, სხვებიც უნდა დააჯეროს — წაკითხული მაქვს ყველაფერი — როსტომ ჩხეიძის ამგვარმა ხალისიანმა „მიხილებამ“, ცხადია, დარბაზსაც კვალს დააჩინა...

ჟურნალისტი ვახტანგ ბახტაძე აღნიშნავს: — დიდი გულსყურით წაკითხეთ ეს წიგნი. კარგი შენაძენია არა მხოლოდ პროფესიონალ ფილოლოგთათვის, არამედ ზოგადად, მკითხველისათვის.

კრიტიკოსი კეთილგანწყობილია იმ ავტორთადმი, რომელთაც ის განიხილავს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის საკმაოდ მკაცრია, რადგან თუ მის არეალში ვინმე ვერ აღმოჩნდა, იგულისხმეთ, რომ მან ვერ დაიმსახურა ის მაღალი აზრი, რომელიც ამ შესანიშნავ კრებულს თავიდან ბოლომდე გასდევს. მიმაჩნია აგრეთვე, ავტორისეული ენობრივი სტილი მეტად დახვეწილი და რაფინირებულია. ჭეშმარიტად ევროპული ყაიდის ნაშრომია და იმ სკოლის გაგრძელებაა, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას ყოველთვის რომ ახასიათებდა.

ცხადია საინტერესო იყო ლევან ბრეგაძის სიტყვა უმცროსი კოლეგისადმი: — შესანიშნავი გამოსვლები მოვისმინეთ. ყველამ გამახვილებულად გამოხატა მარინეს მისამართით, უშიშარი და გაბედულიაო.

ლიტერატურული გაბედულება მართლაც გამოიხატება იმაში, რომ მას გაუკვავალე გზებზე სიარულის არ ეშინია.

რა დასამალია და ადამიანებს გვდევს შეცდომის შიში, რომელიც დასაძლევია. შეცდომის შიში ხშირად იწვევს უმოქმედობას, რომელიც რატომღაც შეცდომად არ მიიჩნევა.

ლევან ბრეგაძემ თავისი დაკვირვებაც გაუზიარა აუდიტორიას ზოგადად, კრიტიკოსის მისიაზე. აგრეთვე აღნიშნა, რომ გაბედულება და უშიშრობა საბჭოთა ეპოქის ლიტერატურის კრიტიკოსებისათვის სულ სხვანაირად იყო სახიფათო და სულ სხვანაირად სარისკოა დღეს... ის ფაქტიც გამოაცალკევა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში ქალი კრიტიკოსები ნაკლებად აქტიურობდნენ, თუმცა ფილოლოგიის ამათუნი დარგში ისინი სახელოვნად, ავტორიტეტულად ჩანდნენ და მოღვაწეობდნენ, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურისთვის არ არსებობდნენ და მათთვის თანამედროვე ლიტერატურა არ არსებობდა...

ეს მერე, 80-90-იანი წლებიდან პირდაპირ ცვენა წამოვიდა კრიტიკოსი ქალებისა, — დასძინა ლევან ბრეგაძემ, რამაც სასურველი კვალი დააჩინა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებასო. დღეს კი თანამედროვე კრიტიკოსი ქალები თავიანთი სტილით შეიცნობიანო. „ნოუ იქმენის“ თავისებურებებზეც გამახვილა ყურადღება და იმაზეც, რომ ეს სიახლე, ეგრეთწოდებული, დრომ მოიტანა...

ქ-ნმა ინდირა ძაგანია, როგორც სოხუმის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა სიამოვნებით ისაუბრა მარინე ტურავაზე, როგორც გამორჩეულ კოლეგასა და სანიმუშო მეგობარზე.

გამოკვეთა მისი როგორც განსწავლული, სამართლიანი და გულსხმიერი პედაგოგის დამოკიდებულება სტუდენტებისადმი.

თამარ ყალიჩავამ, ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთის ახალშემომატებულმა და უკვე საიმედოდ დამკვიდრებულმა წევრმა ყურადღება გაამახვილა მარინე ტურავას მოღვაწეობის მეორე მხარეზე, მასზე, როგორც ლექტორსა და აღმზრდელზე:

„არ ვიცი, რამდენად იზიარებდა მსოფლიოს საუკეთესო პედაგოგთა ნოვატორულ ნაშრომებს, მაგრამ ყოველთვის დელიკატური, მოზომილი იყო... კონკრეტული ნაწარმოების შესახებ გვიზიარებდა არამარტო თავის აზრს, არამედ ალტერნატიულ მოსაზრებასაც გვაცნობდა. გვთხოვდა, თვითონაც გვეფიქრა, გვემსჯელა. სიამოვნებით ისმენდა ჩვენს შეხედულებასაც და ცდილობდა, ჩვენც შეგვეფასებინა, ჩვენც შეგვეხედა კრიტიკული თვალთ საკუთარი ნაწერებისთვის.“

არასოდეს აზვიადებდა ფაქტებსა თუ რომელიმე ავტორის დამსახურებას. ხშირად შევეუქივარ თემის საშუალოდ (დღევანდელი გადმოსახედიდან) შესრულების შემდეგ. ამას პედაგოგიკაში, ვალერი გარბუტოვის მეთოდით, განმავითარებელ კომენტარს ეძახიან, მაგალითად: “ვხედავ, ბევრი გიმუშავია, ამისთვის მადლობას გიხდით. კარგი იზამ, ამ მონაკვეთს თუ დახვეწ”, - და ა.შ. მისივე რჩევით: ვკითხულობდით არა იმისათვის, რომ უეჭველად გვერწმუნა ან გაგვეზიარებინა, ან ხელაღებით რაიმე უარგვეყო; არა იმისთვის, რომ საუბრისა და მჭევრმეტყველების უნარი შეგვეძინა, არამედ — აგვეწონა-დაგვეწონა და განგვესაჯა. დაგვანახა, რომ სრულყოფილ ადამიანს კითხვა უნდა უყვარდეს, განვითარებული მსჯელობა მუდმივი მზადყოფნის გარანტია, წერა კი ადამიანს წესრიგს აჩვენებს. დიახ, არასოდეს მიკითხავს, ეგებ არც იყენებდა პედაგოგიკის ნოვატორულ მეთოდებს, მაგრამ ის იყო პედაგოგი, რომელმაც შესაძლებლობების მიხედვით შეგვაფასა, მოტივაცია აგვიძალდა და საკუთარი შრომის ობიექტურად შეფასებაც გვასწავლა...

ვამაყოფ, რომ მარინე ტურავას ლექციებს ვისმენდი, ვისაც, პროფესიონალიზმი, დახვეწილობა, მოთმინება, განონასწორებულობა გამოარჩევს, აქვს უმთავრესი — განათლება, თორემ მხოლოდ წიგნების სწავლით ვერასოდეს ხდებოდა იდეალური, მისაბაძი ლექტორები და, მითუმეტეს, საუკეთესო მეგობრები!“

თუნდა ამ სტრიქონებშიც თვალნათლივ აირეკლება მკველევარისა და კრიტიკოსის ზნობრივი პრინციპები, ის ფსიქოლოგიური სიღრმე, რაც ასე ესაჭიროება ჩვენი კლასიკური ლიტერატურისა თუ თანამედროვე სამწერლო პროცესების მიუკერძოებლად და მასშტაბურად გააზრებას.

კვლავ მოზაიკური და მრავლისმიმანიშნებელი აღმოჩნდა ბ-ნ **თემურ ნადარეიშვილის** გამოსვლა. მან კიდევ ერთხელ განაცვიფრა დარბაზი ფიზიკის, როგორც ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების მისეული ორიგინალური და ფერადოვანი სინთეზით...

დაბოლოს დადგა ჯერი მარინე ტურავას სამადლობელი სიტყვის თქმისა. მან მიმართა დარბაზს, თითოეულ გამომსვლელს, როსტომ ჩხეიძეს განსაკუთრებით; და განსაკუთრებით „სოხუმური ფრთის“ ხელდასხმისათვის; და რომ ეს ტვირთია პასუხისმგებლობისა, იმავდროულად დიდად საამაყო მისიაცაა... ავანსად მივიღებ ყოველ სიტყვას აქ გაგონილსო...

ხოლო შენიშვნად თუ რჩევად გასათვალისწინებელ „პილიპილიანი“ სიტყვების მომარჯვებაზე როგორც ლიტერატორმა პოზიცია შეუვალად გამოკეთა; — სტიგმა ჯალაღისა (რასაკვირველია, კრიტიკოსი იგულისხმა) უნდა მოიხსნას. ამისი დროც დადგება... ახლა უპირველესი მიზანია — მკითხველი მივიყვანოთ წიგნთან.

ელიზბარ ჯაველიძე

რეზო ამაშუკელის ლექსის სიმფონია

აი, ეს რეალობა, ეს გაუტანლობა და საზოგადოების უსაფუძვლო, გამქირდავი დამოკიდებულება და ცხოვრების აბსურდულობა სულის ძირამდე ძრავს და აზრობს პოეტს და იგი საშველად ისევ თავის „თანამოდარდე“ ქალბატონს მიმართავს:

**მი-შე-ელე რა-მე
ჩემ-ს ფი-ქრ-ს არ-ეულ-ს
სან-ამ ქუჩ-ებ-ში გაფ-ენ-დეს ვინ-მე
თორ-ემ ჩემ სხ-ეულს
მთვრალს და მთვრალ-ეულს
გადა-ვა-კივ-ლებ იან-ვრ-ის ყი-ნვებს.**

ეს ერთგვარი ვედრება, მიმართული როგორც უერთგულესი მეგობრისადმი, ასევე მაღალი უფლისადმი, განსაცვიფრებელი გულწრფელობით ჟღერს, რასაც ძირითადად კვლავ წარმოქმნის ფონემური დონის ეფფონია, სინტაგმურ ლერძზე ბგერათა ნატიფი, შესატყვისი მიმართება რომ ბადებს. აზრით დატვირთული და აქცენტირებული სიტყვები ურთიერთდაკავშირებულია ფონემებით და მარცვლებით: მი-შე-ელე რა-მე, ფი-ქრ-ს არ-ეულ-ს, გა-ფენ-დეს ვინ-მე, ჩემ-სხ-ეულს მთვრალ-ს და მთვრალ-ეულ-ს, გადა-ვა-კივ-ლებ იან-ვრ-ის ყი-ნვებს, რაც ქმნის ძირითად სემანტიკურ ველს, რომელიც აგებულია აღმავალ და დაღმავალ განცდათა ნაკადით: პოეტი ვედრებით მიმართავს თავის ერთგულ მეგობარს, უფლის სიმალემდე რომ არის აყვანილი და შველას მოითხოვს მისგან. ვედრებისას ის სუბიექტია, რომელიც იმავდროულად შველის, დახმარების, გადარჩენის ობიექტადაც გვევლინება. ამგვარად, პირველივე ბგერა, ობიექტური პირველი პირის ნიშანი მ — არის აქცენტირებული, რომელიც უკავშირდება ჩემ-ს ფი-ქრ-ს, რაც მთელი ლექსის არქიტექტონიკის წამყვანი ელემენტია, მთელი ლექსის ალქმის პროცესში რომ იჩენს თავს და დარდის, ნუხილის და შემამოფოთებელი ფიქრის დაბადების გამომხატველია. თუმცაღა წინა სტროფში მსაზღვრელ-საზღვრულის მიმართება — „შემკრთალი ფიქრით“ აქ იცვლება „არეული ფიქრით“, რომელიც „ეულ“-ი მარცვლით მიემართება „ჩემ-სხ-ეულ-ს“ და პოეტის სულიერი განწყობილების ამსახველ ლექსიკურ ერთეულებს — „მთვრალ-ს და მთვრალ-ეულ-ს“ და ამგვარად გამოიკვეთება მგოსნის თხოვნა მეუღლისადმი: ამ არეული ფიქრებიდან მისხენი, ვიდრე მას მავანი უბირი ქუჩაში გაფენდეს. აქვე პოეტი მუქარის ტონსაც გამოუჩენს: თორემ ამ ჩემს მთვრალეულ სხეულს „გადავა-კივ-ლებ იან-ვი-რის ყინვებს“. ამ ბოლო პნკარით მთავრდება რეზო ამაშუკელის დამ-ნუხრებული სულის ლაღადისი, რომელიც მომწუხრავი ყინვისა და სიცივის გრძობას, პოეტი რომ შეუპყრია, აღრმავებს და მკითხველსაც გადასცემს და შეაგრძნობინებს.

ამგვარად წარმოჩინდება საანალიზო ლექსის არქისემა, რომელიც ორიოდ სიტყვით შეიძლება ასე გადმოვცეთ: დღევანდელი საზოგადოების ბიურგერული თვალთახედვის გამო ეულად გარყვნილი პოეტი, რომელიც მძაფრად განიცდის სულით ობლობას და ადამიანთა გულცივობას და გაუცხოებას, თავის მსხენლად მიიჩნევს მხოლოდ ერთადერთ ადამიანს, მეუღლეს, მისი ტკივილისა და გულის ძახილი რომ ესმის. იმავდროულად, ეს შინაგანი განცდა, ტრავდიის სიმალემდე რომ არის აყვანილი, ანერინებს მგოსანს ლექსს. ლექსის დაბადება კი, თუ პლატონს გავისხენებთ, ბავშვის დაბადების ტკივილის მსგავსია და

„ბებიქალის“ დახმარებას საჭიროებს, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში მისი საყვარელი მეუღლის ხატი ასრულებს.

მგოსნის ამ სულისშემხუთავ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ მისი სულის ყივილს ამძაფრებს ორი ურთიერთსაპირისპირო, შეურიგებელ გრძნობათა ჭიდილი სიყვარულისა და სიძულვილისა: პირველი — ექსტრატექსტურ დონეზე აღიქმება, როგორც მეუღლის განზოგადებული სიყვარული და ერთგულება და შეიძლება მოვიაზროთ, ვითარცა ორი ნატიფი და წმინდა სულის ზეცისაკენ ამაღლება და ლტოლვა, რასაც ასაზრდოებს რწმენა, ეროვნული ტრადიციები, მორალი და, რაც მთავარია, ღმერთის და სამშობლოს ძალუმი სიყვარული. მეორე კი აღიქმება, როგორც ზიზღი იმ საზოგადოებისა, რომელიც მსოფლიო ზეცას გამოდებული, დაღრეჯილი, ცინიკური ირონიით უმზერს პოეტის სულიერ წვას და ყოველივეს, რაც წმინდაა, რაც ზნეობრივი და ქართულია და რაც ეროვნულ გენთან და სულთანაა დაკავშირებული. დიახ, ეს არის ამ ლექსის სემანტიკის არქისემა, რაც შეუიარაღებელი თვალისთვის ძნელად აღსაქმელია და ლექსის სტრუქტურის პირველ საფეხურზე ბგერათა ფერწერაში არის დაჯანგებული.

ამგვარად, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საანალიზო ლექსის სემანტიკური და ესთეტიკურ-ემოციური ველის გასაღები გახლავთ ჰარმონიული სიმფონია, რასაც ძირითადად ასაზრდოებს, სწორედაც რომ, ფონემური დონის მაღალი, რეგულარული ორგანიზება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საანალიზო ლექსის ტალღოვან დინამიკას და ემოციურობის ეფექტს ქმნის ასევე რიტმული ნახაზი, რომელიც ათმარცვლიანია და პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ხუთმარცვლიან სეგმენტად. იმავდროულად ლექსი გრაფიკულად დატეხილია და ქმნის კიბის საფეხურებრივ განლაგებას, რაც მის მართებულ დეკოდირებასა და ალქმაში გვეხმარება. თუმც ამგვარი კიბისებური აღნაგია არ არღვევს რიტმულ კონსტრუქციას და ათმარცვლიანი კარედის საზღვრებში ექცევა. ასე, მაგალითად, პირველი სტროფის რიტმული სქემა ასეთია:

3
+
2+2+3 (5+5=10)
2+3'+3+2 (5+5=10)
3+2'+1+4 (5+5=10)
1+4=5
3+2=5

გამოდის, რომ საანალიზო ლექსი დაწერილია ათმარცვლიანი კარედით, რომელიც იყოფა ცეზურით ორ ხუთმარცვლიან სეგმენტად (5+5), ხოლო მარცვალთა მიმართება სეგმენტის ფარგლებში ნებისმიერია (1+1+3, 1+2+2, 1+4, 5 და ა.შ.). ბუნებრივია, რომ ამჯერად ლექსის საფეხურებრივი გრაფიკა, უპირველეს ყოვლისა, თვალისა და ყურის აღსაქმელად რომ არის ჩაფიქრებული, პოეტის აზრობრივი ხაზის წარმოჩენის გარდა, ასრულებს ასევე სხვა ფუნქციას. ის ქმნის აღმავალ და დაღმავალ დინამიკას, ერთგვარად აცოცხლებს ლექსის ენერგიას და მონოტონურობის ალქმას აქარწყლებს.

მოკლედ, პირველი პნკარი ერთი სიტყვით არის გადმოცემული: თენდება (3), ამ ზმნური ფორმით გადმოცემული ლექსის წერის პროცესით, იმავდროულად, გადმოცემულია ფაქტი დილის დადგომისა, მაგრამ იქვე იბადება კითხვა: კი თენდება, მაგრამ რას მოგვიტანს ეს გათენება? აი, რა ანუხება პოეტს. მეორე პნკარი: „ყვითლად დაშრა შანდალი“ (7) აკონკრეტებს ლექსის დაბადების ჟამს და მეტაფორულად გადმოგვცემს მგოსნისეულ ტკივილს, ლექსის დაბადებას რომ ახლავს ხოლმე. ამას მოჰყვება გაშლილი შედარება: „სველი ვარდივით მიდგმული კედელს“, რომელიც არსებული გარემოს კონკრეტულ სურათს გადმოგვცემს. მაგრამ ეს პნკარი მეტაფორულ დონეზე უფრორე გამოხატავს შემოქმედის სულიერ განწყობას, რაც ზრდის ამ დეტალის მხატვრული ზემოქმედების ეფექტს. მომდევნო პნკარი: „ყვრია ხატებს ბზა შარშანდელი“ (10), ასევე ხსნის მგოსნის სუ-

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №9

ლიერ განწყობას, რაც აღძრულია ამაოდ ჩავლილი დღეებისა გამო და ისევე უმნიშვნელოა და ფასდაკარგული, როგორც შარშანდელი, დასაწვავად გამზადებული ბზის ტოტები. „და მწუხარება“ (1+4=5) და „უთქმელი დღემდე“ (3+2=5) არის უმთავრესი მიზეზი ლექსის დაბადებისა. სწორედ ეს გაუმხელელი წუხილი და უთქმელი დარდი ნითელ ზოლად გასდევს მთელ ლექსს.

ახლა ჩვენ თუ რიტმული კონსტრუქციის მიხედვით წარმოვაჩინოთ ლექსის გრაფიკულ ნახაზს, მივიღებთ შემდეგ დიაგრამას, რომელიც გვაძლევს ჯერ ამალღების, შემდეგ სწორხაზოვან და ბოლოს დაღმავალ დინამიკას:

(10) 3?17?10-10?14-13?2 (10)

აი, რიტმულ კონსტრუქციათა ეს საფეხურებრივი განლაგება მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ პოეტური სულის ტალღოვან მოძრაობას: —ზე აღსვლას, — შეჯერებას და მერე დაშვებას. საგულისხმოა, რომ ეს ვრცელი ლექსი ზემორე მოცემული რიტმული მოდელით გარკვეული კორექტივებით არის დანერვილი...

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზემორე განხილული ლექსის ფერთა პალიტრაც არ გახლავთ მწირი: ფერთა გამა ან უშუალოდ რეალობის აღქმით იქმნება, ანდა პოეტისეული წარმოსახვის შედეგია. ასე, მაგალითად, „ყვითლად დაშრა შანდალი“, „თეთრი მაგნოლია“, ანდა „ჭრელი ფარდაგი“ ჭვრეტით აღქმას ეფუძნება, ხოლო ლილისფერი გედები, იანვრის სითეთრე, ლალით და ლილით თლილი სტანსები — ეს უკვე პოეტისეულ წარმოსახვას, შინაგან სუბიექტურ ხილვას ეფუძნება. არსებითი მაინც ის არის, რომ ორივე შემთხვევაში ესთეტიკური ეფექტი მიღწეულია და აძლიერებს პოეტური კონტექსტის ზემოქმედებას. მაგრამ უფროსე საგულისხმო ის არის, რომ ეს ფერთა გამა მჭიდრო კავშირს ამყარებს და ეფუძნება ევფონიურ დონეს. ლექსის აღქმისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, რომ ფერი ქმნის ბგერას და, პირიქით, ბგერა ბადებს ფერს. და ასე და ამგვარად წარმოიქმნება საანალიზო ლექსის როგორც ფერთა პალიტრა, ასევე ევფონია, ერთგვარ მუსიკალურ სიმფონიად რომ აღიქმება, რაც, შესაბამისად, ამდიდრებს ქმნილების ესთეტიკურ და სემანტიკურ ველს და უსაზღვროდ ზრდის მკითხველზე ზემოქმედების ეფექტს.

ერთობ საგულისხმო ის არის, რომ რეზო ამაშუკელის პოეტური მემკვიდრეობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთლიანად ამ პრინციპით არის ხელდასხმული და ამ თვალთახედვით ის ქართული პოეზიის კორიფეებს ტოლს არ უდებს და, მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში წინ უსწრებს კიდევც...

რეზო ამაშუკელის ლექსის სტრუქტურას რომ ფონემური დონე უდევს საფუძვლად, ამას, როგორც უკვე აღვნიშნე, თითქოს ყველა მისი პოეტური ქმნილება მოწმობს. სიტყვა ჰაერში გამოკიდებული რომ არ დაგვრჩეს, მოგვიწევს, კიდევ სხვა ლექსებსაც გადავავლოთ თვალი. ზოგადად ლიტერატურ-რათმცოდნეობაში ამ პრობლემას ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, არადა, ჩვენი დიდი პოეტების: გალაკტიონის, გოგლას და სხვათა პოეტური სამყაროს დერიტა სწორედ ევფონია გახლავთ. ბუნებრივია, რეზო ამაშუკელის ლექსიც ამ კუთხით ერთობ საყურადღებოა. მაგრამ ამ პრობლემის საფუძვლიანი შესწავლა მოითხოვს მონოგრაფიულ გამოკვლევებს, რომლებიც ალბათ მომავალში დაიწერება კიდევ. ამჯერად ჩვენ ამის პრეტენზია არ გვაქვს და ჩვენი წერილიც ამას მიზნად არ ისახავს. ჩვენ გვსურს, მისი პოეტური სამყაროს ერთი მნიშვნელოვანი გასაღები მოვიძიოთ.

აი, თუნდაც პოეტის ლექსი „ივლისი“, რომლითაც იხსნება რეზო ამაშუკელის კრებული „აკემ“. ეს ლექსი იწყება ლომის ზოდიაქოს გადმოცემით. როგორც ცნობილია, ლომის ეტლი მზის სადგურია. ამ ეტლზე მზე 23 ივლისს ჯდება. ამ პერიოდში იწყება მისი სრულყოფილების გამოვლენის ზედალა და ის თავის ბრწყინვალეობას და მშვენიერების ზენიტს აღწევს. შესაბამისად, პოეტი თავის ქმნილებას „ივლისით“ ასათურებს და ლექსს ამგვარად იწყებს:



რეზო ამაშუკელი

**...რა მკ-ათა-თ-ვე-ში
მზე ლო-მზე შევა-ლს.**

ამ ორპუნკარედში მგოსანი განსაკუთრებულ აზრს ანივთებს, ამას მოწმობს შემდეგი: მას პოეტი იყენებს რეფრენად და ამ არცთუ ვრცელ ლექსში რვაგზის იმეორებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორპუნკარედი მთავარი აზრის საიდუმლოების მომცველია და ასევე ქმნის მთელი ლექსის არქიტექტონიკის მუსიკალურ ფონს. აგრეთვე ამ ორპუნკარედს ბრჭყალებში სვამს. და ამგვარად სურს, მკითხველი დაარწმუნოს, რომ სხვა ქმნილებიდან მოხმობილი ამონარიდია, რითაც ერთგვარად ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. და ბოლოს, რაც მთავარია, პოეტი მიმართავს „მუამას“ ხერხს, როცა შემოქმედი რომელიმე სახელს „მალავს“, ხოლო მკითხველი ცდილობს მის ამოცნობას და, რადგანაც ეს არცთუ იოლად ამოსახსნელი ამოცანაა, თავად პოეტი მიანიშნებს მისი ამოსხნის ხერხზე. ეს საიდუმლო სახელი, ჩემი აზრით, განივთებულია მეორე პუნკარედი: „მზე ლომზე შევალს“, რომელიც ენაცვლება საყოველთაოდ მიღებულ ბუნებრივ ქართულ გამოთქმას „მზე ლომზე შეჯდა“. სწორედ შეჯდას შემცვლელი ზმნა „შ-ვეა-ლს“ შეიცავს ამ სახელს: ევას, რომელიც უკვე მომდევნო პუნკარედი წარმოიჩინდება, როგორც ამ ლექსის სემანტიკურად ყველაზე აქცენტირებული სიტყვა, საანალიზო ლექსის საყრდენი და თემატური პრობლემის ევოლუციური განვითარების ღერძი:

**ვჭვრეტ ნითელ ვაშლით
მშვენიერ ევას.**

ცხადია, რომ აქ ბიბლიურ ევაზეა საუბარი, რომელიც ძირითადად ორი ასპექტით წარმოიჩინდება: პირველი — ადამის მაცთუნებელი და პირობის აღთქმის გამტეხი და მეორე, ვითარცა დედა კაცობრიობისა, ადამიანის ადამიანად გადამქცევი!.. ამ, თითქოსდა, ორი რადიკალურად განსხვავებული, მაგრამ დიალექტიკური ლოგიკით დაკავშირებული თვალთახედვისადმი პოეტის დამოკიდებულებაა ძირითადად გადმოცემული, რომელიც თემატური რკალის სხვადასხვა ვარიაციებზეა განფენილია ლექსში.

ასევე ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ბიბლიასეული ევას თავგადასავალი: ღმერთმა სამყაროს, ცისა და მიწის შექმნის შემდეგ, მიწის მტვრისაგან გამოსახა ადამი, შთაბერა მას სული და აქცია ის ცოცხალ არსებად, რომელიც ედემის ბაღში დასახლა ბალისვე დასამუშავებლად და დასაცავად. თანაც გააფრთხილა: ყველა ხის ნაყოფი გექმევა, გარდა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხისა, რადგანაც, მას თუ იგემებ, მოკვდებიო... უფალს აწუხებდა ადამის მართობა. ამიტომაც ძილქუშმოვტირის გამოულო ნეკნი, დედაკაცი შექმნა და მიჰგვარა ადამს, ვითარცა „შესაფერისი შემნე“. მაგრამ მათი უშფოთველი ცხოვრება დიდ-

ხანს არ გაგრძელებულა. ცბიერმა გველმა აცდუნა დედაკაცი, უფლის მიერ „აკრძალული“ ნაყოფი შეაჭამა, ევამ კი აცდუნა ადამი. მათი უპირობის გამო განრისხდა უფალი და უპირველესად დაწყევლა მაცთუნებელი გველი, მიუსაჯა მუცლით ხოხვა და მტვრის ჭამა. შესაბამისად, ორსულობის სატანჯველი გაუგრძელა დედაკაცს, ხოლო ადამს კი დაუდგინა: „პიროვლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი.“ (დაბ. III, 19).

ამგვარად დაკარგეს ედემი და მარადიული სიცოცხლე ადამმა და მისმა მეუღლემ ევამ, რომელიც „გახდა ყოველი ცოცხალის დედა“ და აღმოჩნდნენ მიწიერი სამყაროს რეალური ყოფის პირისპირ და საკუთარი ოფლითა და გარჯით უნდა მოეპოვებინათ „პური არსობისა“.

რა გამოდის?! ერთი მხრივ, ხდება ღვთიური, იდეალური და სულიერი სამყაროს ჰარმონიის რღვევა, ადამისა და ევას პირობის დარღვევის გამო ედემის ბალიდან გამოძევება და „დასჯა“, მაგრამ სწორედ ამ „დასჯას“ მოჰყვა ფაქტობრივად ადამიანის მინერა ადამიანად, ნამდვილ ადამიანად მოქცევის პროცესი. ადამიანი სწორედ იმით განსხვავდება ცხოველთაგან, რომ მას აქვს სირცხვილის გრძობა და ზნეობრივი პასუხისმგებლობა, არის ცნობიერი და მიდრეკილი საიდუმლოს შეცნობისაკენ და, რაც მთავარია, თავისი გარჯით იმკის ყოველივეს. ევა — დედაკაცი კი ქალის უმაღლეს მოვალეობას ასრულებს — შობს შთამომავლობას, აგრძელებს ადამიანთა მოდემის ფიზიკურ სიცოცხლეს. მოკლედ, ადამიანური ლოგიკით გვაქვს ალოგიკურობა: დასჯამ და, ვთქვათ, ცოდვის ჩადენამ წარმოშვა კაცობრიობა. მაგრამ ღვთიური სიბრძნე ლოგიკაზე მაღლა დგას და ღვთიური განგება განაგებს ყოველივეს: ასე სწადადა მაღალ შემოქმედს და ასევე აღსრულდა: ადამიანის ჭეშმარიტი ადამიანურობა კი ის არის, რომ სულიერი განმნდობით და წვით ამაღლდეს მიწიერებაზე და დაუბრუნდეს ზემოთ სოფელს, ღვთიურ სამყაროს. სხვაგვარად, მის ფიზიკურ სიცოცხლეს ყოველგვარი აზრი ეკარგება.

რეზო ამაშუკელი სწორედ ამ თვალთახედვით წარმოაჩენს ევას ცთუნების პრობლემას, რასაც მოჰყვა კაცთა მოდემის ფიზიკური სიცოცხლე. მისი ხედვით, ეს „ცთუნება“ გარდაუვალი აქტია, რაც ზოგადად შეიძლება მოვიხაროთ, როგორც კაცისა და ქალის ურთიერთობის და სიყვარული, გნებავთ სქესობრივი კავშირი. მაგრამ ამას, ვითარცა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ერთობ დახვეწილი, ამაღლებული ესთეტიკური ხედვით გადმოგვცემს და ნამდვილი პოეზიისათვის დამახასიათებელი ლაკონიურობით სულ ორიოდვე ხატით ახერხებს:

**ვჭვრეტ ნითელ ვაშლით
მშვენიერ ევას.
გავუნვდი ხელს და
მივწვდები ნაყოფს —
და მიწა იმ წამს დაიწყებს რწევას!**

ერთი სიტყვით, პირველი სტროფის დეკოდირება, ჩვენი ხედვით, ამგვარად უნდა მოხდეს: ზაფხულის ჟამს, როცა „მკათათ-ვე-ში მზე ლო-მზე შ-ევ-ა-ლს“, მზის ნათება უმაღლეს საფეხურს აღწევს და სიცოცხლის დუღილი იწყება, პოეტს ევლინება ხილვა, ის ჭვრეტს „ნითელ ვა-შლით მშ-ვნი-ერ ვჯღს.“ მოცემულ კონტექსტში ნითელი ფერი სიცოცხლის შინაარსს გადმოგვცემს, „ნითელ-ი ვა-შ-ლი“ კი იდეატური უნდა იყოს „სიცოცხლის ვაშლისა“. მაგრამ, იმავდროულად, ის მოაზრებულია, როგორც ცთუნების ნაყოფიც. პოეტს ეს ყოველივე გაცნობიერებული აქვს და მიუხედავად ამისა, ვითარცა მიწიერი ადამიანი, ცთუნებას ვერ უძლებს: „გავუნ-ვ-დი ხელს და მივ-წ-ვ-დები ნაყოფს და მი-წ-ა იმ წ-ა-მს და-ი-წყ-ებს რწ-ევ-ა-ს“. ცხადია, რომ ამ ცთუნებას მოჰყვება კოსმიური კატასტროფა: დედამიწა იწყებს რწევას. ფონემურ დონეზე ეს „რწ-ევ-ა“ კვლავაც ევას უკავშირდება. მაგრამ აქვე გაცხადებულია ის ადამიანური განცდაც, რასაც კაცისა და ქალის სქე-

სობრივ აქტს მოჰყვება ხოლმე და რაც ყველა ნორმალური ადამიანისთვის უცხო არ არის. მოკლედ, საკაცობრიო მოტივის გარდა მგოსანი ადამიანური განცდის გამოც ამართლებს ევას ცთუნებას, რასაც, როგორც უკვე ითქვა, მოჰყვა ადამიანის ადამიანად ქცევა და კაცობრიობის დასაბამი.

მოსმობილი პირველი სტროფი, რომელიც საანალიზო ლექსის ერთგვარი უფერტიურა და, როგორც აღვნიშნეთ, ამ ქმნილების სემანტიკური ველის გასაღებია, ყურადსაღებია ეფფონური დონითაც. უპირველესად აქ მარკირებული სიტყვა არის ევა, რომელიც ევა-მარცვლით უკავშირდება ლექსიკურ ერთეულებს: შ-ევ-ა-ლს, და რწ-ევ-ა-ს და ევ-ვა-ვა ბგერათა კომპლექსით კრავს ძირითად სემანტიკურ რკალს: მკათათ-ვე-ში, როცა მზე ლო-მზე შ-ევ-ა-ლს, მშ-ვე-ნიერი ვჯ ვა-შლით“ აცდუნებს ადამს და ადამიანს, რაც იწყებს დედამიწის რწ-ევ-ა-ს.

ამკარაა, რომ მოხმობილ ამონარიდში აქცენტირებულია ზემორესხენებული მარცვლები: ევა-ევ-ვა-ევ, რომლებიც ასრულებენ როგორც სემანტიკურ, ასევე კომპოზიციურ ფუნქციას. გარდა ამისა, ამ კონტექსტს ამდიდრებს ჟღერადობით ელ, წ, ნი, ნვ, წა, იწ, წყ, წვ, წყ, რწ, და, მი ბგერები თუ მარცვლები, რომლებიც აკავშირებენ ლექსიკურ ერთეულებს წი-თ-ელ-ს (ვაშლს), გავუ-წ-ვ-დი ხ-ელ-ს, მი-წ-ვ-დე-ბი და მი-წ-ა იმ წ-ა-მს და-ი-წყ-ებს რწ-ევ-ა-ს“. განსაკუთრებული ზემოქმედების ეფექტურობით გამოირჩევა სტროფის ბოლო კნკარი, რომელიც ეფფონიურ მიმართებათა წყალობით მართლაც მიწის რყევის თუ რწევის შთაბეჭდილებას ახდენს.

მომდევნო სტროფებშიც ზემოგანხილული რეფრენის მეშვეობით და ევა და ევ ბგერების აქცენტირებით სინტაგმურ ღერძზე გადმოცემულია ბიბლიური ევას ხატი და მისი ნამოქმედარის ინტერპრეტაცია.

ერთი სიტყვით, საანალიზო ლექსის სინტაგმურ ღერძს თავიდან ბოლომდე გასდევს სემანტიკური მნიშვნელობით აქცენტირებული სახელი ევა, რომელიც ამ პირველსავე ორპნკარედს რეფრენის ფუნქციას ანიჭებს და მთელი ლექსის აზრობრივ და მუსიკალურ ეფექტს ქმნის. ის ფაქტი, რომ საანალიზო ლექსის სტროფებში ეს რეფრენი მეორდება ხშირად საწყის (მაგრამ ასევე გვხვდება სტროფის დასასრულს) ანდა ერთდროულად საწყის და დასასრულ პოზიციებში, გვაძლევს იმის უფლებას, წინასწარვე გამოვიტანოთ დასკვნა: საანალიზო ლექსის ცენტრალური წერტილი არის სახელი ევა, საიდანაც იწყება და საითკენაც მიემართება ამ ქმნილების სემანტიკური ნაკადი, განსხვავებული ნიუანსური შუქ-ჩრდილები და შესაბამისად სახელის სახეცვლილი — მუამის თუ გაცხადებული ფორმით. იმავდროულად პრობლემა მოაზრებულია, როგორც განზოგადებულ დონეზე, ისევე პიროვნულ, სუბიექტურ ჭრილში. და, რაც მთავარია, ეს სახელი გვევლინება ასევე ლექსის სტრუქტურის კომპოზიციის შემკვერელ ელემენტად. ლექსის ქვემოთე მოხმობილი ანალიზიც ამის დასტური არის.

როგორც მოსალოდნელი იყო, მომდევნო სტროფიც რეფრენით იწყება, თუმცაღა ამ სტროფში პოეტის სულის წუხილს და ტრაგიზმს უკვე კონკრეტული ვითარება და დრო განაპირობებს. პოეტი ცდილობს, ბიბლიური მოტივის განზოგადებულ ფონზე გადმოგვცეს პიროვნული, სუბიექტური ჯანყი იმ ყალბი და უსამართლო საზოგადოებისადმი, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. ბუნებრივია, ამ სტროფშიც ჭარბობს ევ-ვა-ვი მარცვალთა ურთიერთმიმართება:

**რა მკათათ-ვე-ში
მზე ლო-მზე შ-ევ-ა-ლს
თ-ავ-გაჩეხილი
კვლ-ავ გზისპირ ვწ-ევ-ა-რ.
— ეს თქ-ვე-წ ხართ ის-ევ?!
კითხულობს ვა-ლაც
და მე ვპასუხობ: —
დაიხ, ეს მ-ე-ვ-ა-რ!**

ამ მონაკვეთში გადმოცემული დიალოგით „თავგაჩეხილ“ პოეტსა და მავან მოძალადეს შორის, რომელიც მამულის მოძულე ადამიანის განზოგადებული სახე უნდა იყოს, რეზო ამაშუკელი ახერხებს პოეზიისათვის დამახასიათებელი მოქნილი ტევადობით გვამცნოს, რომ მისი ეს „თავგაჩეხილობა“, სწორედაც რომ, გულცივი, უმეცარი და უსულგულო საზოგადოების ბრალია, მაგრამ მისივე პასუხი „დაიხ, ეს მ-ე ვა-რ“ აგრეთვე გვამცნობს მის უტყვ, პრინციპულ ხასიათს და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის მზაობას. იმავდროულად, ფონემურ დონეზე ევ-ევა მარცვალთა მიზანმიმართული რეგულირება ამ დიალოგის გაგების ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც გვაძლევს. — ეს თქვენ ხართ ის-ევ?! ევას შთამომავალი ცოდვილი ინდივიდია და პასუხიც შესაბამისად ჟღერს: „დაიხ, ეს მ-ე ვა-რ“. კაცობრიობის გამგრძელებელი ინდივიდი, კაცობის ღირსების დამცველი „მე“, რომელიც ვამაყობ ჩემი „მეობითა“ და ევას შთამომავლობით!..

მომდევნო სტროფიც რეფერენით იწყება და რეფერენითვე სრულდება. აქაც აქცენტირებულია ზემორეხსენებულ ბევრათა კომპლექსები: ევა, ავ, ევ, ვა, ივ, რომლებიც ურთიერთაკავშირებენ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს და მათ განსაკუთრებული აზრით ტვირთავენ (მონურ-ავ-ს, მტ-ევ-ნს, დამად-ევ-ნებს, მდ-ევ-რს, მთ-ვა-რეს, შემამც-ივ-ნებს, ყ-ივი-ლი) და იქმნება სემანტიკური რკალი, სადაც აღძრულია საკაცობრიო პრობლემა ბედისა და ბედისწერის თაობაზე. პოეტის თვალთახედვით, ადამიანის ცხოვრება ბევრწილად დამოკიდებულია ბედისწერაზე, რომელიც ხშირად დაუნდობელია. არც პოეტი გახლავთ ამ მხრივ განებივრებული. და როცა ცის კაბადონზე მზე განაგრძობს თავის მოგზაურობას და „ლომზე შევალს“, „ბედი მონურ-ავ-ს შხამიან მტ-ევ-ნს“, „ჩასაფრებული მოზიდ-ავ-ს ისარს“ და დაად-ევ-ნებს „სისინით მდ-ევ-რს“. წამება-ვაებაგამოვლილი ცხოვრება მგოსანს არწმუნებს, რომ ბედისაგან განწირულია და დადევნებული მოსისინისად სადაც მანზე წამოეწევა წუთისოფლის ამ ვინ-რო და ციცაბო ბილიკზე. პოეტის ამ წუხილს უფროვე ამძაფრებს ზერეღე დამოკიდებულება კაცობრიობის ზვალინდელ დღეზე ურწმუნო საზოგადოებისა, რომელიც მკითხაობით და რამლის ჩხრეკით არის დაკავებული და მარჩილობით სურს, გაიტანოს ცხოვრების დღენი. ამიტომაც ისინი ირონიით ჩურჩულებენ და პოეტის სასონარკვეთილებას დასცილიან. ამგვარ ვითარებაში მგოსანს ისლა დარჩენია, „ბეთანიაზე მთ-ევ-რ“ მთვარის შემყურედ და იმედად დარჩეს. ეს პოეტური ხატი „მთ-ვა-რე მთ-ევ-რ“ მკითხველს ისევ ფონემურ დონეზე შეახსენებს „კაცობრიობის დედის“ — ევას სახეს, რომელიც გახლავთ ადამიანთა ილბიანი თუ უილბლო ცხოვრების საწყისი. და მიუხედავად ყველაფრისა, რეზო ამაშუკელი მანაც ფიქრობს, რომ კაცობრიობის დაბადება და ამქვეყნიური სიცოცხლე სიკეთით გასხივოსნებული აქტია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ამ სტროფის ბოლო პნკარები: „შემამცივებს ყოველი მამლის“, რაც განთიადის მაუწყებელია და უმაღლესი მზის ზოდიაქოში დაჯდომას გაახსენებს. ეს კი ცხოველმყოფელი სიცოცხლის დაბადების დასაწყისია.

მაგრამ მომდევნო სტროფში რეზო ამაშუკელი კვლავ წამონევს პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემას, რაც მისი და მის ჩასაქოლად გამზადებულ კონკრეტულ ადამიანთა წრის ურთიერთობით არის წარმოსახული. პოეტი მორალური პრინციპების საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, ახალ ალთქ-მამი ეძიებს. აი, ამიტომაც იმ ადამიანთა გასაგონად, ვინც მას ტალახში „თრ-ევ-ს“ უპირებს, იხსენებს ახალი ალთქმის იმ ეპიზოდს, სადაც ფარისეველთა მიერ მრუში ქალის ჩაქოლვის სცენაა გადმოცემული და გვახსენებს ქრისტეს პოზიციას ამ ფარისეველთა მიმართ (იოანე, VIII, 1-7). კერძოდ, ქრისტეს სიტყვების: „ვინც თქვენ შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს“ — ერთგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

**ვი-ნ
უცოდ-ვე-ლი
ქ-ვა-ს ვ-ინ დანვდება,
ვინ,
ვინ დამიწყებს ტალახში თრ-ევ-ს-ს?!**

ახალი ალთქმის ამ იგავის გახსენებით რეზო ამაშუკელი ჩვენი უფლის — ქრისტეს და საერთოდ მართლმადიდებლური მორალის პოზიციიდან უტყვს ფარისეველ საზოგადოებას, რომელიც თავად ცოდვაში ყელამდე ჩაფლული აპირებს მათთან შედარებით უბრალო ადამიანის კილვას და ჩაქოლვას, კერძოდ კი პოეტის „ტალახში თრ-ევ-ს“. მოხმობილ ამონარიდში ოთხგზის დასმული კითხვა „ვინ“ მხოლოდ ერთი აზრის გამომხატველია, რომ ადამიანთა შორის, უფრო სწორად, საზოგადოებაში, რომელშიც პოეტს უხდება ცხოვრება, მას არ ეგულება არც ერთი, დაიხ, არც ერთი უცოდველი ადამიანი, ვისაც მორალურად უფლება ექნებოდა, რომ ქვა აელო და იგი ჩაექოლა. პოეტის პოზიცია არ გახლავთ თავის მართლება. ეს არსებული საზოგადოებისადმი გამოტანილი განაჩენია, რაც განზოგადებულ დონეზე უფროვე ფართო გაგებით იტვირთება და საწუთროს შინაარსს იძენს. იმ საწუთროზე, სადაც მოყვასი მოყვასს არ ინდობს, არც კი ღირს საუბარი. აბა, გავიხსენოთ:

**მოყ-ვა-სი მახეს
დაგიგებს ოდეს,
არ ღირს საწუთრო
გუნდრუკის კმ-ევა-დ.**

არ უნდა დაგვაინყდეს, რომ პოეტი არ გახლავთ ფილოსოფოსი, აზროვნების მკაცრი ლოგიკით რომ გამოირჩევა და ამ გზით ცდილობს თავისი თვალთახედვის მტკიცებას. პოეტი უპირველესად სულის თვალთახედვით ალიქვამს სამყაროს და გულის გონით განიკითხავს მას. ამიტომაც მისი განცდა-განწყობა ისეთივე ცვალებადია, როგორც მარტის ამინდი. კონკრეტულ შემთხვევაშიც, როცა ის ბიურგერული საზოგადოების თვალთახედვას თუ პოზიციას აფასებს, როცა გრძნობს, რომ მოყვასიც კი მტრობს, გაიძვერობს და ლალატობს, ბუნებრივია, საერთოდ საწუთროს, ზოგადად კაცთა მოდგმის და ადამიანთა დამბადების, ევას მიმართაც ერთგვარად სკეპტიკურად არის განწყობილი. მოხმობილ კონტექსტში აქცენტირებული სიტყვები „თრ-ევ-ს“ და „კმ-ევა“, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის არიან და ანტითეზური მიმართებით ევას უკავშირდებიან, დეკოდირების პროცესში ბიბლიურ ევას ხატს უარყოფით განწყობას და შუქ-ჩრდილებს სძენენ, რადგანაც იგი მოიაზრება, როგორც წარმომქმნელი ადამიანის სიკეთისა, ასევე ბოროტებისა, როგორც გულწრფელობისა, ასევე ეშმაკობისა და ა.შ. მოკლედ, კონტრასტული განვითარების ეს ხაზი საბოლოოდ მთავრდება ორი უმთავრესი თეზის — ღვთიური საუფლოს და ამქვეყნიური საწუთროს, ზემთასოფლისა და სოფლის დაპირისპირებით...

როგორც საანალიზო ლექსის ფინალიდან ირკვევა, რეზო ამაშუკელის შინაგან წუხილსა და პოეტური სულის წვას ასაზრდოებს მარტობისა და ეულობის განცდა, რაც მასში დაუძლეველ სევდას იწვევს. ეს განცდა მთელი ცხოვრების მანძილზე პოეტის თანმდევი და, შეიძლება ითქვას, მთელი მისი შემოქმედების საძირკველია, საიდანაც ამოზრდილია მისი უფალი თვალთახედვა თუ მსოფლგანცდა სამყაროზე. ამჯერადაც, პოეტის საწუთროსადმი ერთგვარი ამბოხის და პროტესტის განცდის სათავე ისევ და ისევ „მარტობაა“, რომელსაც ის მორჩილ „მხ-ევ-ს-ლად“ ალიქვამს, რადგანაც ოდენ ეულობა თუ მარტობა ესადაგება პოეტის განწყობას. იმავდროულად, პოეტს სურს, გათავისუფლდეს ამ განცდისაგან, თავი დააღწიოს ამ ეულობას და ამიტომაც ის ზადენს, წმინდა მთას აშურებს, აანთებს სანთელს, დგება „ლოც-ვა-დ და ცრემლთა თხ-ევ-ა-დ!“ სწორედ ლოცვა და ცრემლთაფრქვევა ანუ მონანიება მიაჩნია რეზო ამაშუკელს ამ ცოდვილი სამყაროდან ღვთიურ სამყაროში სულის ამაღლებისა და დაგანების ერთადერთ გზად. აბა, გავიხსენოთ:

**...რა მკათათ-ვე-ში
მზე ლო-მზე შ-ევა-ლს“
ჩემს მარტო-ობას**

**ჩემს მორჩილ მხეველს
ავიყვან ზადენს
ავანთებ სანთელს
დაავდგები ლოცვად და ცრემლთა თხეველ!**
„...რა მკათათვეში
მზე ლომზე შევა-ლს.

საგულისხმოა ის, რომ საანალიზო ლექსის ბოლო სტროფი იწყება და მთავრდება ზემორე არაერთგზის ხსენებული რეფრენით, რაც უდავოდ მოწმობს უკვე გაცხადებულ ჩვენ თვალთახედვას: პირველი, ეს რეფრენი არის ლექსის სემანტიკური გასაღები, რომელიც, იმავდროულად, კრავს მას კომპოზიციურად და ქმნის პოეტის განწყობის მუსიკალურ ფონს, ლექსში კოდირებული აზრის მართებულ დეკოდირებაში გვეხმარება. მეორეც, ამ რეფრენში მუამას ფორმით მოცემულია ის სახელი, რომელიც სემანტიკური რკალის ცენტრშია მოთავსებული და აზრობრივ და განცდათა ნაკადის თავშესაყარს წარმოადგენს და მთელი ლექსის ემოციურ-ესთეტიკურ მიმოქცევას ქმნის.

გრაფიკულად ლექსის სემანტიკური რკალი შეიძლება ამდაგვარად გამოვსახოთ:

ვფიქრობ, ამ დიაგრამით უფრო ნათლად წარმოიდგენს მკითხველი, ფონემურ დონეზე თუ როგორ არის რეგულირებული ბგერათა, მარცვალთა და სიტყვათა ურთიერთმიმართება და მათი უშუალო თუ დისტანციური კავშირი, რაც საბოლოოდ აზრობრივ ველს ქმნის.

დასასრულ, ზემორე ანალიზის შემდგომ, შეიძლება ამ ლექსის არქისემა ამგვარად მოვიხიროთ: სინტაგმურ და პარადიგმულ დონეებზე თარაზული თუ შვეული ლერძების გადაკვეთის წერტილში მოთავსებულია ცენტრალური ფიგურა ევა, რომელიც განზოგადებული მეტაფორული ხატია, კაცობრიობის ისტორიას დასაბამიდან დღემდე რომ წარმოაჩენს და ორ ასპექტშია განსხეულებული: ის არის ფიზიკური, ამქვეყნიური სიცოცხლის დამბადებელი და ღვთის ნების განმახორციელებელი და შესაბამისად ნათელი ფერებით ხორცსხმული. და მეორე, ვითარცა წარმავლობის მოკვდაობის და ცოდვის დამამკვიდრებელი (გავისხენოთ კაენი!), იგი არის „ცოდვის“ გარეგანი და მონანიების სიმბოლოც. რეზო ამაშუკელი ცდილობს, ამ ორი ურთიერთსაპირისპირო ასპექტის, ედემის (ირეალური) და მიწიერის (რეალური) ევას კონტრასტის ფონზე წარმოსახოს თავისი სულის აღტყინება, რაც განსხვავებული სპექტრით წარმოჩინდება, ერთფეროვანი თუ ცალსახა არ გახლავთ და პოეტისეული განწყობის ცვალებადობის შესაბამისად სხვადასხვა შუქ-ჩრდილებით — ნათელითა და ბნელით იფერება. თუ უფრორე ზოგად პლანში განვიხილავთ პრობლემას, მაშინ შეიძლება ამგვარი დასკვნაც გამოვიტანოთ: ადამიანი დაბადებით ცოდავლი კი არის, მაგრამ თავად მასზეა დამოკიდებული, თუ რა გზას დაადგება: თვითგანმწმენდით, სულის ამაღლებით ღვთის ხატად იქცევა თუ სატანის ორეულად, ავხორცად მოგვევლინება და ბოროტების მთესველი გახდება. ერთი სიტყვით, მარადიული პრობლემა წამოიწვეს წინ: სულს უნდა მივავთ პატივი თუ სხეულსა და მუცელს?! ეს პრობლემა ჩვენ წინაპრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ სულისა და სხეულის ჰარმონიული თანაზიარების წყალობით. სამწუხაროდ, დღევანდელ ეპოქას შეიძლება ვუნოდოთ მუცელლორობა. აი, სწორედ ეს აწუხებს რეზო ამაშუკელს და ამის შესაბამისად ფეთქავს მისი პოეტური ძარღვი.

* * *

ბიბლიური სიუჟეტის ფესვებიდან ამოზრდილია ასევე სახე რახელი, რომელსაც რეზო ამაშუკელმა მშვენიერი ლექსი უძღვნა, „რახილით“ რომ დაასათაურა. რახელი და მისი უფროსი და ლეა ავადური კომენტარების მიხედვით ასევე არიან პირველმშობელნი მეფეთა, წინასწარმეტყველთა, მსაჯულთა და გამირთა და, ვითარცა პირველმშობელთ, მათ აყენებენ ევასა და სარას გვერდით.

ბიბლიაში წვრილად არის მოთხრობილი (დაბ. XXIX-XXXV) იაკობის მიერ რახელის შეყვარებისა და მისი ცოლად შერთვის ამბავი: ისაკმა ურჩია თავის უმცროს ვაჟს — იაკობს, გასცლოდა მამის სახლს, რადგან უფროსი ძმა მას მოკვლას უპირებდა და ქარანში დედის ძმასთან ლაბანთან წასულიყო. როცა იაკობი ქარანში ჩავიდა, როგორც კი იხილა რახელი, რომელიც ცხვარს მწყემსავდა, შეუყვარდა უმალ, „იაკობა მას და ხმამალა ატირდა“. ლაბანს ორი ქალიშვილი ჰყავდა — უფროსი ლეა, „სუსტთვალეა“ და უმცროსი რახელი, „მშვენიერი ტანად და პირად“. იაკობმა რახელის ხელი სთხოვა ლაბანს და აღუთქვა, რომ ამის გამო შვიდ წელიწადს ემსახურებოდა... გავიდა შვიდი წელი, დადგა ქორწინების დღეც და იაკობიც შევიდა კარავში... მაგრამ, როცა გათენდა, აღმოჩნდა, რომ რახელის ნაცვლად ლაბანმა ლეა შეატყუა. იაკობმა უსაყვედურა სიმამრს. ამ უკანასკნელმა კი თავი იმით იმართლა, რომ ტრადიციული წესისამებრ, ჯერ უფროსი და უნდა გათხოვილიყო. ამიტომაც შესთავაზა იაკობს, მეორე შვიდი წელიც ემუშავა მასთან და უმცროსი დაღც შეერთო. უზომოდ შეყვარებული იაკობიც დათანხმდა და კიდევ შვიდი წელი მძიმე შრომამი გაატარა და რახელიც შეერთო... ბუნებრივია, რომ იაკობს რახელი უყვარდა. მაგრამ ის ბერნი აღმოჩნდა. ლეამ კი ოთხი ვაჟი უშვა იაკობს, ამიტომაც რახელმა იაკობს შესთავაზა თავისი მხევალი ბალა, რათა ამ უკანასკნელს ეშვა მის მუხლებზე ზავში და იგი შვილიერი გამხდარიყო. ბალამ უშვა იაკობს ორი ვაჟი და რახელი ხარობდა, დაეჯახნე ჩემი დაო. ეს ქიშპობა დებს შორის კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს ისინი მორიდდნენ... უფალმა რახელსაც გაუხსნა საშო და შვა მან ოსენი. ოსენის დაბადების შემდეგ იაკობმა გადაწყვიტა დაეტოვებინა ლაბანი და გაიპარა კიდევ აღსანიშნავია ისიც, რომ რახელმა მოიპარა მამის კერპები და აქლემის უნაგირის ქვეშ დამალა და დადევნებული მამაც ეშმაკურად გააცურა, რაც რახელის ქალურ ეშმაკობაზე მეტყველებს. გზადმავალ რახელს დაეწყო მშობიარობა, დაბადა ვაჟი და თავად კი გარდაიცვალა. „მოკვდა რახელი და დაიმარხა ეფრატის გზაზე. ეს არის ბეთლემი. ამ საფლავზე იაკობმა აღმართა სვეტი (დაბ. XXXV, 16-20).

ბიბლიიდან საყოველთაოდ ცნობილი რახელის თავგადასავალი იმიტომ მოვიხილოთ, რომ ვფიქრობ, რეზო ამაშუკელისთვის რახელის ხატის ღამით გამოცხადება (ამის შესახებ არაერთგზის თავადაც უთქვამს!) სწორედ ამ ეპიზოდის ნაკითხვის შედეგად უნდა ეხილა. საერთოდ, რახელის თავგადასავალი ადამიანზე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი გარეგნობით ერთობ მშვენიერი ქალბატონია, რომელიც ერთი ნახვით შეიძლება უზომოდ შეუყვარდეს მნახველს, როგორც ეს დაემართა იაკობს. მაგრამ, იმავდროულად, რახელი ავლენს დაუნდობელ ქალურ ბუნებას და კადრულობს უკადრებელს, რათა დაჯახნოს თავისი და ლეა: მას სწადია, იაკობის სიყვარულის ობიექტი მხოლოდ თავად იყოს, რაც მის ეგოისტურ ბუნებაზე მიუთითებს. ამასთანავე, რახელი არღვევს ოდიტგანვე არსებულ ადათ-წესებს და იმასაც კადრულობს, რომ საკუთარ მამას ჰპარავს ღმერთებს (კერპებს) და ქალური ცბიერებით ატყუებს მშობელს. ეს ყოველივე კი როდი მეტყველებს მისი, როგორც ქალის იდეალურ სრულყოფილებასა და, განსაკუთრებით კი, მის სულიერ სინატიფეზე... საფიქრებელია, რომ ბიბლიური პერსონაჟის ამგვარმა განცდამ და აღქმამ თავი იჩინა პოეტის ქვეცნობიერების დონეზე, მოხდა რახელის ფიზიკური თუ სულიერი ხატის მეტამორფოზა — რახილია ქცევა და დაუოკებელი ვნების აღმძვრელ სიმბოლოდ წარმოსახვა... მგოსნის ეს თვალთახედვა პირველსავე სტროფშია გაცხადებული:

— რახილი!
რა ხელმა გადმოგხატა
ძველი ფრესკიდან?
ვნების ყვავილი, აკრძალული,
შენ ვინ გაჩვენა?!

**...როს ცისკრის ვარსკვლავს
იისფერი ცეცხლი ეკიდა,
მაშინ დაგვესლა სიყვარულმა
და შეგაჩვენა!**

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველივე სტროფი გვაძლევს რახილის ხატის სრულ სურათს: მისი სილამაზე ძველი ფრესკიდან გადმოხატული ნახატს აგონებს პოეტს. მაგრამ, იმავდროულად, ამ ფრესკულ სილამაზეს თან სდევს ვნების ყვაილის სურნელი და, როცა ცისკრის ვარსკვლავი ჯერ კიდევ კიაფობდა, ის „დაგვესლა სიყვარულმა და შეაჩვენა“. მოკლედ, პოეტის წარმოსახვით, რახილი თვალწარმტაცია, უზადო მშვენიერებაა, რომელიც სწორედამც ამ სილამაზისა გამო ცოდვის მატარებელია, რამეთუ სიყვარულის ცეცხლით არის დაგვესლილი და სხვებსაც ამ ცეცხლით წვაეს. ამ სტროფის ფონემურ დონეზე უპირველესად აქცენტირებულია ხ-ბგერა და რა და ილ მარცვლები, რაც სახელი რა-ხ-ილ-ის შემადგენელი ბგერებია და სტროფის და, შეიძლება ითქვას, ლექსის მთელ სინტაგმურ ლერძზე დინამიურად მოქმედებს. აბა, დააკვირდით: რახილ — რა ხ-ელ-მა გადმოგ-ხ-ა-ტა ძე-ელი ფრესკიდან. ამ უკანასკნელ სიტყვას — ფრ-ეს-კი-დან უშუალოდ უკავშირდება ფრაზები: ც-ის-კრ-ის ვარ-ს-კვლ-ავი და ცეც-ხ-ლი ე-კი-და. და იქმნება ერთიანი ფონემური მწკრივი, რაც აზრობრივად ავსებს და ესთეტიკურ მომხიბვლელობას ანიჭებს სტროფს. ხოლო სტროფის ბოლო ორი პწკარი: „მაშინ დაგვესლა სიყვარულმა და შეგაჩვენა“ „მინუს ხერხით“ მკვეთრად წარმოაჩენს სტროფის, უფრო სწორად, ლექსის დამაგვირგვინებელ აზრს. არსებითი მაინც ის არის, რომ ფონემური რეგულირება აზრობრივი განვითარების ჯაჭვის შესაბამისია და ერთიან სემანტიკურ რკალში აქცევს დისტანციურად დაშორებულ სიტყვებს, ხატებს თუ ფრაზებს: ძე-ლი, ყ-ვა-ვი-ლი, აკრძა-ლუ-ლი, შენ ვინ, გა-ჩვენა, შე-გაჩვენა, ცეცხ-ლი, სიყ-ვა-რ-ულმა და თავკიდურ ბგერათა იდენტური ჟღერადობით და ბოლოკიდური რითმული ელემენტებით კრავს სტროფს კომპოზიციურად და ერთ მთლიან მხატვრულ ტილოს წარმოქმნის.

საანალიზო ლექსის მეორე სტროფიც რახილისადმი მიმართვით იწყება და ეს სახელი მომდევნო პწკარშიც კითხვის ფორმით მეორდება:

**რა-ხ-ილ!
გა-ხე-დე
იმ-და-გვ-არ-ი ცა არ-ის დღეს-აც
რა-ხ-ილ
რა ხ-ელ-მა მო-გა-ჩენა
ძე-ელი
თ-ალ-მუდი?!**

საკმარისია, გულისყური მიუგდოთ ამ სტროფის ბგერწერას, რომ შეიგრძნოთ მისი მდიდარი მუსიკალობა, რასაც ქმნის მარცვალთა თუ სიტყვათა იგივეობა თუ სარკისებური მიმართება: არი-არის, ცა-აც, ილ-ელ-ალ.. გარდა ამისა, განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას იძენს ხ-ბგერა, როგორც სახელი, რა-ხ-ილის ინტონაციური მახვილის მატარებელი. აქვე მეორდება უკვე ზემორე ნახსენები სიტყვათა სინტაგმური დაწყვილება: რა-ხ-ილ რა ხ-ელ-მა და მსაზღვრელი ძე-ელი. ერთი აღქმით პირველი და მეორე სტროფების ბგერწერა თითქოს იდენტურია. მაგრამ ამ ფონემათა მსგავსების ქსოვილს არღვევს სიტყვა „მო-გაჩენა“, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში „მინუს“ ხერხის ეფექტის ფუნქციას ასრულებს და რადიკალურად ცვლის შემოქმედის დამოკიდებულებას მოვლენისადმი: პირველ სტროფში წარმოჩენილია რახილის სრულყოფილი მშვენიერება, ძველი ფრესკიდან გადმოხატული, ხოლო მეორე სტროფში ასახულია ვითარება, როცა მავანი რახილს აჩენებს ძველ თაღმუდს და ამით სურს ცოდვილის ბუნების მოთოკვა და გარდაქმნა. აი, ამგვარი ფრაზათა ურთიერთშეჯერებით (ძველი ფრესკიდან გადმოხატვისა და ძველი თაღმუდის შეჩენებით) იქმნება თეზა-ან-

ტითეზური დაპირისპირება, რასაც ძირითადი ზმნების შინაარსი განაპირობებს, და კონტრასტულ ფონზე კიდევ უფრო იკვეთება რახილის ვნებით აღსავსე, ცოდვილი ბუნება, რომელიც იუდეველთა რელიგიით და მორალით მკაცრად დაგმობილია.

მომდევნო პწკარებში კიდევ უფრო მკვეთრი ფერებით იძენება რახილის ცოდვით დამძიმებული ბუნება:

**ამლ-ვრ-ეულ კუროს —
ზო-დიაქ-ოს გაჰყევი შენსად
და მ-ორ-ჩილების სახელსა შინა
ალ-არ და-ბრ-უნდი.**

მოხმობილ ამონარიდში მეტაფორულ დონეზე ყურადსაღებია პირველი ორი პწკარი. უპირველესად კი საზღვრული „ამლ-ვრ-ეული“, რომელიც ფონემური შიგთავსით უკავშირდება წინა სტროფში სემანტიკურად მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულს: აკრძალულს, ვნებას და სიყვარულს რომ საზღვრავს და უშუალოდ კუროს მსაზღვრელად გვევლინება. ამ პოეტური კონტექსტის დეკოდირება ძირითადად ორგვარია. პირველი: რახილი მიჰყვება ჟინით შეპყრობილ ბუღას, რომელიც არის სახე ვნებად-უმცხრალი მამრისა, მეორე მხრივ კი პოეტი გვამცნობს, რომ რახილის ზოდიაქოა კურო, რომელიც მოიცავს პერიოდს 20 აპრილიდან მაისის 21-მდე, როცა მზე კუროს ზოდიაქოში „ვალს“ და აღიარებულია, როგორც ბუნების ნაყოფიერების, თესლის გაღვივების და მიწის სამუშაოების დაწყების ჟამი. აქვე, თუ გავიხსენებთ, რომ ელინები ამ ზოდიაქოს აფროდიტეს სახელით მოიხსენიებდნენ და იმასაც არ დავივიწყებთ, რომ აფროდიტე იყო ქალღმერთი ნაყოფიერებისა, მარადიული გაზაფხულისა, სიცოცხლისა, ქორწინებისა და მფარველი შეყვარებულთა და გრძნობით შეპყრობილთა, მაშინ საგსებით ნათელი გახდება ამ ორპწკარედში განივთებული აზრი. ერთი სიტყვით, გრძნობებს აყოლილი რახილი მიჰყვება თავის ბედს, ვნებათა დუღილის უმაღლეს საფეხურზე რომ აჰყავს იგი და „მორჩილების სახელსა შინა“ აღარ ბრუნდება. პოეტის ეს თვალთახედვა უფრო მეტად შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რადგან ის წარმოჩენილია კონტრასტის ფონზე: კერძოდ, სინაგოგაში მორწმუნეებრავლთა ლოცვისას, რასაც ცოდვილი რახილი არად მიიჩნევს:

**ის-მ-ის ღი-ღი-ნი მო-რწმუნ-ეთა
სი-ნა-გო-გი-დან,
შენ კი
შენ დღესაც
ამ-ქვეყნიურ ცოდვით დათ-ვრები!**

რახილის ქალური ბუნება იმითაც გვამახსოვრებს თავს, რომ მას სურს თვისი სექსუალური აღნაგობით მამრის ჯილაგი ალაგზნოს და კიდევ ერთხელ თავის უპირატესობასა და სხეულებრივ სრულყოფილებაში დარწმუნდეს:

**რა-ხ-ილ
მო-ა-ხ-ლი-თ მო-ედან-ზე გავ-ლა მო-გ-ინდა
რ-ომ კვლ-ავ ი-ხ-ილო
მამრის ჯილ-ავ-ს ვით ენატრები!**

ამას მოჰყვება ოთხი პწკარი, რომელიც, ჩემი აზრით, სექსისა და ჟინის აღმძვრელი ქალის საუკეთესო პორტრეტი და რომლის მსგავსიც ფერწერული შესრულების სრულყოფილებით ქართულ პოეზიაში არ მეგულება.

**ისევ შხვიან ჩახსნილ მკერდში
მკვრივი ატმები.
ისევ კრუტუნებს ფოცხვერივით
შენში ძახილი!..**

რახილის ხილვაც, მოსიერეთა შესაბამის რეაქციას — ვნებათაღელვას იწვევს:

„რახილი!“

ალ-მო-ხ-დათ მო-სეირეთ: —

„მო-დის რა-ხ-ილი!“

და ვაი იმას,

ვისაც ერთ-ხ-ელ შეუყვარდები!

რახილის გარეგნობა (ჩახსნილ მკერდში მკვრივი ატმების შხივილი) და იმავდროულად მისი შინაგანი ვნების ამოფრქვევა — ჟინის ყივილი-ძახილი, პოეტს რომ ფოცხევირის კრუტუნს აგონებს და ამ ზეაღმატებული ვნების ფონეტიკურად შესაბამისი ზმნებით (შხივილი, ძახილი, კრუტუნ, აღმოხდომა) გამოხატავა, რომელიც უშუალოდ რახილის სქესობრივ პორტრეტს ქმნის, საოცარ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე და ეს ყოველივე ერთი ამოკვანესით გვირგვინდება: რახილი! საგულისხმოა ისიც, რომ პოეტი თავის დამოკიდებულებას ვნების აღმძვრელი რახილისადმი ასევე შორისდებულით გვაუწყებს: „და ვაი იმას, ვისაც ერთხელ შეუყვარდები!..“ მოკლედ, მოხმობილი მონაკვეთი ლექსისა, საუკეთესო ნიმუშია პოეტური აზროვნებისა, როცა ძლიერი გრძნობათა გამოხატვა და მკითხველზე ზემოქმედების ეფექტი ფონემურ ბგერათა ქარგით და ცალკეული აქცენტირებული ლექსიკური ერთეულებით და შორისდებულებით გადმოიცემა.

ამ შორისდებულებებს მომდევნო პნკარებში ფერწერული დეტალებიც ემატება: მომწვანო ფირუზი თვალები ისეთ სხივოსნობას ანიჭებს რახილს, რომ მასთან შედარებით ეგვიპტის დედოფალიც ბოგანოდ მოგეჩვენებათ:

— ვაი,

მომწვანო ფირუზები —

შენი თვალები!

შენთან ეგვიპტის დედოფალიც

არის ბოგანო!

მაგრამ მიუხედავად ამ სილამაზისა, პოეტი თავისი ლექსის სუბიექტს აფრთხილებს, რომ სიბერეს ვერსად დაემალება, რასაც მისი სილამაზის დაჭკნობაც მოჰყვება. თუმცა იმჟამად, სწორედ ამ სილამაზის გამო, იგი არის „ღვთის წყრომა, ფეხადგმული ცოდვის გორგალი“, რომელსაც მოკლე საბელით, მიჰყავს მორიგი მშვენიერი მსხვერპლი, „დ-ალ-ალ-ებ-ით ნ-ით-ლა-დ ნა-ფერ-ით“ და ამ ფონემურ დონეზე მკაცრად რეგულირებული პნკარით იძერწება „ცოდვის გორგალის“ მონის ხატოვანი სახე. თუმცა საგულისხმო ის არის, რომ თავად პოეტიც, რომელიც ცოდვად დაცემის მიზეზად რახილის სილამაზეს მიიჩნევს, საერთოდ საკაცობრიო ცოდვის დასაბამსაც ისევ სილამაზის ძალითა გამო თითქოს ამართლებს კიდევ: ის რახილს მიმართავს:

შენ გულისათვის

თუ კაენმა მოკლა აბელი,

ო, მაშინ

უნდა ეპატიოს სუყველაფერი!

იმდენად დიდია ძალა სილამაზისა და ბუნებრივი მოთხოვნილება სიყვარულისა, რომ რეზო ამაშუკელი მზად არის მიუტევოს კაენსაც კი, რომელიც არის კაცთა მოდგმაში პირველი ცოდვის დამბადებელი და ცოდვილობის დასაბამი. ამ შემთხვევაში პოეტი იჩენს იმ ადამიანურ სისუსტეს, რასაც ზოგადად გულწრფელობა ჰქვია და საერთოდ დადებით თვისებად აღიქმება. მეტიც, შეიძლება ითქვას, ეს არის ის ადამიანური განწყობა, როცა გონებას და მორალურ მოვალეობას აფექტი ჯაბნის.

თითქოს აქ უნდა დამთავრებულიყო რახილის ვნებათა გაჟღერების აკორდი. მაგრამ პოეტი, თავადაც პოეტური ხილვით აღტყინებული და ვნებათა თავბრუდამხვევ მორევში ჩაყოლილი, ვეღარ ახერხებს ამ მორევებიდან თავის დაღწევას და ნებდება ხილვით წარმოშობილ გრძნობათა დინებას:

რა-ხ-ილი!

მ-ით-ხ-არი

ს-ით მი-გყავს ძუ მს-ხ-მოი-არე

ვნების მტევნებ-ით

მაცთუნებელ თვალთა ხამ-ხამ-ით?!

— მოდი-ხ-არ,

სურვილს ხ-ან-ძარივ-ით მო-აბრ-იალებ

და მაღალ ყელზე

მს-ხ-ვილ აღმასებს გააქვთ ხარ-ხარი!

მოხმობილი სტროფის სტრუქტურის ეპიცენტრში კვლავაც გვევლინება ისევ სახელი რახილი, რომელიც, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, მთელი ქმნილების სემანტიკური ველის საყრდენი წერტილია, საიდანაც იწყება ლექსის როგორც ფონემური ბადის, ასევე აზრობრივი ნაკადის გაშლა. მოხმობილ კონტექსტშიც ყველაზე აქცენტური ფონემა კვლავაც არის „ხ“, რომელიც, ჩვენი აზრით, თავად რახილის ვნებანი ბუნების გამომხატველი ელემენტია და ამ ბგერის შემცველ მარცვლებთან (რახ, ხარ, მსხ, ხამ-ხამ, ხარ, ხან, ხარ-ხარ) ერთად საერთო სემანტიკურ რკალში აქცევს აზრობრივად დატვირთულ შემდეგ სიტყვებს რა-ხილი, მითხარი, მსხმოიარე, ხამ-ხამით, მოდიხარ, ხანძარივით, მსხვილი, ხარ-ხარი და ამგვარად ხმოვანდება ამ სტროფის მთავარი აზრი: რახილი, გვითხარი, საით მიგყავს შენი მსხმოიარე ვნების მტევნების (ძუძუებით) და თვალთა ხამხამით მეტრფე?! დიახ, მოდის რახილი და ხანძარივით მოაბრიალებს წაიღოს თუ სურვილს, ვნებით განცხრომისა. ამას მოჰყვება თითქოსდა შეუსაბამო მეტაფორული ფრაზა: „და მაღალ ყელზე მსხვილ აღმასებს გააქვთ ხარ-ხარი!“, რაც აღძრულ საკითხს სხვა კუთხით მოიაზრებს და ირონიულ სპექტრში გარდატეხს. მოკლედ, თავად რახილიც და მისი სამკაულებიც ერთგვარად დასცილიან იმ კაცუნებს, რომლებიც ვნება და ჟინშეპყრობილი კი არიან, მაგრამ შიშისა გამო ცვედნებდაც ქცეულან და თავიანთი გრძნობების დამალვას ლამობენ. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მოხმობილი კონტექსტის კეთილხმოვანება აძლიერებს ეგვონიურ დონეზე აქცენტირებული ბგერათა და მარცვალთა (ით, არ, ევ, მო, ალ, ელ, ლე) მონესრიგებული ურთიერთმიმართება სიტყვის, სიტყვათა სინტაგმების თუ პნკართა ფარგლებში. ამჯერადაც შეიძლება ითქვას, მოხმობილი სტროფის ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტს ქმნის არა იმდენად სახისმეტყველების ელემენტები, რამდენადაც ეგვონიური დონის სრულყოფილება.

საანალიზო ლექსი მომდევნო სტროფსაც პოეტის კითხვით იწყებს. მას სურს დააზუსტოს რახილის მორიგი მსხვერპლის ბუნება, რომელსაც ის შეგნებულად ჩაატარებს იმ უზანში, სადაც ებრაელთა ცხოვრება დულს და ხმაურობს. ეს სტროფი აზრობრივი თვალსაზრისით რაიმე ახლის წარმომჩენი არ არის. თუმცა იგი-თობ საყურადღებოა მისი ფონემური ქსოვილი, რაც კეთილხმოვანობის გარდა აზრობრივ დატვირთვასაც სძენს ამ კონტექსტს:

— რა-ხ-ილი!

მი-თხ-არი,

რა ხ-ილი-ია შენი თანმ-ხლ-ები,

მხრ-ებ-ზე ხ-ავერდის

ხენ-დროსფერ წამოსა-სხ-ამით?

ხმ-აურობს ხ-ალ-ხ-ი

ხვ-ავერიელად და-ხრ-ილ და-ხლ-ებ-ით,

რა-ბინს ქათმებით ახ-ორხ-ლილი

მი-სდევს ხა-ხა-მი...

ეს სტროფიც რა-ხ-ილის შეძახილით იწყება. აქ, უპირველეს ყოვლისა, პირველი და მესამე პნკარის ფონემათა თანხვედრა იქცევს ყურადღებას: რა-ხ-ილ + რა-ხი-ლია შენი თან-მხ-ლები. ფონემათა ეს იდენტურობა უკვე შეგვხვდა წინა სტროფებში (რა-ხ-ილ რა ხ-ელ-მა გადმოგ-ხ-ატა + რა-ხ-ილ რა ხ-ელ-მა მოგაჩენა...). როგორც ირკვევა, პოეტის გულისყურს ეს თანხმობა საოც-

რად ელამუნება და ამგვარ სემანტიკურ დანყვილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აღსანიშნავი ისიც არის, რომ „ხ“ ფონემა, ვითარცა სხვადასხვა პოეტურ კონტექსტში სხვადასხვა აზრობრივნიუანსური ფუნქციის შემცველი, განსაკუთრებით ხაზგასმულია და ამ შემთხვევაში ეგზალტირებული განწყობის გამომხატველია. მეტიც, მისი ფუნქციური არეც ერთგვარად გაფართოებულია: ერთი მხრივ, ის მიგვანიშნებს რახილის თანმხლებების ბუნების მნიშვნელობაზე, მეორე მხრივ, მის „მ-ხ-რებზე ხა-ვერდის ხენდროსფერი წამოსას-ხ-ამი“ კვლავაც მარკირებული ხ-ბგერის მეშვეობით გადმოგვცემს თანმხლებების ვნებით გახელებულ ბუნებას, ხოლო მომდევნო პნკარებში წარმოაჩენს ებრაელთა ზედმეტად აუტირებული ცხოვრების ყოფას, რომელიც ზოგადად ამქვეყნიური ცხოვრების უაზრობის მაუწყებელია, რაც ასევე ხ-ბგერით მარკირებული სიტყვების (ხმა-ურობს ხ-ალ-ხი, ხვ-ავრიელად და-ხრ-ილ და-ხ-ლებით რაბინს ქათმებით ახ-ორ-ხ-ლი-ლი მისდევს ხა-ხა-მი) მეშვეობით გადმოიცემა. საგულისხმო მაინც ის არის, რომ რ-ახ-ილი უკავშირდება ხა-ხა-მს, რომელიც რაბინს ახორხლოლი ქათმებით მისდევს და სემანტიკურ დონეზე ვიღვებთ თეზა-ანტითეზურ მიმართებას: ცოდვის გორგალი, ვნებას და ჟინს აყოლილი რახილი და რაბინის მორჩილი რელიგიური კანონიკის აღმასრულებელი — ხახამი, რაც რეალურ ცხოვრებასა და ყოფაში ცოდვილისა და მორწმუნის არსებობაზე მიუთითებს.

მომდევნო სტროფიც, როგორც წინარე სტროფებიც, რახილისადმი რიტორიკული კითხვით იწყება. პოეტს ამჯერად აინტერესებს, თუ საით მიჰყავს მას თავისი „მსხვერპლი ახალი“?! თუმცა პოეტის თვალთახედვით, რახილის საიდუმლო ზრახვანი მხოლოდ „ემმაკემა უწყის“! მაგრამ მკითხველისთვის ეს „საიდუმლო ზრახვანი“ არცთუ ისე ძნელი ამოსაცნობია, რადგან მთელი ეს ვრცელი ლექსი ლადადისია მაცთური ქალბატონის მამრთა ცთუნებასა და საკუთარი ვნების დაოკებაზე! ჩვენ ყურადღებას ამჯერად იქცევს აქ წარმოჩენილი ორპნკარედის ფონემური რეგულირება, რომელიც ეფუძნება ზ-ფონემას და ორ-ერ-ურ-არ-ორ-ევ მარცვალთა ურთიერთმიმართებას: „რისთვ-ის გა-ზ-მორ-ებს ზე-ზე-ურ-ად სი-ზ-მ-რი-ს მ-ორ-ევი?!“ ეს პნკარი ლექსის საერთო ფონემური ქარგისაგან მკვეთრად განსხვავებულია და სწორედ ამ განსხვავებულობით და მოულოდნელობით, დეკოდირების წყამს შეიძლება აღვიქვათ მინუს ხერხად, რაც მისი ესთეტიკურ ეფექტს ზრდის. „გარდა ამისა, მეტაფორულ სიმაღლეზე აყვანილი გამოთქმა — „სიზმრის მორევი“, „ზეზური გაზმორება“, სხვას არაფერს გვაუწყებს, თუ არა ქვეცნობიერების სიღრმეში მთვლემარე ვნებას.

საანალიზო ლექსი მთავრდება შემდეგნაირად:

**...ჩაიარა და
თან წაიღო მთელი უბანი!
მშვენიერ მხველებს
შურით დარჩათ თვალი დათხრილი...
...შეყვარებული,
ამაყი და თავისუფალი
ცოდვილი სულის წარწყმედად
მიდის რახილი!**

ეს გახლავთ ამ ქმნილების ეპილოგი, რომელშიც კონცენტრირებულია პოეტის მთავარი სათქმელი: ცოდვის გორგალი ადამიანის მოდგმის დასაბამიდანვე აგორდა და დღემდე აგრძელებს მოძრაობას და ადამიანთათვის დიდ საცთუნებელ, თუმცაღა მიმზიდველ და მარად უკვდავ გრძნობას წარმოადგენს, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, ის ქალის მშვენიერებით, სილამაზით არის აღძრული და ადამიანთა მოდგმის ფიზიკურად არსებობის აუცილებლობით არის წარმოქმნილი. ამიტომაც რახილი, რომლის სილამაზე და ვნების აღმძვრელი აღნაგობა შურით თვალებს თხრის მოშურნე დიაცებს, „შეყვარებული, ამაყი და თავისუფალი“, როგორც სიმბოლო ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილებებისა, ამ ცოდვილ მინაზე „ცოდვილი სულის წასაწყმედად“ მიაბო-

ტებს. ასე ყოფილა და ასე იქნება მარად, რამეთუ შთამომავლობით გადმოცემული ეს „ცოდვა“, რომელმაც ადამი მიწიერ ადამიანად აქცია და მის სიცოცხლეს მიზნობრივი შინაარსი შესძინა, გარკვეული თვალთახედვით, თუკი ზნეობრივ საზღვრებს არ გასცდენია, საყოველთაო მისაღები და მოსაწონი უნდა იყოს. ამ ქმნილების არქისემაც ამგვარად უნდა გავიგოთ, რომ ქალის და კაცის ურთიერთლოცვა ანუ მათი სიყვარული, რასაც საფუძვლად სქესობრივი ლტოლვა უდევს, როგორც სიცოცხლის უცილობელი პირობა, არც უარსაყოფია და არც დასაგმობი. მაგრამ ადამიანი, როგორც სულისა და სხეულის ჰარმონიული მთლიანობა, მხოლოდ სხეულის ტრფიალით არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ სხეულის სილამაზისადმი ლტოლვამ ის უნდა აიყვანოს სულიერი სიყვარულის სიმაღლემდე, რაც არის ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, საბოლოო მიზანი. ერთი სიტყვით, სიყვარულმა უნდა აგვამაღლოს და არა ცოდვაში დაგვმარხოს. ეს არის რეზო ამაშუკელის ლექსის სემანტიკური ველის მთავარი მასაზრდოებელი სათავე, რომელიც ფონემურ დონეზე გაჭრილი სადინარით იკვეთება, რასაც წარმოქმნის ცოდვილი, ვნების სიმბოლო რახილი, ამ ლექსში თორმეტგზის რომ წარმოჩინდება თვალსაჩინო ადგილას და თავისი სემანტიკური დატვირთვით და ბგერათა შემადგენლობით წარმართავს როგორც აზრის განვითარების ზიგზაგს, ასევე ლექსის არქიტექტონიკას.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ წინამდებარე საანალიზო ლექსის, როგორც მისი სხვა ქმნილებების, პოეტური ძარღვი ამოზრდილია ქართული ენის წიაღიდან, სადაც შემორჩენილია ძველი ქართული გალობის მდიდარი ჰარმონიული უღერადობა, რასაც რეზო ამაშუკელის გულისყური, განსხვავებით სხვა, სმენადახშულ პოეტთაგან, მძაფრად აღიქვამს, იშინავანებს, ითავისებს და მერე ღვთითომადლებული მუსიკალური ნიჭით ნატიფი ჰანგებით ამდიდრებს ქართულ პოეტურ სამყაროს.

* * *

რეზო ამაშუკელის მსოფლგანცდამი ღვთიური სამყარო და ამქვეყნიურობა, ზემთასოფელი და სოფელი ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, შეიძლება ითქვას, ერთი მთლიანი და დაუნანვერებელი ცნებაა. ამ ერთობის და მთლიანობის აღქმა კი სიყვარულის ძალით არის განპირობებული, რომელიც ბუნებრივად აერთიანებს მინიერ და ღვთიურ, რეალურ და ირეალურ გრძნობათა ნაკადს. ყოველივე ეს ნათლად წარმოჩინდა მის ლირიკულ ლექსში „შუაფხო“, რომელიც ასევე თავის მეუღლეს მიუძღვნა.

საყოველთაოდ ცნობილია, ამა თუ იმ მხატვრული ქმნილების აზრობრივი წვდომისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათაურს, რომელიც წანარმოების მართებული გაგების ერთგვარი გასაღებია. საანალიზო ლექსის სათაურიც „შუაფხო“ არ არის გამონაკლისი. ის უპირველესად გვამცნობს, რომ მოქმედება იშლება ფშავის განაპირა სოფელში, სადაც, როგორც ნესი, ყოველწლიურად იმართება ძველი რელიგიური დღესასწაული — ხატობა, წარმართული რწმენის ტრადიციებზე რომ არის ამოზრდილი. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ამ მხარის მოსახლეთა მეტყველების დამახასიათებელია უკანა ხორხისებური „ხ“ ბგერის გამოკვეთილი წარმოთქმა, ამიტომაც ამ ლექსის ბგერწმენისათვის ამ ფონემის აქცენტირება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, სად და როგორ იმართება ეს რელიგიური დღესასწაული, მრავლისმეტყველი და მანიშნებელია. ამგვარად, ლექსის პირველ სტროფში მარკირებული „ხ“ ფონემის და ტობ, ფხო და შუა მარცვალთა გამეორებით ურთიერთდაკავშირებულია ოთხი ლექსიკური ერთეული: ხატობა, შუაფხო, შუაფხოელი, შუახნის, რომლებიც ლექსის სათაურთან ერთად გვეხმარებიან საანალიზო სტროფის თუ საერთოდ ლექსის სემანტიკური ველის გასაღების მოძიებაში:

**ხა-ტობ-ას აველ შუა-ფხო-ს
მზე ზანზალაკად მეკი-და!
შუა-ფხო-ელი-ი შუა-ხნის
ნა-მო-ინ-ია თექ-იდან!**

ამ პირველსავე ოთხპუნჯარეში იქმნება კონტრასტი, რეალურისა და ირეალურის ერთგვარი შეპირისპირება, რომელიც თავს იჩენს თავად პოეტის ცნობიერებასა და აღქმაში: ერთი მხრივ, ის გვიხატავს ყოფით, თითქმის ნატურალისტურ სურათს, თუ როგორ ზრდილობიანად შეეგება შუახნის შუაფხოელი მას, რაც მასპინძლობის ტრადიციულობაზე მიუთითებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ხატობის, როგორც ძველი წარმართული, გნებავთ, მისტიკური დღესასწაულის და შესაბამისი ვითარების მოაზრება, მასში ინვესტს ეგზალტირებულ განწყობას, რასაც ასაზრდოებს ექსტაზური ხილვა, როცა შემეცნებელი ამაღლებული მისტიკურ ხილვამდე, ღვთიურ სინათლეს ქვრეტს. სწორედ ამ განცდის შედეგით უნდა იყოს საანალიზო სტროფის ბგერათა ქარგისა და რეალისტური სტილისგან სავსებით განსხვავებული მეტაფორული ფრაზა („მ-ზე ზა-ნ-ზა-ლა-კად მე-კი-და!“), რომელიც ბგერათა და მარცვალთა მიმართებათა სხვა სურათს (მ-ზე-ზან-ზა-ლა-კ-ად-მე-კი-და) გვაძლევს, წარმოსახვის სხვა სამყაროში გადაყვარით და კოსმიური მოძრაობის ჰარმონიას გვაგონებს... ეს არის ხილვამდე ამაღლებული შემეცნებლის ის განცდა, როცა შემეცნებელი ყოველივეს უპირატესად მიიჩნევს თავს, რასაც წარმოქმნის შემოქმედის ნამიერი კონტაქტი ბუნების შემოქმედთან...

დაახლოებით ამდაგვარ განცდაზე გვესაუბრება დიდი ვაჟა, როცა გვაუწყებს:

**მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ
თვალწინ მეკიდა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთან.**

შემოქმედთა განცდა ერთგვაროვანია. მაგრამ აღქმა სხვადასხვაგვარი: ვაჟა-ფშაველას თვალთახედვით, ადამიანი ღმერთამდე ამაღლებას და მასთან საუბარს სწორედაც ბუნების მეშვეობით ახერხებს, ღვთის სავანედ რომ მოაზრებს. მარტივად რომ ვთქვათ, მწვერვალზე შემდგარ ადამიანს, როცა ზემოდან დასცქერის სამყაროს და მზესა და მთვარეს თავს უტოლებს, შესწევს ძალი და ნიჭი ღმერთთან საუბრისა. ცხადია, ვაჟასეული ხედვით, ბუნების მშვენიერება ამაღლებს ადამიანს ღმერთის სიმაღლემდე.

რაც შეეხება რეზო ამაშუკელის განცდას, ზემთაგონებით არის დაბადებული და მისტიკური ხილვის შედეგია, რაც მას წამიერად სამყაროს და, საერთოდ, კოსმოსზე მალა აყენებს. ამგვარი განცდა ეუფლებოდათ აღმოსავლელ მისტიკოს პოეტებს, რომლებიც ღმერთს ქრისტეს თანამოინახედ წარმოიდგენდნენ თავს და კოსმიურ „თრობას“ ეძლეოდნენ...

ამგვარი ნეტარი განცდა მოეძალა ჩვენ პოეტსაც და არსებული თავანყვეტილი რეალობა უკან აბრუნებს დედამიწაზე, კერძოდ, შუაფხოში, სადაც დიონისეული ღრეობა უნდა გაიმართოს: ჯერ მსხვერპლშენიერვის ცერემონია იმართება, რომელსაც წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი ელემენტები აქა-იქ შემორჩენია:

**ნა-მო-აქცია კუ-რა-ტი,
გა-მო-ულად-რა კის-ერ-ი,
ატ-ყდა ღრ-ეობა-პ-ურ-ადი-
კაცი არ და-არ-ჩა ფხ-იზ-ელი.**

შემდეგ მოცემულია ამ ღრეობის შედეგი, რაც რეალობის აღქმის და განცდის დასურათხატებაა. პოეტი რამდენიმე შტრიხით ახერხებს მისტიკური აზრის მატარებელი ეს ღმერთი გაამიწიეროს და, კონკრეტულად, ფშაველურთა ღრეობად წარმოსახოს:

**ლ-უდ-ით და ჟიპიტ-აურ-ით
გამ-ტყვრ-ალ-ი ხ-ალ-ხ-ი ეყ-არ-ა
და ხერ-ხემ-ალ-ში ხმ-აურ-ით
შემ-ოდ-ი-ოდა ქვე-ყანა.**

თუ დავაკვირდებით მოხმობილი სტროფის ბგერწერას, ფშაველურთაში გამართული ხატობის დროს აღძრულ განცდას რომ აგონებს მკითხველს, დავრწმუნდებით ერთ რამეში: სწორედ ფონემათა დონეზე აქცენტირებული ბგერებით თუ მარცვლებით და ცალკეული სიტყვებით (ხ-აურ-არა-ალ-ხე-ოდ-ით // გამტყვრალი-ხალხი, ხერხემალში, ხმაური, ეყარა) გადმოცემულია იმ ხარისხის სიმთვრალე, როცა ადამიანს მართლაცდა, ხერხემალში ეჭრება ამქვეყნიური ცხოვრების უაზრო, მოუწესრიგებელი ხმაური და იგი ეძლევა თავდავიწყებას.

ბუნებრივია, პოეტი, რომელსაც გვერდს უმშვენებს მეუღლე, გაურბის უგონო სიმთვრალეს და ღრეობას, ადამიანს ადამიანურ სახეს რომ აკარგავინებს. ამიტომაც სურს განმარტოვდეს, მიეცეს შთაგონებას და რელიგიურ გრძნობებში ჩაძირული „მშვიდი მ-წყ-აზარი სახით“, ლექსად თქვას ის, „რასაც დღე გულზე ა-ხ-ლი-და“. თუმცადა წმინდა და ამაღლებული სიყვარულის გადმოსაცემად, მეუღლე რომ აღძრავს მასში, შესაფერის, სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელ გარემოს და ჟამს ეძიებს:

**მზემ რომ მო-ხ-ვრიპა ზედაშე,
ხ-ატს უ-ხ-მოდ გა-მო-ვესალმე...
და სალამომდე მე და შენ
ვკრიფთ ცისფერი კესანე.**

აი, ეს უკვე ცისფერით აღვსილი გარემოა, როცა მზე ეთხოვება ქვეყანას (მზემ რომ მოხვრიპა ზედაშე), პოეტი კი უხმოდ ემშვიდობება ხატს და თავის მეუღლესთან ერთად იწყებს „ცისფერი კესანეს“ კრეფას. ამჯერად ამქვეყნიურ ღმერთს ჩაძირულ გონებაწართმეულ მოქიფეთა და სულიერი სიმშინდით აღტყინებულ პოეტს შორის უფსკრული ჩნდება. ეს უკანასკნელი ემიჯნება მათ და გრძნობა, რომელსაც ის უმღერის, მიწიერებას როდია მოკლებული, მაგრამ თვისობრივად უფრო რეალურია, ვიდრე ფიზიკურ-სხეულბერივი:

**მო-ვედი ხ-ელ-ი მო-გ-ხ-ვიე
გულზე პერანგი მო-გ-ხ-იე...
მთვარე,
მე, შენ და არაგვი
მთ-ვრ-ალი ვიყა-ვით ოთ-ხ-ივე...**

ამ ბოლო სტროფში გადმოცემულია ამაღლებული, ზემადიური, კოსმიური სიყვარული, რაც ინდივიდუალური პირადი გრძნობისაგან არის ამოზრდილი, მაგრამ ზოგადსაკაცობრიო იდეალური ხასიათისაა და შესაბამისად ღვთიური სიყვარულის გარსშია გახვეული. ამიტომაც ამ ამაღლებული სიყვარულით აღძრული მთვრალეული, მისტიკური გრძნობის თანამოინახილვა პოეტი, მისი გულისსწორი, მთვარე და არაგვი, რომელთაგანაც მთვარე ზეციური, ღვთიური სიმშინდის სიმბოლოა, ხოლო არაგვი — ამქვეყნიური ცხოველმყოფელობის, მოძრაი და დაუოკებელი ჟინის ხატია, საბოლოოდ, საანალიზო ლექსის არქისემა ამგვარად უნდა გავიგოთ: პოეტის სიყვარული ამქვეყნიური, რეალური, კონკრეტულად კი, თავისი მეუღლის წრფელი გრძნობით იზადება, მაგრამ ამ საფეხურზე როდი სრულდება, ის კოსმიურ მასშტაბებს იძენს და ღვთიურ სიყვარულამდე მალდება. ამგვარი თვალთახედვა პოეტის სხვა ლექსშიც იკვეთება.

დასასრულ, მკითხველს ხიზლავს პოეტისეული გულწრფელობა, ფერწერის განსაკუთრებულად სადა სტილი, მოვლენათა განვითარების გადმოცემის საოცარი დინამიზმი, რასაც აპირობებს სილაბური საზომი, დაბალ შიარად ხმობილი, რომელიც მარცვალთა ამგვარ მიმართებას გვაძლევს 5+3=3+5.

გარდა ამისა, ბოლოკიდურა რითმებს, რომლებიც არ გამოირჩევიან სრული იდენტურობითა და ფონეტიკური მსგავსებით, სრულყოფს მსგავს ხმოვანთა სიმეტრიული მიმართება, რაც, მართალია, შეუიარაღებელი თვალთ მწელი აღსაქმელია, მაგრამ მკითხველზე უფრო რეალურად ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტს ახდენს. აი, ეს სქემაც.

- I სტ. 1) უაი 2) ეია 3) უაი 4) ეია;
- II სტ. 1) უაი 2) იეი 3) უაი 4) იეი;
- III სტ. 1) აუი 2) ეაა 3) აუი 4) ეაა;
- IV სტ. 1) ეეა 2) ააა 3) ეეა 4) ააა;
- V სტ. 1) ეაე 2) ეაე 3) ეაე 4) ეაე;
- VI სტ. 1) ოიე 2) ოიე 3) აეე 4) ააი 5) ოეი.

საკმარისია, ამ გრაფიკულ სქემას თვალი გადავავლოთ, რომ დავრწმუნდეთ: რეზო ამაშუკელის ლექსის სტრუქტურაში თანხმობა ბგერებთან ერთად ხმოვნებზე აქტიურად მონაწილეობენ. მეტიც შეიძლება ითქვას, საანალიზო ლექსის ინტონაციის საფუძველს სწორედ ხმოვანი ბგერები ქმნიან, როგორც მარცვალთა საყრდენი ელემენტი, რომელიც თანხმობანთა გარემოცვაში თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ფერწერულ თუ სახისმეტყველების განსხვავებისას კონტრასტულობის ეფექტს ქმნის. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ პნკართა ფარგლებში უშუალო კონტაქტსა თუ დისტანციურ მანძილზე თავს იჩენს იდენტურ ხმოვანთა რეგულირება, რომელიც ასევე ასრულებს მნიშვნელოვან სემანტიკურ-კომპოზიციურ ფუნქციას. საგულსიხმოა ისიც, რომ ხმოვანთა ეს მსგავსება შეიმჩნევა არა მხოლოდ ბოლოკიდურ რითმებში, არამედ თავსა და შუა პოზიციებში. ასე, მაგ.: საანალიზო სტროფის პირველი პნკარის სანყის და ბოლოკიდურა სიტყვათა ხმოვნები ურთიერთთან სარკისებურ მიმართებას (ოა-აო) ამყარებს. მერე პირველი პნკარის ბოლოკიდური სიტყვის ხმოვანთა კომპლექსი (უაო) იდენტურია მესამე პნკარის თავკიდურა სიტყვის ხმოვნებისა (უაო) და ასევე მეოთხე პნკარის თავკიდურა სიტყვას უკავშირდება „აო“ ხმოვნებით. ხოლო პირველი სტროფის თავკიდურა სიტყვის ხმოვნები — აოა კავშირშია მომდევნო სტროფის პირველი და მეორე პნკარების თავკიდურა სიტყვების ხმოვნებისა — აოა (ნ-ჰ-მ-ლ-ჰ-ქცია გ-ჰ-მ-ლ-უ-ლ-ჰ-დრა) და მისით. მოკლედ, აპკარა ხმოვანთა მიზანმიმართული რეგულირება, რაც განსაკუთრებულ ჟღერადობას ანიჭებს განხილულ სტროფს და პოეტის თვალთახედვის ასხნას მრავალმნიშვნელოვანს ხდის და ამგვარად ერთობ საყურადღებო ფუნქციას ასრულებს. სწორედ ეს გახლავთ ლექსის ბუნების სპეციფიკურობა, რითაც განსხვავდება პოეზიის ენა ჩვეულებრივი მეტყველებისგან და რითაც განსაკუთრებით გამოირჩევა რეზო ამაშუკელის პოეტური სამყარო. სწორედ ეს განასხვავებს მისი პოეზიის არსებით ნიშან-თვისებას იმ პოეტთა ნახელავისგან, ვისაც დახშული აქვთ გულის ყური და თვალი, დამშვრალი აქვს შთაგონების წყარო და ღვთიური სინათლის ხილვის უნარი.

დასასრულ, ზემოთ ნარმოდგენილი ანალიზის გათვალისწინებით შეიძლება რეზო ამაშუკელის ლექსის სტრუქტურა ზოგადად შემდეგი საფეხურებრივი სისტემით წარმოვიდგინოთ.

პირველ საფეხურზე თანხმობან თუ ხმოვან ბგერათა რეგულირება, მაგალითად: ა) „ხ-მაურობს ხ-ალ-ხ-ი ხ-ვაგრიელ და-ხ-რილ და-ხ-ლებთან, რაბინს ქათმებით ა-ხ-ორ-ხ-ლილი მისდევს ხ-ა-ხ-ამი“, ბ) ნ-ა-მოა-ქცია = გ-ა-მო-უ-ლ-ა-დრა // კ-ი-ს-ე-რი = ფხ-ი-ზ-ელ-ი).

მეორე — საფეხური მარცვალთა რეგულირება ა) კონტაქტური და დისტანციური: „და მზე აბრ-უებს ხილვ-ის ირიბ რიბ-ი-რაბ-ოებს. ო, რაბ-ი, რაბ-ი!“ „თოვს, მარ-ტმა ამინდი არი-ა, შენ გეგვ-არ ღვთისმშობელს — მარიაშ!“

მესამე — სიტყვათა რეგულირება: „იმ ღამეს თოვდა, თოვდა და თოვდა = გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა...“

მეოთხე — საკუთარ სახელთა აქცენტირება: „რა მკათათ-ვე-ში მზე ღომ-ზე შე-ვა-ლს ვჭვრეტ ნითელ ვაშლით მშვენიერ ვვას“.

მეხუთე — სიტყვით სინტაგმური დაწყვილება: „ბეჭებზე მადევს ლოდინის ლოდი“, „შემოაფრინდა ცისკარი სარკმელს“.

მეექვსე — პნკართა თუ ფრაზათა რეგულარული გამეორება: „უფალო საჯენ! უფალო საჯენ!.. მოძალე ჩემი, უფალო საჯენ!.. ხელმყოფი მისი, უფალო საჯენ!..“

მეშვიდე — წინადადების რეგულირება და გამეორება: რა-ხილ! რა ხელმა გადმოგხატა?! რახილ, რა ხელმა მოგაჩეჩა ძველი თალმუდი?! რახილ, მითხარი, რა ხილია შენი თანმხლები?!

შეიძლება ითქვას, რომ რეზო ამაშუკელის ლექსის სტრუქტურა ძირითადად აგებულია ამ პრინციპით. უფრო სწორედ, ამ მიკროსისტემებით, რომელიც ქმნის მისი პოეტური სამყაროს ესთეტიკურ ველს, ფერწერული ტილოს სახიერებას, რაც გაცხადებულია შედარებით, მეტაფორებით, სიმბოლოებით, ხატით, სურათებით და ა.შ., მგოსნის პოეტურ სამყაროს რომ აგვირგვინებს. მართალია, ამჯერად ეს საკითხი ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ საილუსტრაციოდ, თითო-ოროლა ნიმუშის მოხმობა მაინც გამართლებულად მიგვაჩნია:

შედარება:

**და მკერდში ყმუის
სიტყვა ძირძველი
ისე, ვით მკვლი დაბმული ჯაჭვზე!..**

ანდა

**ხარ გალუმპული ნისლებში დილის,
ვით ალიონზე
შაშვის გალობა!**

ანდა

**მყუდროება კი
ცეცხლის პირას
ლეკვივით წვება.**

მეტაფორა:

**სად ხარხარებდა
ბედი ოხერი,
დახარბებული ვნებიან ალერსს
და გაშხვართული
ფერხითი ფოცხვერი
ნაბავდა მწვანე-თაფლისფერ თვალებს...**

ანდა

**...და ცას
ღვინისფერ ღრუბელით დახრილს,
გედები სწოვენ
სისხლიან მარჯანს...**

ანდა

**უბეში მიზის
ჟრუნი მტრედი —
ლექსი ამ ღამის,
ნისკარტზე წითლად შერჩენია
წვეთი ბალღამის.**

ანდა

**...ცეცხლში ბულრაობს
მზე დასალიერს
და ცას გამდნარი სპილენძით ღებავს...**

სიმბოლო:

**აფენდნენ ღამის ამორძალები
თეთრ მაგნოლიებს
ლილისფერ გედებს...**

სურათი:

მზე ჩადის მთებით
დაიღება ქედები შინდით,
ცამ დასავლეთით
იქორნინა მენამულ ფერთან.
მზე ჩადის მთებით,
სამრეკლოდან გაფრინდა ჩიტი,
გაფრინდა ჩიტი
და დატოვა უცნობი სევდა...

ანდა

ლაშქარი.
ბზარავს სიბნელეს ჭოტის
ხმა შორეული და გულსაკლავი
და მონკრიალე
ალმასის ზოდით
გადამსხვრეული ზეცა ვარსკვლავით...

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოხმობილი ამონარიდები მკითხველს ვერ შეუქმნის მათ როგორობასა და ხარისხზე სრულყოფილ შთაბეჭდილებას ისევე, როგორც ამას ვერ ქმნის ტაძარს მონყევილი ცალკეული ჩუქურთმის ნატეხი ანდა ფერწერილი ტილოდან ამოკვეთილი საღებავი თუ დეტალი. მაგრამ ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ზედაშეს ერთი წვეთიც მის მადლს გვაზიარებს. ამიტომაც გავკადნიერდით და მოვიხმეთ ისინი, რათა მეტნაკლებად ზოგადი, თუნდაც ზერელე წარმოდგენა შეგვექმნა პოეტის სახისმეტყველების თავისებურებასა და წარმოსახვის სტილზე. იმავედროულად, ის მკითხველი, ვისაც ესმის ლექსის სტრუქტურის აგების სპეციფიკა, მოხმობილი ნიმუშებიდანაც უცილობლად შეიგრძნობს, რომ ამ შემთხვევაშიც პოეტის სურათის ხატვის დროს თუ შედარების და მეტაფორის ძერწვისას დიდ ყურადღებას აქცევს სწორედ ბგერათა ფერწერას, რაც ამკარად მოწმობს ერთ უდავო თვალსაზრისს: რეზო ამაშუკელის პოეზიის მთავარი ძარღვი ფეთქავს და საზრდოობს ევფონიური ჰარმონიით და ეს გახლავთ მისი პოეტური სამყაროს ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, თავისებურება. მაგრამ, ამავე დროს, მოწმობს იმას, რომ პოეტი არა მარტო მუსიკალური სმენით დაუჯილდოებია უფალს, არამედ მხატვრობის ნიჭიც უხვად დაუფერთხია მასზე.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რეზო ამაშუკელის პოეზიის ტაძარი ეროვნულ საძირკველზე აგებულია და, აქვე თუ მის საყვარელ სიტყვას ვიხმართ, ბრძღვილებს ქართული სულით ანთებული კელაპტრით, ისმის კენესა და ხრიალი დაკოდილი ქართული გულისა, რაც აცოცხლებს მიძინებულ ქართულ საზოგადოებას. დღეისათვის მისი პრინციპული და შეუვალობა ქართველი ერის შინაური თუ გარეუმი მტრების მიმართ შესაძურია. ამიტომაც მას უფლება აქვს, თამამად განაცხადოს: „მხოლოდ სიმართლე, მარტოოდენ ჭეშმარიტება!“ და თანაც ამაყად დასძინოს: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა!“

თუმცა ეს თემა სხვა კვლევის საგანია და მის გაშუქებას სხვა დროს შემოგთავაზებთ...

მანანა კვატია

„უპერცხლო მკურნალის“ პორტრეტისათვის

(ელგუჯა თავბერიძის
კიდევი ერთი ბიოგრაფიული რომანი)

1904 წლის 23 ივნისს აბასთუმანში, 49 წლისა, აღესრულა განთქმული ექიმი, ფილანთროპი და საზოგადო მოღვაწე სამსონ თოფურია. დამწერ-და საქართველო. ქუთაისში გადმოსვენებისას ლეგენდარულ დასტაქარს გზად უამრავი ადამიანი აცილებდა. ქალაქში „თბილისის ქუჩა ხალხით გავსებული, მოდიოდა ქართველი, ებრაელი, სომეხი, რუსი, გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი და დიაკვანი“ (ელგუჯა თავბერიძე). აკაკი წერეთელს შეუნიშნავს: „ხეებზედაც რომ მაყურებლები გასულან, ასე ეგონება კაცს, თუ ხეებს კაცები მოუსხამს და ჩამოსაღებად დაგანძულანო“. გაზეთების სიტყვით, „სამსონ ყველას გული მოეგო და ყველა ვალდებულად რაცხდა თავს, უბრალო დახვედრით მაინც პატივი ეცა განსვენებულისათვის“. დეკანოზ დავით ღამბაშიძეს უთქვამს: „ჩვენს დაობლებულ საზოგადოებას ვსტირი, უვერცხლო მკურნალი, გაჭირვებულთა და ღარიბთა შემბრალე მამა და უსამართლობით დაჩაგრულთა მსაჯული რომ დაკარგაო.“

სწორედ ცნობილი მკურნალისა და მოღვაწის იშვიათ ფენომენს შთაუგონებია ელგუჯა თავბერიძის წიგნი „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს (სამსონ თოფურიას ცხოვრების ქრონიკა)“ (ქუთაისი, „ხომლი ენ“-ის საგამომცემლო ცენტრი, 2014. რედაქტორი როსტომ ჩხეიძე). სამსონ თოფურიას პორტრეტის შტრიხები ელგუჯა თავბერიძეს ადრეც წარმოუდგენია რომანში „აკაკის ლანი“. შემდეგ ავტორს განუზრახავს, რომ „მის სახებას მოაქცევდა ახალი კომპოზიციური ქარგის შუაგულში და ასე შეიქმნებოდა მეტად კოლორიტული და მონუმენტური ხასიათი კაცისა, ვინც არამარტო საავადმყოფოს შეუქმნიდა ქუთაისის ელგუჯა და დასავლეთ საქართველოს, არამედ ამ დაწესებულებას გადააქცევდა კულტურულ და საგანმანათლებლო კერად... თვითონ სამკურნალოს კი გამართავდა იმ ევროპული რადიუსით, რაც ასე ეოცნებებოდათ ცისფერყანწლებს პოეზიაში“ (წიგნის ანოტაციიდან).

სამსონ თოფურიას უანგარო გარჯა და მცდელობა აკაკი წერეთელს თვით ბიბლიური იობის ტანჯვას და მოსე წინასწარმეტყველის ღვანლს ახსენებდა და სწორედ ეს ალუზია იგრძნობა მის სტრიქონში: „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“, რომელიც ელგუჯა თავბერიძეს თავისი ბიოგრაფიული რომანის სათაურად შეურჩევია.

იდელისტი მკურნალისა და ჰუმანისტის მონუმენტური ნატურის გასაღებს ავტორი წიგნის დასაწყისშივე გვთავაზობს: „საქვეყნო დარდით გულშელონებული ადამიანები არ აკლდა ამ დროებას, მაგრამ ეს მაინც განმარტოებთ იდგა... მეოცნებეც იყო, მაგრამ ენერგიით, შრომისმოყვარეობით, ხასიათის სიმტკიცით, საზოგადო საქმისადმი მედგარი ლტოლვილებით უფრო ევროპელს მოგაგონებდა, ვიდრე დროთა ვითარებისაგან დაძაბუნებულ ქართველს“.

სამსონ თოფურიას ოცნება — ქუთაისში საავადმყოფოს დაფუძნება — მავანთათვის ფუჭი მეზღაპრეობა ყოფილა, თუმცა ბევრი გულშემატკივრობდა გულანთებულ ექიმს. სწორედ მათი თანადგომით სამსონ თოფურიას ქუთაისში დაუარსებია საავადმყოფო, რომელიც, ელგუჯა თავბერიძის თქმით, პეტერბურგსა და მოსკოვსაც კი დაამშვენებდა. განთქმული ექიმი ქალაქის ხმოსანიც ყოფილა, ბანკის საქმეებშიც მონაწილეობდა და ა.შ.


ფილანთროპისა და მკურნალის ექსპრესიული ჰაბიტუსი იკვეთება წიგნის პირველივე თავში „ოცნების მორევი“: „მაღალია, მხარბეჭიანი, გრძელსახეს ფართო შუბლი და მოელვარე, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები უფრო შთამბეჭდავს ხდის. ახალგაზრდაა, მაგრამ შუა ხანს მიტანებული კაცის ნაბიჯებით მიაღაჯებს, სიმყარე და შეუპოვრობა იგრძნობა სიარულში“. ამ დროს სამსონ თოფურია ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლავთ. ელგუჯა თავბერიძის ცნობით, მეოცნებე ჭაბუკს თავიდან ფი-

ლოლოგობა სურდა, შემდეგ ბუნებისმეტყველების შესწავლა გადაუწყვეტია, რაც ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ ფილიპ ბრუნის დამოკიდებულებამაც განაპირობა. მიზეზი თამარ მეფეზე დაწერილი ნაშრომი ყოფილა. ბიოგრაფოსის თქმით, ბრუნმა, რუსეთს თავშეფარებულმა ფინელმა მეცნიერმა, სამსონ თოფურისას „კვლევის სურვილი ჩაუკლა, ინტერესი დაუკარგა, დაუკარგა იმის გამო, რომ, მისი აზრით, უნივერსიტეტის ჩინოვნიკები უნდა აღეზარდა და არა თავისუფლებისმოყვარე ადამიანები“. ამის გამო სამსონს ბუნებისმეტყველების შესწავლა გადაუწყვეტია. მეგობრის, ნიკო ხიზანიშვილის თქმით, „იმის მკვირცხლ და ცოცხალ ბუნებას ეს დარგი უფრო უხდებოდა“.

მომავალ ექიმს ხარკოვში სტუდენტობისას განუკურნებელი სენი შეჰყვია, რადგან ყოველდღიურ მძიმე შრომას ახალგაზრდა სამსონი მეტად დაუძაბუნებია (მჭირთავობასაც არ თავილობდა თურმე). ჭაბუკს ჭლექი ისე მორევია, რომ „ველარ ლაპარაკობდა, ჩიფჩიფებდა, ხელის მოძრაობით აგებინებდა ახლობლებსა და მეგობრებს, რა უნდოდა“, — წერს ავტორი. პეტერბურგში სამკურნალოდ ჩასული სამსონ თოფურია თვით სახელგანთქმულ ბოტკინს შეხვედრია, მას კი მხოლოდ ერთი თვის სიცოცხლე განუსაზღვრავს მისთვის და საქართველოში დაბრუნება ურჩევია. სამეგრელოს მთებში დაბინავებული სამსონი, ყველასაგან გასაოცრად, განკურნებულა, „უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით — მოირჩინა თავი“, — წერს ელგუჯა თავბერიძე. „ია სმერტ პობედილ“, — უდებუებია გამოჯანმრთელებულ სამსონს ბოტკინისათვის. სამსონ თოფურია სამკურნალო თავზე გამოსცადა ტუბერკულოზის სიმძიმე და მის წინააღმდეგ ბრძოლა განიზრახა. ის ჯერ კიდევ გიმნაზიის მონაფე ყოფილა, ქუთაისის 1871 წელს ხოლერის ეპიდემია რომ სწევია.

ელგუჯა თავბერიძე დოკუმენტური მასალის მოხმობით შესანიშნავად წარმოადგენს იმ ვითარებას, რომელიც ქუთაისში სამსონ თოფურისას დაბრუნებამდე იყო (რომანის მიხედვით, ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას სამსონ თოფურია საქართველოს ამბებს მისთვის გაგზავნილი ქართული პრესით ეცნობოდა). გაზეთის ცნობით, ერთ-ერთ ექიმს პირდაპირ განუცხადებია: „უთხარით ავადმყოფს, თუ უნდა, ვნახო, თითოეული ვიზიტის ფული, სამ-სამი მანეთი, წინდაწინ გამოვლინებოდა, სხვანაირად ნახვასა და მკურნალობაზე ნურც იოცნებებენო“. ეს მაშინ, როცა მოსახლეობას წამლისა და ექიმის ფული არ გააჩნდა.

წიგნში დოკუმენტური მასალის (ძირითადად პრესის) მონაცემებით დახასიათებულია იმდროინდელი ვითარება. სავალალოდ გამოიყურებოდა ქუთაისი: „უსუფთაო ქალაქი, ატალახებული ქუჩები, ნაკელითა და ნავავით დაბინძურებული გარეუბნები, ბულვარში აყიყინებული ბაყაყები, მოწვიმს, წვიმა დაგახრჩობს, გვალვა იქნება და მტვერი მოგიღებს ბოლოს“. ამასთან, გაზეთების ინფორმაციით, იმჟამინდელ ქალაქში, გარდა სამხედრო ჰოსპიტალისა, არანაირი სამკურნალო დაწესებულება არ ყოფილა. მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებდა წმინდა მიხეილის საავადმყოფო. ბიოგრაფიულ რომანში დახასიათებულია ქუთაისში მოღვაწე ოდიოზური რუსი ექიმი მიხაილ ვორონოვი, მედიცინის დოქტორი, რომელმაც, ავტორის თქმით, „საექიმო საქმე იცოდა, მაგრამ გული არ ჰქონდა ექიმისა“. „შავი ფრაკითა და ჩაშავებული სამოსით დადიოდა. ექიმი — სიკვდილის მაცნე“ — ვკითხულობთ სხვაგან.



ამ საყოველთაო განუკითხაობისა და ნიჰილიზმის გარემოში სამსონ თოფურისას მისია უმძიმესი გახლდათ: „ღმერთი უნდა იყო, ხალხს ექიმობის რწმენა რომ დაუბრუნონ“, — ფიქრობდა საქართველოში დაბრუნებული მკურნალი და შეუძლებლის დაძლევისა და თავგანწირვის გზება მსჭვალავდა. როგორც მოსემ გამოიყვანა თავისი ერი უდაბნოდან, „ასევე უნდა ეხსნა სამსონს ხალხი, ჯერ ცრუ რწმენისაგან, მერე — ავადობისაგან“, — შენიშნავს ელგუჯა თავბერიძე.

„წყარო ურწყულ უდაბნოში“ — ასე დაუსათაურებია ავტორს წიგნის მეორე თავი, სადაც უკვე საქართველოში დაბრუნებული სამსონ თოფურისა მოღვაწეობა ახახული. დასაწყისში მოთხრობილია ისტორია, თუ როგორ განკურნა ახალგაზრდა ექიმმა მძიმედ დაავადებული პავლე ჩხეიძე. უამრავი ავადმყოფი აწყდებოდა სამსონს, ზოგს არჩენდა, ზოგსაც (ხშირად მოურჩენელი ავადობით დასნეულებულთ) ვერას შევლოდა, ეს კი საბაბს აძლევდა მის მოშურნეებს, „სახელი გაეტეხათ საავადმყოფოს იდეით გულანთებული დასტაქრისათვის“.

„აქაურთათვის ისე აუცილებელია საავადმყოფო, როგორც წყარო ურწყულ უდაბნოში“, — კვლავ სამსონ თოფურისას ფიქრებს ახმოვანებს ავტორი.

1887 წლის 8 დეკემბერს „ივერიას“ საზოგადოებისათვის უცნობებია, ახალგაზრდა ექიმი სამსონ თოფურია ამხანაგთა დახმარებით ქუთაისში სამკურნალოს აარსებსო. მისი თანამდგომნი ყოფილან ცნობილი ექიმები: გრიგოლ ელიავა, დიმიტრი ნახარიშვილი და პოეტო, მთარგმნელი და ექიმი გრიგოლ ვოლსკი. პერიოდული პრესის მონაცემებით ელგუჯა თავბერიძე არსებითი ხაზებით აღადგენს ქუთაისის სამკურნალო დაწესებულების დაარსების ისტორიას. „ივერიაში“ 1890 წლის 22 აპრილს დაბეჭდილი ინფორმაციით, 29 აპრილს ქუთაისში სამსონ თოფურისას საავადმყოფო გაიხსნებოდა, „რომელიც გარედან მოსულელებსაც უმკურნალებს და მუდმივი საწოლებიც ექნებათო.“ პირველთ ბალახვნის ქუჩაზე, სტეპანოვის სახლში მიიღებდნენ, მეორე კატეგორიის სწეულთ ბულვარის პირდაპირ, ბოკერისას სახლში ეპატიჟებოდნენ.

საავადმყოფოს კურთხევის ცერემონია წიგნში ცხოვლადა ახახული: ტაძარი ხალხს ვერ იტევდა, მოედანი და ბულვარიც გადაევსოთ. „იყვნენ თოვადნი, აზნაურნი, მდაბიონი — უმეტეს“. მაგანთ სამსონ თოფურისას საავადმყოფოს კონკურენცია ამფოთებდათ. „არაფერი გამოგვივა, უფულოდ უმკურნალებს ზოგიერთს, მიიმხრობს და მიიმხრობს ხალხს“ — ასე გადმოსცემს ავტორი სამსონის მოწინააღმდეგე ექიმების განწყობას.

საავადმყოფო თვით გაბრიელ ეპისკოპოსს უკურთხებია. „ბოკერისას სახლი ვარდებითა და დაფნის ფოთლებით მოერთოთ, ისე გაენყოთ იქაურობა, რომ ეპისკოპოსს მათ შუაში უნდა გაევილო. ირგვლივ ვარდისა და დაფნის სუნი ტრიალებდა“, — ვკითხულობთ რომანში. ყოვლად სამღვდელო გაბრუნებულ ეპისკოპოსს სამადლობელი პარაკლისი წყლის კურთხევით გადაუხდია და წარმოუთქვამს სიტყვა, სადაც აღუნიშნავს: „პატივისა და ქების ღირსია ამ საავადმყოფოს დამაარსებელი. დიდი გაბედულება და თავგანწირვაა საქირო, ჩვენს ღარიბ ქალაქში კაცმა ამნაირ საქმეს რომ მოჰკიდოს ხელი“.

სამსონ თოფურისას საავადმყოფოს 1890 წლის 1 მაისიდან მიუღია ავადმყოფები. ნიკო ხიზანიშვილს დაუწერია: თოფურისას სამკურნალო, თავისი პირდაპირი მოვალეობის

გარდა, კულტურულ და პედაგოგიურ სამსახურსაც უწევდა საზოგადოებასო. თვით სამსონს კი, ავტორის სიტყვით, თავისი საავადმყოფო სიყვარულის სადგომად წარმოედგინა.

საყურადღებოა იმდროინდელი გაზეთების პირველ გვერდებზე დაბეჭდილი განცხადებები, რომლებიც გვაცნობს, თუ რა სახის მომსახურებას სთავაზობდა სამსონ თოფურიას სამკურნალო და ამბულატორია ავადმყოფებს. 1899 წელს 50 სანოლი ჰქონიათ, შინაგანი სნეულების, ნერვების, საქირურგიო, თვალის და დედათა ავადმყოფობით დაავადებულთათვისო. თოფურიას მკურნალებად განთქმული ექიმები მოუწვევია: „შინაგანი და ნერვების ავადობაშეყრილებს სამსონ თოფურია წამლობს, ვისაც ქირურგიული ჩარევა ეჭირვება, ან სიფილისი შეჰყრია — ფ. გერარტი, დედათა ავადმყოფობას — კ. კოგანი... თვალების მკურნალად — ი. ვარშავსკაია, ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისათვისო”, — ვკითხულობთ ბიოგრაფიულ რომანში.

1899 წელს სამსონ თოფურიას საავადმყოფო მოუნახულებია პარიზის უნივერსიტეტის პროფესორ ტერიეს, რომელსაც ამ დანესებულებისათვის „მთელი იმერეთის სამკაული“ უწოდებია და აღფრთოვანებულია იქაურობის სისუფთავითა და მოწყობილობებით. ერთი თანამედროვის სიტყვით, სამკურნალოს გამო სამსონს პირადი ცხოვრება არ ჰქონდა, „შევიწროებულია და ყოველგვარ სიამოვნებას მოკლებულიო“. „სამსონისათვის გაჭირვებული ნაცნობი და უცნობი არ არსებობს, ყველას ერთნაირად ეპყრობაო”, — უთქვამს სხვას.

დიდ ფილანთროპს უახლესი აპარატურა და ტექნოლოგიები თვით ევროპიდან შემოჰქონდა. 1904 წლის 13 აპრილს „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა, რომ თოფურიამ გერმანიიდან გამოწერილი რენტგენის სხივების აპარატი მიიღო, რომლითაც ამიერიდან გასინჯავს ავადმყოფებსო. მისი ღირებულება — 40 ათასი მანეთი მას თავად გადაუხდია.

ელგუჯა თავბერიძის ინფორმაციით, განთქმულ ექიმს სურვილი ჰქონია, მოენვია კარგი პროფესორები, რომლებიც ავადმყოფებსაც მოუვლიდნენ და სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ სტუდენტებს ლექციებსაც წაუკითხავდნენ. „დადიოდა ხშირად ევროპაში, ჯიბრში ედგა, კვალდაკვალ მისდევდა სამკურნალო საქმის განვითარებას“, — ვკითხულობთ რომანში. უდროო გარდაცვალებამ სამსონ თოფურიას ეს გეგმებიც დაასამარა.

ბიოგრაფიულ რომანში ელგუჯა თავბერიძე წარმოადგენს სამსონ თოფურიას სამკურნალო დანესებულების საქმიანობის პირველი წლების ციფრობრივ მაჩვენებლებს. შთამბეჭდავია ნიგნში მოტანილი დოკუმენტური მასალა, სადაც ასახულია თოფურიას მცდელობა, რათა ქუთაისის ქალაქის საბჭოს მისი საავადმყოფო ყოველწლიურად 2 ათასი მანეთით დაეფინანსებინა. სანაცვლოდ სამსონ თოფურია 4 ათასი ავადმყოფის გასინჯვისა და მკურნალობის პირობას იძლეოდა. პრესას აღუნუსხავს ასევე თოფურიას სწრაფვა, კოხის გამოგონილი ქლექის განკურნების მეთოდიკა ქართველ ექიმებსაც რომ აეთვისებინათ.

რომანში ელგუჯა თავბერიძემ ქუთაისის ისტორიის მივნიყებული ფურცლები გააცოცხლა. საყურადღებო ინფორმაციებს გვთავაზობს ნიგნის მეოთხე თავი „ურკინიგზო ქუთაისის სევდა“, სადაც ავტორი აღადგენს რკინიგზის გაყვანის პერიპეტიებს. მწერალი სევდანარევი გულისტკივილით შენიშნავს: „უიღბლო იყო ეს ქალაქი, — უხსოვარ დროში ზღვამ მიატოვა, რკინიგზამ ახლოს, ხელის განვდენაზე ჩაუარა, მაგრამ სიშორე სჯობდა ამნაირ სიახლოვეს“. მილიონერ ანანოვსა და მირსკის ქუთაისელთა ნების სანინალმდევოდ მოუხერხებიათ, რკინიგზის ხაზი აჯამეთზე გაეტარებინათ (თუმცა თვით პროექტის ავტორი, ინგლისელი ბელი თავიდან რკინიგზის გაყვანას ქუთაისში ვარაუდობდა).

ამ ორომტრიალში სამსონ თოფურიაც ჩართულა: უთხოვია ილია ჭავჭავაძისათვის, რათა მას სენატორ ერისტოვისათვის ქუთაისში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით წერილი მიეწერა, თუმცა ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ სამსონ თოფურია პეტერბურგს გამგზავრებულია და იქიდან იწერებოდა, რომ პირადად შეხვდა გზათა მინისტრ ხილკოვს. ქუთათურთა მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა: ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინჟინრებმა გზის გამოკვლევა დაინყეს და დაასკვნეს: მხარს არ ვუჭერთ ამ მიმართულებით რკინიგზის გაყვანასო.

ნიგნში მრავალ ისტორიულ პირს შეხვდებით. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა აკაკისა და სამსონ თოფურიას ურთიერთობას. პოემა „ავადმყოფის ჩვენება“ პოეტს, ზოგი ვერსიით, სწორედ სამსონ თოფურიას საავადმყოფოში დაუწერია და 1898 წელს „აკაკის თვიურ კრებულში“ დაუბეჭდავს (№12). 1898 წლის 2 აპრილს გაზეთი „ივერია“ სამსონ თოფურიას დეპეშაზე დაყრდნობით პოეტის ავადმყოფობის ამბავს მთელ საქართველოს აუწყებდა: „ჩვენი ყოვლად ღირსეული პოეტი აკაკი წერეთელი საშიშ მდგომარეობაშია და საშინელი ტკივილი ჰქონია წინა ღამეს გულის ფრიალისა და ჭიდილისა“. შემოთოდა ქვეყანა. მთელ საქართველოში პარაკლისებს იხდიდნენ. „ავადმყოფის ჩვენების“ დასაწყისში აკაკი წერდა:

**სიკვდილ-სიცოცხლის შუა მდებარეს,
როდესაც სული ხორცს მეყრებოდა,
ცოდვილი ქვეყნის გამოთხოვება
მე მაინც კიდევ მენანებოდა!...**

პოემის ბოლოს კი სიკვდილს გადარჩენილი პოეტი, ჩანს, რეალურ ხილვას აღბეჭდავს:

**მე გონს მოვედი, მიმოვიხედე,
და იმავე წამს თვალი მოვჰკარი,
რომ მარცხნივ მდგა დიდი მკურნალი
და მარჯვნივ ახლოს ჩემი მოძღვარი.**

ეს „დიდი მკურნალი“ სწორედ სამსონ თოფურია გახლდათ, რომლის მცდელობითაც აკაკი გადარჩენილა, თუმცა სახელოვანი ექიმის დახმარება მგოსანს მალევე დასჭირვებია: 1899 წლის ზამთარში ავადმყოფი აკაკი კვლავ თოფურიას საავადმყოფოში მოუთავსებიათ, ამჯერად ფილტვების ანთების დიაგნოზით. გრიგოლ მხეიძის მოგონებით, პოეტს ერთ თვეს უფასოდ მკურნალობდნენ, მეტიც, ექიმ თოფურიას მისთვის ქუთაისის ბანკში გადაუხდია 300 მანეა, რომლითაც აკაკის მამული იყო დაგირავებული...

ელგუჯა თავბერიძეს საგულდაგულოდ აღუნუსხავს სამსონ თოფურიას ქველმოქმედებისა და მისი სამედიცინო თუ მენეჯერული საქმიანობის ამსახველი მრავალი ფაქტი, მისი საზოგადო მოღვაწეობის დეტალები. ავტორი მეტად საინტერესო და მიმზიდველ თხრობას დოკუმენტური მასალით ამყარებს. ყოველივე ამის შედეგად რომანში მკითხველის თვალწინ იკვეთება მონუმენტური ხატი დიადი პიროვნებისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და სიცოცხლეც მოყვასთა სამსხვერპლოზე უანგაროდ მიიტანა.

ელგუჯა თავბერიძემ სამსონ თოფურიას ეს უდიდესი ღვაწლი გამორჩეული ოსტატობით გამოკვეთა.

„ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“ ქართული — და არამარტო ქართული — ბიოგრაფიული რომანისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელიც მკითხველს ქართული ფილანთროპიისა და ქველმოქმედების ისტორიის ნაკლებად ცნობილ ფურცლებს აზიარებს.

გიზო ზარნაძე

მოსაენილიც, ნანახიც, ნაშიქრიც...

ხარმა ხარს ურქინაო...

სოსო ჭუმბურიძეს გაუმართლა — გაზეთი დაუხურეს! როგორღა გაუმართლაო! — იკითხავთ, უეჭველად. როგორ და, ზოგი ჭირი ხომ მარგებელია: ნაციონალურმა ხელისუფლებამ გაზეთი „თბილისი“ რომ დახურა, მისმა რედაქტორმა უფრო მეტად მოიცალა ლიტერატურისთვის, თუმცა არც პუბლიცისტიკა მიუტოვებია და მის სტატიებს, რეპორტაჟებს თუ რეცენზიებს ჟურნალ „ჩვენს მწერლობასა“ და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობთ. იმედია, ამასობაში, „თბილისიც“ აღდგება(გასაკვირია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამისთვის აქამდე ვერ მოიცალა).

სადღეისოდ იოსებ ჭუმბურიძე, რომ იტყვიან, ჩამოყალიბებული ლიტერატორია, თანაც, საკუთარი ხელწერით (პირველად თქმულის გაგებით!). ხარმა ხარს ურქინაო...

ეს ფიქრები ერთი საბაბით ამეშალა: ჩემს მწირ არქივში წავანყდი ჩემსავე პაროდიას, დანერილს 2006 წლის იანვარში.

მურმან ლაზანიძეს

(თქმული სოსო ჭუმბურიძის ბაგეთაგან, სიზმრად, ოდეს მურმანი აუგად მოილექსიანებდა ზვიადს)

ვინც არ გიგორათ ყოველდღე კვერცხი,
ვინც არ გასცვალა ოქროში ვერცხლი,
თქვენ მის საქებარ სიტყვას რომ არ სძრავთ, —
გხედავთ საეჭვოდ მდუმარს...
მასზე უკადრის ლექსუკას ქე სცდით,
პირველ პრეზიდენტს მკვდარსაც კი ებრძვით, —
ლანძღვის და თათხვის აჩაღებთ ხანძარს:
მე კი არ ვამბობ, მგოსანო, თქვენს ძვირს,
თქვენნივე კაი ლექსები წუხან,
კაი მკითხველნიც, ბატონო მურმან!

ჩოხას რომ ინათხოვრებ, კი არ უნდა შეინარჩუნო!

ერთობ სიმპათიური გამონათქვამი — „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“, წარამარა რომ გაისმის „საბას“ მავანი ლაურეატის საუბრებში, თანაც ისე კეკლუცად, რომ თითქოს საკუთრივ მისი ჩამოგვირისტებული ფრაზა იყოს, სინამდვილეში პოეტ დავით ბაგრატიონს ეკუთვნის, საქართველოს უკანასკნელი ბედკრული მეფის, გიორგი მეთორმეტეს შვილს ანუ ერეკლე მეორის შვილიშვილს.

განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა თურმე საქართველოში მისი ლექსი — „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“, რომელსაც დიდად აფასებდაო დიდი ილიაც:

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,
დავ?შთომილვარ ასე ან უნუგეშოდ
უბაღლობის გამო სხვისა და სხვისა.



შინაური მღვდლისგანაც
ვიღოთ შენდობა!

ალიტერაციის ქრესტომათიულ ნიმუშადაა აღიარებული, თანაც, სამართლიანად, უკვდავი რუსთაველის ტაეპი: „კარვის კალთა ჩახლათული ჩავეჭერ, ჩავაკარა-ბაკე“. გასახარია, რომ თანამედროვე ქართველ პოეტთაგან არაერთს დაეძებნება მშვენიერი ალიტერაციული ტაეპები და სტროფებიც კი.

სამაგალითოდ გთავაზობთ რეზო ამაშუკელის სტროფს:

რახილ, მითხარი, რა ხალხია შენი თანმსლები,
მხრებზე ხავერდის ხენდროსფერი წამოსასხამით?
ხმაურობს ხალხი ხვავრიელად დახრილ დახლებით,
რაბინს ქათმებით ახისხლული მისდევს ხახამი.

სიტყვას მოჰყვა და აქვე მინდა ერთ ტაბუირებულ თემასაც შევეხო. ლიტერატურისმცოდნეთა და კრიტიკოსთა აზრით, რატომღაც „იკრძალება“ ზმნების გართიმვა. შესაძლოა, მხოლოდ ზმნებით ფონს გასვლა დიდად სახარბიელო ვერ იყოს, მაგრამ არც მთლად მისი უარყოფა ეგების!..

ისევ და ისევ რუსთაველს დავესესხოთ:

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და
მას უბნობდეს,
მუშა მინყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს,
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და
გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაინუნოს, არცა სხვათა უნუნობდეს.

ან კიდევ:

ჩემი ან ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია.

**გამაოგნებელი ლექსის
ახლოდან განჩხრაკვისას**

გალაკტიონს ერთ თავის ნახელავზე მიუწერია: „**ესეც ლექსია, რაღა!**“ — ანუ აშკარად არ მოსწონს და ამას არც მალავს! მაღალინტელექტიანი ადამიანისთვის თვითირონია, ზოგჯერ საკუთარი თავის გაკილვაც კი, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მაინც მეექვსეა, მისი თაობის (გინდაც, შემდგომის) რომელიმე ცნობილ პოეტსაც მოეხსენებინოს ასე თავისივე ქმნილება!

დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო პოეტთა მეფე, ალბათ, მომერიდებოდა და ეგებ არც მომივიდოდა აზრად იმის თქმა, რასაც ახლა ვაპირებ. მეორე მხრივ, იქნებ პირიქითაც ყოფილიყო — წაეკითხა და დამთანხმებოდა.

ბატონი **რამაზ პატარიძე** ერთ—ერთ მოგონებაში აღნიშნავს: „გალაკტიონი საოცარი ოსტატობით იყენებს ხალხურ სიტყვებსა და გამოთქმებსაც კი. საამისოდ ერთი მისი გამაოგნებელი ლექსი მაგონდება:

**სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდეს,
ნუ მოაცლი ციურ რიდეს, რომ ბურუსში ჩნდებოდეს,
თითქოს სული სადმე ვლიდეს და გულს ცეცხლი სდებოდეს,
სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდეს.**

ხომ მართლაც გამაოგნებელი ლექსია, რაღაც ზედმეტად მშობლიური, თბილი, გულგახსნილი, სტუმარი რომ არა და არ გელევენება წასასვლელად, რამენაირად რომ ცდილობს მის შეყოვნებას! იმას კი არ უზუსტებ, ერთი ოცი წუთით მაინც დარჩიო, არ უსაზღვრავ დროს: ნუ იწებებ ჯერხნობით წასვლას, დაიცადეთ, სანამ წვიმა გადივლიდეს და გზები გამშრალდებოდესო!..

პარდონ, მუსიკე გალაკტიონს! ნამომცდა, **მომშრალდებოდესო!** არადა, ჩვენს ნილ შუა იმერეთში სწორედაც რომ ასე იტყვიან ხოლმე — გზები გამშრალდებოდესო.

რა ხდება?! ვითომ არ იცოდა გალაკტიონმა, ასე რომ ამბობენ?!

საქმე ისაა, რომ პირველ სტრიქონში მოხმოზილმა ზმნის კავშირებითმა ფორმამ (გადივლიდეს), უკეთ, — მისმა გა ზმნისსართმა მოითხოვა: „მომშრალდებოდა“—ში კორექტივის შეტანა. კი, ნამდვილად ასეა (გადივლიდეს—გამშრალდებოდეს).

მაგრამ... მაინც არის ერთი პატარა „მაგრამ“!..

გალაკტიონს არავისგან ესწავლება სალიტერატურო ქართულის ნორმები! გზა რომ უპირველესად მომშრალდება და არა — გამშრალდება, მისივე ტაეპი გვიდასტურებს სხვა ლექსიდან: „**რა საოცარი ისმოდა მარში, როს ქარი ჩადგა და გზები მოშრა!**“

ამიტომ მგონია, რომ ამ გამაოგნებელ ლექსში „**გამშრალდებოდეს**“ ნაცვლად „**მომშრალდებოდეს**“-ს თუ ჩავენერთ, ლექსი არანაირად არ დაზარალდება და იქნებ პირიქითაც მოხდეს: ყოველ შემთხვევაში, ამ კონკრეტულ ლექსში რომ კავშირებითის მწკრივის კიდურა რითმები სწორედ ო ხმოვანს ეყრდნობა, უეჭველია!.. (გამშრალდებოდეს, ჩნდებოდეს, ხდებოდეს).

საბოლოოდ კი — ჩვენი ეს მოკრძალებული კორექტივი ამ ლექსს კიდევ უფრო გამაოგნებელს ხდის, რადგან ორივე შემთხვევაში ღვთაებრივად ჟღერს, „მეოცე საუკუნის პლანეტის ყველაზე დიდ პოეტს“ (ბულატ ოკუჯავა) რომ შეეფერება, ისე!..

ინამეთი ღმერთი, გაგპარკვიით!!!

დარწმუნებული ვარ, პოეზიის გურმანებმა სასიამოვნო მოულოდნელობად აღიქვეს ცნობილი (თუ **გამოჩენილი არა!**) პოეტის **ზაალ ებანოიძის** პოემა — რეკვიემის — „**წყალადმიდან მოიწერე..**“ — ჯერ ყურნალების — „**განთიადე**“ და „**ჩვენი მწერლობა**“ — ფურცლებზე გამოქვეყნება, შემდეგ კი, უფრო დასრულებული სახით, ცალკე წიგნად გამოცემა.

პოემა მართლაც რომ რეკვიემად ჟღერს, ადამიანის არსებობის წუთისოფლურობის სევდიან ზღაპრად და, მიუხედავად ამ წუთისოფლურობისა, სიცოცხლე მაინც რომ გიზიდავს და ელტივი! თუმცაღა იცი, გაჩენის დღიდანვე იცი, რომ „**წარმავალია სოფელი, სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება!**“ იცი და მაინც ვერ შელევინხარ!.. ხოლო მიმწერის ჟამს, სიყმაწვილიდან მოყოლებული, ყოველი ელდისა თუ სიხარულის, ტკივილისა თუ აღმაფრენის ნამიერი წუთები კალეიდოსკოპივით ჩაგიქროლებს თვალწინ!..

ფსიქოლოგთა რწმუნებით, ყოველი მოკვდავის თავს ხდება ეს, მაგრამ გამოხატვით მხოლოდ პოეტს, თანაც ჭეშმარიტად ლირიკოს პოეტს, ძალუძს ყოველივე ამის ისე გამოხატვა, რომ უბრალო მოკვდავთაც ნათლად შეიგრძნონ და გაითავისონ, განიცადონ წინასწარ, ჯერ კიდევ მანამ, სანამ თავადაც არ დასდგომიათ მიმწერის ჟამი! განიცადონ, რათა აღარ იუცხოონ ნაღვლიანი აღსასრული, განიცადონ, რათა იცოდნენ სიცოცხლის ნამდვილი ფასი, იცოდნენ და მოუფრთხილდნენ!..

ზაალის ამ შესანიშნავ პოემას, მჯერა, არაერთი გამოხმაურება მოჰყვება. წიგნს ერთვის (ცნობილი ლიტერატორის **მაია ჯალიაშვილის** მშვენიერი ბოლოთქმა — „**პოეტური დეჟავიუ**“, რომელშიც პოემა სწორედ ეკლესიასტისებური თვალთახედვითაა განხილული, თანაც ისე ნათლად და ოსტატურად, რომ სცილდება მშრალი წინათქმა ბოლოთქმების სქემატურ სტანდარტს და დამოუკიდებელ მხატვრულ ეტიუდად აღიქმება, რაც საერთოდაა დამახასიათებელი ამ ავტორისთვის.

მაინც მგონია, და ვიმედოვნებ, რომ ამას არ აკმარებენ საკმაოდ ხანდაზმულ, მაგრამ მარად ბავშვური გულით მავალ პოეტს.

ახლა კი დროა მოვიდეთ, როგორც უწინ იტყოდნენ, პირველ სიტყვასა ზედა!

ხომ დროა, მკითხველმა გაიგოს — რა გაურკვეველობასაც შევუწუხებდით?

საქმე ისაა, რომ ბატონ ზაალს პოემისთვის წარუმიძღვარებია ტაეპი — „**ჩვენ რას ნავიღებთ ქვეყნიდან, სხვას არა წაუღია რა**“ და მონიშნულია ავტორიც — **გრიგოლ აბაშიძე**.

ჯერ ერთი, ძალიან მეხამუშა ეს „**ქვეყნიდან**“ და მეორეც, რაც მთავარია: პირადად ჩემთვის აქამდე ცნობილი იყო, რომ ლექსის ავტორია არა გრიგოლ აბაშიძე, არამედ — **მინა ხელაშვილი** (იხ. „**კვირის პალიტრის**“ კედლის კალენდარი, 2013 წ. 25 იანვარი).

აი მთელი სტროფიც:

**იმასაც მოკლედ უვლია, გრძლად ვინც ეგონა იარა,
შუეს ბნელი შესჭამს, ვარდს — ჭია, კაცის გულს —
ჯავრის იარა,
მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში ავყვრის იარაღს:
ჩვენ რას ნავიღებთ ამ სოფლით, სხვას არა წაუღია რა.**

გარდა ამისა, ქ-ნ მაიას ტექსტშიც უზუსტობაა: „...როგორც ხალხურ ლექსშია: „**ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება კვდებოდე და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე**“-ო!

კი მაგრამ, რატომაა ეს საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „**ხალხური**“?! ჩვენს ხელთაა ისევ და ისევ **მინა ხელაშვილის** ლექსების კრებული, რომელშიც ამ ლექსს გამორჩეული ადგილი უჭირავს.

მართლაც უიღბლო ყოფილა ისედაც ბოლშევიკების ბანდას შეწირული უნიჭიერესი პოეტი, **ქაქუცა ჩოლოყაშვილის** ერთგული თანამებრძოლი!

მივმართავთ ბატონებს: **როსტომ ჩხეიძეს, თამაზ ნატროშვილს, გიგი ხორნაულს** უმორჩილესი თხოვნით — გაიღეთ მოწყალეობა და ერთხელ და სამუდამოდ დაგვიდგინეთ, ვინაა ამ შედეგების ნამდვილი ავტორი?

P.S.

ერთხელ ბატონი თემურ შაშიაშვილისთვის უკითხავს შევარდნაძეს, ოტია იოსელიანი როგორააო.

— ვერა ვართ გუნებაზე, რუსთაველის პრემიაზე იყო წარდგენილი და გააშავესო.

— როგორ კაცო, ოტიას რუსთაველის პრემია არა აქვსო? მე სულ მგონია, რომ აქვს და, მკითხველებს მით უმეტეს ეგონებათო! ჰოდა, რა მნიშვნელობა აქვს, ექნება თუ არ ექნებაო!

რაც კარგი და ზოგჯერ გენიალურია, მავანს ალბათ, ეჩვენება, ხალხურიო!

შევეშვით მოჩვენებებს!..

სომ არ გვეშიქრა კონაპუსჯა — „იპო“?

ისე შეუმჩნეველად ჩაიარა დაუფინყარი იპოლიტე ხვიჩიას, ამ „ქართველი ბურვილის“ დაბადებიდან ასი (2010) და გარდაცვალებიდან ოცდაათი წლისთავმა, (2015, თებერვალი), ნამდვილად რომ არ ეკადრება ჩვენი კულტურის მესვეურთ!

ვინ, რომელი თავმოყვარე ერი და ქვეყანა არ მოინონებდა თავს ამ უნიკალური ნიჭის მქონე კომიკოსი მსახიობით, რომელზეც ლეგენდარულ ჟან გაბენს უთქვამს, ეს რა დიდებული ადამიანი ყოფილაო! ხოლო ასევე ლეგენდარული რუსი კომიკოსი იური ნიკულინი ოცნებობდა მასთან პარტნიორობაზე!

ვის, რომელ ქართველს არ განუცდია შვება და სიხარული ხვიჩიას მიერ შესრულებული როლებით — კოსტაია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“—ში და შაქრო „მეტეხის ჩრდილი“!

ან ვის შეუძლია გულიანი სიცილის გარეშე უყუროს კუჭ-კუჭისა თუ ბონდო დოლაბერიძის „ვნებათა ლეღებს“ (შესაბამისად, „ბურთი და მოედანი“ და „ფეოლა“)!..

ან როგორ შეიძლება, ნახო და სამიღვამეაოდ არ დაგამახსოვრდეს უადრესად კოლორიტული ტიპები: სანდრო „არ დაიდარდო“—ში, როდესაც იგი არღანზე ამღერებს „გიმნაზისტკას“ და თან ცრემლად იღვრება, და კაჟა ბულავა „დათა თუთაშხია“—ში, როდესაც ასევე ცრემლად იღვრება დათას წინაშე — ვინ მომაშავა მე ფულიო!..

მიუტევებლად მიმანჩია ასეთი გულგრილობა!

წლეულს წარმატებით განხორციელდა საკონკურსო პროექტი — „ЭТО смешно“ რუსულ ტელეარხზე „პლანეტა“.

თუ პოლიტიკურ გავლენად არ ჩაითვლება, იქნებ ჩვენს ტელეარხებსაც მოსვლოდათ ჭკუაში, ვთქვათ, ტელეპროექტი „იპოს“—ს განხორციელება საუკეთესო კომიკოსი მსახიობის გამოსავლენად!

იქნებ დავფიქრებულებიყავით!

P.S.

თუ ნებაც იქნება, მაშინ აჯობებს პროექტი წლის ბოლოსთვის ჩაიგეგმოს, დეკემბრისთვის, სწორედ 31 დეკემბერს სრულდება იპოლიტე ხვიჩიას დაბადებიდან 105 წელი.

შავქონოსანთა უსტარი ზინაიდა კვირანჩხილაძე

ქალბატონო ზინაიდა, სულისთქმა ხართ ვინაიდან, — თქვენს წინაშე მუხლის მოყრა, თქვენთვის ლოცვა, წირვა გვინდა! გულთამპყრობელ ნიშანს ჰგავხართ, გამოყოლილს სიზმარიდან, იქნებ სულაც მღილად ვჩანდეთ მაგოდენა სიმალლიდან, — მაინც გეტრფით, სიყვარულის

ავგივია პირამიდა:

გვიჯობს, ჩვენი სატრფო იყო, ვიდრე — ჩვენი მტირალი და!..

უფალმა ნათელში გვიმყოფოს ზინას მშფოთვარე სული!
2011.13.04.

ას იყო, იყო...

უდავოდ დიდი მომავლის მქონე საოპერო მომღერალს, სამწუხაროდ, სრულიად ახალგაზრდა რომ შეინირა ულმობელმა სნეულებამ, ქალბატონ მაია თომაძეს, როგორც „პირნავარდნილ ზვიადისტკას“, რაღა თქმა უნდა, პუტჩისტების საქართველოში აღარ დაედგომებოდა და ისიც განერიდა საყვარელ თბილისს, წავიდა ემიგრაციაში და იოლად და სიამოვნებით დაეთმო სცენა სერვანტესის სამშობლოში.

ერთხელ, რამდენიმე დღით რომ მოისიყვარულა თბილისი და უკან ბრუნდებოდა, აეროპორტში ჩამოსვეს ტრაპიდან, თქვენს ბილეთს შტამში არა აქვსო! არადა, უბრალოდ, მქრქალად ემჩინეოდა! როცა ჩამოდიოდა ტრაპზე, კონტროლიორ ქალბატონს უთხრა, დავბრუნდები და თქვენ მერე დაგელაპარაკებითო!..

— Подумаешь, напугала! Я одна, а таких свиной у меня тысячи!

ქალბატონი მაია განაგრძობს თხრობას (კორესპონდენტს ესაუბრება): „აი, რა მითხრა პასუხად! მე კიდევ, ჩემი ვარაუდით, ბოდიშის მოხდას ველოდი!

წარმოვიდგინე, ესპანეთი, სადაც მივემგზავრებოდი და სადაც მანამდეც არაერთხელ ფეხზე მდგარი მაყურებელი დიდხანს მიკრავდა ტაშს, და აი, ჩემს სამშობლოში, ჩემს თბილისში ეს საშინელი შეურაცხყოფა!“

მურმანს თუ დავუჯერებთ, ჯგუზურინას...

100 წლის წინათ, 1914 წლის 7 თებერვალს, დიდი რუსი პოეტი ალექსანდრ ბლოკი წერს საყოველთაოდ აღიარებულ გენიალურ ლექსს — „Ночь, улица, фонарь, аптека“, უფრო სწორად, ლექსის სახელწოდებაა „Пляски смерти“, რომელიც ხუთი თავისაგან შედგება და სწორედ მეორე თავის სანწყისი სტრიქონითაა ცნობილი ეს ლექსი.

მურმან ჯგუზურიამ, არ შევცდები თუ ვიტყვი, ცოცხალ ქართველ მწერალთაგან, ყველაზე მეტად იცის, იცნობს და ა.შ. რუსულ ლიტერატურას. პირადად მე — გაცილებით ნაკლებად.

ერთხელ დედა-უნივერსიტეტის ეზოში ვსხედვართ (ასე, 4-5 წლის წინანდელი ამბავია), ვსაუბრობთ რუსულ პოეზიაზე. რატომღაც მომეპრიანა და ზემოხსენებული ლექსი ვთქვი. ვცდილობდი, ტექსტი არ შემშლოდა, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ბოლო სტრიქონში, თურმე, სიტყვები გადავაადგილე.

Ночь, ледяная рябь канала,

Аптека, улица, фонарь-ის ნაცვლად, მითქვამს — улица, аптека, фонарь.

მურმანმა ხელი ჩამავლო მაჯაში, კიდევ გაიმეორეო, მე-უბნება.

ცოტა შევცბი, ნეტავ რატომ მამეორებინებს—მეთქი!

როცა მეორედაც ასე ვთქვი — улица, аптека, фонарь, — გენიალურია! (ეს მისი სტილია!) ბევრად სჯობია ორიგინალსო!.. იმიტომ, რომ ჯერ ქუჩა უნდა წარმოისახოს მკითხველმა, მერე აფთიაქი და ბოლოს — ფარანიო!

ისე, დღესაც არ ვიცი, გულწრფელად სჯერა მას ეს თუ მალვალაკობს?

თუ მართლაც ასეა, თუ მართლა ჩემი ვარიანტი სჯობს, ყოჩად მე! არ დავრევივარ პოეტთა მეფეებს?!

მიხეილ ანთაძე

სიტყვის არქეოლოგია

ფოლაქი

ნებისმიერ პოლონელს რომ ჰკითხო, ეროვნებით ვინ ხარო, გიპასუხებს:

ფოლაქ!

ზედმინევენი ამ ჟღერადობით იტყვის, არა პოლიაკ ან პოლაკ, არამედ სწორედაც ასე — ფოლაქ!

ჰოდა, ფოლაქი რომ ღილის სინონიმია ქართულ ენაში, ახლა ვერაფრით ვერ ვიხსენებ, მე თვითონ დავასკვენი ეს, თუ თავდაპირველად ვინმესგან გავიგე ამ სიტყვის კავშირი საქართველოში მცხოვრებ პოლონელებთან.

პირადად ბევრს ვიცნობ გაქართველებულ პოლონელებს: ტრიპოლსკებს, ვოლსკებს, ვისოცკებს, სტამევესკებს, კაპირსკებს, ბალისევიჩებს, პანკრატოვიჩებს, ვაშკლევიჩებს. მათი ძირითადი ნაწილი XIX საუკუნეში რუსეთის მთავრობამ გადამოასახლა სამშობლოდან დამოუკიდებლობისთვის მოწყობილ შეთქმულებებსა და აჯანყებებში მონაწილეობისათვის.

ახლა რომ გადავამოწმე ინტერნეტსივრცეში, გაირკვა, რომ ეს მოსაზრება ერთობ გავრცელებული ყოფილა ჩვენს საზოგადოებაში.

„მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში იყო პოლონელების დასახლება. რამდენადაც ვიცი, ჰქონდათ ღილების პატარა ქარხანა და სწორედ ამიტომ დაერქვა ქუთაისში ღილს „ფოლაქი“ — წერს ერთ-ერთი იუზერი.

„რა მაგის პასუხია და ფოლაქი მოდის სიტყვა პოლიაკისგან — პოლონელები ყიდდნენ ფოლაქებს და მიტომ, პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ რომ გადმოასახლეს საქართველოში, ის პოლონელები“ — ადასტურებს მეორე და იქვე დასძენს, — „ისევე, როგორც სიტყვა პრანჭია მოდის ფრანგისგან“.

ერთი შეხედვით, დამაჯერებელი ამბავია — პოლონელები მართლაც ბლომად გადმოასახლეს, გალანტერიითაც რატომ არ ივაჭრებდნენ და სულაც ქარხანას თუ არა, ფაბრიკას ან პატარა საწარმოს რატომაც ვერ შექმნიდნენ.

მაგრამ ქართული ოფიციალური მეცნიერება სულ სხვა ორიენტაციისა აღმოჩნდება:

ل و ف აი ეს სპარსული სიტყვა გამოითქმის, როგორც ფულ ანდა სხვაგვარი ნაკითხვით ფოდ და სწორედაც ფულს, მონეტას, გადასახადს და ხარჯს აღნიშნავს, ხოლო აი ეს სიტყვა: فولاك იკითხება, როგორც ფულაქ, რაც პირველი სიტყვის კნინობით უნდა იყოს ქართულშიც ხომ ვიცი, სახელი — სახლაკი, ნაწილი — ნაწილაკი, ჰოდა ესეც ასეა ფული-ფულაკი, ოღონდაც ეს ფულაკი ლითონის ფირფიტას, მონეტას, რალაცა ბრტყელსა და მრგვალს აღნიშნავს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც ორიენტაციისტიკისკენ იხრება:

„ფოლაქ-ი (ფოლაქისა) [სპარ. ფულაქ] 1. ძვ. და კუთხ. (ქართლ.) ხალი ტანზე, ფორეჯი [ლექიაშვილს] შუბლიდან სევდის ბურუსი გადაეყარა და ცალ ლოყაზე წითელი ფოლაქი აასხდა (ს. მაგალობ.). [გველებს] მთელს ტანზე და კისერზე გაშლილი კამკაშა ფოლაქები გასდევს. (ი. გოგება.). 2. კუთხ. (კახ. თუშ.) მრგვალი ან მომრგვალო ღილის ტოლა საკერებელი ტანისამოსის ნაკერთა გადასაბმელზე სიმარგისათვის და მოსართავად. // ნაბდის ქუდის ცაზე შუაში დაკერებული მრგვალი, ღილის ტოლა ნაბდისვე

ნაჭერი. 3. კუთხ. (იმერ.) იგივეა რაც ღილი. გიორგიმ ... ძალით შეუკრა მონინალმდეგეს ფოლაქები (ნ. ლორთქ.). დედა-ჩემი კაბის კალთით მუნდირის ფოლაქებს ფერავდა (რ. გვეტ.).

მე მაინც სერიოზულად ვფიქრობ, რომ სიტყვა ფოლაქის პოლონური წარმომავლობის ვერსია უფრო ღრმა და დამაჯერებელი, რადგან განმარტებით ლექსიკონში მოყვანილი საილუსტრაციო მასალა (სოფრომ მაგალობლიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, რაჟდენ გვეტაძე) XIX საუკუნის II ნახევარზე ადრე ვერ მიდის, ხოლო სპარსული წარმომავლობის შემთხვევაში სავარაუდოა სიტყვა უფრო ადრინდელ ტექსტებშიც მონახულიყო. მერე კიდევ ის, რომ ცხადია — ფორეჯი, მრგვალი, პატარა ლაქა ადამიანისა თუ ცხოველის სხეულზე, ან კიდევ საკერებელი ტანისამოსსა და ქუდზე მეორადი, გადატანითი მნიშვნელობებია, პირველად კი სწორედ ღილის სინონიმი უნდა იყოს, ხოლო ეს მნიშვნელობა განმარტების ლექსიკონის აღიარებით სწორედ იმერული წარმოშობისაა.

ხოლო რაც შეეხება პოლონელებს, რომელთა საქართველოში მასობრივი ნაკადის მიზეზი პოლიტიკური რეპრესიები გახლდათ, გადასახლებულთა პირველი ნაკადი ე.წ. „თბილციმბირს“ 1794 წელს მოაწყო. ესენი კომშიუშკოს აჯანყების მონაწილენი იყვნენ. მომდევნო ნაკადი ნაპოლეონის მიერ ტყვედ აყვანილი პოლონელები აღმოჩნდნენ. მერე მათ მოჰყვნენ 1830 წლის ნოემბრის აჯანყებისა და 1863 წლის იანვრის აჯანყების მონაწილენი. სწორედ ესენი და ამათი შთამომავლები გაქართველდნენ. ევროპიდან შემოტანილი საგალანტერიო საქონლითაც ეგენი ივაჭრებდნენ ქუთაისში.

ახა რა ვიცი, ამ მცირე არგუმენტებით მიხერხდება თუ არა განმარტებითი ლექსიკონის ავტორიტეტისა და ოფიციალური მეცნიერების მიერ დადგენილი აზრის დაძლევა.

ოდითგანვე ასე იყო — დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვინეწებოდი.

ფოსტა

ახლა ის შემთხვევა ვნახოთ, როცა ერთი და იგივე სიტყვა ორი სამოსით და ორი მნიშვნელობით ერთდროულადაა შემოპარული ქართულში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ერთი უცხოური სიტყვა ორ ქართულ სიტყვად გადაქცეულა.

ჯერ ორთავე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოვიძიოთ:

ფოსტა (ფოსტისა) [ფრანგ. poste] 1. სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს კორესპოდენციების, ამანათებისა და მისთანათა გაგზავნა-გამოგზავნას დანიშნულების ადგილას, ადრესატისათვის გზავნილებათა ჩაბარებას. 2. კანტორა, სადაც წარმოებს კორესპოდენციების, ამანათების გაგზავნა-გამოგზავნა - საფოსტო განყოფილება. 3. ისტ. დაწესებულება, რომელიც კორესპოდენციების გაგზავნასთან ერთად აწესრიგებდა მგზავრების გადაყვანა-გადმოყვანას. 4. ჩასაბარებელი და გასაგზავნი კორესპოდენციებისა და სხვა გზავნილებათა ერთობლიობა.

ეს ერთი. ახლა მეორე:

პოსტ-ი (პოსტისა) [ფრანგ. poste] 1. საპასუხისმგებლო ადმინისტრაციული თანამდებობა. 2. სამხ. გუშაგი ან შეიარაღებული რაზმი, რომელიც იცავს და უთვალთვალებს რასმე. 3. სამხ. საგუშაგო, სადარაჯო, რომელსაც იცავენ ან საიდანაც უთვალთვალებენ.

ქართულში მტკიცედ დამკვიდრებული ამ სიტყვების მეტი განმარტება საჭირო აღარ არის, მათი მნიშვნელობა ყველამ შესანიშნავად ვიცი, მაგრამ იმასაც ხომ ვაწყობთ, ერთი სიტყვა როა და ორი სხვადასხვა სიტყვის სახით რომ მოუკიდებია ფეხი ჩვენში.

სიტყვა POST-ს, ქართული ტრანსკრიფციით გინდ „ფოსტ“ რომ თქვი, გინდ „ფოსტ“, გინდ „პოსტ“ და გინდაც „პოსტ“, ინგლისურ ენაში ორმოცდათორმეტი მნიშვნელობა აქვს, ჰოდა, აი, ქართულში ორმაგი სახით შემოჭრილა, ერთ შემთხვევაში

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №9

მკვეთრ „პარ“-ში შეპარულა, მეორე შემთხვევაში ფშვინვიერი „ფარ“-ი აუფარებია და ასეთი გაორებით სულ სხვადასხვა რამეებს დარქმევია.

ბარემ აქვე დავსძინოთ, რომ ინგლისურად ფოსტის შენობას post office ჰქვია, საერთოდაც, დაწესებულების შენობას, სამსახურებრივ აპარტამენტს ოფისი ქვია და ეს სიტყვა დიდი ხანია გავრცელდა ჩვენში, მაგრამ დღემდე ყურს გვჭრის, რომ ოფისში მომუშავეს თურმე ზოგადად ოფიცერი ეწოდება. ეს იმიტომ, რომ ეს სიტყვა ორიოდ საუკუნით ადრე სამხედრო გზებით შემოპარულა ჩვენს ენაზე, მეომრის ჩინსაც დარქმევია და ხალხში კიდევ დამატებით ჭადრაკის ფიგურასაც.

აბა?! აი ასეთი ფოსტაა.

P.S. ეს ბოლო რეპლიკა შეგიძლიათ არ დაპოსტოთ.

იუმორი

გამიგონია, არავინ იცის, რა არის იუმორი და ამაშია მთელი იუმორი.

ამ სიტყვის მრავალ განმარტებათაგან ყველაზე მეტად ის სადა ვერსია მომწონს, იუმორი ისაა, რაც გვაცინებს და გვახიარულებს.

ამ საერთაშორისო ზოგადკაცობრიული HUMOR-ის „უი“-თი დაწყებული ჩვენეული ვერსია აშკარად რუსულიდანაა კალკირებული - ЮМОР და აშკარად XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზეა ფესვგადგმული, თორემ სულხან-საბასთან, ანტონ კათოლიკოსთან, იოანე ბატონიშვილთან, თვით რომანტიკოსებთან, დოდაშვილთან და მისდროინდელ ავტორებთან შედარებით ევროპული ვერსია გვხვდება - ჰუმორი.

ისე კი სიტყვა უხსოვარ დროში, ძველ საბერძნეთში დაბადებულია. ანტიკურ მედიცინაში თვლიდნენ, რომ ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას ოთხი სითხის - სისხლის, ლიმფის, ყვითელი ნალღველისა და შავი ნალღველის ბალანსი განაპირობებს და ამ ნაზავს ჰუმორი, ჰუმორალური სითხე ეწოდებოდა. თუ სითხეთა თანაფარდობა სათანადო იყო, ადამიანი თავს კარგად გრძნობდა და კარგ ხასიათზეც დგებოდა. ლათინურში კი ამ სიტყვამ უკვე დღევანდელი მნიშვნელობა შეიძინა - ხალისის, მხიარულებისა და სიცხლის გამომწვევ არსს დაერქვა.

გული დაგწყდება და გაგიკვირდება, ანტიკური ხანიდან ოცი საუკუნე გასულა, სანამ ეს სიტყვა ქართულში აგერ XVIII საუკუნეში ძლივს გამოჩენილა ჯერ ევროპიზებული ჰუმორის, მერე კი რუსიციტული იუმორის ფორმით.

არ შეცდეთ. ასეთი კარგი სიტყვის შეთვისებას ჩვენი ენა განა ამდენი ხნით გადადებდა? აბა გავიხსენოთ, რას ამბობდნენ ჩვენი წინაპრები მასზე, ვინც იუმორს გამოაჩენდა, რაო, რას შვრებო, რომელ ზმნას მიუსადაგებდნენ. აკი ქართული ერთობ ზმნური ენა გახლავთ. რას და - ხუმრობსო. ყური მივიგდოთ ძირძველ ქართულ სიტყვებს ხუმრობა, ვხუმრობ, სახუმარო, ხუმარა და ნათლად ჩაგვესმება ჯერ კიდევ ხანმეტ ეპოქაში გაქართულზმნებული პალიმფსესტების დროინდელი ლათინური სიტყვა - ჰუმორობს - ხუმრობს, ჰუმრობა - ხუმრობა და ასე შემდეგ.

რა გასაოცრად იცის ამ ჩვენმა ენამ უცხოური არსებითი სახელების ქართულ ზმნებად გადაქცევა. არ გეხუმრებით, სერიოზულად ვამბობ.

ბოლმა

თუ არ ვცდები, მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ექვთიმე მთაწმიდელი წერდა: „ბოლომილთა მწვალბელთა არა შეიწყნარებს ეკლესია“-ო. აგრეთვე 1259 წლის ერთ საეკლესიო დოკუმენტში, ქრისტიანული დარისხების ტიპიურ ტექსტში შემხვედრია: „კრულმცა არს სიტყუეთე ღმრთეებისაი მკუდარი და ცოცხალი, გაუხსნელათ ორთავე შინა ცხოვრებითა; და ნაწილიმცა მისი ნესტორის და ორიგენისთან დასჯილ არც; და-ცა-ინთქმის ბოლომილთასებრ, შე-მცა-ედების ძრწოლა კანისი, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, სოდომელთა და გომორელთა ცეცხლითა და წუნწებითა დაინვის.“

ამ ფრაგმენტებში იმთავითვე ჩემი ყურადღება ერთმა სიტყვამ მიიქცია - „ბოლომილთა“, „ბოლომილთასებრ“. ეს „ბოლომილი“, ახლებურად კი „ბოლომილები“, ამ და სხვა ძველ ქართულ ტექსტებში ეკლესიისგან მკაცრად უარყოფილი რომ ჩანან, იუდას, სოდომ-გომორელთა თუ კანის მსგავს დამნაშავეებად რომ მოიხსენებან, - ვინც არიან და რაც არიან, ცნობილია: ასე X-XV საუკუნეებში გავრცელებულ ანტიკლერიკალურ მოძრაობას ეწოდება, შემდგომში ფრანკატარებზეც რომ იქონია გავლენა. სახელი მოძღვრების შემქმნელის - ვინმე მღვდელ ბოგომილის (ძველქართულად ბოლომილის) გამო ეწოდათ. მართლმადიდებლური და კათოლიკური წყაროების თანახმად ბოგომილები ამტიკებდნენ, თითქოს ძველი აღთქმის ხანაში ადამიანებს განაგებდა ღმერთის უფროსი შვილი სატანიელი და სწორედ მან დაატეხა ადამიანებს წარღვრა, ბაბილონის გოდოლი და სხვა ათასი უბედურება, ქრისტემ ჯვარცმის ძალით დააკარგვინა სატანიელს ღვთაებრიობა და ჯოჯოხეთში განაწმენა. ამ საფუძველზე დაყრდნობით და იმის გამო, რომ ბოგომილებს, მათი აზრით ბიზანტიის იმპერიაში ერიც და ბერიც უსამართლოდ ეპყრობოდა, მათ წიაღში ჩამოყალიბდა მოძღვრება, თითქოსდა მატერიალური სამყარო ღვთის კი არა, სატანის მიერაა შექმნილი. ამიტომ ადამიანი უნდა განუდგეს ცოდვებში ჩაძირულ ქვეყნიერებას და სულის სახსნელად ღმერთს მიემართოს. ამისათვის უკიდურესი ასკეტიზშია საჭირო. ბოგომილები უარყოფდნენ ძველ აღთქმას, საეკლესიო იერარქიას, ლიტურგიას, წმინდა ნაწილებს, ჯვარს, ხატებს, ღვთისმშობლის უმანკობას, წმინდანთა კულტს, ტაძრებს, აღდგომას. მათ მოძღვრებაში სატანა თანდათან დაცემული ანგელოზიდან დამოუკიდებელ, უფლის თანასწორ ღვთაებად გარდაიქმნა. ამგვარ მოძღვრებებს, როგორც მოგეხსენებათ, „დუალისტურს“ უწოდებენ.

თავდაპირველად საიდუმლოდ საქმიანობდნენ, მაგრამ იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა ბოგომილები ბალკანეთიდან განდევნა. მოძღვრება დასავლეთ ევროპაში გავრცელდა და მათ ზოგან მანიქეველი უწოდეს, ზოგან პუბლიკანები, პატერანები, კატარები, ალბიგენები, ვალდენსები, ტექსტარანტები. ამ ერესის ბულგარული წარმომავლობა დავიწყებას როდი მიეცა - მათ ხშირად სწორედ ბულგარულ ერესებს, ან მოკლედ ბულგარებს და კიდევ უფრო შემოკლებულად ბუგრებს უწოდებდნენ, საიდანაც წარმოიშვა ფრანგული სალანძღავი სიტყვა ბოუგრე - ბუგლ - რაც ძალიან ცუდ ტიპს, რუსულად - მუდაკიო, რომ იტყვიან ან კიდევ უარესს ნიშნავს. თუმცა, მაგალითად ბოსნიაში XIII-XV საუკუნეებში ბოგომილობა ოფიციალურ რელიგიადაც კი აღიარეს, იქაურმა სერბებმა ამის გამო არც კათოლიკობა მიიღეს, არც მართმადიდებლობა, და ამიტომაც თურქთა შემოსევის შემდგომ იოლად გამაჰმადიანდნენ.

დამეთანხმებით, ეს ყოველივე თავისთავად ერთობ საინტერესოა, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ სიტყვის ძველქართულმა ტრანსკრიპციამ - „ბოლომილი“. თუ „და“ პრეფიქსს დავურთავთ, (არადა, ქართულ ენას უყვარს და ემარჯვება პრეფიქს-სუფიქსებით უცხო სიტყვათა მოშინაურება) მივიღებთ „დაბოლომილი“. ჰოდა, ეგება სწორედ ასე მოხდა და თანამედროვე ქართული სიტყვა „ბოლმა“, „დაბოლმვა“, „დაბოლილი“ და სხვა სწორედ აქედან წარმოიშვა-მეთქი. შესაბამისი პერსონაჟის ხატებაც კი ამეცა - ეკლესიის მიერ შეჩვენებულ-დანყევლილი, ღვთის პირიდან გადავარდნილი ერეტიკოსი, გაბოროტებული, ბოლმით აღსავსე, მოკლედ, ძალიან დაბოლომილი.

დიდხანს ასე მეგონა, მაგრამ მგონი ვცდებოდი.

ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონმა სულ სხვაგვარი განმარტება მომცა.

ბოლმა (ბოლმისა) [თურქ. ბოლმაკ „დაღრჩობა“] - ჯავრი, ნალღველი.

მასხადამე ქართული „ბოლმა“ თურქული „ღრჩობადან“ წარმოქმნილია... თუმცა ვინ იცის, ეგებ ეგ თურქული „ბოლმაკიც“ ბულგარელი „მუდაკიდან“ მომდინარეობს.

არ უნდა იყოს გამორიცხული.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლიტერატურის გავლენის ფსიქოლოგია

ლიტერატურაში მრავალნაირი ლიტერატურული ფესტივალი ტარდება. მათგან „ლიტერატურის ბაზაფხული“ გამორჩეულია. ის ოთხმა პოეტმა 51 წლის წინათ დააარსა და ათწლეულზე მეტია, რაც საერთაშორისო სტატუსს მიანიჭა. ორი კვირის განმავლობაში, მაისის თვეში მთელი ლიტერატურული ფესტივალის პირდაპირი თუ ირიბი მონაწილე ხდება. ფესტივალის მსვლელობაზე პასუხისმგებლობა პრეზიდენტიდან და პარლამენტიდან დაწყებული ყოველი ლიტერატურის ღირსების საქმეა: ბიბლიოთეკები, სახლ-მუზეუმები, სკვერები, ქუჩები, უნივერსიტეტები, რეგიონის პატარა ქალაქები, სოფლები ყველგან ფესტივალის საინტერესო პროგრამით დაგეგმილ შეხვედრებს, საფესტივალო კითხვას, პოეზიის საღამოებს და დისკუსიებს გამართავენ. ათი წელია ფესტივალის ლიტერატურული პოეტთა ჯგუფებს აგზავნი სხვადასხვა ქვეყანაში. ეს ქვეყნებიც ასევე ხდება ლიტერატურული გაზაფხულის მასპინძელიც და მონაწილეც, რადგან საფესტივალო პროგრამის ფარგლებში ამ ქვეყანაში რამდენიმე თვით ადრე იწყება ლიტერატურული პოეზიის თარგმან და ლიტერატურული ურთიერთობები ამა თუ იმ თაობის, ოსტატობის მწერალთა შორის. ასევე ლიტერატურად ითარგმნება, შესაბამისად, ყველა მონაწილე ქვეყნის პოეზიის ნიმუშებიც.

საქართველოში „ლიტერატურული გაზაფხული“ პირველად შარშან ჩამოხრძანდა და საინტერესო პროგრამით წარდგა ქართულ მთარგმნელებთან ერთად რომორც თბილისში, ასევე ჩარბაღში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში. ამავე ფესტივალის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ სოლიდური კრებულის გამოცემა, „თანამედროვე ლიტერატურის პოეზია“, რომელშიც გაერთიანდა სხვადასხვა წლებში ქართულად თარგმნილი ლიტერატურული პოეზიის ნიმუშები. წელს „ლიტერატურული გაზაფხული“ თბილისში უმასპინძლებს თბილისისთან ერთად. ამ ფესტივალის და სხვა ბევრი კარგი საქმის ორგანიზატორები არიან ლიტერატურის მთარგმნელი ქალბატონი ნანა დევიძი და ლიტერატურის კულტურის ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ვიქტორ კაპაღიძისკანი. ფესტივალის 18 მაისს ქობულაძისთან აიღებს სტარტს, სადაც ასევე აქტიურად მუშაობს „ლიტერატურის კულტურის ცენტრის ფილიალი“, 24 მაისს დაბრუნდება ლიტერატურაში და შეუერთდება იმ მრავალფეროვან პროგრამას, რომელსაც ყოველწლიურად სთავაზობენ პოეზიის მოყვარულებს ამ ფესტივალის ორგანიზატორები. წელს პირველად, ფესტივალის 7 მონაწილე ლიტერატურული პოეტიდან 3 პოეტი გაემგზავრება და მოივლის სომხეთის რესპუბლიკასა, ხოლო 24 მაისს ლიტერატურული პოეტებთან ერთად ლიტერატურაში გაემგზავრება სომხეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი, ხოლო ქართველი პოეტებიდან მარიამ ნიკოლაშვილი. ფესტივალის ფარგლებში ქართველ პოეტს უმასპინძლებს საქართველოს საელჩო და ლიტერატურის მცხოვრები ქართველებიც.

მინდაუგას ვალიუკასი

1. მთელი ღამე ვერ გაშრა წინდა. - შემოდგომაა.
 2. ცხვირისწვერზე შერჩენილი ყვავილის მტვერი. კოცნა შროშანის.
 3. ზამთრის მზე - ლოლოვებზე წამოცმული ბურთივით ელაგს.
 4. კვამლის წვრილ თოკზე გამობმული ქოხები ციდან ეშვებიან. ზამთრის უღრუბლო, ნათელი დღეა.
 5. ბაღში დაბმული ძაღლის გარეშე, ერთი ვაშლიც კი ვერ მოწყდება ამ ვაშლის ხიდან.
 6. შემოდგომის წვიმაა. ერთადერთი ნათელი სახე სველ პლაკატზე კრთის მთელ ქალაქში.
 7. იმ უტვინობას, ზეციერმა რაც ჩვენ გვიბოძა, წაიღებს თავად.
 8. თითქოსდა თოვლში გზას იკვლევდეს კარუსელის ცხენი, - თენდება ისე.
 9. მიმოფანტა ექსკურსანტები და ცარიელი სასმისები შეავსო წვიმამ.
 10. ხის ქვედა ტოტზე ჰკიდია ვაშლი, - მომცრო კბილების ანაბეჭდებით.
- თარგმან**
კატო ჯავახიშვილი

ლიტერატურის დეგესისი

მინიერი

მოგვეკვივის ზამთარი ციგები მიგელავს წლები კი მინდება სულ უფრო მინდება სულ უფრო ზამთრდება, სულ უფრო იძლევა და წყლებიც იყინავს მჭვირვალ და მტკნარ სიღრმეს სულ უფრო ამღვრეულ სულ უფრო ჭუჭყიან ნაკადებს იერთებს და იღებს ჩაინთქავს, ჩაიხვევს.

როგორღა გავიგოთ ვინღა გვთვლის ნეტავი, თავისიანებად. ამ ზიზღის ნაკადში ჩვენც ადამიანებს სულ უფრო დაგვირდით და ხალხმაც სულ უფრო ჩვენც თავი გვანება

წყველე ღმერთი და განდიდებული ეს სიბინძურე აზეიმურე სულს მაინც ასწევს ზევით და მაღლა ის რაც არაფერს არ ნიშნავს უკვე სული სულ უფრო ახლოს იგულებს.

თარგმან
მარიამ ნიკოლაშვილი

Ex nihilo

რა მცირედა და რა დიადი, თვით უფალიც და თმის ერთი ღერიც. ჩიტის გულშიც და ზეცის გნიასშიც სითბოა, თუკი მიყვარს და ვმღერე. დღეები თვლემენ უცხო მხარეში, როგორ გავადნო ყინულის სვეტი კოსმოსის? - ვწუხვარ, ყველა „გარემეს“ გარეშე მტოვებს ნანატრი ბედი...



მინდაუგას ვალიუკასი



ლიუტაურას დეგელისი



ვიოლეტა შობლინსკაიტე



გიტის ნორვილასი



ანტანას იონინასი

ღაე (შენ)

ღაე, სიზმარმა ჩემი თავი კვლავ გაგახსენოს,
ტუჩები ტუჩებს დაეკონოს, ქარით ვნებული;
შექანდეს მწუხრში სხეულები - ჩემი და შენი,
ამა სოფლისა საცდურთაგან გარიდებული.

ღაე, ჩვენ ვიყოთ, როგორც თქმულა, ერთ სულ და ერთ ხორც,
ღაე, ვერავინ დაენიოს დროის ტაიქსაც...
როცა სალათას ძილს მოვრჩებით, ამასაც შეგთხოვ,
ჩვენი სულები შეირწყას და ცაში აიჭრას.

რამდენი დღეა

რამდენი დღეა
ქარის დევნას გადაყოლილი
და სევდის მნდვა
მათი მზერა, მათი პროფილი.

გაკიცხე ეს გზა,
გადმოღვარე ცრემლები მწველი...
ტყუილად მწყემსავ
იმ დღეებს და ტყუილად ელი...

სხვა სხივი ამ სულს
უკვე ვეღარ ესალბუნება,
მას სწორედ ის სურს,
რაც გაფრინდა მოუბრუნებლად.

თარგმნა როპერტ მისხმა

ვიოლეტა შობლინსკაიტე

როგორც ზომჯარ სდება

ხდება, რომ ზოგჯერ
ბაბუანვერას ახალდანურულ
ღვინოს სვამენ
თმაშევერცხლილი მამაკაცებიც.

სვამენ შავი ცირცელის ღვინოს,
შავი მოცხარის,
ალუბლის,
ჟოლოს,
ხურტკმელის ღვინოს
სვამენ და სვამენ ცისარტყელის შვიდფერა ღვინოს
მანამდე, სანამ ღამე
არ ჩააქრობს
ყველა ხნულსა და ყველა ნათესს

და არ დაბინდავს.
ზოგჯერ ისინიც, ეს თმათეთრი და ჭალარა მამაკაცებიც
მოუკიდებენ სიგარეტს და
ლანირაკი ბიჭებივით
ილენებიან
ზაფხულის დილის
რძისფერი ნისლით.

გულმავინყოფა

სადღაც ქრება და იკარგება
ქუდები,
მზის სათვალეები,
იკარგება სადღაც ქოლგებიც.
გააჩნია, წელიწადის რომელი დროა,
დილაა თუ სალამოს ბინდი,
და ამინდსაც გააჩნია, მზეა თუ წვიმა.
მობილურსაც ხომ სწორედ მაშინ ვერ იპოვი,
როცა ჯდება აკუმულატორი და
ურეკე მერე საკუთარ თავს, რამდენიც გინდა!
გასაღებები წამლის აბების უკან იმალებიან,
წამლის აბები - გასაღებების ქვეშ.
ოდესღაც თავიც სადღაც დაგვეკარგება
და წავიდეთ,
იქნებ სამშობლოში მაინც ვიპოვოთ.

* * *

ვიხსენებ:
თოვდა, ქარბუქი იწყებოდა, დიდი ნამქერი,
იმ დილით ფეხი სრიალებდა ისე საშინლად...

მოპირდაპირე სახლში მცხოვრებმა დედაბერმა
ფეხსაცმელებზე ამოიცვა წინდები ძველი
და ჩვეულებას უღალატა:
გაცუხცუხდა ქალაქის ცენტრში,
საუზმისთვის პურის საყიდლად.

პური კი... პური...
არ იყო პური!
ვერცერთ მანქანას იმ ყინვაში და იმ ქარბუქში
ვერ გაეხედა გორაკზე ასვლა.

არ იყო პური
ლამის მერე, წუხანდელს მერე.
და ისეთი ხმაური ატყდა,
თითქოსდა მორჩა ყველაფერი!
შიმშილი დადგა!
ამენ!

ვიცი და მჯერა - სწორედ ასეთ დღეს, ერთ ასეთ დილას გამოიგონეს ლიტველებმა პარიზი - დაბრანული ფუნთუშებითა და შავი, ქაფქაფა ყავით.

თანასწორობა

ჭრელ კატაზე არ უნდა თქვა: - ჭრელია კატა და არც ძაღლზე - როტვეილერი.

არც მუხის ქება შეიძლება, გვერდით რომ უდგას მოშრიალე ნეკერჩხალი, მას ეწყინება.

დანას იტყვი, პურს ეწყინება.

დედამინასაც ეწყინება, თუ იტყვი „ზეცას“. არც შენს გოგოს უნდა კოცნო გულის ნასვლამდე, როცა სადღაც, მდინარის პირას, ყვავის შოთხვი და სტვენს ბულბული. არ შეიძლება, რომ შელახო ვინმეს უფლება, თუნდ იყოს ლოთი - ლუდის ბოთლით. მშვიდობით სამშობლო და სიცოცხლე და სიყვარულო, მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ.

ნურავის ეტყვიტ გამარჯობას, რადგან ჩათვლიან, რომ შენ მას დასდევ და უთვალთვალე.

**თარგმან
ლელა ცუცქირიკია**

გიტის ნორვილასი

ბედნიერი - ტაპი ყოფნისას

...ჩვენ ზურგებით ავწინეთ სანოლი, გავცვალეთ მალეები, ვითამაშეთ საკუთარი ძვლებით...

I
ვაპირებ, ნავით გადავცურო ნაპირისაკენ... ვეფერები შენს ბაგეებს ჩემი ენით და ალერსით ამოვუყვები შენი ყელის აღმართს მხრებამდე.
კოცნით გავივლი შენს მაჯებს, თითებს, ჩავიძირებ ჩემს ქაში, შენი ფეხის მოსადრეკელზე, ისე როგორც მშვიდი ტკიპა ზაფხულის თმენით.
მივედინები ტბის გაღმა ნავით... მიხმობს ნიკაპთან წვნიანი მსხალი, რომელშიც ფუტკრებს გაუმართავთ მხიარულება, უნდა დავკრიფო შენი მკერდი, მნიფე ქლიავი, სისავისგან პირგახსნილები, რადგან მიხმობენ, როგორც მთიდან დაშვებული თეთრი კრავები.
ტაძრებს შევებე ყვრიმალეებით, გავცდი წამნამებს და შუბლს, ტუჩებით ავაკრიფე მნიფე ყურძენი - ოფლის მარცვლები.

II
ლამით, როდესაც ტბა გადავცურეთ და ვიხილეთ ნაპირი... სირცხვილისაგან, რაკი ვერაფერს შეაფარეს თვალები, ვარსკვლავებმა აიფარეს პირზე ხელები. ჩვენ დროშებით დავუქნიეთ ჩვენი სამოსი და ნიჩბებით ვუსვამდით ფეხებს. სიღრმეს მივანდეთ მეხსიერების ბადე, დაიმსხვრა ღუზა, დედამინაზე რომ გვამაგრებდა. პირისქარმა ჩააბრუნა ჩვენი კვნესა ჩვენსავე ყელში, ხმაურთან ერთად... სირცხვილისაგან, რაკი ვერაფერს შეაფარეს თვალები, ვარსკვლავებმა აიფარეს პირზე ხელები.

და როცა იყო, მივადექით მეორე ნაპირს, რომელიც ჰგავდა პატარა და პროვინციულ ქალაქ ჰადესს. საესე მთვარეს გაოცებისგან გაეღო პირი. ჩვენ ლერწმინაში მივატოვეთ მთვრალი მეზორნე. გამოვათვრეთ და ფული, რომელიც იყო გზის საფასური, ოპიუმსა და რაკიაში გადავიხადეთ.
მოჩანდა ისე, თითქოს რაც მეტად ვუახლოვდებოდით ნაპირს — უფრო მეტად გვეშორებოდა ის. ჩვენ დავინახეთ ცხოველებით გარშემორტყმული გობი, პანი უკრავდა ძვალზე. სირცხვილისაგან, რაკი ვერაფერს შეაფარეს თვალები, ვარსკვლავებმა აიფარეს პირზე ხელები და დაწინებით უცქერდნენ ტბებს - დედამინის ღია ჭრილობებს, რომლებშიც ვიკლაკნებოდით ჩვენ, ვნებით გათანგული ჭიაცხელები, რომელთაც სწყუროდათ სიცოცხლე და სიკვდილი, თითოეული მეორისათვის, და ბედნიერები, სანამ ეკუთვნოდნენ ტბას და გაურკვევლობას.

რომ

რომ იზრდებოდეს ბამბუკის ტყეები ალპურ ველებზე - ჩვენ სანერად გამოვიყენებდით ბამბუკის ჯოხებს (ანკესებიც გადარჩებოდნენ გამოთლისას) დავენდით იეროგლიფებით

იეროგლიფები: გისოსები და გველები სახურავები და ჰორიზონტები ქლიავისდარი ოვალეები იაკის თმასავით მსხვილი ნემსები ტეტრაჰედრონის ღრმულეები ოვალეები ჰაერის ორმოებისგან შუბის წამნამები და ნაჯახის სახელურები დანის პირები და სადგისები გრეხილი გვარლის მორეგები უსასრულობის პატარა ბაყაყები ძვლის ჰარპუნები ბერკეტები და ბრტყელტუჩები ფუტკრის ნესტრები აბლაბუდას ქსელები

და მაინც არაფერი შეიცვლებოდა დავენდით ისე, როგორც ახლა - მოწყენილობისგან სასონარკვეთილებისგან მელანქოლიით დაპურებული. და სიკვდილიც ისეთივე გამჭვირვალე იქნებოდა როგორც დილა,

ნემსიყლაპიას პანია თვალეში,
როგორც ბალერინების ცეკვა ედელვაისთა შორის,
ძროხის ბლავილის აკომპანემენტით.

შენი სხეულის უდაბნოში ვახატავოდი

უდაბნო იყო სხეული შენი და ვხეტიალობდი. წყურვილს ვუკლავდი აქლემს შენი ჭიპიდან. ქარსაცავი იყო შენი მკერდის ბორცვები, სადაც მხურვალე კანის საფარში თავს აფარებდნენ გველები და მორიელეები. იერიქონის ვარდის ფურცლები მიმოფანტა ქარს. მე განვაგრძობდი ხეტიალს შენი მოუხელთებელი, მწველი სხეულის უდაბნოში. ვერ მოვიპოვე სიმშვიდის წერტილი, რომელიც მომცემდა ნიშანს დასასრულის, რასაც ახლავს სიმშვიდე. წყურვილისგან გამიშრა სასა და სანუგეშოდ არსად მოჩანდა ჩრდილისმაგვარი. მე ვიყავი მწერი — მლოცველი, მომლოდინე დილის ცვარისა შენს წამნამებზე. დავეხეტებოდი შენი სხეულის უდაბნოში, მაცდურად მიხმოვდნენ სიკვდილის ველისკენ შენი თვალეები. გზაზე სანიშნედ გამოეფინნენ შენი ხალები და ვარსკვლავების ნაოჭებში მოჩანდა რუკა, ბრმა ტოპოგრაფებს რომ შეედგინათ. თედოზე კრთოდა დიდი დათვის თანავარსკვლავედი და მე მთელი ხმით გავყვიროდი: სიგიჟეა აუტანელი - აქ ვერავინ გასწავლის გზას... და ხმა ჩემი იყო ექო ცარიელ ჭაში... დილა იყო ქვიშის ქარიშხლის. სულ არაფერი, სარკე ინახავდა შენი თმის ვარცხნას დერეფნის ბოლოს.

თარგმნა
ნათო ინგოროყვაა

ანტანას იონინასი

სანტიმენტალური

ვხედავ დარდისგან განანამებ შენს ფაქიზ მზერას მომეხვიე და ერთად ვღვაროთ ცრემლები ცხელი ზანტმა ღრუბლებმა ვერ გაცურეს ვერა და ვერა მათი გზა უღიმღამოა ბნელი

იქნებ რაიმე შეიცვალოს განგების ნებით და არ დასრულდეს ამ ჩუმი წვიმით იმედი მავსებს ჩვენი ცრემლებით ჩვენს კაემანს მივეშველებით ერთმანეთს ჩავეკონებით და დავრჩებით ასე

და მოგაგონდეს რაიმე იქნებ შენ უმჯობესი და გულშიც ჰპოვო ნათელი რამე ინელეებიან ეს ღრუბლები და სული კვნესის ხანგრძლივობს მეტად ნელი წვიმა ბნელია ღამე

დღე სახლიდან მიდის

სულს ვერ ვიოკებ
დღე დღეს მიჰყვება მკლავს ელეთმელეთი
მზე ამოანათებს ქალაქის თავზე და
მერე კვლავ – ბნელეთი

ნელი ბალეტი ეფინება მინას ნარნარად
ცალ-ცალკე ერთად
იასამნის- და ნაცრისფერი
ჩრდილები ხეთა

ისევ და ისევ ხეტიალი ზამთრის ქურჩებში
ფანტელი თოვლის
და რასაც ვერვინ
ვერასდროს შეცვლის კვლავ სევდა უსაზღვრო
მომცველი ყოვლის

რბიან დღეები
მზე ამოანათებს და მერე ისევ – წყვდიადი დიდი
წუხილი მიპყრობს სულს მიფორიაქებს
მიდის დღე სახლიდან მიდის

პარაპოლა

ჩვენ ებერდებით და ის არ ბერდება,
დემონი, გონებაში რომ ბუდობს;
და ვუთვალთვალე ღიმილით, უნდოდ
საქმეებსა და გაფრენილ დღეებს, რასაც კი
დროის ხელი ედება.
ჩვენ – მოხუცები (გზა კი – გავლილი),
ის – კვლავ ჭაბუკი (ვინც წინ, წინ გვიხმობს – ო, ხშირად,
ხშირად სწორია როდი), –
პოეზია ვით – მთრთოლვარე ტოტი,
ცხოვრება კიდევ – ტოტზე ყვავილი.

უსაბნო ბაასი

ნუ ნუ გაჰყვირი სრულიად არ გაქვს
ხმაში სინაზე
ოი არ მიყვარს მჭახე ბგერები
მკივანა ხმები
ვითარც ალმასის ფხაჭუნი მინაზე
– ხმა ხომ ღვთისაგან მაქვს ნაბოძები
რა ვქნა თუ უფალს ასე ენება
– ღვთისნაჩუქარი ინსტრუმენტების
უნდა ისწავლო მოხმარება გამოყენება

მიენდე ლოდინს
ძალიან ნაზი იქნება ღამე
თითქოს უფალი ნოხებზე მოდის.

თარგმნა
დინარა კასრაძე

* * *
დუმილის ტრამალზე დაეშენ და
პაემნის ადგილები დაივიწყეს,
ერთს ძაღლის აჩრდილი აედევნა
მეორეს ქარი და კაემანი.
დაეშენ სამყაროს ბჭეებიდან
ორი საბოლოო ფოთოლივით,
ფშინავდა ბალახი გათელილი
და ღამეს ისე ნაზად შეებინდა
მათი ნაცრისფერი სახეები,
რომ თვითვე შეათრო ამ სასმელმა,
ფრთხილად მიიკრა და დაასვენა
შესუდრა სიზმრების სახვევებით.
უმანკო სივრცეებში ცა აყვავდა
მათი სააქაო გათავდა.

თარგმნა
ინო სადლოჯელაშვილია

ქეთი ჩოპინი, იგივე ქეთრინ ო'ფლერეთი (1850-1904) დაიბადა სენტ ლუისში, მისურის შტატში. ავტორია მრავალი ნოველისა და რამდენიმე რომანის. ამჟამად XX საუკუნის სამხრეთელ და კათოლიკე ფემინისტ მწერლად მიიჩნევენ ზელდა ფიცჯერალდის მსგავსად. 1892-95 წლებში საბავშვო მოთხრობებსაც წერდა სხვა ნოველებთან ერთად და აქვეყნებდა ისეთ ჟურნალებში, როგორცაა „ატლანტიკ მანთლი“, „ვოგი“, „სენიერი მეგეზინი“ და „იუსტი“. მის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი უკავია ნოველათა კრებულებს: „დეზირის ჩვილი“ (1893), „ერთი საათის მოთხრობა“ (1894) და „ქარიშხალი“ (1898) და ორ რომანს: „ნაკლის შესახებ“ (1890) და „გამოღვიძება“ (1899). პერსონაჟები ლუიზიანაში მცხოვრები ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ოცი წლისა ცოლად გაჰყვა ოსკარ ჩოპინს და საცხოვრებლად ნიუ ორლეანში გადავიდა, სადაც ოცდარვა წლისას უკვე ექვსი შვილი ჰყავდა. სენტ ლუისის მსოფლიო ბაზრობაზე სტუმრობისას 1904 წლის 20 აგვისტოს ინსულტმა დაარტყა და ორ დღეში გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ ფართოდ იქნა აღიარებული, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი წარმატებული მწერალი. 1915 წელს ფრედ ლევის პეტი მის შესახებ წერდა: „ზოგიერთი მისი ნაწარმოები იმ საუკეთესოთა რიცხვშია, რაც საფრანგეთსა თუ ამერიკაში შეუქმნიათ სხვა დიდ მწერლებს“.

ქეთრინ ჩოპინი

ღირსეული ქალი

მისი ბეროდა ცოტა არ იყოს განაწყენდა კიდეც, როცა ქმრისგან მისი მეგობრის, გავერნიელის სტუმრობის ამბავი შეიტყო მათ პლანტაციის ერთი კვირით.

მთელი ზამთარი ცოლ-ქმარი ერთად მშვენივრად გაერთნენ. დროის უმეტესი ნაწილი ნიუ ორლეანში, ნაირნაირ დროსტარებაში გაატარეს. ახლა ქალს ერთი სული ჰქონდა, ქმართან მარტოს მშვიდად და ყველასგან შეუნუხებლად დაესვენა. მან კი ამცნო, რომ გავერნიელი მათთან აპირებდა დარჩენას ერთი ან ორი კვირით.

ეს ის კაცი იყო, რომელზეც ქალს ბევრი რამ სმენოდა, თუმცა არასოდეს ენახა. მეუღლის კოლეჯის მეგობარი გახლდათ; ახლა უკვე ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ანუ „ქალაქელი“. შესაძლოა, სწორედაც ეს იყო მიზეზი, რომ ერთმანეთს არასოდეს შეხვედროდნენ. თუმცა ქალს თავის გონებაში გაუცნობიერებლად უკვე ჰქონდა მასზე წარმოდგენა ჩამოყალიბებული. მაღალი, ხმელი, ცინიკური; სათვალთ და ჯიბეებში ხელებჩანყობილი; და არ მოსწონდა.

გავერნიელი საკმაოდ გამხდარი აღმოჩნდა, თუმცა არც მალალს იტყოდით და ვერც ცინიკურს; არც სათვალეს ატარებდა და ჯიბეებში ხელებჩანყობილიც არ დაიარებოდა. და ქალს მამაკაცი პირველივე დანახვით მოეწონა, თუმცა, როცა საკუთარი თავისთვის მოწონების მიზეზის ახსნას შეეცადა, პასუხის გაცემა გაუჭირდა. ქალმა ამ კაცში ვერცერთი ბრწყინვალე და იმედისმომცემი ის თვისება ვერ აღმოაჩინა, რაშიც გასტონი, მისი ქმარი, ხშირად არჩმუნებდა. პირიქით, ქალის თხოვნას იმის შესახებ, რომ თავი ისე ეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში, ყურადღებით უსმენდა და გასტონის წრფელ და სიტყვაუხვ სტუმართმოყვარეობას დამუნჯებულივით შესცქეროდა. დიასახლისის ისეთი თავაზიანობით ეპყრობოდა, ყველა ნამდვილი ქალი რომ ინატრებდა; თუმცა მისადმი მოწონებასა და თვით პატივისცემასაც კი აშკარად არ გამოხატავდა.

ერთხელაც, პლანტაციაში ყოფნისას ერთ-ერთი კორინთული სვეტის პორტიკზე ჩამომჯდარი სიგარეტს ზანტად ეწეოდა და ყურადღებით ისმენდა გასტონის პროფანისულ საუბარს შაქრის მოყვანის თაობაზე.

„ცხოვრებაც ამას ჰქვია“, ღრმა კმაყოფილებით წარმოთქვამდა ხოლმე, რადგან შაქრის მინდვრიდან მონაბერი თბილი და სურნელოვანი სიო ნაზად ელამუნებოდა. დიდ ძაღლებთან სიახლოვეც სიამოვნებდა, თან რომ დასდევდნენ და ფეხებთან შინაურულად ეხახუნებოდნენ. გასტონთან ერთად არც თევზაობა

იტაცებდა, გარეთ გასეირნებისა და grosbecs-ზე ნადირობის სურვილიც არ გააჩნდა.

გავერნიელის პიროვნების გამოცნობამ მისი ბეროდას თავსატეხი გაუჩინა, თუმცა კაცი მოსწონდა. ნამდვილად საყვარელი, უწყინარი ახალგაზრდა იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ კაცის უკეთ გაცნობის მცდელობით ხელმოცარული ქალი თავის მტვრევას მოეშვა, თუმცა გაღიზიანებული დარჩა.

ასეთი განწყობილების გამო ქმარს და სტუმარს ხშირად ტოვებდა ერთად მარტოს. მერე, როცა მიხვდა, რომ გავერნიელი მის ამგვარ საქციელს არაფრად აგდებდა, მისთვის საკუთარი თავის ძალთ მოხვევას შეეცადა. გვერდიდან არ შორდებოდა, როცა იგი ქარხნისკენ უქმად მიყალიბებდა, ან batture-ს² გასწვრივ დასეირნობდა.

ქალი შეუპოვრად ცდილობდა იმ ჩაკეტილობის ღრმად ჩანვლომას, რომელშიც კაცმა საკუთარი თავი გაუცნობიერებლად გამოამწყვდია.

„როდის აპირებს ნასვლას შენი მეგობარი?“ ერთ დღესაც ჰკითხა ქალმა ქმარს. „მინდა გითხრა, რომ საშინლად მღლის“.

„ერთი კვირა ისე ჩვენთან იქნება, ძვირფასო. ვერაფერი გამიგია; შენ არაფრითაც არ განუხებს“.

„არა, მოსაწონი რომ იყოს, მომეწონებოდა. სხვებს რომ ჰგავდეს, მისი სიამოვნებისა და გართობისთვის რალაცას მოვიფიქრებდი“.

გასტონმა ცოლის ლამაზი სახე ხელებში მოიქცია და მის შუნუხებულ თვალებს ნაზად და ღიმილით ჩააცქერდა.

ცოლ-ქმარი მისი ბეროდას საძინებელში ტანსაცმელს ერთად იცვამდა.

„სიურპრიზებით ამავსებ ხოლმე, ma belle“³ — უთხრა ქმარმა. „მეც კი არ შემიდლია წინასწარ ვთქვა, სხვადასხვა სიტუაციაში როგორ მოიქცევი“. ცოლს აკოცა და სარკესთან ჰალსტუხის გამოსაკვანძად მიტრიალდა.

„საწყალი გავერნიელისა არ იყოს“, განაგრძო კაცმა, „სერიოზულად ეპყრობი და ღელავ კიდეც მასზე, რასაც სულაც არ ისურვებდა და არც ელოდა შენგან“.

„ველავ!“ ნამოიძახა სიბრაზისგან გულმოსულმა ქალმა. „რა სისულელეა! ასეთი რამის თქმა როგორ შეგიძლია? მაღელვებს, მართლაც! მაგრამ, იცი, რაა? შენ არ იყავი, რომ ამბობდი, ჭკვიანიო?“

„არის კიდეც. მაგრამ საწყალი ბიჭი ამდენი მუშაობით გადაიქანცა. ამიტომაც ვთხოვე, ჩვენთან ჩამოსულიყო და დაესვენა.“

„ამბობდი, იდეებით სავსეაო“, უნდობლად შეედავა კვლავ ქალი. „მეგონა, საინტერესო ადამიანს გავიცნობდი, სხვა თუ არაფერი. დილით ქალაქში მივდივარ საგაზაფხულო სამოსის საყიდლად.“



შემატყობინე, მისტერ გავერნაილი როცა გაემგზავრება. ჩემს ანთ ოქტავიეში ვიქნები.“

იმ ღამით ქალი შინიდან გავიდა და იმ გრძელ სკამზე მარტო ჩამოჯდა, მოკირწყლული საცალფეხო გზის კიდესთან გაბარდლული ბებერი მუხის ძირში რომ იდგა.

ასეთი დაბნეული, დაულაგებელი ფიქრები და გეგმები არასოდეს ჰქონია. აზრებს თავს ვერ უყრიდა, მხოლოდ ერთადერთი რამ სურდა, ყოველ მიზეზგარეშე დილით შინიდან თავი უნდა დაეღწია.

მისი ბეროდას კენჭების ხრამუნი მოესმა, მაგრამ სიბნელეში ანთებული სიგარეტის წითელი წერტილის მეტი ვერაფერი გააჩნია. მიხვდა, გავერნაილი იყო, რადგან გასტონი არ ენეოდა. ეგონა, შეუმჩნეველი დარჩებოდა, მაგრამ თეთრმა მოსასხამმა გასცა. კაცმა სიგარეტი მოისროლა და ქალს გვერდით მიუჯდა, იოტისოდენაც არ უფიქრია, იქნებ არ ესაიამოვნოსო.

„თქვენმა მეუღლემ ეს თქვენთან გამომატანა, მისი ბეროდა“, უთხრა და თხელი, თეთრი შალი მიანოდა, რომელსაც ქალი ზოგჯერ თავსა და მხრებზე იხვევდა ხოლმე. ქალმა გამოართვა, მადლობის სიტყვები ჩაიბუტბუტა და შალი კალთაზე დაიდო. კაცმა ქარიანი ღამის ამ სეზონზე მავნე გავლენის შესახებ საკუთარი, თუმცა ბანალური აზრი გამოთქვა და ნახევრად ჩურჩულით თავისთვის ჩაილაპარაკა:

**სამხრეთის ქარის დიდი ვარსკვლავის რამდენიმე ღამე!
კვლავ მოვლემარე ღამე!**

ქალი ღამისადმი წარმოთქმულ ლექსს არ გამოპასუხებია. აშკარა იყო, რომ მას არ ეძღვნებოდა.

გავერნაილი არამცდარამც არ გახლდათ საკუთარი თავისადმი რწმენადაკარგული და არც მორცხვი და გაუბედავი. ჩაკეტილობის პერიოდები მისი თანდაყოლილი სენი კი არ იყო, არამედ სულიერი განწყობილების შედეგი. იჯდა აქ, ახლა, მისი ბეროდას გვერდით და თითქოს ყინულის გაღვინებას ღამობდა.

თავისუფლად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, დაბალი ხმით საუბრობდა, სიტყვებს განელვით წარმოთქვამდა, რალაცნაირი გატყლარჭული მეტყველება ჰქონდა, თუმცა მოსასმენად სასაიამოვნო.

გასტონთან ერთად კოლეჯში გატარებულ წარსულ დღეებს იხსენებდა, როცა თითქმის სულ ერთად იყვნენ. ძლიერი, ბრმა ამბიციებისა და დიდ მოლოდინთა დღეებს. ახლა მხოლოდ გონებრივი მორჩილების მსხვერპლი იყო და მეტიც არაფერი — არსებობის ნებალა გააჩნდა და დროდადრო ნამდვილი ცხოვრების სუსტი სიოც წამოუბერავდა ხოლმე, აი, ისეთი, რითიც ახლა მათთან სტუმრობით სუნთქავდა.

მისი გონება ნათქვამს მხოლოდ ბუნდოვნად აღიქვამდა. ქალმა თავისი არსებობით თავი ერთხანს უპირატესად იგრძნო. კაცის სიტყვებს არც უფიქრდებოდა მისი ხმის ტონალობას თითქოს ისრუტავდა. სურდა სიბნელეში ხელი მისკენ გაეწვდინა და თავისი მგრძობიარე თითის წვერებით მის სახეს ან ტუჩებს შეხებოდა. უნდოდა, მასთან ახლოს მიჩოჩებულიყო და კაცის ლოყასთან რაღაც დაეჭურჩულა — მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა. ალბათ, ასეც იზამდა, ღირსეული ქალი რომ არ ყოფილიყო.

კაცისადმი ლტოლვის იმპულსის გაძლიერებასთან ერთად, ფაქტობრივად, უფრო მეტად დაშორება და მისგან გაქცევის სურვილი კლავდა. არც ის უნდოდა, უზრდელურად გამოსვლოდა, ისე მოახერხა, რომ კაცმა ვერაფერიც ვერ შეამჩნია, მაშინვე წამოდგა და გავერნაილი მარტო დატოვა.

ვიდრე ქალი სახლამდე მივიდა, გავერნაილს ახალი სიგარეტისთვის უკვე მოეკიდებინა კიდეც და ღამისადმი მიძღვნილი თავისი ლექსიც ჩაემთავრებინა.

მისი ბეროდამ ძლივს გაუძლო ცთუნებას, რომ ქმარს, რომელიც ყველაფერთან ერთად მისი მეგობარიც იყო, ის



მხატვარი ლორეტა შენგელია

სისულელე არ ეამბა, რითაც შეპყრობილი და მონუსხული გახლდათ. მაგრამ ქალი ცთუნებას არ დაემორჩილა. გარდა პატიოსნებისა, ძალზედ გონიერი არსებაც იყო; და იცოდა, რომ ცხოვრებაში არსებობს ბრძოლები, რაც იძულებულს გხდის, რომ მარტომ მოიგო.

დილით, როცა გასტონი საწოლიდან ადგა, მისი ცოლი უკვე გამგზავრებულიყო. ქალაქში ადრე, დილის პირველივე მატარებელს გაჰყოლოდა. მანამდე არც დაბრუნებულა, ვიდრე გავერნაილი თავისი სახლიდან წასულად არ დაიგულა.

მომდევნო ზაფხულს კვლავ წამოიჭრა საუბარი გავერნაილის მათთან ჩამოსვლაზე, რადგან გასტონს ამის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ცოლს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და თავის სურვილიანად დაემორჩილა.

თუმცა წლის მიწურულამდე ქალმა გავერნაილის მიბატიყება მთელი გულით თვითონვე შესთავაზა. ქმარი გაოცდა და ამავდროულად აღფრთოვანდა კიდეც, რომ წინადადება ცოლისგან წამოვიდა.

„მიხარია, chere amie,“ ვხედავ, რომ მის მიმართ სიძულვილი დაძლიე, რაც ნამდვილად არ დაუმსახურებია.“

„ოჰ“, უთხრა ქალმა სიცილით, ქმრის ტუჩებში ხანგრძლივი, ნაზი კოცნის შემდეგ, „ყველაფერს მოვერევი! აგერ ნახავ. აძვერად ძალიან კარგად მოვექცევი“.

**ინგლისურიდან თარგმნა
მაია ბოლახვილია**

¹ კულუმბური, ნიბლია, გრძელნისკარტა ფრინველი (ფრანგ.);
² სანაპირო ზოლი, რომელიც წყლის მოქცევისას წყლით ივარება (ფრანგ.);
³ ჩემო ლამაზო (ფრანგ.);
⁴ ჩემო მეგობარო (ფრანგ.)

გვანცა დევძე

სინდისი — ჩვილის ცრემლივით სუფთა და წმინდა

(ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო)



მან სიცოცხლის თითქმის მესამედი ხან პატიმრობაში, ხან საკონცენტრაციო ბანაკში, ხანაც გადასახლებაში გაატარა...

ლევან გოთუა — მწერალი, საზოგადო მოღვაწე და უბრალოდ დიდი პიროვნება, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით სამშობლოს სიყვარულის გასაოცარი მაგალითი გვიჩვენა: „სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მანვალეს. ყველაფერს რომ ჩავეყვი და გავიხსენე, თვითონ განვცვიფრდი, ნუთუ ყოველი მე მხვდა წილად. ერთი ადამიანისთვის ეს ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებლადაც“, — წერდა იგი.

10 მარტს, მწერალთა სახლში, ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებას უძღვევოდა საზოგადოებრივი რადიოს წარმომადგენელი და პროფესორი **ივანე ჯავახიძე**.

მამა **გიორგი ზვიადაძემ** დარბაზს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის **ილია მეორის** მოლოცვა წაუკითხა: „მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია გასული, დღეს ყველაზე ნათლად წარმოჩნდება ლევან გოთუას ღვაწლი, სიმართლისადმი მსახურება, სამშობლოს ერთგულება. მისი შემოქმედებითი ნიჭი არ დაკარგულა, დარჩა და კვლავაც დარჩება მისი ნაწარმოებები უკვდავ ქმნილებებად. მთავარი მაინც მისი პიროვნებაა — „გმირთა ვარამის“ ავტორმა თავად გალია გმირულად ცხოვრების ვარამი“.

ლიტერატორმა **თემურ ქორიძემ** ლევან გოთუა „სამშობლოს გაუცვეთელ მამულიშვილად“ მოიხსენია. „სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონი ლევანი 22 წელი პატრიოტიზმის გამო ისჯებოდა, მომავალი თაობა აუცილებლად იკითხავს: 22 წელი რისთვის? პასუხი კი გამაოგნებელია: მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს უანგარო სიყვარულისთვის. ეს ის მწერალია, რომელსაც სხვა იარაღი, გარდა კალმისა და გამძლეობისა, არ გააჩნდა. ამ კალმით მოუხმო მან ისტორიას და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ წარსულის გმირები ამოიყვანა მინიდან. წერდა გაუსაძლის პირობებში და არასოდეს დაუკარგავს ორი რამ: საქართველო მის გულში და რწმენა სამშობლოში დაბრუნებისა“.

ცნობილია, რომ ბატონ ლევანს განსაკუთრებულად უყვარდა მოგზაურობა, ლამის ფეხით ჰქონდა შემოვილილი საქართველოს ყველა კუთხე. 1957 წელს მან შეკრიბა ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი და ბეთლემის სანახებში უწინამძღოლა საღამურდ. იმ

დღეების მოგონებები ჩვეული შთამბეჭდაობით გაიხსენა **ჯანსუღ ჩარკვიანი**: „როცა ავედით მყინვარწვერზე, ლევანი მოვიდა ჩემთან და მითხრა, გავივლი დრო და შენი შემოქმედებით დაიპყრობ სხვა მთავარ მწვერვალებს, მაგრამ არ დაგავიწყდეს პირველად ვინ აგიყვანა ამხელა სიმაღლეზე“. ორატორმა აგრეთვე დასძინა, რომ ლევანი ხალხის მწერალი იყო-რჩეულთა შორის რჩეული.

ერთ-ერთი ექსპედიციის ეპიზოდი გაიხსენა **ნოდარ ჯობაძემ**: „წინ გასავლელი, რა თქმა უნდა, რთული გზა იყო, ბარგი მხოლოდ ახალგაზრდებმა გავინანილეთ, მაგრამ ბატონმა ლევანმა მოითხოვა მისთვისაც მიეცათ ტვირთი, რადგან არც თავის დაზოგვა ინება და საერთო სირთულეც გაიზიარა. საღამოობით კი კარვის წინ აცოცხლებდა ისტორიებს, იხსენებდა თავის ამბებს, რომლებიც გადასახლებაში ყოფნისას გადახდა. ჰყვებოდა საოცარი ოსტატობით და ჩვენც ორმაგი ინტერესით ვუსმენდით უფროს მეგობარს“.

ჟურნალისტმა **ჯუმბერ ჯიშკარიანი** გაიხსენა, რომ ვორკუტაში ლევანთან ერთად გამწესებულ პატიმარს შეხვდა მოგვიანებით თბილისში. როგორც აღმოჩნდა, ლევანს იცნობდნენ როგორც ძალიან პატიოსან კაცს და ხშირად ამბობდნენ მასზე: „ამ ადამიანს სინდისი ჩვილის ცრემლზე უფრო სუფთა და წმინდა აქვს“. ლევან გოთუას თურმე შეეძლო თავი დაეხსნა პატიმრობიდან, ოღონდ ერთი პირობით- სამშობლოში ვერ დაბრუნდებოდა, მან შეთავაზებაზე უარი განაცხადა, ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა-პატიმარი ნებით რჩებოდა საკანში, რადგან თავისუფლება უსამშობლოდ ვერ წარმოედგინა!

თეატრმცოდნე **ვასილ კიკნაძემ** თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ერთ პარადოქსზე: როგორც იქნა საქართველო მოემწრო დამოუკიდებლობას და ლევან გოთუას ნაწარმოებები მაინც არ იდგმება სცენაზე. „როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყანა სანახაობებით „გაერთო“, მაგრამ მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ქართული თეატრის ხვალისდელი დღე საგვ ექნება ეროვნული ღირებულებებით გამდიდრებული პიესებით, ისეთი ღირებულებებით, რომელსაც უხვად შეხვდებით ლევან გოთუას შემოქმედებაში“.

სიტყვით გამოვიდა ეთნოგრაფი და პროფესორი **ლევან ფრუიძე**, რომელმაც გაიხსენა რეპრესირებული ახალგაზრდების იდეა, დღევანდელი ვაკის პარკის კალთებზე აშენებინათ მუზეუმი ლია ცის ქვეშ. მუზეუმის დირექტორად **ლექსო ივანიშვილი** ერთად მოიაზრებოდა ლევან გოთუაც, რომელსაც ამ საქმის ხორციცემისთვის აუცილებლად მიაჩნდა, რომ ექსპონატებს არც უნდა მოკლებოდა რამე და არც უნდა მიმატებოდა. სამწუხაროდ, მუზეუმის იდეა, რომელიც შიშველ ენთუზიმზე იდგა, განუხორციელებელი დარჩა.

საღამოს ესწრებოდნენ სასულიერო პირებიც, მათ შორის მიტროპოლიტი **დანიელი**, რომელმაც დალოცა იქ დამსწრე საზოგადოება და დიდი პატივით მოიხსენია ლევან გოთუა.

ღონისძიების დასასრულს, დარბაზს მოეფინა ლევან გოთუას ხმა, რომლის მოსმენის შესაძლებლობა პირველად მიეცა მსმენელს: „მეოცე საუკუნეს ახასიათებს ერთი დიდი წინაპრობა: არასოდეს ასე აუცილებელი არ ყოფილა სწავლა და არასოდეს ასე საშიში ჩამორჩენილობა, წარმოდგენილი გყავდა ჩამორჩენილი ახალგაზრდა? მე არამარტო მწიგნობრულ, არამედ ზნეობრივ და კულტურულ ჩამორჩენილობასაც ვგულისხმობ. ახალგაზრდობა ბოლოს და ბოლოს ხომ დროული უპირატესობაა და მისი ფუჭად გაშვება ეროვნული ენერჯის გაფლანგვას უდრის... ყველაზე ფაქიზი კი ნიჭი და ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა გაუფრთხილდეს თავის ტალანტს და მის მიხედვით წარმართოს თელი ცხოვრება“.

მხოლოდ ქართველებს კალუქდათო...

„მეფე ვახტანგ ნაბჰანდა ისპაანს ყეენთან. ვნახოთ, ღმერთი რას მოწყალებას მოუვლენს საქართველოს“, — ეს სიტყვები 1712 წლის აპრილში ერთი საეკლესიო წიგნის თავ-ფურცელზე მიუწერია ვინმე გერმანეს (მისივე გამოთქმით „ცოდვილ მღვდელ-მონაზონს“).

ქართლის გამგებელი მიემგზავრებოდა ისპაანს, რათა სეფიანთა ირანის ხელმწიფეს დაემტკიცებინა იგი ქართლის მეფედ — ყანდაარის ლაშქრობაში დაღუპული მისი უფროსი ძმის ქაიხოსროს ადგილზე.

ვინ იცის, რას ფიქრობდა ვახტანგი, როგორ ესახებოდა თავისი მომავალი და ბედი ქართლისა, ელოდა თუ არა სასიკეთო ნაყოფს ამ იძულებითი მოგზაურობისგან, გრძნობდა თუ არა, რომ გაუტანელი წუთისოფელი უკვე უმზადებდა ათას ჭირ-ვარამს, ის წუთისოფელი, რომელსაც თავად მეფე-პოეტი შემდგომში გაჰკილავეს ღიმილნარევი ჭმუნვით: „სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია, მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბოძა ლექსობანია“.

კიდევ ოცდახუთი წელიწადი დარჩენია ამქვეყნად ვახტანგს. ეს არც ისე ცოტაა ოცდაჩვიდმეტი წლის კაცისათვის, მაგრამ, ვაგლახ, მხოლოდ ხუთ წელიწადს დაჰყოფს სამშობლოში; დანარჩენ წლებს კი მიითვლიან ისპაანი და ქორმანი, თავრიზი და ყაზვინი, მოსკოვი და პეტერბურგი, დარუბანდი და ასტრახანი. დასასრულ, ასტრახანში დაღუპს თავის ტანჯულ სულს ქართლის სახელოვანი მეფე და დავით გურამიშვილი ასე დაიტირებს მას: „ვი, რა ბოძი ნაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო“.

მისანი არ ახლავს ვახტანგს თავის მრავალრიცხოვან ამაღლებაში და ვერავინ აუწყებს, რომ 1712 წლის აპრილში მისი ცხოვრების გზამ უღელტეხილი გადაკვეთა და დაღმართზე დაეშვა.

სულ რაღაც ათიოდე წელი დაჰყო ვახტანგმა ქვეყნის სათავეში ჯანიშინად (ანუ მეფის მოადგილედ), მაგრამ ეს ათწლეული თავისი მიღწევებით ზოგიერთ ასწლეულსაც კი დასჯაბნის. ვახტანგის მრავალმხრივი და დაუღალავი მოღვაწეობა მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ, საყოველთაო აღიარებით, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს. არ დარჩენილა ქართლის სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი კუთხე, რომელსაც მისი ზრუნვა არ შეხებოდა.

ქართლის გამგებელმა ხელახლა დაასახლა გლეხები კარგა ხნის წინათ დაცლილ და გავერანებულ სოფლებში, ააგო სასახლეები და ქარვასლები, თვალს ადევნებდა გზებისა და ხიდების მოვლა-შენახვას, განახლა მოშლილი სარწყავი არხები. ერთხანს შეფერხებული სამეურნეო ცხოვრება ქვეყნისა კვლავ ჯდება თავის კალაპოტში. თბილისი გახდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ქართულმა კულტურამ. „**ოღეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანი მეფისა გიორგისა და ძე პატრონისა ლევანისა და ძმა მეფისა ქაიხოსროსი, განათლებული ვახტანგ, ფრიადისა ჭირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა მოიღო სტამბა, რომელი არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა**“, — ვკითხულობთ თბილისში გამოცემული ლოცვანის ბოლოთქმამში.

რომსა და მოსკოვში დაბეჭდილ ქართულ წიგნებს მხარში ამოუდგნენ საკუთრივ თბილისში დაბეჭდილი წიგნები. სტამბამ უფრო ხელმისაწვდომი გახადა ხალხისათვის ფსალმუნთა და ვეფხისტყაოსანიც.

ვახტანგმა სასტიკად აკრძალა ქართლში „ტყვის სყიდვა“, ნაზარალი-ხანის (ერეკლე I) დროიდან ყიზილბაშ მეციხოვნეთა შემოსავლის მთავარ წყაროდ რომ იყო ქვეყლი. მაშინ თბილისის ციხის გარნიზონი აჯანყდა. „განდგნენ და დახმნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“, — გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი.

ქართლის გამგებელმა მომხდარი ამბავი სასწრაფოდ აუწყა ირანის შაჰს, რომელმაც უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ვახტანგს და ამბოხების მოთავე ყიზილბაშში წარჩინებულთა საპრობილედ გადაქცეულ ალამუთის ციხეში გამოამწყვდია.

სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე აღზევებული ქართველი მეფე-ბატონიშვილების წყალობით ქართლის სამეფო, მიჩნეული ირანის პროვინციად, სინამდვილეში დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზმს წარმოადგენდა. სეფიანთა ხელმწიფე ქართლის საშინაო საქმეებში არ ერეოდა და თუკი ჩაერეოდა, ისევ — ქართლის გამგებლის სასარგებლოდ.

1712 წლის აპრილში ვახტანგი, მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით, ისპაანს მიემშურება. „ვნახოთ, ღმერთი რას მოწყალებას მოუვლენს საქართველოს“, — გულიდან აღმოსკვდარი ეს სიტყვები, გერმანე მღვდელ-მონაზვნის კალამს რომ შემოუნახავს ჩვენთვის, მთელი ქვეყნის საფიქრალი გამხდარა.

უკვე აღარ არიან ცოცხლებში ვახტანგის მფარველნი და ქომაგნი: გიორგი XI, ლევანი და ქაიხოსრო. ქართლის გამგებელი პირისპირ რჩება სეფიანთა სამეფო კართან.

„ან გავათავე ლხინი და ვთქვა ჭირი შეუნონარი“, — ვკითხულობთ ვახტანგის ერთ ლექსში. აქ, ალბათ, 1712 წლის აპრილია ნაგულისხმევი.

ქართლის გამგებელს ისპაანი გამაჰმადიანება მოსთხოვეს. ვახტანგმა მტკიცე უარი განაცხადა.

1712 წლის 28 აგვისტოს ფრანგი კათოლიკე მისიონერი პიერ დ'ისუდენი ირანის სატახტო ქალაქიდან ატყობინებდა საფრანგეთის ელჩს კონსტანტინოპოლში, სეფიანთა ხელმწიფემ ვახტანგის სიმტკიცეზე იერიში რამდენჯერმე მიიტანაო. ვახტანგს ხსენებული მისიონერისათვის უთქვამს: თუნდაც ამკუნონ, ჩემს რჯულს არ ვუღალატებო. მაგრამ წერილის ავტორი შიშობს, რაკი ვახტანგი დარწმუნდება, რომ ქრისტიან მეფედ არ ამტკიცებენ, წინააღმდეგობას შეწყვეტს და თავისი პაპის, მამის, ბიძისა და ორი ძმის მსგავსად გამაჰმადიანდებაო (იგულისხმებიან ვახტანგ V ანუ შაჰნავაზ I, ლევანი ანუ შაჰყული-ხანი, გიორგი XI ანუ შაჰნავაზ II, ქაიხოსრო ანუ ხოსრო-ხანი და იესე ანუ ალიყული-ხანი).

წერილის ბოლოში ფრანგი მისიონერი მაინც იმედიანად დასძენს, ჯერჯერობით კი ისე ჩანს, რომ ვახტანგს თითქოს გადამწყვეტილი უნდა ჰქონდეს უარის თქმა უმაღლესი სამფლობელოზე, ვიდრე სარწმუნოებაზეო.

რა ელოდა გამაჰმადიანებულ ქართლის მეფეს? ქართლში მისი რომელიმე ძმა დაჯდებოდა ჯანიშინად, როგორც მანამდე იჯდა ვახტანგი, ხოლო ახალ მეფეს დანიშნავდნენ ირანის სპასალარად და აჯანყებულ ავღანთა წინააღმდეგ საომრად გამანესებდნენ, როგორც ადრე — გიორგი XI-სა და ქაიხოსროს.

ომისა როდი ემინოდა ვახტანგს, მზად იყო ერთგული სამსახური გაენია ირანისათვის, რაკი ამით საშობლოსაც მოემსახურებოდა. რატომაც არ მიბაძავდა თავის ბიძასა და უფროს ძმას, რომლებმაც უცხო მხარეში ამგვარი გარჯით ქართლის სამეფოს ათწლიანი მშვიდობა მოუტანეს, მაგრამ მათივე ტრაგიკული აღსასრული, რასაც ისპაანში შთაბერეს სული, სამართლიანი ყოყმანისაკენ უბიძგებდა ვახტანგს.

დიახ, გიორგი XI-ს და მერე — ქაიხოსროს ავლანთა აჯანყების ჩახშობას ავალეზდენ და, იმავდროულად, ათასნაირი ხრიკებით უშლიდნენ ხელს. ერთგული სამსახურის საზღაურად შურითა და სიძულვილით, ვერაგობითა და ღალატით აჯილდოებდნენ სეფიანთა სამეფო კარზე თავმოყრილი ინტრიგანები და იმას კი აღარ უფიქრდებოდნენ, რომ გიორგისა და ქაიხოსროს დაღუპვით ირანს არაფერი მოუგია, ხოლო სეფიანთა დინასტიას ნელ-ნელა ეთხრებოდა სამარე.

საქართველოს რჩეულ შვილთა მიერ დაღვრილ სისხლს ჯეროვნად არ აფასებდნენ ისპაანში. ეს გარემოება ჩრდილს აყენებდა ქართლის ათნლიანი წინსვლის სიამეს. ვახტანგმა მედილის მეორე მხარესაც გაუსწორა თვალი და უარი თქვა გამაჰმადიანებაზე.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მაშინ ინება ყენმან წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითავე თვისითა, არამედ არ აუფლნეს ომარათა განმზრახთა თვისთა“.

სეფიანთა ირანის ხელმწიფე შაჰ-ჰუსეინი, მიუხედავად თავისი უკიდურესი მორწმუნეობისა (ტყუილად როდი შეარქვეს „მოლა-ჰუსეინი“), რელიგიური ფანატიზმით როდი ყოფილა შეპყრობილი. პოლონელი კათოლიკე მისიონერის თავადეუმ კრუშინსკის გადმოცემით, ერთხელაც ჟენეველი ოსტატის ნახელავი საათი უჩვენებია ახლობელი საჭურისისათვის და უთქვამს: როგორც ვამჩნევ, ფრანგებს ჩვენზე უკეთესი ხელოსნები ჰყავთ და ვშიშობ, რომ მათი სარწმუნოებაც ჩვენსაზე უკეთესი უნდა იყოსო.

ეს პანია ფაქტი უფრო დამაჯერებელს ხდის ვახუშტის ცნობას. რაც შეეხება შაჰ-ჰუსეინის ამირებს, მათ ქართლის გამაჰმადიანებული მეფეებიც კი არ ეჭაშნიკებოდათ და ქრისტიან მეფეს როგორ მოითმენდნენ!

საბოლოოდ, ქართლის მეფობა ვახტანგის მომდევნო ძმას — გამაჰმადიანებულ იესეს უბოძეს, ხოლო ვახტანგი გადასახლებულ იქნა ქირმანში.

ქირმანის შინაპატიმრობაში მყოფი ქართულ ენაზე თარგმნის „ქილია და დამანას“ და მოკრძალებით შენიშნავს: „**თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგობთ. ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნალევი ზღვის ალაგს აავსებდა**“.

1716 წელს იესეს მმართველობით უკმაყოფილო შაჰმა ისევ ვახტანგს მიაპყრო თვალი და ქირმანიდან ისპაანს გაიწვია. ვახტანგი იძულებული შეიქნა, რომ კალამი განზე გადაედო, ვინაიდან ხმაღს აჩერებდნენ ხელში, მაინცდამაინც ქართველი მეფე ენადათ ირანის სპასალარად. **„ეკლავ მიხმეს ისევ ისპაანს, დამრჩა ეს შეუსრულები. მამცეს პატივი მრავალი, ვა, თუ დავაბი სულები!“**

სულხან-საბას დილმობატორმა მისიამ ვერაფერი სანუგეშო ვერ მოუტანა საქართველოს. პარიზიდან თუ რომიდან შენევის უკანასკნელი იმედიც გადაენურა ვახტანგს. ჰოდა, ქირმანში ხომ არ უნდა ამოხდომოდა სული, ქედი მოიხარა და გამაჰმადიანდა. დაუბრუნეს ქართლის მეფობა. რჯულთან ერთად სახელიც უნდა შეეცვალა. ჰუსეინყული-ხანი დაარქვეს, კიდევ ორი სახელო უბოძეს: ირანის სპასალარობა და თავრიზის ბეგლარბეგობა. ქართლში ვახტანგის ჯანიშინად დანიშნულ იქნა მისი ძე ბაქარი.

სარწმუნოების გამოცვლას, რასაც, ცხადია, ფორმალური ხასიათი ჰქონდა, მაინც მწვავედ განიცდიდა ქართლის მეფე და ლექსში თავს იმართლებდა, მოუძღურდა ხორცი სუსტიო. 1716 წელს გულახდლად ესაუბრება ზემოხსენებულ თადეუმ კრუშინსკის და არწმუნებს: ქრისტიანი ვარსულთ, მაჰმადიანი კი — მხოლოდ და მხოლოდ გვამითაო.

საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეთა მისწრაფება ერთმორწმუნე რუსეთისაკენ (ვაი, რა მწარედ სცდებოდნენ!); მათი ღრმა რწმენით, მხოლოდ რუსეთის მფარველობას შეეძლო დაეცვა საქართველო ირანისა და ოსმალეთის მუდმივი აგრესიისგან. აკად.

ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, ქართველ პატრიოტებს ორივე შეურიგებელ მტრად მიაჩნდათ და ამბობდნენ: ერთი ფოცხვერია და მეორე — ჯიქიო.

1719 წელს ვახტანგი დაბრუნდა სამშობლოში. დაბრუნდა და ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქართლის საშინაო თუ საგარეო საქმეების მოგვარებას. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს მინა-წყალზე ჭარ-ბელაქნის ლეკთა გაუთავებელი თარეშის აღკვეთა. სეფიანთა ხელმწიფემაც მოუწონდა ქართლის მეფეს, რომ დაესაჯა ისინი ირანის კუთვნილი შირვანის პროვინციის აოხრების გამო.

1720 წლის შემდგომზე ვახტანგი სათავეში ჩაუდგა სამოცი ათასი მხედრისგან შემდგარ ჯარს, რათა სამუდამოდ გაექარწყლებინა ჭარ-ბელაქნელთა საფრთხე.

ისევ აფორიაქდა სეფიანთა სამეფო კარი. მრჩეველებმა ხელმწიფეს მოახსენეს: ვახტანგი უეჭველად დაამარცხებს ლეკებს, ამით ნახალისებული რუსეთიდან სამხედრო დახმარებას გამოითხოვს და ირანს შემოუტევესო ანუ როგორც სეხნია ჩხეიძე წერს: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც [ე. ი. ირანს] ის დაიჭერს“. ქართველი ისტორიკოსი ირონიულად შენიშნავს, ღმერთი რომ კაცს გაუწყრება, იმას ჭკუაც დაეფანტებაო.

უგუნურ მრჩეველთა დაუინებელი თხოვნითა თუ მოთხოვნით, სეფიანთა ირანის ხელმწიფემ ქედმაღლური ბრძანებით მიმართა ქართლის მეფეს: „თუკი ფეხი უკვე შეგიდგამს უზანგში, დაუყოვნებლივ ჩამოქვეითდი; თუკი ხმალი უკვე გაგიშვილებია, ახლავე ჩააგე ქარქაშში; თუკი უკვე დასდევნებისარ ლეკებს, მყისვე შეჩერდი, როგორც კი ჩვენს ბრძანებას მიიღებ; ერთი სიტყვით, ეცადე, რომ არ დაარღვიო ზავი, რომელიც დაიდო მისი წყალობით, ვისაც მთელი სამყარო ემორჩილება“.

ბრძანებამ სწორედ მაშინ მიუსწრო ვახტანგს, როდესაც უკვე გადამწყვეტ შეტევას იწყებდა.

ბუნებრივი იყო ქართლის მეფის აღშფოთება, მაგრამ ურჩობა მაინც ვერ გაბედა, ვაითუ ქართველმა დიდებულებმა ისევე მიმატოვონ, როგორც თავის დროზე ბიძაჩემი გიორგი მიატოვესო.

თადეუმ კრუშინსკი მოგვითხრობს: ვახტანგმა იხმო შაჰ-ჰუსეინის მაცნე და ხელმწიფესთან დააბარა, რომ მიღებულ ბრძანებას ემორჩილებოდა. მერე, მისივე თანდასწრებით, ხმალი ქარქაშიდან ამოიწვია და საჯაროდ დაიფიცა, სეფიანთა დასაცავად ხმაღს აღარასოდეს გაავამიშვლებო.

არავის უფიქრია მაშინ, არც თვით ვახტანგს და არც სხვას არავის, თუ რაოდენ მალე დასჭირდებოდა შაჰ-ჰუსეინს ქართველთა სამხედრო შემწეობა და რაოდენ საბედისწერო იქნებოდა სეფიანთა დინასტიისათვის ქართლის მეფის ფიცი.

და აი, 1722 წელს ავლანთა მიერ ალყაშემორტყმული ისპაანიდან სეფიანთა ხელმწიფემ საქართველოს მიაპყრო იმედის თვალი — ბაქარს ყულარადასობა უბოძა, ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა და ისპაანის საშველად მოუწონდა.

ირანის ახალი ყულარადასი, თავისი ჯარითურთ, დაიძრა კიდევ ისპაანისკენ, მაგრამ საქართველოს საზღვართან მისული მამამ უკან მოაბრუნა. ვახტანგ VI აღარ აპირებდა ქართული სისხლის დაღვრას სეფიანთა დინასტიის გადასარჩენად.

უკანასკნელი იმედიც ჩაუქრა შაჰ-ჰუსეინს. ქართველი მეფის უარი სასიკვდილო განაჩენს უდრიდა.

ცნობილი ინგლისელი ირანისტი ლოკარენს თავის ნიჭში „სეფიანთა დინასტიის დაცემა და ავლანთა მიერ ირანის ოკუპაცია“ აღნიშნავს, რომ „მხოლოდ ქართველებს ძალუძდათ ავლანთა დამარცხება“.

არანაკლებ ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დევიდ ლენგის სიტყვით, საქართველოს სამხედრო მხარდაჭერა უთუოდ იხსნიდა დაღუპვისგან სეფიანთა დინასტიას. ნუთუ მართლა შეაბრუნებდა ვახტანგ VI ისტორიის მსვლელობას? ვინ იცის, ვინ იცის...